

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
იურიდიული ფაკულტეტი



ირაკლი სამხარაძე

განახლებადი ენერჯის კანონმდებლობის ევროპეიზაცია
საქართველოში: გამოწვევები და შესაძლებლობები

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად

- ხელმძღვანელი:** სამართლის დოქტორი, პროფესორი გიორგი ხუბუა
- თანახელმძღვანელი:** სამართლის დოქტორი, პროფესორი კრისტოფ
მარტინ ოლერი (იენის უნივერსიტეტი, გერმანია)
- თანახელმძღვანელი:** სამართლის დოქტორი, პროფესორი კურტ
დეკეტელაერე (ლიუვენის უნივერსიტეტი, ბელგია)

თბილისი, საქართველო

ივლისი, 2019

წინასიტყვაობა

წინამდებარე დისერტაცია საქართველოს ენერგეტიკის სამართლის ევროპეიზაციის სფეროში შესრულებული კვლევის შედეგია. იგი 2014 წლის სექტემბერში წამოწყებული სადოქტორო პროექტის შემაჯამებელი ნაშრომია და ერთ-ერთ პირველ გამოკვლევას წარმოადგენს ქართულ სამეცნიერო იურიდიულ ლიტერატურაში, რომელიც ენერგეტიკის სამართლის ევროპეიზაციას ეხება. ნაშრომი ეძღვნება ყველა იმ სტუდენტს, ახალგაზრდას, სამართლის მეცნიერსა თუ პრაქტიკოს იურისტს, რომელთაც საერთო ქართულ-ევროპული პროექტის სწამთ და მიაჩნიათ, რომ საქართველო ევროპის სამართლებრივი ოჯახის განუყოფელი ნაწილია.

ვრცელია იმ პირთა ჩამონათვალი, რომელთაც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით აღნიშნული სადოქტორო ნაშრომის სრულყოფაში. უდიდესი მადლიერება ყველას, რომელთაც თავიდანვე ირწმუნეს ამ სამეცნიერო პროექტის მნიშვნელობა და მხარს მიჭერდნენ მასზე მუშაობის პროცესში.

პირველ ყოვლისა, ეს სიტყვები პროფესორ გიორგი ხუბუას და ჩემი მშობლიური თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ხელმძღვანელობას და აკადემიურ წრეს ეხება. სადოქტორო თემის იდეა ბატონ გიორგი ხუბუასთან თანამშრომლობის პროცესში დაიბადა. დიდი მადლობა მას ასეთი შესაძლებლობისათვის, იმ თითოეული რჩევისა და რეკომენდაციისათვის, რომლის გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა დისერტაციის დასრულება.

სადოქტორო თემაზე მუშაობის გარდამტეხი ეტაპი გერმანიაში ფრიდრიხ-შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტში (Universität Jena) მოღვაწეობას დაემთხვა. ჩემი განსაკუთრებული მადლიერება პროფესორ ოლერს (Christoph Martin Ohler) და მის აკადემიურ პერსონალს გერმანიაში მოწვევისა და საუცხოო სამუშაო პირობების შექმნისთვის. განსაკუთრებულად დასაფასებელია გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD) სადოქტორო სტიპენდია და შესაბამისი ფინანსური მხარდაჭერა.

ნაშრომზე მუშაობის დასკვნითი ფაზა ბელგიის ლიუვენის უნივერსიტეტის (KU Leuven) გარემოს დაცვისა და ენერგეტიკის სამართლის ინსტიტუტში შედგა. ეს პროფესორ დეკეტელაერეს (Kurt Dektelaere) და დოქტორ დელვას (Bram Delvaux) დამსახურებაა. უღრმესი მადლობა ინსტიტუტის თითოეულ წევრს უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო და პრაქტიკული მხარდაჭერისთვის,

თემის ინტერნაციონალიზაციისთვის, სამეცნიერო შედეგების ფართოდ წარმოჩენისთვის, მუდმივი ხელმისაწვდომობისთვის უნიკალურ ლიტერატურასთან, კვალიფიციურ აკადემიურ წრეებთან, ბრიუგეს მდგრადი განვითარების კოლეჯის (Sustainability College Bruges) აქტივობებთან და ევროპის სამართლისა და პოლიტიკის „მექასთან“ - ბრიუსელთან.

გულითადი მადლობა ჩემს კოლეგებს, მეგობრებს, ახლობლებს, განსაკუთრებით კი თამთას და ჩვენს მშობლებს, რომლებიც უყოყმანოდ მიჭერდნენ მხარს პროექტის სრულყოფაში.

დაბოლოს, წინამდებარე დისერტაცია ენერგეტიკის სამართლის დარგში შესრულებული პირველი ქართული სადოქტორო კვლევაა. „პირველობის ტვირთი“ დიდი გამოწვევაა, თუმცა მოხარული ვიქნები, თუ შემოთავაზებული დასკვნები და რეკომენდაციები, ახალი დებულებები და ცნებები გათვალისწინებული იქნება ენერგეტიკის სამართლის სფეროში მიმდინარე რეფორმისას და თავის მოკრძალებულ წვლილს შეიტანს ქართული იურიდიული მეცნიერების განვითარებაში.

ირაკლი სამხარაძე

ლიუვენი, ბელგია

ივლისი, 2019

შინაარსი

წინასიტყვაობა.....	2
I. შესავალი.....	13
1. აქტუალობა და მეცნიერული სიახლე.....	15
2. მიზანი, ჰიპოთეზა და კვლევითი კითხვები	18
3. სტრუქტურა	20
4. მეთოდოლოგია	21
II. ნაწილი პირველი: ენერგეტიკის სამართლის ძირითადი ნიშნები და სამართლებრივი თავისებურებები.....	23
1. ანოტაცია.....	23
2. ენერგეტიკა როგორც სოციალური კატეგორია	24
2.1. ენერჯის მაღალი ეკონომიკური მნიშვნელობა	25
2.2. ენერგეტიკული ცვლილებების გზაგასაყარზე.....	27
3. ენერგეტიკის სამართლის არსი	30
3.1. ენერგორეგულირების სამართლებრივი საწყისები.....	30
3.2. ენერგეტიკის სამართალი ენერგორესურსების სამართლის პირისპირ	33
3.3. ენერგეტიკის სამართლის ძირითადი ნიშნები	35
3.3.1. ენერგორესურსები	36
3.3.2. „ექსპლუატაცია“	39
3.3.3. უფლება-მოვალეობების განაწილება	40
4. ენერგეტიკის სამართლის განვითარების ეტაპები.....	41
4.1. უსაფრთხოება	42
4.2. ენერგორესურსების მართვის კონტროლი	43
4.3. საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებული ენერგეტიკა.....	43
4.4. ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის განვითარება	45
4.5. თანამედროვე ენერგეტიკის სამართალი	46
5. სამართლიანი ენერგორეგულირება ენერგეტიკის სამართალში	49
5.1. სამართლიანი ენერგორეგულირების იდეა.....	49
5.2. უზრუნველყოფის საშუალებები	50

6.	ენერგეტიკის სამართლის ინტერნაციონალიზაცია.....	52
6.1.	გლობალური ენერგობაზარი	52
6.2.	მარეგულირებელი საერთაშორისო წესები	53
7.	ენერგეტიკის სამართალი როგორც აკადემიური დისციპლინა	55
7.1.	აკადემიური დისციპლინის სათავეებთან.....	57
7.2.	აკადემიური დისციპლინის სოციალური ფაქტორები	58
7.3.	ენერგეტიკის სამართალი საჯარო და კერძო სამართალს შორის	59
7.4.	„პრაქტიკული პროფესიონალიზმი“	60
III.	ნაწილი მეორე: ევროკავშირის ენერგეტიკული კანონმდებლობა: ენერგეტიკის სამართლისა და პოლიტიკის ურთიერთმიმართება	62
1.	ანოტაცია.....	62
2.	ევროპის ენერგოპოლიტიკის პარამეტრები	63
2.1.	კლიმატის ცვლილება.....	65
2.2.	ენერგოუსაფრთხოებიდან საგარეო ენერგეტიკულ პოლიტიკამდე	69
3.	ევროპის ენერგორეგულირების ისტორია.....	72
3.1.	ენერგეტიკა - ევროპული ინტეგრაციის სათავე	72
3.1.1.	ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება	73
3.1.2.	ევროატომი - ევროპის ბირთვული ენერგეტიკის გაერთიანება.....	74
3.2.	„პარადიგმის ცვლილება“ ენერგეტიკაში	76
4.	ევროკავშირის შიდა ენერგეტიკული ბაზარი.....	78
4.1.	პირველი ენერგეტიკული პაკეტი	79
4.2.	მეორე ენერგეტიკული პაკეტი.....	81
4.3.	მესამე ენერგეტიკული პაკეტი.....	84
4.4.	ენერგეტიკული კავშირი და „ზამთრის პაკეტი“	86
5.	ევროკავშირის ენერგეტიკის სამართლის მოქმედება	89
5.1.	ძირითადი სამართლებრივი ჩარჩო.....	90
5.1.1.	ლისაბონის ხელშეკრულება.....	92
5.1.2.	ენერგეტიკული კომპეტენცია	94
5.1.2.1.	საშინაო ენერგეტიკული კომპეტენცია.....	94
5.1.2.2.	საგარეო ენერგეტიკული კომპეტენცია	97
5.2.	დამხმარე საკანონმდებლო ჩარჩო.....	99
5.2.1.	რეგულაცია.....	100

5.2.2. დირექტივა	101
6. დასკვნის ნაცვლად	103
IV. ნაწილი მესამე: სამართლის ჰარმონიზაცია, როგორც ქართული ენერგეტიკული კანონმდებლობის ევროპულთან დაახლოების ძირითადი მექანიზმი	106
1. ანოტაცია.....	106
2. სამართლებრივ სისტემათა ჰარმონიზაცია და საკანონმდებლო დაახლოების ფარგლები.....	107
2.1. ქართული სამართალი ჰარმონიზაციის საწყისები.....	107
2.2. ჰარმონიზაციის არსი.....	109
2.3. სამართლის ჰარმონიზაცია	110
2.4. სამართლის ევროპეიზაცია	113
2.5. ჰარმონიზაციის დროს წარმოქმნილი ენობრივი ბარიერები.....	115
3. ევროპის ენერგეტიკული დიპლომატია და მისი ინსტრუმენტები	119
3.1. სტრატეგიული თანამშრომლობა: ევროკავშირის სამართალი გაერთიანების ფორმალურ საზღვრებს მიღმა	122
3.2. ქართულ-ევროპული ენერგეტიკული ურთიერთობების ჩამოყალიბება	124
3.3. ევროპის სამეზობლო პოლიტიკის დოკუმენტი (ENP)	126
3.4. აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა (EaP).....	127
4. ასოცირების შეთანხმება (AA)	128
4.1. ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება.....	128
4.2. ასოცირების ხელშეკრულებაში სამართლის ჰარმონიზაციაზე.....	130
4.3. ენერგეტიკის სექტორი ასოცირების ხელშეკრულებაში	132
5. ევროპის ენერგეტიკული გაერთიანება (EnC).....	134
5.1. სამართლებრივი ჩარჩო.....	134
5.2. <i>“Acquis Communautaire”</i>	137
5.3. დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან შეერთების ოქმი	138
6. ქართული სამართლის ჰარმონიზაციის კრიტიკული ანალიზი.....	140
6.1. სამართლის ჰარმონიზაციის მონაწილეთა უფლებრივი თანასწორობა	140
6.2. სამართლის ჰარმონიზაციის მოტივები.....	142
6.3. ეროვნული სამართლებრივი თავისებურებანი.....	144
6.4. მთავარი გამოწვევები.....	147
6.5. შესაძლებლობები	152

V. ნაწილი მეოთხე: საქართველოს განახლებადი ენერჯის კანონმდებლობის ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოება	154
1. ანოტაცია.....	154
2. ენერჯეტიკის სექტორი საქართველოში	155
2.1. ენერჯეტიკული პოლიტიკა	156
2.2. საქართველოს ენერჯეტიკის სამართალი.....	160
2.2.1. არსებული კანონმდებლობა.....	160
2.2.2. მოსალოდნელი ცვლილებები.....	164
3. განახლებადი ენერჯის სამართალი	166
3.1. განახლებადი ენერჯის მიმოხილვა.....	166
3.2. განახლებადი ენერჯის მნიშვნელობა	168
3.3. განახლებადი ენერჯია ქართულ კანონმდებლობაში	171
3.3.1. ძირითადი მარეგულირებელი გარემო	172
3.3.2. დამატებითი მარეგულირებელი გარემო	173
3.3.3. კრიტიკული ანალიზი.....	175
4. ევროკავშირის განახლებადი ენერჯის პოლიტიკა.....	178
4.1. განახლებადი ენერჯის განვითარების ისტორიული წინაპირობები.....	179
4.2. განახლებადი ენერჯის დირექტივა 2009/28/EC	180
4.3. განახლებადი ენერჯის სფეროს დინამიკური ჰარმონიზაცია.....	183
5. განახლებადი ენერჯის კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პროცესი საქართველოში	186
5.1. სავალდებულო ეროვნული სამიზნე მაჩვენებლები.....	187
5.2. განახლებადი ენერჯის ეროვნული სამოქმედო გეგმა.....	189
5.3. სამიზნე მაჩვენებლების მიღწევის ღონისძიებები	190
5.3.1. მხარდაჭერის სქემები.....	190
5.3.2. ერთობლივი პროექტები.....	193
6. ძირითადი რეკომენდაციები	194
VI. დასკვნა.....	202
VII. დანართი: მოკლე მიმოხილვა ინგლისურად.....	212
VIII. ბიბლიოგრაფია.....	227
1. სამეცნიერო ლიტერატურა.....	227
2. სამართლებრივი აქტები	248

3.	სასამართლო გადაწყვეტილებები.....	258
4.	ელექტრონული წყაროები.....	260

შემოკლებანი

ა(ა)იპ	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
ა.შ.	ასე შემდეგ
ავტ.	ავტორი
აშშ	ამერიკის შეერთებული შტატები
გაერო	გაერთიანებული ერების ორგანიზაცია
გერმ.	გერმანულად
გვ.	გვერდი
და სხვ.	და სხვა
დაწვრ.	დაწვრილებით
დსთ	დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა
დღგ	დამატებითი ღირებულების გადასახადი
ე.წ.	ეგრეთ წოდებული
ეგმპ	საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამა
ევროკავშირი	ევროპის კავშირი (EU)
ევროკომისია	ევროპის კავშირის კომისია (Commission)
ევროპარლამენტი	ევროპის კავშირის პარლამენტი (EP)
ევროსასამართლო	ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო (CJEU)
თბ.	თბილისი
ინგ.	ინგლისურად
იხ.	იხილეთ
ლათ.	ლათინური
მაგ.	მაგალითად
მსგ.	მსგავსი
ნაწ.	ნაწილი

პროფ.	პროფესორი
ჟურნ.	ჟურნალი
რედ.	რედაქტორი
საქსტატი	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
სემეკი	საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია
სს.	სააქციო საზოგადოება
სსიპ	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ტ.	ტომი
შეად.	შეადარეთ
შპს.	შეზღუდული პასუხისმგებლობის სააგენტო
ციტ.	ციტირებულია
წ.	წელი
AA	Association Agreement
ACER	Agency for the Cooperation of Energy Regulators
App.	Application
BAU	Business As Usual
BGB	Bürgerliches Gesetzbuch
Comm.	Communication
COP	Conference of Parties
DANIDA	Danish Development Cooperation
DCFTA	Deep and Comprehensive Free Trade Agreement
Dir.	Directive
EaP	Eastern Partnership Initiative
EBRD	European Bank for Reconstruction and Development
ECHR	European Convention of Human Rights
ECSC	European Coal and Steel Community

ECT	Energy Charter Treaty
ECtHR	European Court of Human Rights
Edn.	Edition
EE	Energy Efficiency
EnC	Energy Community Treaty
ENP	European Neighbourhood Policy
ENTSO-E	European Network of Transmission System Operators for Electricity
ENTSO-G	European Network of Transmission System Operators for Gas
etc.	et cetera
ETS	EU Emission Trading System
EU	European Union
EURATOM	European Atomic Energy Community
Fed.	Federal
FiP	Feed-in-Premium
FiT	Feed-in-tariffs
GATT	The General Agreement on Tariffs and Trade
GIZ	The Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit
INOGATE	INterstate Oil and GAs Transportation to Europe
IPCC	International Panel Climate Change
Iss.	Issue
MRA	Mutual Recognition Agreement
NDC	Nationally Determined Contribution
No.	Number
OECD	Organization of Economic Cooperation and Development
OPEC	Organization of the Petroleum Exporting Countries

OUP	Oxford University Press
Para.	Paragraph
PCA	Partnership and Cooperation Agreement
RE	Renewable Energy
SDG	Sustainable Development Goal
TEU	Treaty on European Union
TFEU	Treaty on Functioning European Union
TRIPS	The Agreement on Trade-Related Aspects of Intellectual
UK	United Kingdom
UN	United Nations
UNCITRAL	United Nations' Commission on International Trade
UNDP	United Nations Development Programme
IEA	International Energy Agency
UNFCCC	United Nations Framework Convention Climate Change
UNIDROIT	International Institute for the Unification of Private Law
USA	United States of America
USAID	United States Agency for International Development
v.	Versus
Vol.	Volume
VCLT	Vienna Convention on the Law of Treaties
WB	World Bank
WEG	World Experience Georgia
WIPO	World Intellectual Property Organization
WTO	World Trade Organization

„ჩვენ ვერ გადავჭრით პრობლემებს იმავე გონებით,

რომელმაც შექმნა ისინი.“

(აინშტაინი)

I. შესავალი

გლობალური სამართლებრივი წესრიგის¹ ფორმირებამ იურიდიულ აზროვნებაზე თავისი გავლენა იქონია.² დღეს, სამართალი ღიაა ბოლო დროს დამკვიდრებული პრაგმატული მიდგომების მიმართ. ტრანსნაციონალური კულტურისა³ და სამართლებრივი რეალიზმის⁴ ეპოქაში იურისპრუდენცია არა თუ გასცდა ეროვნული სამართლის სისტემის ფარგლებს, არამედ სამართლის ჰარმონიზაცია⁵ და საკანონმდებლო დაახლოება საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრალურ ელემენტადაც იქცა. უფრო ინტენსიური გახდა რა კვლევები სამართლის ლიბერალიზაციის, ასიმილაციის, ფრაგმენტაციის,⁶ შედარებით-სამართლმცოდნეობის მიმართულებით, თანამედროვე იურისტი

¹ Pierrick L. G. Global Law: A Legal Phenomenon Emerging from the Process of Globalization, *Indiana Journal of Global Legal Studies*: Vol. 14 (1), 2007, 212. გლობალური სამართლებრივი წესრიგის მაგალითებია “Lex Mercatoria” და “Lex Petrolea.” დაწვრ. იხ. Goldman B. The Applicable Law: General Principles of Law - the Lex Mercatoria: Lew J. (ed.), *Contemporary Problems in International Arbitration*, London, 1986, 113; Martin A. T., *Model Contracts: A Survey of the Global Petroleum Industry*. *Journal of Energy & Natural Resources Law*, Vol. 22, 2004, 281.

² Michaels R. *Globalization and Law: Law beyond the State*. Law and Social Theory, Banakar & Travers eds., Oxford, Hart Publishing, 2013, 42.

³ იხ. Berman H. *Law and Revolution: The formation of the Western Legal Tradition*, Harvard University Press, 1983, 657. ბერმანი თავის გვიანდელ შრომებში „მსოფლიო სამართლის“ ინოვაციური იდეის მხარდამჭერადაც გვევლინება. იხ. Berman H. *World Law*, *Fordham International Law Journal*, Vol. 18, 1995, 1617-1622.

⁴ იხ. Green M. S. *Legal Realism as Theory of Law*, *William and Mary Law Review*, 2005, 1915-2000.

⁵ სამართლის ჰარმონიზაცია გულისხმობს საკანონმდებლო საქმიანობის განხორციელების საფუძველზე განსხვავებული სამართლებრივი სისტემების თანაარსებობას და სხვადასხვა სამართლებრივი ალტერნატივის ერთიან უნიფიკაციას. დაწვრ. იხ. ნაშრომის მესანე ნაწილი. ასევე: Fox E. M. *Harmonization of Law and Procedures in a Globalized World: Why, What and How?* *Antitrust Law Journal*, Vol. 60, 1992, 594.

⁶ სამართლის ლიბერალიზაციის, ასიმილაციისა და ფრაგმენტაციის საკითხებზე დაწვრ. იხ. Koskeniemi M., Leino P. *Fragmentation of International Law: Postmodern Anxieties*, *Leiden Journal of International Law*, Vol. 15, № 3, 2002, 553-579.

აღარ კმაყოფილდება მხოლოდ ერთი სამართლებრივი სისტემის ცოდნით.⁷ რთული იურიდიული ამოცანების გადასაჭრელად სულ უფრო მეტია მიმართებები უცხოურ კანონმდებლობასთან.

სამართალში საერთაშორისო თანამშრომლობის ამგვარმა ფორმამ შედარებით არადოგმატური და ჯერ კიდევ სათანადოდ გამოუკვლეველი იურიდიული დისციპლინები წარმოშვა. სწორედ ასეთი ახალი და სწრაფად განვითარებადი დარგია ენერგეტიკის სამართალი. იგი არის სამართლის დინამიკური ბუნების ილუსტრაცია, რომლის ცალკე მიმართულებად ჩამოყალიბებას ევროპული ფესვები აქვს.⁸ თავად ენერგეტიკის სამართლის ევროპული სკოლა ევროპის კავშირის (შემდგომში „ევროკავშირი“ ან „გაერთიანება“), როგორც საერთაშორისო რეგიონული ორგანიზაციის⁹ გააქტიურებას უკავშირდება. ევროკავშირის სამართალი, რომელიც საერთაშორისო და ეროვნული სამართლის ერთგვარ სინთეზს წარმოადგენს,¹⁰ დიდ გავლენას ახდენს თანამედროვე მსოფლიო ენერგეტიკული წესრიგის ფორმირებაზე.

ევროკავშირის ენერგეტიკის სამართალი უკანასკნელი ორი ათწლეულია აქტიურად ვითარდება.¹¹ აქედან გამომდინარე, ის დაკვირვების განსაკუთრებული ობიექტია.¹² ეს განსაკუთრებულობა იმაში გამოიხატება, რომ ევროპის ენერგეტიკის სამართალი სუპრანაციონალური (ფედერალურის მსგავსი) ენერგომმართველობის სანიმუშო მაგალითია.¹³ თუკი, თავდაპირველად, იგი ევროკავშირის საშინაო საქმეების, კონკრეტულად კი - შიდა ენერგეტიკული ბაზრის უზრუნველყოფის

⁷ ხუბუა გ. სამართლის თეორია, თბ., 2004, 20.

⁸ Bradbrook A. J. Energy Law as an Academic Discipline, Journal of Energy and Natural Resources Law, Vol. 14, № 2, 1996, 194.

⁹ ევროკავშირი განსაკუთრებული ტიპის (*sui generis*) რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომლის სტატუსი დღესაც საკამათოა. მსჯელობა გაერთიანების სამართლებრივი ბუნების შესახებ არ არის წინამდებარე ნაშრომის მიზანი. დაწვრ. იხ. Metz J. Expert Groups in the European Union: A Sui Generis Phenomenon? Journal Policy and Society, Vol. 32, № 3, 2017, 267.

¹⁰ ევროკავშირის სამართალი არ თავსდება ტრადიციული საერთაშორისო და ეროვნული სამართლის დიქტომიაში. იხ. Talus K. Research Handbook on International Energy Law, Edward Elgar Publishing, 2014, 12.

¹¹ იხ. Heffron R. J., Ronne A., Bradbrook A., Tomain J. P., Talus K. A Treatise for Energy Law, Journal of World Energy Law and Business, Vol. 11, № 1, 2018, 34-48.

¹² იხ. Samkharadze I. Europeanization of Energy Law and Policy beyond the Member States: The Case of Georgia, Elsevier Energy Policy Journal, 130, 2019, 1-6.

¹³ ენერგო ქარტიის ტრიბუნალი, რომელიც ქარტიის ხელშეკრულების 26-ე მუხლის მე-4 პარაგრაფითაა დაარსებული, ევროკავშირის ენერგეტიკის სამართალს სუპრანაციონალური სამართლის კატეგორიას განაკუთვნებს. იხ. Talus K., Research Handbook on International Energy Law, Edward Elgar Publishing, 2014, 13.

საშუალება იყო,¹⁴ მოგვიანებით გაჩნდა გაერთიანების ენერგეტიკული პოლიტიკის საზღვრებს მიღმა გავრცელების ტენდენციები. ევროკავშირი ენერგეტიკის სფეროში ძირითადი გლობალური კანონმდებელია. მის წესებს, რეგულაციებსა და ჩვეულებებს აქტიურად ითვისებენ გაერთიანების არაწევრი ქვეყნებიც, რაც ერთგვარი პან-ევროპული ენერგეტიკული ბაზრის¹⁵ შექმნას ემსახურება.

1. აქტუალობა და მეცნიერული სიახლე

ენერგეტიკის სამართლის ევროპეიზაცია, რომელიც ევროპის ენერგეტიკული წესებისა და პრინციპების „ექსპორტს“ მოიცავს, ევროკავშირის საგარეო ენერგეტიკული მმართველობის ძირითადი ინსტრუმენტია. იზრდება რა ევროპასთან დაახლოებული „მესამე სახელმწიფოების“¹⁶ რიცხვი, განსაკუთრებულ მასშტაბებს იძენს ევროკავშირის სამართლის ეროვნულ საზღვრებს მიღმა გავრცელებაც. ასეთი ქვეყნები საკუთარი ნებით ევროპის პირობითობის პოლიტიკაზე¹⁷ დაყრდნობით უშვებენ საკუთარ იურისდიქციაში ევროპის სამართლის დამკვიდრების შესაძლებლობას. ევროპეიზაცია ევროპული ინტეგრაციის უკანასკნელი ფაზად მიიჩნევა.¹⁸ მისი გავლენები საქართველოს სამართლებრივ რეალობაზე იოლად შესამჩნევია.

¹⁴ Romanova T. Towards a Comprehensive Theory of Legal Harmonization between the EU and a Third Partner: The Case of The EU-Russian Energy Dialogue. წიგნში: Delvaux B., Hunt M., Talus K. (eds.). EU Energy Law and Policy Issues, Vol. 3, Intersentia, 2012, 283.

¹⁵ პან-ევროპული ენერგეტიკული ბაზრის კარგი მაგალითია „ენერგეტიკული გაერთიანება.“ ამის შესახებ ნაშრომის მესამე ნაწილში ვიმსჯელებთ.

¹⁶ აღნიშნულ სადისერტაციო ნაშრომში ტერმინით „მესამე სახელმწიფოები“ მოვიხსენიებთ ქვეყნებს, რომლებიც არ არიან ევროკავშირის წევრები, თუმცა სხვადასხვა ფორმით თანამშრომლობენ გაერთიანებასთან. დაწვრ. იხ. Schimmelfennig F., Lavenex S. EU Rules beyond EU Borders: Theorizing External Governance in European Politics. Journal of European Public Policy, Vol. 16, № 6, 2009, 791-812.

¹⁷ ევროპის „პოზიტიური პირობითობის პრინციპთან“ დაკავშირებით იხ. სამხარაძე ი. საქართველოს ევროპეიზაცია: ევროკავშირში გაწევრიანების ძირითადი სამართლებრივი ასპექტები, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი,“ №5 (48), 2015, 39-54 და Kochenov D. Pre-accession Conditionality in the Fields of Democracy and the Rule of Law. Kluwer Law International, the Netherlands, 2008, 36.

¹⁸ Magen A. Transformative Engagement through Law: The Acquis Communautaire as an Instrument of EU External Influence, European Journal of Law Reform, Vol. 9, № 3, 2015, 361-392.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ზემოქმედების გარეშე არ რჩება ქართული ენერჯეტიკოსექტორიც. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის ენერჯეტიკული კანონმდებლობა ჯერ კიდევ ბევრი გამოწვევის წინაშე დგას, ევროპის ენერჯეტიკული პოლიტიკის სტანდარტების ეროვნულ დონეზე შემოდება ქვეყნისთვის დიდი დახმარებაა. ქართული ენერჯეტიკულ-სამართლებრივი რეფორმაც სწორედ ამ მიმართულებით მიმდინარეობს. მძიმე საბჭოური მემკვიდრეობის გათვალისწინებით საქართველოს ენერჯეტიკული ნორმები არ არის მორგებული თანამედროვე, ევროპული ენერჯეტიკული პრინციპებს. ბოლო წლებში წინ გადადგმული ნაბიჯების, გატარებული რეფორმებისა და საკანონმდებლო ცვლილებების მიუხედავად,¹⁹ ენერჯეტიკის სექტორის სრულ ტრანსფორმირებამდე გრძელი გზაა გასავლელი. ყველაზე მნიშვნელოვანს, ამ კუთხით, შესაბამისი ენერჯეტიკული ინსტიტუციური, საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზის განვითარება წარმოადგენს.²⁰

„პარადიგმის ცვლილება“²¹ თანამედროვე ენერჯეტიკის სამართლის იდეოლოგიური საფუძველია, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად მოძველებული ენერჯეტიკული მოძღვრების მოდერნიზაციისკენ არის მიმართული.²² ამ პროცესის ქვაკუთხედია ენერჯის ალტერნატიული ფორმების გამოკვლევა. კლიმატის სწრაფი ცვლილებისა²³ და ენერჯეტიკული რისკების ფონზე

19. დაწვრ. იხ. საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების სტრატეგია 2016-2025 (სამუშაო დოკუმენტი)

<<http://www.energy.gov.ge/show%20news%20mediacenter.php?id=600&lang=geo>>

უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 23.04.2019.

20. 2013-2016 წლებში საქართველოს ენერჯეტიკის სექტორში განხორციელებული ცვლილებების შეფასებისთვის იხ. <<http://weg.ge/ge/2013-2016-clebshi-sakartvelos-energetikis-sektorshi-ganxorcielebuli-cvlibebbis-shepaseba>> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 23.04.2019.

21. აზროვნების „რევოლუცია“, იდეების ცვლილება, როდესაც ალტერნატიული ინტელექტუალური შეხედულება ანაცვლებს აქამდე არსებულ საზოგადოდ მიჩნეულ მოძველებულ აზრს. დაწვრ. იხ. ნაშრომის მეორე ნაწილის მე-3 თავი. ასევე: Helm D. The Assessment: The New Energy Paradigm, Oxford Review of Economic Policy, Vol. 21, № 1, 2005, 1-18.

22. საერთაშორისო ენერჯეტიკული სააგენტოს 2008 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ კაცობრიობის სამომავლო კეთილდღეობა დამოკიდებულია ორ ფაქტორზე: ა) ენერჯო რესურსის მოხმარების ხელმისაწვდომობა; ბ) სწრაფი ტრანსფორმაცია დაბალნახშირბადიან ენერჯეტიკაზე. დაწვრ. იხ. <<https://www.iea.org/media/weowebiste/2008-1994/WEO2008.pdf>> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 15.04.2019.

23. საგულისხმოა, რომ სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობა დაემთხვა კლიმატის ცვლილების საკვანძო საერთაშორისო ხელშეკრულების - პარიზის შეთანხმების

განახლებადი ენერჯია (ე.წ. „მწვანე ენერჯეტიკა“) სულ უფრო მიმზიდველი ხდება.²⁴ დღეს, მსოფლიო ენერჯეტიკული საზოგადოება ეკოაზროვნების ახალ წესრიგს აყალიბებს, რომელიც ტრადიციული ენერჯორესურსების განახლებადი წყაროებით ჩანაცვლებას გულისხმობს.²⁵ ახალი წესები და მეთოდები დაბალნახშირბადიან ენერჯეტიკას ანიჭებს უპირატესობას, რომელიც გარემოზე მხოლოდ მინიმალური ზემოქმედებით გამომუშავდება.²⁶ განახლებადი ენერჯიის განვითარებასა და გამოყენებას მოითხოვს ენერჯეტიკული სამართლიანობის პრინციპიც.²⁷ ეს მიდგომა დაცული უნდა იყოს მოდერნიზებული ქართული ენერჯეტიკის სამართლის ჩამოყალიბების საქმეში.

განახლებადი ენერჯორეგულირების იდეა, რასაკვირველია, არ არის ახალი ფენომენი, თუმცა, სიახლეა მისი თეორიული საფუძვლების შექმნა. ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში დღითიდღე მატულობს დარგის მიმართ სამეცნიერო ინტერესი, მკვიდრდება სამართლის სკოლების საგანმანათლებლო პროგრამებშიც და მაღალია მოთხოვნა სფეროში არსებული კვალიფიციური კადრების მიმართ. თუმცა, ამ მხრივ, საქართველო მოწინავე პოზიციაზე ყოფნას ვერ დაიკვეხნის: მწირია არა მხოლოდ განახლებადი ენერჯიის, არამედ ზოგადად, ენერჯეტიკის სამართლის სფეროში განხორციელებული კვლევები, შეზღუდულია ქართული ენერჯოსამართლებრივი ლიტერატურა და არ არსებობს ერთგვარი აკადემიური კონსენსუსი ენერჯეტიკის სამართალთან მიმართებით.

მიღებას. იგი მიზანად ისახვას გლობალური საშუალო ტემპერატურის ზრდის 2 გრადუს ცელსიუსამდე შეზღუდვას, პრეინდუსტრიულ დონესთან შედარებით. იხ. <<http://www.moe.gov.ge/ka/parizis-shetanxmeba-klimatis-cvlilebis-shesaxeb>>

უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 12.04.2019.

²⁴ იხ. Omorogbe Y. Promoting Sustainable Development through the Use of Renewable Energy: The role of the law. წიგნში: Zillman D., Omorogbe Y., Redgwell C., Bareera-Hernandez. Beyond the Carbon Economy: Energy Law in Transition, Oxford University Press, 2008.

²⁵ Heffron J. R., McCauley D., The Concept of Energy Justice Across the Disciplines, Elsevier, Energy Policy, Vol. 105, 2017, 659.

²⁶ Bradshaw J. M. Global Energy Dilemmas. Cambridge University Press, 2013, 1.

²⁷ აქვე, შესაძლოა ნახსენები იქნას სოციალური პასუხისმგებლობა და თაობათა შორის თანასწორობა, რომელიც ინგლისურენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში ე.წ. *“intra-generational equity”*-ის სახელითაა ცნობილი. იხ. Bradbrook A. J., Energy Law as an Academic Discipline. Journal of Energy and Natural Resources Law, Vol. 14, № 2, 1996, 209. საკითხი დეტალურად განხილული იქნება ნაშრომის პირველ ნაწილში.

2. მიზანი, ჰიპოთეზა და კვლევითი კითხვები

ენერგეტიკის სამართლის ერთიანი სამეცნიერო ფუნდამენტის ნაკლებობა აღნიშნულ სადოქტორო კვლევაზე მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი შთაგონების წყაროა. აქედან გამომდინარე ნაშრომის მიზანია შეისწავლოს საქართველოს ენერგეტიკის სამართლის საჯაროსამართლებრივი მეთოდოლოგიური ასპექტები,²⁸ გააანალიზოს მასზე ევროპის ენერგეტიკული კანონმდებლობის გავლენები და განახლებადი ენერჯის ევროპეიზაციის ძირითადი ასპექტები.

დასახული მიზნის მისაღწევად და სადოქტორო თემის შემეცნებითი და მეცნიერული ღირებულების გამოსაკვეთად წინამდებარე დისერტაცია სამ ძირითად პრობლემურ საკითხზე კონცენტრირდება:

1. რა არის ენერგეტიკის სამართლის არსი და ძირითადი ნიშნები? რა ადგილს იკავებს იგი სამართლის სისტემაში? სად გადის ზღვარი ენერგეტიკის სამართალს, როგორც იურიდიული მეცნიერების ნაწილსა და გამოყენებით, პრაქტიკულ იურისპრუდენციას შორის? აღნიშნულ შეკითხვებზე შესაბამისი იურიდიული პასუხების მოძიებით ნაშრომი შეეცდება ახსნას, რომ ენერგეტიკის სამართალი სწრაფად მზარდი იურიდიული დარგია, რომელმაც განსაკუთრებული მნიშვნელობა მდგრადი განვითარების გლობალური დღის წესრიგის²⁹ ფონზე შეიძინა და დღეს იგი დამოუკიდებელ აკადემიურ დისციპლინად კვალიფიცირდება.

2. რას ნიშნავს ენერგოსექტორის ევროპეიზაცია და რეგულაციების ტრანსფერი? რატომ არის ევროკავშირის არაწევრი სახელმწიფოების მხრიდან ევროპის ენერგეტიკის სამართლის ნორმების იმპორტის მიმართ დიდი ინტერესი? რა არის სამართლის ჰარმონიზაცია? რა სამართლებრივი ინსტრუმენტების გამოყენებით მიმდინარეობს ქართული ენერგოსექტორის რეფორმა და ენერგეტიკული კანონმდებლობის ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოება („აპროქსიმაცია“)?³⁰ შეკითხვათა აღნიშნულ ჯგუფზე

²⁸ სამწუხაროდ იმედი უნდა გავუცრუოთ მკითხველს, რომელიც პასუხებს ეძებს ისეთ ენერგეტიკულ საკითხებზე, როგორც არის ენერგეტიკის სამართლის კერძოსამართლებრივი (მაგ. ენერგეტიკული ბირჟები), ტექნოლოგიური (მაგ. ენერგოსისტემები, ელექტროგენერატორები, ელექტრული ძრავები) და ვიწრო ენერგეტიკული რეგულირების (მაგ. ტარიფები, ლიცენზიები და ა. შ.) ასპექტებს.

²⁹ იხ. ნაშრომის მეორე ნაწილის პირველი და მეორე თავი.

³⁰ ნაშრომი აცნობიერებს საკითხის ტერმინოლოგიურ სირთულეს. შესაბამისად, მესამე ნაწილის მეორე თავის ერთ-ერთ ქვეთავს სწორედ ევროპეიზაცია-ჰარმონიზაციის დროს წამოშობილი ენობრივ პრობლემატიკას დაუთმობს.

მუშაობით სადოქტორო თემა მიზნად ისახავს დაადასტუროს, რომ საქართველოს ენერგოსექტორის ევროპეიზაციის ძირითადი მექანიზმი უახლესი სამართლებრივი თეორია - სამართლის ჰარმონიზაციაა,³¹ რომელიც ასოცირების ხელშეკრულებისა და ენერგეტიკული გაერთიანების ფარგლებში მიმდინარეობს.

3. მესამე პრობლემური საკითხი საქართველოს განახლებადი ენერჯის კანონმდებლობის მოდერნიზაციას ეხება, რომელიც ევროპის „სუფთა ენერჯის“ სტრატეგიისა და თანამედროვე ენერგეტიკის სამართლის პრინციპების შესაბამისად უნდა წარმართოს. უნდა შემუშავდეს სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობა, რომელიც დააკმაყოფილებს ევროკავშირის განახლებადი ენერჯის დირექტივის³² მოთხოვნებს. ევროპულ რეგულაციებთან შესაბამისობისთვის ეროვნული განახლებადი ენერჯის კანონმდებლობის რეფორმა იმდენად ფუნდამენტური სახის ცვლილებას მოითხოვს, რომ ჩვეულებრივი საკანონმდებლო პროცედურებით³³ შეუძლებელი იქნება მისი განხორციელება. შესაბამისად, აუცილებელია ალტერნატიული სამართლებრივი მეთოდების შემუშავება. ძირითადი კვლევითი კითხვები: რამდენად შეესაბამება საქართველოს ენერგეტიკული ევროკავშირის განახლებადი ენერჯის სფეროს სტანდარტებს? რა კონკრეტული მწვანე ენერგეტიკული სამართლებრივი ცვლილებებია მოსაძინელი? რომელი სამართლებრივი ინსტრუმენტებითაა შესაძლებელი ქართული განახლებადი ენერჯის სფეროს ევროპეიზაცია? რა გამოწვევები და შესაძლებლობები იკვეთება აღნიშნულ პროცესში?

დასახელებული პრობლემური საკითხების, კვლევითი კითხვების სამი კატეგორიის გააზრებისა და მათი შერწყმის შედეგად გამოიკვეთება ნაშრომის ძირითადი მეცნიერული ჰიპოთეზა: „თუ საქართველოს ენერგეტიკის სამართლის რეფორმა განხორციელდება ასოცირების ხელშეკრულებითა და ენერგეტიკული გაერთიანებით ნაკისრი სამართლებრივი ვალდებულებების ფარგლებში, მაშინ

³¹ იხ. სამხარაძე ი. სამართლებრივ სისტემათა ჰარმონიზაცია: ევროკავშირი და საქართველო, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, „სამართლის ჟურნალი,“ № 1, თბ., 2015, 315-330; Leebron D. Claims for Harmonization: A Theoretical Framework. Canadian Business Law Journal, Vol. 27, 1996, 65.

³¹ Boodman M. The Myth of Harmonization of Laws, The American Journal of Comparative Law, Vol. 39, 1991, 700.

³² ევროკავშირის 2009/28/EC დირექტივა. იხ. ნაშრომის მეოთხე ნაწილი.

³³ ცვლილებათა პაკეტი ენერგეტიკის სფეროს მომწესრიგებელ მთავარ საკანონმდებლო აქტში: საქართველოს კანონი „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ,“ 27/06/1997.

მიღწეულ იქნება ქართული განახლებადი ენერჯის კანონმდებლობის ევროპეიზაცია.“

3. სტრუქტურა

წამოყენებული ჰიპოთეზების დასამტკიცებლად და კვლევითი კითხვების გადასაჭრელად ნაშრომის სტრუქტურა მოიცავს შესავალს, ოთხ ნაწილს, 25 თავს, 74 ქვეთავს და დასკვნას.

პირველი ნაწილი კონცეპტუალურ ბაზას ქმნის და ენერგეტიკის სამართლის ფუნდამენტური მნიშვნელობის ცნებებს ეხება. იგი დარგის ძირითად სამართლებრივ ნიშნებს, მახასიათებლებსა და განვითარების ისტორიულ წინაპირობებს მიმოიხილავს. გაანალიზებს რა თანამედროვე ენერგეტიკის სამართლის სახელმძღვანელო პრინციპებსა და დარგის, როგორც დამოუკიდებელი აკადემიური დისციპლინის უპირატესობას, ნაშრომის ეს ნაწილი საფუძველს შექმნის სამომავლო მსჯელობებისთვის.

მეორე ნაწილი მიმოიხილავს ევროკავშირის ენერგეტიკულ კანონმდებლობას, მისი ევოლუციის ეტაპებსა და იმ წარმატებულ გამოცდილებას, რომელსაც უნდა დაეფუძნოს საქართველოში მიმდინარე ენერგეტიკის სამართლის რეფორმა. უფრო კონკრეტულად დისერტაციის ეს ნაწილი შეისწავლის, თუ როგორ განხორციელდა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში ევროპის ლიბერალურ ენერგეტიკულ რეგულაციებთან ჰარმონიზაციის პროცესი. ეს საშუალებას მოგვცემს დავასკვნათ, თუ რა ზემოქმედება შესაძლოა ჰქონდეს გაერთიანების მდგრად და კონკურენტულ ენერგობაზარზე ორიენტირებულ კანონმდებლობას საქართველოს ეროვნულ მარეგულირებელ გარემოზე. ნაშრომის მეორე ნაწილი ასევე განსაზღვრავს სფეროში გაერთიანების საგარეო კომპეტენციებს და ევროპის სამართლის მოქმედების მექანიზმებს.

მესამე ნაწილი, პირველ ყოვლისა, ქართული სამართლის ჰარმონიზაციის დოგმატურ და ნორმატიულ საფუძვლებს შეეხება და ენერგოსექტორის ევროპეიზაციის ორგანიზაციულ-ინსტიტუციურ სტრუქტურას განსაზღვრავს. ნაშრომის ეს ნაწილი საქართველოს ევრო-ენერგეტიკული ინტეგრაციის პოლიტიკურ და სამართლებრივ ინსტრუმენტებს განიხილავს. ევროპეიზაციასთან დაკავშირებული მეცნიერული ანალიზი დაეფუძნება ისეთი ორმხრივი და რეგიონული თანამშრომლობის ინტრუმენტების კვლევას,

როგორებიც არის საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულება³⁴ და ენერგეტიკული გაერთიანება.³⁵

მეოთხე ნაწილი ნაშრომის წინა თავებში გადმოცემული მსჯელობების პრაქტიკული დანიშნულების განმსაზღვრელია. იგი, შუალედურ დასკვნებზე დაყრდნობით, საქართველოს განახლებადი ენერჯის კანონმდებლობის ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოებას გააანალიზებს. ნაშრომის ეს ნაწილი შედარებით-სამართლებრივი კვლევის ფარგლებში შეისწავლის საქართველოში განახლებადი ენერჯის სამართლებრივ ჩარჩოს და მასზე ევროკავშირის სამართლის გავლენებს. მეტი კონკრეტიკისთვის, ის ევროკავშირის განახლებადი ენერჯის მთავარ საკანონმდებლო აქტს 2009/28/EC დირექტივას გააანალიზებს და მის ქართულ კანონმდებლობაში გადმოტანის სამართლებრივ ასპექტებს შეაფასებს. მეოთხე ნაწილი ასევე შეიმუშავებს ევროკავშირის კანონმდებლობის „ექსპორტისთვის“ აუცილებელ ათ რეკომენდაციას, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოში განახლებადი ენერჯის კანონმდებლობის რეფორმირების პროცესში ევროპული სტანდარტების დამკვიდრებას და იმპლემენტაციას.

4. მეთოდოლოგია

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით წინამდებარე ნაშრომი ინტერდისციპლინური სამართლებრივი კვლევაა.³⁶ ძირითად მეთოდურ საფუძვლად გამოყენებულია ისტორიული, ანალიტიკური, სინთეზური, დესკრიფციული, დოგმატურ-ნორმატიული, ჰერმანევტიკული და შედარებითსამართლებრივი მეთოდები. მასში აქტიურად არის ციტირებული ნორმატიული მასალა: პოზიტიური კანონმდებლობის ნორმები („რბილი თუ მკაცრი“,³⁷ პირველადი თუ მეორადი სახის კანონმდებლობა, როგორც

³⁴ ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მერე მხრივ, საქართველოს შორის. (შემდგომში, „ასოცირების შეთანხმება“ ან „ასოცირების ხელშეკრულება“).

³⁵ საერთაშორისო შეთანხმება მიღწეული 2005 წლის „ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულებით.“ (შემდგომში, „გაერთიანება“ ან „თანამეგობრობა“).

³⁶ იხ. Schrama W. How to Carry out Interdisciplinary Legal Research: Some experiences with an Interdisciplinary Research Method, *Utrecht Law Review*, № 7, 2011, 147-162.

³⁷ „Soft and hard laws“ ანგლოამერიკული სამართლის ტერმინია, რომელიც დამკვიდრებულია საერთაშორისო ჩვეულებით სამართალში. ზოგადი განმარტებით „Soft Law“-ს არ გააჩნია შესასრულებლად სავალდებულო იურიდიული ძალა, მაშინ როცა „Hard Law“ სავალდებულოა, რადგან ეს

ევროკავშირის, ასევე საქართველოს), შესაბამისი კომენტარები, სასამართლო პრაქტიკა. შემოთავაზებული ჰიპოთეზებისა და არგუმენტების გასამყარებლად ნაშრომში მოიხმობს სამართლის ისტორიის, სამართლის ფილოსოფიის, სამართლის სოციოლოგიის წყაროებს. ენერგეტიკის დარგის მრავალფეროვნების გამო მრავლადაა პარალელები სხვა დისციპლინებთან, მათგან ყველაზე ჭარბად პოლიტიკური მეცნიერებისა (სამართლისა და პოლიტიკის ურთიერთკავშირი) და ბუნებრივი რესურსების³⁸ შემსწავლელ ლიტერატურიდან.

საკითხის ვრცლად განსახილველად ნაშრომში მრავლადაა მოყვანილი ევროკავშირის სამართლის ევროპეიზაციისა და ენერგეტიკის სამართლის სფეროში მოღვაწე მეცნიერებისა თუ პრაქტიკოსი იურისტების შრომები: სახელმძღვანელოები, ბეჭდური და ელექტრონული გამოცემები. განსახილველ საკითხზე ქართული წყაროების სიმცირის გამო დისერტაციაში სჭარბობს უცხოენოვანი, ძირითადად, დასავლეთევროპულ ენებზე (ინგლისური, გერმანული და ჰოლანდიური) შესრულებული შრომები, საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციების ანგარიშები და კვლევები, საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებებისა და ევროკავშირის ინსტიტუციების, სხვა საკვანძო სუბიექტების ოფიციალურ ელექტრონულ გვერდებზე განთავსებული მონაცემები.

უკანასკნელი პოზიტიური სამართლის ნორმათა ერთობას წარმოადგენს. იხ. Abbott K. W., Snidal D. *Hard and Soft Law in International Governance*. Cambridge University Press, Vol. 54 (3), 2000, 421-456; Redgwell C. *International Soft Law and Globalization* წიგნში: Barry B., Lila K., Barrera-Hernandez, Lucas A. *Regulating Energy and Natural Resources*, Oxford University Press, 2009, 89.

³⁸ შენიშვნის სახით, ეს ნაშრომი არ მოიცავს ბუნებრივი რესურსების უფრო ფართო სპექტრს, როგორცაა მაგალითად სატყეო სექტორი.

II. ნაწილი პირველი: ენერგეტიკის სამართლის ძირითადი ნიშნები და სამართლებრივი თავისებურებები

1. ანოტაცია

ენერგეტიკის სამართალი ახალი და სწრაფად მზარდი სამართლებრივი დარგია, რომლის განვითარება ამერიკულ და ავსტრალიურ სამეცნიერო საზოგადოებაში დაიწყო.³⁹ ბოლო ხანებში, მას განსაკუთრებული ყურადღება ევროპულმა სკოლამ დაუთმო,⁴⁰ ევროკავშირის აქტიური ენერგეტიკული და კლიმატის ცვლილების პოლიტიკის ფონზე.⁴¹ როგორც შესავალში აღინიშნა, ენერგეტიკის სამართლის აღმოცენება სამართლის დინამიკური ბუნების ილუსტრაცია და იურიდიული რეფორმის პროცესია.⁴² საინტერესოა, თუ რა ადგილს იკავებს იგი სამართლებრივ სისტემაში და სად გადის ზღვარი ენერგეტიკის სამართალს, როგორც იურიდიული მეცნიერების ნაწილსა და გამოყენებით, პრაქტიკულ იურისპრუდენციას შორის.

სწორედ ამის გარკვევას შეეცდება დისერტაციის პირველი ნაწილი, რომელიც ენერგეტიკის სამართლის ძირითად ნიშნებსა და მათ სამართლებრივ თავისებურებებს მიმოიხილავს. იგი თავდაპირველად ენერგოსამართლის არსს განსაზღვრავს და მისი ევოლუციის ძირითად ეტაპებს გააანალიზებს. ამის შემდგომ, გააანალიზდება თანამედროვე ენერგეტიკის სამართლის სახელმძღვანელო პრინციპები და მათი ზეგავლენა მდგრად, ანუ მწვანე ენერგეტიკაზე.

ნაშრომის ამ ნაწილის დასასრულს დისერტაცია ყურადღებას გაამახვილებს ენერგეტიკის სამართლის აკადემიური დისციპლინაზე. ამით ის, ერთი მხრივ, ევროკავშირსა და

³⁹ იხ. Bradbrook A. J. Energy Law as an Academic Discipline. *Journal of Energy and Natural Resources Law*, Vol. 14, № 2, 1996, 194 და Zillman D., Omorogbe Y., Redgwell C., Bareera-Hernandez. *Beyond the Carbon Economy: Energy Law in Transition*, Oxford University Press, 2008.

⁴⁰ იხ. Deketelaere K., Blanpain R. (ed.), *International Encyclopedia of Law Series: Energy Law*, Kluwer Law International, 2002 და Bradbrook A. *Energy Law: The Neglected Aspect of Environmental Law*, *Melbourn University Law Review*, Vol. 19 (1), 1993, 1-19.

⁴¹ იხ. Peeters, M., Deketelaere K. (eds.), *EU Climate Change Policy – The Challenge of New Regulatory Initiatives*, London, Edward Elgar Publishing, 2006.

⁴² თანამედროვე ენერგორესურსების განვითარება ახალი კანონმდებლობის შექმნას, ან უკვე არსებულის მოდიფიცირებას წარმოშობს.

საქართველოში ენერგეტიკის სამართლის ევოლუციის სამეცნიერო დებატს⁴³ გამოეხმაურება და, მეორე მხრივ, ხელს შეუწყობს ენერგეტიკის თანამედროვე ქართული ლიტერატურის შექმნას.

2. ენერგეტიკა როგორც სოციალური კატეგორია

ენერგია⁴⁴ ფუნდამენტური მნიშვნელობის სიკეთე და სოციალური არსობის საფუძველია. ენერგია მოიპოვება გადარჩენისთვის, ცხოვრებისა და განვითარებისთვის.⁴⁵ საზოგადოების ენერგეტიკული უზრუნველყოფა ისეთივე აუცილებელია, როგორც სასიცოცხლო მნიშვნელობის პროდუქტები. ენერგიას საჭიროებენ განათებისთვის, გადაადგილებისთვის, გათბობა-გაგრილებისთვის, საწარმოო საქმიანობისათვის, საცხოვრებელი სახლების, სამუშაო ადგილების, სკოლებისა და საკონცერტო დარბაზების ფუნქციონერებისათვის. პარადოქსულად, ენერგია იმდენად ყველგან და ყველგანაა, რომ ხშირად მისი არსებობაც კი გვავიწყდება.⁴⁶

ენერგეტიკის სექტორი ადამიანური აქტივობის საფუძველზე შექმნილი მაღალსპეციალიზებული (მაგ. ატომური ენერგია⁴⁷) სისტემაა, რომელიც ენერგობაზრის ყველა მონაწილეს აერთიანებს. ენერგეტიკული ობიექტები, როგორებიცაა ელექტროსადგურები, გადაცემის და დისტრიბუციის ქვესადგურები, ელექტროგადამცემი ხაზები, განლაგებულია გარკვეულ საზოგადოებრივ ადგილას და საზოგადოების მიერ იმართება.⁴⁸ შესაბამისად, სადოქტორო თემის ეს ნაწილი (ზოგადად, მთლიანი სადისერტაციო ნაშრომი) ენერგეტიკის

⁴³ იხ. Heffron R. J., Ronne A., Bradbrook A., Tomain J. P., Talus K. A Treatise for Energy Law, *Journal of World Energy Law and Business*, Vol. 11, № 1, 2018, 34-48.

⁴⁴ ენერგიას აქვს სხვადასხვა ფორმა (მაგ. მექანიკური, სითბური, ელექტრომაგნიტური, ქიმიური, გრავიტაციული, ბირთვული) და იყოფა განსხვავებულ კატეგორიებად. იგი შეიძლება მოიცავდეს როგორც პრიმიტიულ ფორმას, მაგალითად: „ცხოველური“ ენერგია (ენერგიის პირველი ისტორიული ფორმა), ასევე კომპლექსურ, მაღალტექნოლოგიური ენერგიის ტიპს (განახლებადი ენერგია, ატომური ენერგია და ა. შ.) დაწვრილ. იხ. Fatouros A. A. An International Legal Framework for Energy, *Hague Academy of International Law*, Vol. 332, 2007, 355-444.

⁴⁵ Fouquet R. A brief History of Energy წიგნში: Evans J., Hunt C. L. *International Handbook on Economics of Energy*, Elgar Edward Publishing, 2006, 14.

⁴⁶ Leal-Arcas R., Wouters J. *Research Handbook on EU Energy Law and Policy*, Edward Elgar Publishing, 2017, 67.

⁴⁷ ატომური ენერგიის შესახებ იხ. Heffron, R. J. *Energy Law: an Introduction*, 2015, Springer, 1.

⁴⁸ არაბიძე გ., გუდიაშვილი მ., ჯიშკარიანი თ. *ენერგეტიკა და საზოგადოება, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბ., 2015, 8.*

სოციალურ ფაქტორებს დააკვირდება. იგი დაინტერესებული არ არის ენერჯის ფიზიკურ-მექანიკური, ქიმიური ან ტექნოლოგიური მახასიათებლების განხილვით. ენერჯეტიკის ინტერდისციპლინური ხასიათიდან გამომდინარე, გვერდს ვერ ავუვლით სხვა მომიჯნავე დარგებთან⁴⁹ გადაკვეთას და ერთვარი *va et vient-ეც*⁵⁰ ჩვეულებრივი მოვლენა იქნება, თუმცა ყოველი ასეთი შემხებლობა არ გასცდება ენერჯორეგულირების სოციალურ-სამართლებრივ ანალიზს.

2.1. ენერჯის მაღალი ეკონომიკური მნიშვნელობა

რთულია არ დაეთანხმო გაერთიანებული ერების (შემდგომში „გაერო“)⁵¹ ყოფილ გენერალურ მდივანს, *ჰან გი მუნს*, რომელიც აცხადებს, რომ ენერჯია „ოქროს ძაფია“ და ის ერთმანეთთან აკავშირებს სოციალურ სამართლიანობას, ეკონომიკურ ზრდასა და გარემოსდაცვით მდგრადობას.⁵² მაღალი საზოგადოებრივი და საყოფაცხოვრებო დანიშნულების გარდა, ენერჯეტიკა გლობალური ეკონომიკის ქვაკუთხედია და საბაზრო-სამრეწველო ურთიერთობების ცენტრალური კომპონენტს წარმოადგენს.

ენერჯოინდუსტრია, რომელიც დღეს მსოფლიოს დომინანტ მრეწველობას წარმოადგენს, თანამედროვე ეკონომიკის მამოძრავებელი ძალაა.⁵³ განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის არსებული „ხიდჩატეხილობაც“, ალბათ, ყველაზე მეტად, სწორედ ენერჯეტიკულ რესურსებზე წვდომის საკითხს უკავშირდება.⁵⁴ მსოფლიოში არსებული ენერჯორესურსების ძირითადი გამომყენებლებიც განვითარებული - ე.წ. ინდუსტრიული სახელმწიფოები არიან, რომლებიც შეიძენენ, მოიხმარენ, აკონტროლებენ ენერჯორესურსის მაქსიმუმს.⁵⁵

⁴⁹ მაგალითად ენერჯეტიკული ეკონომიკა, ენერჯოპოლიტიკა, გარემოს დაცვა, ბუნებრივი რესურსები.

⁵⁰ Fatouros A. A. An International Legal Framework for Energy, Hague Academy of International Law, Vol. 332, 2007, 403.

⁵¹ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (United Nations).

⁵² Energy is the Golden Thread <<https://www.un.org/press/en/2012/sgsm14242.doc.htm>> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 01.05.2019.

⁵³ Fatouros A. A. An International Legal Framework for Energy, Hague Academy of International Law, Vol. 332, 2007, 410.

⁵⁴ იქვე.

⁵⁵ ასე იყო ჯერ კიდევ ინდუსტრიულ რევოლუციამდე და ასეა დღესაც, როგორც მსხვილი მრეწველობისთვის, ისე ცალკეული სახელმწიფოების საარსებო მინიმუმისთვის. იხ. ენერჯეტიკის საერთაშორისო სააგანტო, Global Energy: The

ისტორიულად, ეროვნული ენერგორესურსები სერიოზული დაპირისპირების მიზეზი გამხდარა.⁵⁶ ხშირად ენერგეტიკულ წყაროებს ამა თუ იმ შეიარაღებული კონფლიქტის შედეგზეც გადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონია. *იერიზის* მიხედვით, მეორე მსოფლიო ომის გერმანიის მარცხით დასრულების მთავარი ფაქტორი ის იყო, რომ მან ვერ მოახერხა ომისათვის საჭირო ენერგორესურსების ჯეროვანი მობილიზება.⁵⁷ კიდევ უფრო ახალ ისტორიაში, ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ერაყის საწინააღმდეგოდ 1991 წლის სამხედრო ინტერვენცია ქუვეითის მხარდასაჭერად ე.წ. გალფის ქვეყნების⁵⁸ ნავთობის მოპოვების ინტერესით იყო განპირობებული.⁵⁹ საერთაშორისო ენერგეტიკული დავებს მიეკუთნება ჩინეთის, ვიეტნამისა და ფილიპინების სუვერენიტეტის საკითხი სამხრეთ ჩინეთის ზღვაში არსებულ სავარაუდო ნავთობის რესურსთან დაკავშირებით, დიდი ბრიტანეთისა და არგენტინის მრავალწლიან დავა ფოლკლენდის კუნძულებზე და სხვ.⁶⁰

ამ ტიპის სახელმწიფოთაშორისი ენერგეტიკული დავების უმრავლესობა ბუნებრივი რესურსების კონტროლის სურვილის ნიადაგზე წარმოიქმნება. გაეროს გენერალური ასამბლეის 1962 წლის რეზოლუციაში ხაზგასმულია „ეროვნული სიმდიდრისა და რესურსების ექსპლუატაციის სუვერენული უფლება“ მათ ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი რესურსების წარმოებისა და გამოყენების მიმართ.⁶¹ 1994 წელს ხელმოწერილი ენერგეტიკული ქარტიის მე-18 მუხლიც აწესებს ბუნებრივი რესურსების მიმართ სუვერენიტეტს.⁶² საკითხი პრობლემატურია ევროკავშირის კანონმდებლობაშიც, რომელსაც მოგვიანებით შევეხებით.

ენერგორესურსების მართვის სურვილი მხოლოდ კონფლიქტებს როდი წარმოშობს. იგი მშვიდობის საწინდარიც

changing Outlook (World Energy Outlook), <<https://www.iea.org/weo/>> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 01.05.2019.

⁵⁶ იხ. Mitchell T. Carbon Democracy: Political Power in the Age of Oil. London: Verso, 2013, 69.

⁵⁷ Matlary H. J. Energy Policy in the European Union, Palgrave Macmillan, 1997, 16.

⁵⁸ შუა აღმოსავლეთში მდებარე გეოგრაფიული რეგიონი.

⁵⁹ Bradbrook A. J. Energy Law as an Academic Discipline. Journal of Energy and Natural Resources Law, Vol. 14, № 2, 1996, 203.

⁶⁰ იქვე, 204.

⁶¹ United Nations General Assembly resolution # 1803 (XVII) (1962). <http://legal.un.org/avl/ha/ga_1803/ga_1803.html> უკანასკნელად იქნა

გადამოწმებული: 01.05.2019.

⁶² 1994 წელს შექმნილი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც ავითარებს ენერგეტიკული თანამშრომლობის მრავალმხრივ ჩარჩოს. <<https://energycharter.org/>> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 25.04.2019.

ხშირად გამხდარა. ბევრისთვის ევროპეიზაცია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი კონფლიქტის მოგვარების უნიკალური მაგალითია. ვილიამსი ენერგეტიკას ევროპის ეკონომიკური გაერთიანების „სამშენებლო მასალად“ მიიჩნევს.⁶³ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ „სისხლით გაჟღენთილი“ ევროპის გაერთიანებისა და სრულიად სხვა - წესებზე ორიენტირებული „ერთობის“ იდეა - სწორედ რომ ქვანახშირისა და ნავთობის მართვის შეთანხმებას უკავშირდება.⁶⁴ ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ ნავთობი [ზოგადად - ენერგეტიკა] თანამედროვე ეკონომიკის ცენტრი და სახელმწიფოს ფუნქციონირების სასიცოცხლო კომპონენტია. იგი გაცილებით მეტია ვიდრე ეკონომიკური ღირებულება, ეგზისტენციალური მნიშვნელობისაა ევროპის მოსახლეობისათვის.⁶⁵

2.2. ენერგეტიკული ცვლილებების გზაგასაყარზე

მრავალი წლის განმავლობაში მიიჩნეოდა, რომ არსებული ენერგორესურსები იყო მუდმივი და ხელმისაწვდომი. თუმცა, ბოლო პერიოდში განვითარებულმა მასშტაბურმა მსოფლიო მოვლენებმა,⁶⁶ გარემოს დაცვის საფრთხეებმა და სხვა თანამდევმა პროცესებმა გამოააშკარავა, რომ ეს შეხედულება მოძველებულია და სასწრაფო გადახედვას საჭიროებს. ბოლო ასწლეულის განმავლობაში თანამედროვე მსოფლიომ ენერგეტიკული რესურსების განვითარებისა და ტრანსფორმირების ისეთი მრავალფეროვნება იხილა, რომ მეოცე საუკუნეს შესაძლოა თავისუფლად ეწოდოს ენერგეტიკული ცვლილებების ასწლეული.⁶⁷ ეს ტენდენცია 21-ე საკუნეშიც გრძელდება და მალე მსოფლიოში მოხმარებული ენერჯია

⁶³ Daintith T., Williams F. The legal integration of energy markets, W. De Gruyter, EU, 1987, 5.

⁶⁴ European Coal and Steel Community (ECSC).

⁶⁵ Case 72/83 Campus Oil, 1984, ECR 2727, Para 7.

⁶⁶ მაგალითისთვის, არაბთა ნავთობის ემბარგო (ე.წ. „ოპეკის შოკი,“ 1973 წ.) და ნავთობის ფასების შემდგომი ზრდა (1981 წ.). უფრო მოგვიანებით აღსანიშნავია 2003 წლის იტალიის ენერგოდეფიციტი და 2008-2009 წლების რუსეთ-უკრაინის ენერგოჭიდილი. ამ საკითხებთან დაკავშირებით იხ. Barton B., Redgwell C., Ronne A., Zillman D. The Growth of Concern for Energy Security, წიგნში: Zillman D. et al. Energy Security: Managing Risk in Dynamic Legal and Regulatory Environment, Oxford University Press, 2005, 3.

⁶⁷ Barton B., Redgwell C., Ronne A., Zillman D. The Growth of Concern for Energy Security, წიგნში: Zillman D. et al. Energy Security: Managing Risk in Dynamic Legal and Regulatory Environment, Oxford University Press, 2005, 3.

იქნება დღევანდელისგან განსხვავებული.⁶⁸ კერძოდ, განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება ენერჯის არატრადიციული ფორმების განვითარებასა და ალტერნატიული, განახლებადი წყაროების გამოყენებაზე. ზილმანის მიხედვით, ამას რამდენიმე ძირითადი მიზეზი აქვს:

ა) კლიმატის ცვლილება და გარემოსდაცვითი პრობლემები.

კლიმატის ცვლილება და ენერგეტიკა ერთმანეთთან სიმბიოზურ ურთიერთობაშია. ენერგეტიკა მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს გარემოზე. აქ, ენერგეტიკული პროექტებით მიყენებული ზიანი და წიაღისეული საწვავის წვით ატმოსფეროში გაფრქვეული სათბურის გაზები⁶⁹ იგულისხმება.⁷⁰ კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორის პანელის (IPCC) 2007 წლის საკვანძო ანგარიში ადასტურებს, რომ კლიმატის ცვლილება რეალურია და იგი მეტწილად ადამიანური აქტივობით, კერძოდ კი წიაღისეულ საწვავზე დამოკიდებულებით არის გამოწვეული.⁷¹ კლიმატის ცვლილების საერთაშორისო სამართლის მეცნიერული გაგების საფუძველიც ადამიანის მიერ კლიმატზე ზემოქმედებით აიხსნება.⁷² ბოლო წლებში, ენერგომომხმარებას, ენერგომომარაგებას და სათბურის გაზებს (განსაკუთრებით ნახშირორჟანგი) შორის არსებულმა მჭიდრო კავშირმა განაპირობა ანთროპოგენული ემისიის შემცირებაზე მიმართული ძალისხმევა. ეს ძალისხმევა, ძირითადად, განახლებადი ენერჯის, ენერგოეფექტურობისა და დაბალნახშირბადიანი მოხმარების ტექნოლოგიების გამოყენებით ხორციელდება.⁷³

ბ) ენერგოუსაფრთხოება. ბოლო პერიოდში განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ენერგომომარაგების უსაფრთხოების საკითხებზე, როგორც ეროვნული უსაფრთხოების შემადგენელ ნაწილზე.

⁶⁸ Zillman D. Evolution of Modern Energy Law: A Personal Retrospective, Journal of Energy & Natural Resources Law, Vol. 30, 2012, 485.

⁶⁹ სათბურის გაზები წარმოადგენს ატმოსფეროში არსებულ აირებს, რომლებიც აბრკოლებენ დედამიწის ზედაპირიდან კოსმოსურ სივრცეში სითბური ენერჯის (სითბოს) გასხივებას. თვით მოვლენას კი „სათბურის ეფექტი“ ეწოდება.

⁷⁰ მუხიგულიშვილი გ. ენერგეტიკული გაერთიანება და საქართველო, წიგნში: ევროპის

ენერგეტიკული გაერთიანება და რეფორმები საქართველოს ენერგეტიკაში, მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის, 2017, 121.

⁷¹ Zillman D. Evolution of Modern Energy Law: A Personal Retrospective, Journal of Energy & Natural Resources Law, Vol. 30, 2012, 487.

⁷² Mayer B. The International Law on Climate Change, Cambridge University Press, 2018, 1.

⁷³ არაბიძე გ., გუდიაშვილი მ., ჯიშკარიანი თ. ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის საერთაშორისო სამართალი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბ., 2015, 205.

საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს (IEA)⁷⁴ 2006 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ მსოფლიო ენერგოუსაფრთხოების რისკები დღითიდღე მატულობს.⁷⁵

გ) გაზრდილი ენერგომოთხოვნა. 1970 წლის შემდგომ გლობალური ენერგიომოხმარება თითქმის გაორმაგდა. საერთაშორისო გათვლებით, მსოფლიო ენერგეტიკული მოთხოვნა 2035 წლისთვის დაახლოებით ოთხჯერ გაიზრდება, ნახშირბადისა და ქვანახშირის მიმართ დამოკიდებულება შეიცვლება, ელექტროენერჯის მოხმარება ორჯერ მოიმატებს, განახლებად ენერჯიაზე ინტერესი გაიზრდება და ატომური ენერჯის აუცილებლობა შემცირდება.⁷⁶

დ) მიუწვდომელი ენერგეტიკული რესურსები. ენერჯის მიწოდების უნივერსალურობა შორსაა რეალობისგან. მსოფლიო მოსახლეობის მესამედი ჯერ კიდევ ვერ სარგებლობს თანამედროვე ენერგეტიკულ რესურსებზე წვდომით.⁷⁷ შემაშფოთებელია, რომ, გაეროს სტატისტიკით, ორ მილიარდამდე ადამიანს არ აქვს წვდომა არსებულ ენერგეტიკულ სერვისებთან⁷⁸ და მაღალია მაჩვენებელი ისეთი ადამიანებისა, რომლებიც ენერგეტიკულ „სიღარიბეში“ ცხოვრობენ.⁷⁹

ეს ყოველივე ცხადყოფს, რომ ენერგორესურსების ამჟამინდელი მოხმარება არ არის მდგრადი და უდიდესი ენერგეტიკული გამოწვევების წინაშე ვდგავართ. საჭიროა ისეთი მიდგომების შემუშავება, რომელიც ტრადიციულ, კონვენციურ ენერგორესურსებს ალტერნატიული წყაროებით ჩანაცვლებს.⁸⁰ ამისთვის კი მნიშვნელოვანია ენერგეტიკული სტრატეგიებისა გადახედვა, როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივ დონეზე,

⁷⁴ International Energy Agency (IEA).

⁷⁵ ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტო, Global Energy: The changing Outlook (World Energy Outlook), <<https://www.iea.org/weo/>> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 01.05.2019.

⁷⁶ ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტო, World Energy Outlook 2010, <<https://www.iea.org/newsroom/news/2010/november/world-energy-outlook-2010.html>> 77-101, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 01.05.2019.

⁷⁷ Energy Access, <<https://www.iea.org/energyaccess/>> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 01.05.2019.

⁷⁸ Barton B., Redgwell C., Ronne A., Zillman D. The Growth of Concern for Energy Security, წიგნი: Zillman D. et al. Energy Security: Managing Risk in Dynamic Legal and Regulatory Environment, Oxford University Press, 2005, 39.

⁷⁹ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იხ. კვარაცხელია თ., მარგველაშვილი მ., შათირიშვილი ნ. ენერგეტიკული სიღარიბე და მოწყვლადი მომხმარებლები საქართველოში, მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის, თბ., 2018.

⁸⁰ Heffron J. R., McCauley D. The Concept of Energy Justice Across the Disciplines, Elsevier Energy Policy, Vol. 105, 2017, 659.

რათა ადეკვატური პასუხი გაეცეს გლობალურ რისკებს, რაც წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ენერგეტიკული კატასტროფის თავიდან აცილებისკენ.

ენერგოტრანზიციის პროცესში უმნიშვნელოვანესია ენერგეტიკის სამართლის მომწესრიგებელი ფუნქცია. მასშტაბური გარემოსდაცვითი პრობლემებისა და ადეკვატური ენერგეტიკული სცენარების განვითარება მხოლოდ სათანადო კანონმდებლობის შემუშავებით ან არსებულის მოდერნიზებითა არის შესაძლებელი. თუკი სამართალი ცალკეული პოლიტიკის ფარგლებში „ცოცხლობს“ და ცალკეული სამართლებრივი „ხელსაწყოები“ ამ პოლიტიკის (იქნება ეს ეროვნული, თუ გლობალური (მაგ. გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები)) რეალიზებას ემსახურება, მაშინ ენერგეტიკის სამართალს გადამწყვეტი როლი ეკისრება თანამედროვე ენერგეტიკული საფრთხეებსა და გამოწვევებთან ბრძოლის საქმეში. ენერგეტიკის სამართლის ფილოსოფიისა და ფუნდამენტური მნიშვნელობის ცნებების განსაზღვრას შეეცდება ნაშრომის პირველი ნაწილის მომდევნო თავები.

3. ენერგეტიკის სამართლის არსი

3.1. ენერგორეგულირების სამართლებრივი საწყისები

ენერგეტიკული კანონმდებლობა გარკვეული ფორმით უკვე ასწლეულზე მეტია არსებობს.⁸¹ ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის დასაწყისში მსოფლიო სამართლებრივ სივრეში გაჩნდა ერთგვარი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც არეგულირებდა ქვანახშირისა და ნავთობის, როგორც ორი უმთავრესი ენერგორესურსის, საკითხებს.⁸² თანამედროვე ენერგეტიკის სამართლის მიმართ განსაკუთრებული ინტერესი გასული საუკუნის 70-იანი წლების არაბულ ემბარგოსა და ნავთობპროდუქტებზე ფასების უეცარ ზრდას უკავშირდება.⁸³

⁸¹ Heffron J. R., Talus K. The Evolution of Energy Law and Energy Jurisprudence: Insights for Energy Analysts and Researchers, Energy Research & Social Science, Vol. 19, 2016, 1.

⁸² ცხადია, შედარებით უფრო ახალია დაბალ ნახშირბადიანი ენერგორესურსების (მაგ. ალტერნატიული წყაროები) სამართლებრივი რეგულირების საკითხი, რომლის აღმოცენება, ძირითადად, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდს უკავშირდება. იხ. ნაშრომის მეოთხე ნაწილი.

⁸³ Heffron, R. J., Ronne, A., Bradbrook, A., Tomain, J. P., Talus, K. A Treatise for Energy Law, Journal of World Energy Law and Business, Vol.11 (1), 2018, 35.

„ოპეკის შოკმა“⁸⁴ და მისმა თანამდევმა პროცესებმა შეუქცევადი გახადა მსოფლიო ენერგოდამოკიდებულების პრობლემა. ამ ყოველივემ ნავთობის ძირითად მომხმარებლებს, მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებს, არსებული ენერგოპოლიტიკის გადახედვისა და ახალი მარეგულირებელი სისტემის შექმნისკენ უბიძგა. არც პოლიტიკურმა მოწოდებებმა დააყოვნა (მაგ. აშშ-ის პრეზიდენტი *ტრუმანი*)⁸⁵ და, შედეგად, ენერგოდეფიციტმა და სხვა მსგავსმა საფრთხეებმა ენერგეტიკის სექტორს მაღალი აქტუალობა შესძინა. აღნიშნულმა ტენდენციამ, საბოლოოდ, სფეროს ახლებური სამართლებრივი რეგულირების საჭიროება გამოიწვია და ენერგეტიკის სამართლის მიმართ აკადემიური ინტერესი გააღვივა. სწორედ 1973-1974 წლებს უკავშირდება ევროკავშირის თანამედროვე ენერგეტიკული ისტორიის საწყისებიც.⁸⁶

ენერგეტიკის სამართლის ევოლუცია „სამართლებრივი დინამიზმის“ შედეგია,⁸⁷ ვინაიდან ენერჯის წარმოება და გამოყენება ისეთ კატეგორიათა რიცხვს მიეკუთვნება, რომელსაც ვრცელი სამართლებრივი რეგულირების ისტორია არ აქვს. წლების სიმრავლით არც ქართული ენერგეტიკის სამართალი ხასიათდება. ენერგორეგულირება სათავეს საქართველოში, ფაქტობრივად, 1997 წლიდან იღებს, როდესაც მიღებული იქნა საქართველოს კანონი „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“⁸⁸ და ჩამოყალიბდა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია.⁸⁹ სფეროში დღეს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტების ერთიანობა არ ქმნის სრულყოფილების განცდას.

⁸⁴ „ნავთობის ექსპორტიორ ქვეყანათა ორგანიზაციის“ (OPEC) მიერ 1973 წლის ნავთობის არაბული ემბარგო მაღალი ინფლაციის მიზეზი გახდა განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში („ნავთობის მსოფლიო ფასების რევოლუცია“).

⁸⁵ Bosselman F. A Brief History of Energy Law in United States Law Schools: An Introduction to the Symposium, 86 Chi.-Kent. Law Review, 3, 2011, 3.

⁸⁶ Barton B., Redgwell C., Ronne A., Zillman D. The Growth of Concern for Energy Security, წიგნში: Zillman D. et al. Energy Security: Managing Risk in Dynamic Legal and Regulatory Environment, Oxford University Press, 2005, 39.

⁸⁷ Zillman D. Evolution of Modern Energy Law: A Personal Retrospective, Journal of Energy & Natural Resources Law, Vol. 30, 2012, 485.

⁸⁸ იქვე, 486.

⁸⁹ მარეგულირებელი კომისია სპეციალური უფლებამოსილების მქონე საჯარო სამართლის იურიდიული პირი და სექტორის დამოუკიდებელი მარეგულირებელია. კომისიის მოვალეობაში შედის ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიის მიღება და ამასთან ლიცენზიატების, იმპორტიორების, ბაზრის ოპერატორის და მომწოდებლებისთვის განსაზღვრული ტარიფების დამტკიცება, მათ შორის ელექტროენერჯის გადამცემ ან გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლების მიერთების საფასურის დადგენა.

აქვე, აუცილებელია ისიც აღინიშნოს, რომ წინამდებარე სადოქტორო ნაშრომზე მუშაობა დაემთხვა საქართველოში აღმასრულებელი ხელისუფლების შიდაუწყებრივ ცვლილებს ენერგეტიკის დარგში. კერძოდ, გაუქმდა საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო⁹⁰ და ენერგეტიკული ფუნქციები გადაეცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს.⁹¹ აღნიშნული ცვლილება არ უნდა შეფასდეს, როგორც ენერგეტიკის სფეროს „დაკნინება.“ პირიქით, ეს ცვლილება შესაძლოა უფრო მეტად მოქნილი სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკისა და ეფექტური მართვის სისტემის ჩამოყალიბებას ემსახურებოდეს ენერგეტიკის ეკონომიკურ განვითარებასთან მჭიდრო კავშირის გამო.

მიუხედავად ამისა, ყოველი ასეთი სამთავრობო გადაადგილება აფერხებს ენერგეტიკის სამართლის განვითარებას, რაც ზემოქმედებას ახდენს ევროპის ენერგეტიკული კანონმდებლობის ლიბერალურ მოდელის⁹² გათავისების პროცესზე. კონკურენციის წახალისება, ანტიმონოპოლური, ანტიკარტელური წესების, საბაზრო ეკონომიკის დანერგვა, ინფორმაციის, მონაცემების სრული გამჭვირვალობა და თანამედროვე ენერგეტიკის სამართლის სხვა ძირითადი პრინციპები (იხ. ნაშრომის მეორე ნაწილი) ჯერ კიდევ აბსოლუტური ნოვაციაა საქართველოსთვის. დიდი სიახლეა სფეროში უკვე არსებული კანონმდებლობის სრულყოფისა და მისი ევროპულ ენერგეტიკულ სამართალთან ეტაპობრივი დაახლოება. საქართველოს ენერგეტიკული სტრატეგია, რომელიც ეფუძნება „საქართველოს ენერგეტიკის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს,⁹³ ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად ენერგეტიკული

⁹⁰. 2017 წლის 7 დეკემბერის „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების საფუძველზე, მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ფუნქციები გადაეცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს.

⁹¹. „ენერგეტიკული პოლიტიკის დეპარტამენტის ფუნქციები,“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, <<http://www.economy.ge/?page=departments&dep=98>> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 02.05.2019.

⁹². ლიბერალიზაცია შესაძლოა მოაზრებულ იქნას, როგორც რეფორმატორული მიდგომა, რა დროსაც იერარქიულ „ზემოდან ქვემოთ“ მექანიზმს ანაცვლებს საბაზრო ეკონომიკაზე დაფუძნებული ურთიერთობები. დაწვრ. იხ. Arentsen M. and Künneke R. Economic Organization and Liberalization of the Electricity Industry, Elsevier Energy Policy, Vol. 24 (6), 1996, 547.

⁹³. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საქართველოს ენერგეტიკის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებების შესახებ,“ 3758-II, 24.06.2015.

კანონმდებლობის დახვეწასა და საკანონმდებლო გარემოს გაუმჯობესებას განიხილავს.

ქართული სამართლის ევროპულთან ჰარმონიზაციის სამართლებრივი საფუძველია ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და, მეორე მხრივ, საქართველოს შორის და ენერგეტიკული გაერთიანების წევრობა. ნაკისრი სამართლებრივი ვალდებულებების შესრულება მაღალი პოლიტიკური ნების გამოვლენას მოითხოვს, თუმცა, ეს საკმარისი არაა. დარგის სამომავლო განვითარება-დახვეწისთვის აუცილებელია შესაბამისი ღონისძიებების შემუშავებაც, რასაც დეტალურად ნაშრომის მესამე და მეოთხე ნაწილებში გავაანალიზებთ.

3.2. ენერგეტიკის სამართალი ენერგორესურსების სამართლის პირისპირ

არკასისტვის ენერგეტიკის სამართალი იურისპრუდენციის უმნიშვნელოვანესი და აქტუალური დარგია, რომელიც ადამიანური აქტივობის თითქმის ყველა სფეროს ეხება.⁹⁴ ტრადიციულად, ენერგეტიკის სამართალი ცალკეული ენერგორესურსის წიაღში აღმოცენდა და დიდად არ გამოირჩეოდა საზღვრისპირა საკანონმდებლო ინიციატივებით. ენერგეტიკასთან დაკავშირებული საკითხების სამართლებრივი რეგულირება განიხილებოდა უფრო როგორც შიდა კანონმდებლობა, ვიდრე საერთაშორისო სამართლის საგანი.⁹⁵ მიუხედავად საერთაშორისო საჯარო სამართლის საუკუნოვანი წარსულისა, რომელიც სახელმწიფოს შექმნისთანავე წარმოიშვა,⁹⁶ ენერგეტიკული რეგულირების საკითხები მასში მხოლოდ 1970 წლის შემდგომ გამოჩნდა.⁹⁷ შესაბამისად, თავდაპირველად, ყოვლისმომცველ ენერგეტიკის სამართალზე, ანუ

⁹⁴ Leal-Arcas R., Filis A. Conceptualizing EU Energy Security through and EU Constitutional Law Perspective, Fordham International Law Journal, Vol. 36, 2013, 1125.

⁹⁵ არაბიძე გ., გუდიაშვილი მ., ჯიშკარიანი თ. ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის საერთაშორისო სამართალი, ტექნიკური უნივერსიტეტი, თბ., 2015, 4.

⁹⁶ ე.წ. ვესტფალური მოდელი. იხ. Teschke B. Theorizing the Westphalian System of States: International Relations from Absolutism to Capitalism, European Journal of International Relations, Vol. 8(1), 2002, 5-48.

⁹⁷ Bradbrook J. A. The Development of Renewable Energy Technologies and Energy Efficiency Measures through Public International Law, წიგნში: Zillman D. et al. Energy Security: Managing Risk in Dynamic Legal and Regulatory Environment, Oxford University Press, 2005, 113.

დარგზე, რომელიც დაარეგულირებდა ენერგეტიკული ურთიერთობების ფართო სპექტრს, ფიქრიც კი ზედმეტი იყო.⁹⁸

ბრადბროუქის განმარტებით, რომელიც თამამად შეიძლება ითქვას პირველია, ვინც აკადემიურ ლიტერატურაში ენერგეტიკის სამართლის დეფინიცია დაამკვიდრა და დღემდე სახელმძღვანელო ცნებად მიიჩნევა, „ენერგეტიკის სამართალი იმ უფლებებისა და ვალდებულებების ერთობლიობაა, რომლითაც ენერგორესურსების ექსპლუატაცია წესრიგდება ინდივიდებს, ინდივიდებსა და სახელმწიფოს, სახელმწიფოსა და სხვა სუბიექტებს შორის.“⁹⁹ დაახლოებით იმავე შინაარსს მოიცავს *ატანასიოს* ხედვაც. მისი ლოგიკით, ენერგეტიკის სამართალი იმ წესებისა და რეგულაციების კომპლექსურ ერთობას წარმოადგენს, რომელიც ენერგორესურსების გამოყენების საკითხს განსაზღვრავს, ენერგეტიკულ ობიექტებს მართავს და შედეგად ზემოქმედებას ახდენს ენერგომომხმარებლების ყოველდღიურობაზე.¹⁰⁰

წინამდებარე ნაშრომი იზიარებს *ბრადბროუქისა* და *ატანასიოს* შეხედულებებს და დისერტაციის მიზნებისთვის სახელმძღვანელო განმარტებად მიიჩნევს მას. ენერგეტიკის სამართლის ცენტრალური ელემენტი სწორედ სხვადასხვა სუბიექტების მიერ ენერგორესურსების (ტრადიციული თუ განახლებადი) გამოყენებისას წარმოშობილი უფლებების და მოვალეობების ურთიერთანაფარდობაა. იგი სხვადასხვა კანონის, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტისა და შესაბამისი დარგის კომპეტენტური უწყების მიერ დადგენილი წესების ერთიანი სისტემაა, რომელიც ენერგოსექტორის სამართლებრივ რეგულირებას ახდენს.¹⁰¹

აქვე, აუცილებელია ხაზი გაესვას ენერგეტიკის სამართლის „ენერგორესურსების სამართლისაგან“ განსხვავების საკითხს და, ამ

⁹⁸. Heffron J. R., Talus K. The Evolution of Energy Law and Energy Jurisprudence: Insights for Energy Analysts and Researchers, Energy Research & Social Science, Vol. 19, 2016, 19.

⁹⁹. Bradbrook A. J. Energy Law as an Academic Discipline, Journal of Energy and Natural Resources Law, Vol. 14 (2), 1996, 194. ამასთან, ავტორი აცნობიერებს, რომ წარმოდგენილი თეზისი არის ერთგვარი „სამუშაო დეფინიცია“ და შესაძლოა ამ საკითხზე სამომავლო დისკუსიის წარმოშობა. ავტორი ამ საკითხის სიღრმისეული ანალიზისთვის რეკომენდაციას უწევს შემდეგ ლიტერატურას: Babie P., Leadbeter P. Law as Change, University of Adelaide Press, 2012, 223; Heffron, J. R. Energy Law: An Introduction, Springer International Publishing, 2015, 2; Roggenkamp M, Redgwell C., Ronne A., Guayo I. Energy Law in Europe, Oxford University Press, 2007, 15.

¹⁰⁰. Attanasio D. Energy Law Education in the U.S.: An Overview and Recommendations, Energy Bar Association Report, 2015, 218.

¹⁰¹. გაწერელია ა. ენერგეტიკის სამართალი, იხ. ხუბუა გ., ზომერმანი კ. (რედ.), საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლების სახელმძღვანელო, თბ., 2016, 345.

თემის სიღრმისეული გაანალიზების გარეშე,¹⁰² ენერგეტიკის სამართლის მიმართ ყოვლისმომცველი მიდგომა (*holistic approach*) მხარდაჭერა აღინიშნოს (ჰეფრონი, 2016).¹⁰³ შილის თეორიის თანახმად, უმჯობესია ენერგეტიკის სამართალი დაკვალიფიცირდეს ისეთ სამართლებრივ დარგად, რომელიც უნივერსალურად ყველა ენერგეტიკულ რესურს გააერთიანებს და არ მოაქცევს მათ განსხვავებულ სამართლებრივ რეჟიმში.¹⁰⁴ სწორედ ამიტომ წინამდებარე ნაშრომი აღიარებს ენერგეტიკის სამართლის ერთიანი სისტემური სრულყოფის აუცილებლობას და დარგის განვითარების პერსპექტივას სწორედ მთლიანი ფილოსოფიური ფუნდამენტის და არა დანაწევრებული, ფრაგმენტული და ცალკეულ ენერგორესურსზე მორგებული საკონონმდებლო ბაზის შექმნაში ხედავს.

ამასთან, თანამედროვე ენერგეტიკის სამართლის თეორია ორიენტირებულია გასცდეს ტრადიციულ ენერგეტიკულ მოძღვრებას, რომელიც თავის მხრივ ენერგიის ტრადიციული ფორმების გამოკვლევითაა დაკავებული და მოიცავს ახალი ენერგეტიკული ტენდენციები - მდგრადი, მწვანე, სუფთა ენერგეტიკა, დაბალნახშირბადიანი ენერგეტიკული ეკონომიკა და ენერგიის ეკოლოგიური ასპექტები.

3.3. ენერგეტიკის სამართლის ძირითადი ნიშნები

რა არის ენერგეტიკის სამართალი? არსებობს თუ არა საერთოდ ენერგოსამართალი და რას მოიცავს იგი? ყველაზე მარტივი ენით ენერგეტიკის სამართალს ენერგორესურსების მართვის სამართალი ეწოდება,¹⁰⁵ თუმცა მისი ზუსტი განმარტება სამეცნიერო და იურიდიულ ლიტერატურაში ჯერ კიდევ კამათის საგანს წარმოადგენს.¹⁰⁶ ამის მთავარი მიზეზი კი ისაა, რომ ენერგეტიკა

¹⁰² Heffron J. R., Talus K. The Evolution of Energy Law and Energy Jurisprudence: Insights for Energy Analysts and Researchers, Energy Research & Social Science, Vol. 19, 2016, 1-19.

¹⁰³ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იხ. Heffron J. R., Talus K. The Evolution of Energy Law and Energy Jurisprudence: Insights for Energy Analysts and Researchers, Energy Research & Social Science, Vol. 19, 2016. 1.

¹⁰⁴ Schill W. S. The Interface between National and International Energy Law, წიგნში: Talus K. Research Handbook on International Energy Law, Edward Elgar publishing, 2014, 44.

¹⁰⁵ იქვე, 4.

¹⁰⁶ პირობითად, აქამდე არსებული სამეცნიერო შრომები ენერგეტიკის სამართალში შესაძლებელია დაიყოს კატეგორიად: ერთი, რომელიც ორიენტირებულია ენერგიის მოპოვებაზე (*upstream*) და მეორე - ენერგიის გამოყენებაზე (*downstream*). იხ. Heffron

ინტერდისციპლინური დარგია, რომელიც მრავალი სხვადასხვა პოლიტიკის გზაგასაყარზე მდებარეობს.¹⁰⁷ შესაბამისად, ვერ იარსებებს განცალკევებული სამართლებრივი დარგი, სახელწოდებით ენერგეტიკის სამართალი, რომელიც სრულიად დამოუკიდებელი იქნებოდა პოლიტიკისგან, ეკონომიკისა და გარემოსდაცვითი საკითხებისგან.¹⁰⁸

ჰეფრონის “Energy Trilemma“-ის კონცეფციის არსიც ამაში მდგომარეობს. ენერგეტიკული ტრილემის გათვალისწინებით ენერგეტიკის სამართალი სამ განზომილებიანია და თანაბრად კვეთს ენერგოუსაფრთხოებას (პოლიტიკა), ფინანსებს (ეკონომიკა) და კლიმატის ცვლილებას (გარემოს დაცვა).¹⁰⁹ ამ თვალსაზრისით, თანამედროვე ენერგეტიკის სამართალს საკმაოდ რთული მისია აკისრია. იგი, ერთი მხრივ, ერთგვარი ბალანსის მექანიზმია.¹¹⁰ მეორე მხრივ, ენერგეტიკის სამართალი ესწრაფვის ენერგოსექტორის ლიბერალიზაციას, ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციას, ენერგეტიკული ურთიერთობის მონაწილე სუბიექტების მაქსიმალურ კეთილდღეობას. იმისათვის, რომ უკეთ გავიაზროთ ენერგეტიკის სამართლის ფუნქცია, აუცილებელია ყურადღება გავამახვილოთ დარგის რამდენიმე ძირითად სამართლებრივ ნიშანზე.

3.3.1. ენერგორესურსები

ენერგეტიკის სამართლის რეგულირების საგანი „ენერგორესურსია.“ მასში ტრადიციული და ალტერნატიული ენერგეტიკული წყარო მოიაზრება¹¹¹ და ორ ძირითად კატეგორიად იმიჯნება: ტრადიციული და განახლებადი ენერგია. ტრადიციული ენერგია ამოწურვადია და მისი თავიდან წარმოქმნა - შეუძლებელი. იგი წიაღისეულ საწვავს ეფუძნება და ამცირებს მომავალი თაობების

R. J., Ronne A., Bradbrook A., Tomain J. P., Talus K. A. Treatise for Energy Law, Journal of World Energy Law and Business, Vol. 11, № 1, 2018, 34-48.

¹⁰⁷ Samkharadze I. Externalising the Energy Law: The Domestic Impact beyond the Current Domain of the European Union, International Journal of Green Economics, Vol. 12 (2), 2018, 146.

¹⁰⁸ დამატებით იხ. Klees A. Einführung in das Energiewirtschaftsrecht, Fachmedien Recht und Wirtschaft, 2012, 3.

¹⁰⁹ Heffron R. J. Energy Law: An Introduction, Springer International Publishing, 2015, 3.

¹¹⁰ იქვე.

¹¹¹ Bradbrook A. J. Energy Law as an Academic Discipline, Journal of Energy and Natural Resources Law, Vol. 14, № 2, 1996, 210.

ენერგეტიკულ მარაგს.¹¹² განახლებადი ენერჯია ალტერნატიული ენერჯიაა და მისი ხელახლა შევსება შესაძლებელია. კანონის ერთ ვთქვით, განახლებადი ენერჯია „არაწიაღისეული ძალაა, რომელიც წარმოიშობა, მაგრამ არ შემოიფარგლება.“¹¹³

მაშინ როცა განახლებად ენერჯიას განეკუთვნება ჰიდრო, მზე, ქარი, ბიომასა,¹¹⁴ ატომური (ანუ ბირთვული) და გეოთერმული ენერჯია,¹¹⁵ ტრადიციული ენერჯია ძირითადად მოიცავს ქვანახშირს, ნავთობს და ბუნებრივ გაზს.¹¹⁶ ენერგეტიკის სამართლის ევოლუციასთან ერთად, იცვლება შეხედულებები ენერგეტიკული „მენიუს“ და ენერგორესურსების გამოყენების შესახებ. ძველად ალტერნატიულ ენერჯიასაც ნაკლები მომხრე ჰყავდა, რადგან მიიჩნეოდა, რომ იგი ტრადიციულთან შედარებით უფრო ძვირია და მისი სრული უტილიზაცია ძვირადღირებულ ტექნოლოგიებთან არის დაკავშირებული.¹¹⁷ დღეს, თანამედროვე ენერგეტიკული მოძღვრება სფეროს განვითარების პერსპექტივას განახლებად ენერჯიაში ხედავს და მსოფლიო ენერგეტიკული რეფორმაც სწორედ ამ მიმართულებით მიმდინარეობს. სულ უფრო და უფრო მეტი აქცენტი კეთდება განახლებად ენერჯიაზე, რომელიც ძირითადად

¹¹² Woerdman E., Roggenkamp M., Holwerda M. Essential EU Climate Law, Edward Elgar Publishing, 2015, 127.

¹¹³ ელექტროენერჯიისა და ბუნებრივი გაზის შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „3(22)“ ქვეპუნქტი.

¹¹⁴ ტერმინით - ბიომასის საწვავი, განისაზღვრება ფოტო-სინთეზის შედეგად მიღებული მთელი რიგი ენერგო-პროდუქტებისა. აღნიშნული მოიცავს მცენარეებს, ცხოველის ნაკვალს, სატყეო და სასოფლო-სამეურნეო ნარჩენებს, ხე-ტყის სახერხი სამუშაოების შედეგად მიღებულ და მყარ მუნიციპალურ ნარჩენებს. ბიომასა წარმოადგენს შენახულ მზის ენერჯიას და ნახშირბადის ერთადერთი განახლებადი წყაროა. იხ. არაბიძე გ., გუდიაშვილი მ., ჯიშკარიანი თ. ენერგეტიკა და კლიმატის ცვლილება, ტექნიკური უნივერსიტეტი, თბ., 2015, 24.

¹¹⁵ გეოთერმული ენერჯიის პოტენციალი მსოფლიოს მზარდი ენერგომოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად უზარმაზარია. დათვლილია, რომ დედამიწის ქერქის გარე 10 კილომეტრში გეოთერმული სითბოს რაოდენობა შეადგენს 3×10²⁶ კალორიას, რაც 2000-ჯერ მეტია იმ სითბოზე, რასაც ქვანახშირის მსოფლიო ჯამური რესურსი გამოსცემს. იხ. იხ. არაბიძე გ., გუდიაშვილი მ., ჯიშკარიანი თ. ენერგეტიკა და კლიმატის ცვლილება, ტექნიკური უნივერსიტეტი, თბ., 2015, 21.

¹¹⁶ აღნიშნული ნაშრომი მიზნად არ ისახავს წყაროების დეტალურ განხილვას. დაწვ. იხ. Pring G., Haas A., Drinkwine T. B. The Impact of Energy on Health, Environment, and Sustainable Development: The TANSTAAFL Problem, წიგნში: Zillman D., Redgwell C., Omorogbe Y. Beyond the Carbon Economy: Energy Law in: Transition, Oxford University Press, 2008.

¹¹⁷ Kanellakis M., Martinopoulos G., Zachariadis T. European Energy Policy – A Review, Elsevier Energy Policy, Vol. 61, 2013, 1020.

ელექტროენერგეტიკის გენერაციისთვის, გათბობისა და ტრანსპორტიერებისათვის გამოიყენება.¹¹⁸

ნებისმიერ შემთხვევაში, ენერგეტიკის სამართლის რეგულირების ობიექტი ენერგორესურსია, იქნება ეს ტრადიციული თუ ალტერნატიული გზით მოპოვებული. ამასთან, დარგის სამომავლო განვითარებისთვის უმჯობესია უნივერსალურად ყველა ენერგეტიკული რესურსის ერთ სამართლებრივ რეჟიმში თავმოყრა (შილი, 2014).¹¹⁹ ენერგეტიკის სამართლის „ენერგორესურსების სამართლისგან“ დიფერენცირება, ანუ ზემოხსენებული „ყოვლისმომცველი მიდგომა“ მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ კონცეპტუალურად ყველა ენერგორესურსი ურთიერთშენაცვლებადია და მხოლოდ ეროვნულ მთავრობებზეა დამოკიდებული, თუ რა ტიპის ენერგორესურსით მოამარაგებს იგი მის იურისდიქციის ფარგლებში არსებულ ენერგომოთხოვნას.¹²⁰

საქართველოში ტრადიციული ენერგორესურსები (ბუნებრივი გაზი და ნავთობი) საკმარისი რაოდენობით არ მოიპოვება. არსებულ რესურსებს შორის უმთავრესი ადგილი ჰიდროს უჭირავს.¹²¹ წყლის გარდა, საქართველოს აქვს ქარის ენერჯის¹²² და ბიომასის¹²³ მნიშვნელოვანი პოტენციალი. ქვეყანა განეკუთვნება ზომიერად გეოთერმულ რეგიონს, და გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, საკმაოდ მაღალია მზის ეფექტური და ხანგრძლივი გამოსხივება.¹²⁴ შესაბამისად, საქართველოს ენერგეტიკის დარგის

¹¹⁸ Woerdman E., Roggenkamp M., Holwerda M. Essential EU Climate Law, Edward Elgar Publishing, 2015, 127.

¹¹⁹ Schill W. S. The Interface between National and International Energy Law, წიგნში: Talus K. Research Handbook on International Energy Law, Edward Elgar publishing, 2014, 44.

¹²⁰ იქვე, 46.

¹²¹ საქართველოს ენერგეტიკის განვითარების სტრატეგია 2016-2025 (სამუშაო დოკუმენტი) <http://www.energy.gov.ge/show%20news%20mediacenter.php?id=600&lang=geo> 13, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 01.05.2019.

¹²² ქარის ელექტროსადგურებისათვის ყველაზე ხელსაყრელი ტერიტორიები კავკასიის მაღალმთიან ზონაში, სამხრეთ საქართველოს ზეგანზე (ჯავახეთის რეგიონში) და შავიზღვისპირეთის სამხრეთ ნაწილში მდებარეობს. იხ. საქართველოს ენერგეტიკის განვითარების სტრატეგია 2016-2025 (სამუშაო დოკუმენტი).

¹²³ სახელმწიფო ტყის საერთო ფართობი 2456 ათას ჰექტარს შეადგენს, მათ შორის ტყით დაფარულია 2314 ათასი ჰექტარი. საქართველოში მერქნის საერთო მარაგი - 452 მლნ მ3-ია, რაც მსოფლიო მერქნის მარაგის 0.13% შეადგენს. იხ. საქართველოს ენერგეტიკის განვითარების სტრატეგია 2016-2025 (სამუშაო დოკუმენტი).

¹²⁴ ქვეყნის უმეტეს ნაწილში მზის ნათების წლიური ხანგრძლივობა დაახლოებით 1900-2200 საათია. ამასთან, მუშა საათების რაოდენობა ზამთარში 10-15 %-ს, ხოლო

შემდგომი განვითარებისათვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ქვეყნის განახლებადი ენერჯის პოტენციალის, როგორც ენერგეტიკულად მნიშვნელოვანი რესურსის, შესწავლა და გამოყენების შესაძლებლობების დაზუსტება. აუცილებელია ასევე ბუნებრივი გაზისა და ნავთობის საბადოების საძიებო სამუშაოების გაძლიერებაც.

3.3.2. „ექსპლუატაცია“

მეორე საკვანძო ნიშანი, რაც ენერგეტიკის სამართლის დეფინიციისას გამოიკვეთა, ენერგორესურსების „ექსპლუატაციაა.“ საგანგებოდ არ ავიცილებთ სიტყვას „ექსპლუატაცია,“ რომელიც უფრო სპეციფიკურია, ვიდრე „მართვა“ ან „გამოყენება.“ ექსპლუატაცია პროცესია, რომელიც ენერგორესურსის მოძიებით იწყება და მისი კომერციული მიზნებით გამოყენებით მთავრდება.¹²⁵ ენერგორესურსების გამოყენება არ უნდა იქნეს აღქმული ისე, თითქოს ის შეეხება მხოლოდ ენერჯის პირველად წყაროებს. აღნიშნული მოიცავს, როგორც მეორეულ (ე.ი. ელექტროენერგეტიკა), აგრეთვე შემცვლელ ენერჯის წყაროებს.¹²⁶ პირობითად, ამ პროცესს შესაძლოა ენერგეტიკული წრე¹²⁷ ეწოდოს და მოიცავდეს ენერჯის გადამუშავების ყველა ფაზას (მოპოვება-შესწავლა-წარმოება-განაწილება-მიწოდება-მოხმარება) დაწყებული ენერგორესურსის წვდომიდან დამთავრებული მის საბოლოო მომხმარებლამდე მიწოდებით.¹²⁸

ენერგეტიკის სამართლის როლი უნივერსალურია ენერგეტიკული წრის ყველა ფაზის რეგულირების საკითხში. ნორმატიულად უნდა წესრიგდებოდეს ექსპლუატაციის პროცესში წარმოშობილი ყველა ურთიერთობა ექნება მას საერთაშორისო, ეროვნული თუ ადგილობრივი ხასიათი. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეული ენერგორესურსის ექსპლუატაციას შესაძლოა

ზაფხულში - 30-35 %-ს შეადგენს. იხ. საქართველოს ენერგეტიკის განვითარების სტრატეგია 2016-2025 (სამუშაო დოკუმენტი).

¹²⁵ Wawryk A. International Energy Law: An Emerging Academic Discipline, წიგნში: Babie P., Leadbeter P. Law as Change, University of Adelaide Press, 2012, 226.

¹²⁶ არაბიძე გ., გუდიაშვილი მ., ჯიშკარიანი თ. ენერგეტიკა და კლიმატის ცვლილება, ტექნიკური უნივერსიტეტი, თბ., 2015, 41.

¹²⁷ ენერგეტიკის შესახებ ქართის ოქმი ენერგეტიკული ეფექტურობისა და გარემოსთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ, რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 09.12.2004 წლის N 656 დადგენილებით.

¹²⁸ ელექტროენერჯის საბითუმო ან საბოლოო მომხმარებელი.

გარკვეული თავისებურებებით ხასიათდებოდა. ეს უნდა გაიმიჯნოს ზემოხსენებული „ყოველმხრივი მიდგომის“ ლოგიკისაგან, თუმცა ამ საკითხის დეტალური განხილვა წინამდებარე ნაშრომის მიზანს სცდება.¹²⁹

3.3.3. უფლება-მოვალეობების განაწილება

მომდევნო ნიშანი ცალკეულ სუბიექტებს შორის „უფლება-მოვალეობების განაწილებაა,“ რაშიც ენერგოსექტორის დაინტერესებულ მხარეებს შორის წარმოშობილი ურთიერთობების ბალანსი იგულისხმება.¹³⁰ თუკი „მზე [ყველას და ყველაფერს] სწორად მოეფინების“ შეუძლებელია იგი ცალკეული ინდივიდის „საკუთრებაში“ იყოს. შესაბამისად, ერთი შეხედვით, ამ მხრივ უფლება-მოვალეობაზე საუბარი უადგილოა. სამაგიეროდ, გაცილებით პრობლემურია ტრადიციული, ამოწურვადი ენერგორესურსების გამოყენების უფლებრივი საკითხები.

რაში გამოიხატება უფლება-მოვალეობის განაწილების პრობლემატურობა? საჯარო და კერძო ინტერესის საყოველთაოდ „ცნობილმა“ დაპირისპირებამ ისეთივე „წარმატებით“ შესაძლოა იჩინოს თავი ენერგეტიკულ ურთიერთობაში, როგორც საჯარო უფლებამოსილების განხორციელების სხვა ნებისმიერი შემთხვევისას. ენერგორესურსების მაქსიმალური გამოყენება სახელმწიფოს ეკონომიკური ინტერესია. საინტერესოა, ხომ არ ირღვევა ასეთ დროს საზოგადოებისა და კერძო პირის ინტერესები? რამდენად იცავს სახელმწიფო კანონიერებისა და კანონის უზენაესობის პრინციპებს. ექცევა თუ არა სახელმწიფოს ქმედება მხოლოდ და მხოლოდ კანონით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში და ხომ არ აქვს ადგილი საჯარო ხელისუფლების მიერ არამართლზომიერ ჩარევას? ამის გასარკვევად უმნიშვნელოვანესია ენერგეტიკის სამართლის მარეგულირებელი ეროვნული კანონმდებლობის როლი. სპეციალური ენერგეტიკული ნორმების გარდა, აუცილებელია გათვალისწინებული იქნას კონსტიტუციური პრინციპები და სხვა მომიჯნავე სამართლებრივ დარგების მომწესრიგებელი წესები.¹³¹ აღნიშნული

¹²⁹ იხ. Heffron J. R., Talus K. The Evolution of Energy Law and Energy Jurisprudence: Insights for Energy Analysts and Researchers, Energy Research & Social Science, 2016, 4 და Buschle D. The Enforcement of Energy Law in Wider Europe, in Buschle, D., Hirsbrunner, S., Kaddous, C. (Eds.), European Energy Law, Helbing Lichtenhahn Verlag, 2011, 316.

¹³⁰ Roggenkamp M., Redgwell C., Ronne A., Guayo I. Energy Law in Europe, Oxford University Press, 2007, 15.

¹³¹ მაგ. ადმინისტრაციული, სამშენებლო, გარემოს დაცვის სამართალი და სხვ.

საკითხი განახლებადი ენერჯის ჭრილში განხილული იქნება ნაშრომის მეოთხე ნაწილში.

4. ენერჯეტიკის სამართლის განვითარების ეტაპები

კირგეგარდის მიხედვით, ცხოვრება უკან მიხედვით გაანალიზდება, თუმცა მხოლოდ მომავლით რეალიზდება.¹³² იმისათვის, რომ სწორად იქნეს გააზრებული ენერჯეტიკის სამართლის განვითარების ტენდენციები, აუცილებელია სამართლის ამ დარგის წარმოშობის საფუძვლებისა და განვითარების ძირითადი ეტაპების გამოკვლევა. ეს, ერთი მხრივ, სამომავლო დისკუსიისთვის შექმნის ფუნდამენტს, ხოლო, მეორე მხრივ, ხელს შეუწყობს ენერჯეტიკის არსებული სამეცნიერო იურიდიული ლიტერატურის თავმოყრას. სწორედ ასეთ ანალიზს დაეფუძნება სამომავლოდ საჯარო და კერძო სექტორში მოქმედი ენერჯეტიკის სამართლით დაინტერესებული სუბიექტების საქმიანობა თუ მართლმსაჯულების ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

ენერჯეტიკა მაღალ პოლიტიზირებული სექტორია.¹³³ სწორედ ამიტომ, მსოფლიო ენერჯეტიკული ისტორიის საწყისებიც, ტრადიციულად, უფრო ენერჯის პოლიტიკურ საფუძვლებში აირეკლება, ვიდრე მის სამართლებრივ რეგულირებაში.¹³⁴ დარგის სამართლებრივი ევოლუცია უფრო თანამედროვე იურიდიული სკოლის დამსახურებაა, როდესაც აუცილებელი გახდა ენერჯეტიკის ურთიერთობების აქტიურ სამართლებრივ დისკუსიაში გადატანა.

ენერჯეტიკის სამართლის განვითარების მთავარი გამოწვევა ისევედასევე მისი ფრაგმენტული ბუნებაა. ხშირ შემთხვევაში ენერჯეტიკული უსაფრთხოების, მდგრადი ენერჯის სისტემის შექმნისა თუ ენერჯეტიკული ბაზრის დაბალანსების საკითხები ერთმანეთისაგან განცალკევებით, რაც, უარყოფით გავლენას ახდენს დარგის ერთიანი ფილოსოფიის ჩამოყალიბებაში. ენერჯეტიკის სამართლის განვითარება ბევრ სხვადასხვა ფაქტორსა და მსოფლიო

¹³² Hong H. V., Trans H (Eds.), Kierkegaard's Writings: Fear and Trembling/Repetition: Fear and Trembling/Repetition, Vol. 6, Princeton University Press, 1983, 27.

¹³³ გლობალურად პოლიტიკურად მნიშვნელოვანი თემა გახდა კლიმატის ცვლილების მზარდი რისკების გათვალისწინებით და გაეროს ჩარჩო კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების, განსაკუთრებით კი 2015 წლის პარიზის შეთანხმების გათვალისწინებით.

¹³⁴ Heffron J. R., Talus K. The Evolution of Energy Law and Energy Jurisprudence: Insights for Energy Analysts and Researchers, Energy Research & Social Science, 2016, 18.

ისტორიულ პერიოდს უკავშირდება. იგი შესაძლებელია ოთხ ეტაპად გამოიყოს.

4.1. უსაფრთხოება

ენერგეტიკის სამართლის პირველადი, შედარებით უფრო პრიმიტიული სამართლებრივი ელემენტები მე-19 საუკუნეში, 1820 წლის ბრიტანულ სინამდვილეში ჩნდება. იგი უკავშირდებოდა უსაფრთხოების საკითხებს, მაგრამ შორს იყო ენერგოუსაფრთხოების თანამედროვე გაგებისაგან.¹³⁵ აუცილებელი იყო იმ პირების (მაგ. ქვანახშირის მალაროელი) სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლების დაცვა, რომლებიც დასაქმებული იყვნენ სამსახურებში, სადაც მაღალი იყო უბედური თუ გაუთვალისწინებელი შემთხვევების რისკი. სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება პირველი ენერგეტიკული სამართლებრივი აქტების წარმოშობა და მის სამშობლოდაც დიდი ბრიტანეთი მიიჩნევა.¹³⁶

უსაფრთხოების საკითხები ენერგეტიკულ ურთიერთობებში დღემდე ძალზე აქტუალურია. მსოფლიო ისტორიას ბოლო ათწლეულების განმავლობაში ატომური ენერგოსადგურების რამდენიმე საყურადღებო მაგალითი ახსოვს: ჩერნობილი (უკრაინა), “Piper Alfa“ (დიდი ბრიტანეთი), “Deepwater Horizon Accident“ (ამერიკის შეერთებული შტატები), ფუკუშიმა (იაპონია).¹³⁷ დასაძინია, რომ ენერგოუსაფრთხოების დამატებითი გარანტიები და მისგან გამოწვეული მძიმე შედეგები ბოლო წლების ქართულ სინამდვილეშიც აისახა, რასაც ჭიათურის მადაროს სამწუხარო შემთხვევები მოწმობს.¹³⁸ ეს ყოველივე სისტემური ენერგეტიკული კანონმდებლობის შექმნის საჭიროებას უსვამს ხაზს, როგორც საერთაშორისო ენერგეტიკული მომწესრიგებელი ნორმების თვალსაზრისით, ისე შიდაეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში, რათა დაცული იყვნენ ენერგეტიკის სფეროში მომუშავე ინდივიდები.

¹³⁵ დაწვრ. იხ. სადისერტაციო ნაშრომის მეორე ნაწილის პირველი თავი.

¹³⁶ Heffron J. R., Talus K. The Evolution of Energy Law and Energy Jurisprudence: Insights for Energy Analysts and Researchers, Energy Research & Social Science, 2016, 6.

¹³⁷ იქვე.

¹³⁸ გვირაზგამყვანის სიკვდილი ჭიათურის მადაროში, რადიო თავისუფლება, <<https://www.radiotavisupleba.ge/a/sikvdili-chiaturis-magaroshi/29124133.html>> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 02.05.2019.

4.2. ენერგორესურსების მართვის კონტროლი

ენერგეტიკის სამართლის განვითარების შემდეგი ეტაპი 1910 წლიდან აითვლება და უმეტესად მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდს უკავშირდება. ამ წლების ენერგეტიკული ურთიერთობების ცენტრალური კომპონენტია ენერგორესურსი, როგორც თანამედროვე ენერგეტიკის სამართლის სათავე. სწორედ ამ ეპოქაში გაჩნდა საერთაშორისო ენერგეტიკული თანამშრომლობის პირველი ჩანასახები, რომლებიც უკავშირდებოდა ატომური ენერჯის, ნავთობისა და გაზის გლობალური რეგულირების საკითხებს. იმატა ენერგეტიკული რესურსების ერთიანი კონტროლის შემთხვევებმა. გამოიკვეთა, რომ ცალკეული ენერგორესურსი შესაძლოა აღარ ყოფილიყო მხოლოდ „დედა სამშობლოს“ ექსკლუზიური საკუთრება და მასზე დაწესებულიყო საერთაშორისო, რეგიონული ზეეროვნული კონტროლი.

ამის ნათელი მაგალითია 50-იანი წლების ევროკავშირის აღმოცენება, რომელიც ენერგორესურსების საერთო მართვის საწყისებზე ექვსი ევროპული სახელმწიფოს შეთანხმებით წარმოიქმნა. ეს იყო იმდროინდელი ევროპისთვის გრძელვადიანი მშვიდობის დამკვიდრების „საშუალება“, რომელიც საბოლოოდ ერთიანი ენერგეტიკული მართვის საინტერესო მოდელად გარდაიქმნა. მეორე მსოფლიო ომის მძიმე მემკვიდრეობის გამოსწორებისა და მშვიდობის იდეის განმტკიცებაში, ევროკავშირის გარდა, რამდენიმე საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაცია¹³⁹ ჩაერთო. მათ ხელი შეუწვეს ენერგოსექტორის ინტერნაციონალიზაციას და თანამედროვე საერთაშორისო ენერგეტიკის სამართლის ფუნდამენტის შექმნას.

4.3. საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებული ენერგეტიკა

ენერგეტიკის სამართლის განვითარების ეს ეტაპი ცივ ომს¹⁴⁰ და 70-იანი წლების ნავთობის კრიზისს უკავშირდება, როდესაც ენერჯია ეკონომიკაზე ორიენტირებული გახდა. გამოჩნდა ე.წ.

¹³⁹ მაგალითად ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტო (1976).

¹⁴⁰ აშშ-სა და მისი მოკავშირეების საბჭოთა კავშირთან და მის მოკავშირეებთან გლობალური გეოპოლიტიკური, ეკონომიკური და იდეოლოგიური დაპირისპირება, რომელიც XX საუკუნის 1940-იანი წლების შუახნიდან 1990-იანი წლების დასაწყისამდე გრძელდებოდა.

„ნეოკლასიკური ეკონომიკის“¹⁴¹ ელემენტები ენერგოსექტორში და განსაკუთრებულად გააქტიურდა მოთხოვნა-მიწოდების საკითხები.¹⁴² ამ პერიოდის ენერგეტიკის სამართლის სამეცნიერო განვითარების „მედროშეობა“ ამერიკის შეერთებულ შტატებმა და კონტინენტურმა ევროპამ იკისრა. უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს, ასევე, *ტეტჩერის* (დიდი ბრიტანეთი) მთავრობის მიერ ქვანახშირის მალაროების დახურვაც.¹⁴³

რა მახასიათებლები აქვს ეკონომიკაზე ორიენტირებულ ენერგეტიკას? ჩნდება კონკურენციის, ლიბერალიზაციის, თავისუფალი ბაზრის პრინციპებზე ორიენტირებული ენერგორეგულირების ტენდენციები, რომლითაც უხვად მარაგდება თანამედროვე ენერგეტიკული კანონმდებლობაც. იკლებს ენერგეტიკული ურთიერთობების მკაცრი ვერტიკალური კონტროლი და სახელმწიფოს უხეში ჩარევის შემთხვევები, მატულობს ნეოლიბერალური მიდგომები. გარდა ამისა, შეინიშნება, სფეროში (განსაკუთრებით ატომური ენერგია) გლობალური აქტორების გააქტიურება, იზრდება მრავალმხრივი საერთაშორისო შეთანხმებებისა და კონვენციების რიცხვი, მძლავრ რესტრუქტურისაციას განიცდის ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის ბაზრები.¹⁴⁴

მიუხედავად ახლებური საბაზრო ეკონომიკური მიდგომებისა, უნდა აღინიშნოს, რომ ენერგეტიკის სამართლის ევოლუციის ამ ეტაპზე კვლავ შეუძლებელია თანამედროვე ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის განვითარება, გადასახაების შემცირება, კერძო სექტორის მხრიდან მეტი ინოვაციის დანერგვა.¹⁴⁵

¹⁴¹ მარქსისტულ პოლიტეკონომიას საწინააღმდეგო ეკონომიკური მიმდინარეობა, რომელიც წარმოიშვა XIX საუკუნის ბოლოს.

¹⁴² Talus K. *EU Energy Law and Policy: A Critical Account*. Oxford University Press, 2013, 14.

¹⁴³ *ib.* Wrigley E. A. *Energy and the Industrial Revolution*, Cambridge University Press, Cambridge, 2010.

¹⁴⁴ Wawryk A. *International Energy Law: An Emerging Academic Discipline*, წიგნში: Babie P., Leadbeter P. *Law as Change*, University of Adelaide Press, 2012, 229.

¹⁴⁵ *ib.* Hong H. V., Trans H. (Eds), *Kierkegaard's Writings: Fear and Trembling/Repetition: Fear and Trembling/Repetition*, Vol. 6, Princeton University Press, 1983.

4.4. ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის განვითარება

ენერგეტიკის სამართლის განვითარების მეოთხე ეტაპს ინფრასტრუქტურული რევოლუცია შესაძლოა ეწოდოს. ენერგონფრასტრუქტურული ღონისძიებები, როგორებიცაა ელექტროგადამცემი ხაზების, გაზსადენებისა და ნარჩენების მართვის მშენებლობა-განვითარების საკითხები, თანამედროვე ენერგეტიკის სამართლის დღის წესრიგს განსაზღვრავს და ზემოხსენებული ენერგეტიკული წრის ყველა ფაზას ეხება.

ეს მოძრაობა 2005 წელს ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ენერგეტიკის პოლიტიკის დოკუმენტის¹⁴⁶ მიღებას უკავშირდება, რაც კონტინენტზე მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული ინვესტიციების მოზიდვის წინაპირობა გახდა. ინფრასტრუქტურული ინვესტიციების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია აღინიშნოს ბრიტანეთის 2013 წლის ენერგეტიკის დოკუმენტი,¹⁴⁷ რომელმაც მიზნად ენერგონფრასტრუქტურის განვითარებისთვის 110 მილიარდის მობილიზება დაისახა.

ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის განვითარება ცენტრალური ელემენტია ევროკავშირის ენერგოპოლიტიკისთვისაც.¹⁴⁸ ევროპის ერთიანი ეკონომიკური სტრატეგიისთვის უმნიშვნელოვანესია ინტეგრირებული და მდგარადი ენერგოგადამცემი ქსელების უზრუნველყოფა.¹⁴⁹ პირველი ევროპული გამოხმაურება, ამ მხრივ, ევროკომისიის მიერ მიღებული აქტია, რომელმაც ევროპას ძირეული ინფრასტრუქტურული ცვლილებებისკენ მოუწოდა.¹⁵⁰ კიდევ უფრო მძლავრი სამართლებრივი ინსტრუმენტი ევროკავშირის 2013 წლის რეგულაციაა, რომელიც ტრანს-ევროპულ ენერგონფრასტრუქტურას ეხება და ერთიანი ევროპული ენერგეტიკული ობიექტების მშენებლობას ითვალისწინებს.

ენერგეტიკის სამართლის განვითარების მეოთხე ეტაპის ყველაზე დიდი ნოვაცია ის არის, რომ სწორედ ამ პერიოდს

¹⁴⁶ Energy Policy Act 2005, <<https://www.congress.gov/109/plaws/publ58/PLAW-109publ58.pdf>> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 02.07.2019.

¹⁴⁷ Energy Act 2013, <http://www.legislation.gov.uk/ukpga/2013/32/pdfs/ukpga_20130032_en.pdf> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 02.07.2019.

¹⁴⁸ Talus K. Introduction to EU Energy Law, Oxford University Press, 2016, 5.

¹⁴⁹ Communication from the Commission of 17 November 2010 to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions, Energy Infrastructure Priorities for 2020 and beyond – A Blueprint for an Integrated European Energy Network.

¹⁵⁰ იქვე.

უკავშირდება დაბალნახშირბადიანი ეკონომიკის წახალისება და მდგრადი ენერგეტიკის ელემენტების აღმოცენება. მნიშვნელოვანი ხდება ალტერნატიული ენერჯის და მისი ტექნოლოგიების ყოვლისმომცველი სამართლებრივი რეგულირება.

4.5. თანამედროვე ენერგეტიკის სამართალი

თანამედროვე ენერგეტიკის სამართალი მდგრადი ენერგეტიკის პრინციპს ეფუძნება (ტალუსი, 2014).¹⁵¹ დღეს აღარ არსებობს ენერგეტიკული განვითარება, თუკი ის ვერ დააკმაყოფილებს მდგრადობის კრიტერიუმს.¹⁵² გაეროს უნივერსალური მდგრადი განვითარების მე-7 მიზანიც, სწორედ ამიტომ, მდგრადი ენერგეტიკული მომავლისკენ მოწოდებაა.¹⁵³ მდგრად ენერგეტიკის ქვაკუთხედი მდგრადი განვითარების (*“sustainable development”*) კონცეფცია, რომელიც ყურადღებას ამახვილებს ეკონომიკური განვითარების მიზნებისა და გარემოს დაცვაზე მიმართული ძალისხმევის დაბალანსებაზე.¹⁵⁴ საინტერესოა, რომ მდგრადი განვითარების კონცეფციის წარმოშობა მე-18 საუკუნის სატყეო სექტორს და ტყის მდგრად მართვას უკავშირდება, თუმცა მას, მოგვიანებით, ბევრი სხვა განზომილება და სოციალური ფაქტორი დაემატა.¹⁵⁵

მდგრადი განვითარება პოპულარული ტერმინია. იგი საკმაოდ რთული ფენომენია, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ბოლომდე ჯერ კიდევ არაა სათანადოდ განმარტებული.¹⁵⁶ წლების განმავლობაში მრავალგვარი დეფინიცია შექმნილა და მდგრადი განვითარების ტერმინი ბევრჯერ გამხდარა სხვადასხვა

¹⁵¹ Talus K. Research Handbook on International Energy Law, Edward Elgar publishing, 2014, 10.

¹⁵² იქვე, 11.

¹⁵³ UN Sustainable Development Goal 7, <<https://sustainabledevelopment.un.org/sdg7>> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 02.05.2019.

¹⁵⁴ არაბიძე გ., გუდიაშვილი მ., ჯიშკარიანი თ. ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის საერთაშორისო სამართალი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბ., 2015, 64.

¹⁵⁵ იხ. Grober U. Deep Roots – A Conceptual History of ‘Sustainable Development’ (Nachhaltigkeit), <Wissenschaftszentrum Berlin für Sozialforschung (WZB), February 2007, <www.skylia.wzb.eu/pdf/2007/p07-002.pdf> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 30.04.2013.

¹⁵⁶ Lee M. Sustainable Development in the EU: The Renewed Sustainable Development Strategy 2006, Environmental Law Review, Vol. 9, 2007, 41.

ინტერპრეტაციის საგანი.¹⁵⁷ იგი შესაძლოა დანახულ იქნეს, როგორც დაბალანსების ვალდებულება, ერთი მხრივ, ტექნიკასთან დაკავშირებული განვითარების, ანუ ეკონომიკური პროგრესისა და, მეორე მხრივ, გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვას შორის. მდგრადი განვითარების ყველაზე ცნობილი დეფინიცია, რომელიც დღეს აქტიურად გამოიყენება, 1987 წლის „ჩვენი საერთო მომავლის“ მოხსენებიდან („ბრუნტლადის ანგარიში“) გამომდინარეობს: „მდგრადი განვითარება არის განვითარება, რომელიც უპასუხებს დღევანდელი საჭიროებებს მომავალი თაობების მიერ საკუთარი საჭიროებების დაკმაყოფილების უნარის რისკის ქვეშ დაყენების გარეშე“¹⁵⁸ (ე.წ. თაობებს შორის თანასწორობის პრინციპი).¹⁵⁹

მდგრადი განვითარების სახელმძღვანელო იდეა მოთავსებულია ქვეყნის ძირითად კანონში. საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლით მდგრადი განვითარების პრინციპი სახელმწიფოსგან ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებას მოითხოვს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალურ სარგებლობის მიზნით.¹⁶⁰ პრინციპს ყურადღების მიღმა არ ტოვებს საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“, რომელიც კონსტიტუციის სულისკვეთებას იზიარებს და საზოგადოებრივი განვითარების ისეთი სისტემის შექმნას ქადაგებს, როდესაც ეკონომიკური წინსვლა არ ხდება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაზიანების ხარჯზე. კანონის ერთი რომ ვთქვათ, „ადამიანის ცხოვრების დონის ხარისხის ზრდა და შეუქცევადი უნდა იყოს რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებებისაგან და დაცული ბუნებრივი რესურსების დაზიანებისაგან.“¹⁶¹

მდგრადი ენერგეტიკის ლოგიკაც იდენტურია და იგი იმ ტიპის ენერგეტიკულ წესრიგს უწევს პოპულარიზაციას, რომელიც დაიცავს მომავალი თაობების უფლებებს, რათა ისარგებლონ უწყვეტი და შეუზღუდავი ენერგორესურსებით. მდგრადი ენერგეტიკის პრინციპი თანამედროვე ენერგეტიკის სამართლის ძირითადი

¹⁵⁷ იქვე.

¹⁵⁸ ‘Sustainable development seeks to meet the needs and aspirations of the present without compromising the ability to meet those of the future,’ World Commission on Environment and Development, *Our Common Future*, Oxford University Press, New York 1987, 43.

¹⁵⁹ სამეცნიერო ლიტერატურაში იგი თაობებს შორის თანასწორობის პრინციპითაც არის ცნობილი (intra-generational equity). პრინციპის თანახმად მომავალი თაობების უფლება ენერგიაზე მცირდება, რდმენადაც ახლახანს ხდება ნავთობ რესურსების მაქსიმალური გამოყენება. შესაბამისად, სამართლიანობა მოითხოვს რომ გავითარდეს ალტერნატიული, განხლებადი ენერგია.

¹⁶⁰ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 37 (4).

¹⁶¹ საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ.“ მუხლი 4, 10.12.1996.

სახელმძღვანელო იდეა უნდა იყოს. ამ თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესია აღინიშნოს *ჰეფრონისა* და ენერგეტიკის სამართლის ჩვენი დროის სხვა მეცნიერების მიერ შემუშავებული (*ჰეფრონი და სხვ.*, 2018)¹⁶² თანამედროვე ენერგეტიკის სამართლის შვიდი ძირითადი პრინციპი:

1. ეროვნული რესურსების სუვერენიტეტი;
2. ხელმისაწვდომობა თანამედროვე ენერგეტიკულ სერვისებთან;
3. სამართლიანი ენერგორეგულირება;
4. ეროვნული რესურსების გონივრული, რაციონალური და მდგრადი გამოყენება
5. გარემოს დაცვა, ჯანმრთელობა და კლიმატის ცვლილება;
6. ენერგეტიკული უსაფრთხოება და საიმედოობა
7. ეკონომიკური მედეგობა.¹⁶³

წინამდებარე სადოქტორო ნაშრომი ეთანხმება შემოთავაზებული პრინციპების უნივერსალურობას და მიიჩნევს, რომ დარგის სამომავლო განვითარება, შესაბამის ფუძემდებლურ ნორმატიულ ბაზასთან ერთად,¹⁶⁴ ზემოაღნიშნული პრინციპების საფუძველზე უნდა მოხდეს. მათ სახელმძღვანელო ფუნქცია უნდა შეასრულონ სამართლის მეცნიერებისთვის, იურისტებისთვის, მოსამართლეებისთვის, პოლიტიკის განმახორციელებელი სხვა სუბიექტებისთვის ენერგეტიკული კანონმდებლობის შექმნის, ფორმულირების, აღსრულების და შეფარდების საქმეში.¹⁶⁵

სწორედ ამიტომ, რეკომენდებულია, რომ საქართველოში ენერგეტიკული სექტორის რეფორმირება და ახალი თაობის ენერგოკანონმდებლობა აღნიშნული პრინციპების დაცვით შეიქმნას. საილუსტრაციოდ, მომდევნო თავში განვიხილავთ ერთ-ერთ მათგანს (სამართლიანი ენერგორეგულირება), რათა უკეთ გავიაზროთ ენერგეტიკის სამართლის სახელმძღვანელო პრინციპების როლი.

¹⁶² იხ. Heffron R. J., Ronne A., Bradbrook A., Tomain J. P., Talus K. A. *Treatise for Energy Law*, *Journal of World Energy Law and Business*, Vol. 11, № 1, 2018, 34-48.

¹⁶³ იქვე.

¹⁶⁴ დაწვრ. განხილულია ნაშრომის მომდევნო ნაწილში.

¹⁶⁵ Heffron R. J., Ronne A., Bradbrook A., Tomain J. P., Talus K. A. *Treatise for Energy Law*, *Journal of World Energy Law and Business*, Vol. 11, № 1, 2018, 47.

5. სამართლიანი ენერგორეგულირება ენერგეტიკის სამართალში

5.1. სამართლიანი ენერგორეგულირების იდეა

ენერგეტიკის სამართლის განვითარების ეტაპებზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ წლების განმავლობაში ენერგეტიკული რესურსების სამართლებრივი რეგულირება სხვადასხვა ფაქტორით იყო გაპირობებული. კონცეფციას, რომელსაც ენერგეტიკის სამართლის ხვალინდელი დღე ჰქვია, სამართლიანი ენერგორეგულირება შესაძლოა ეწოდოს. ამას ადასტურებს მსოფლიო ენერგეტიკული საბჭოს უკანასკნელი ანგარიში, რომელიც სამომავლო ენერგოპოლიტიკის განსაზღვრისთვის გადამწყვეტ მნიშვნელობას სწორედ სამართლიანი ენერგორეგულირების პრინციპს ანიჭებს.¹⁶⁶

სამართლიანი ენერგორეგულირების იდეა მორალურ-ფილოსოფიური, ეთიკური მიდგომაა,¹⁶⁷ რომელიც ენერგეტიკის სამართლის ლიტერატურაში მხოლოდ უკანასკნელ ათწლეულში გაჩნდა.¹⁶⁸ იგი მიზნად ისახავს ჯანსაღი ენერგეტიკული გარემოს შექმნას, სადაც გადაწყვეტილებები გამჭვირვალობის პრინციპების დაცვითა და საზოგადოების მაღალი ჩართულობით მიიღება.¹⁶⁹ მთავარი არა ის, რომ ადგილი აქვს ენერგორესურსის ექსპლუატაციას, არამედ ის, თუ როგორ, რა მეთოდებითა და ინსტრუმენტებით იმართება ეს რესურსი. საკითხავია, ხომ არ წარმოშობს ამა თუ იმ სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკა გარკვეულ სოციალურ უთანასწორობას? რამდენად დაცულია საზოგადოებრივი ინტერესი? არის თუ არა ენერგეტიკოპოლიტიკა მომხმარებელზე ორიენტირებული?

ენერგეტიკის სამართალი არ უნდა ადგენდეს მხოლოდ ენერგორესურსების გამოყენების წესებს. იგი საზოგადოებას უნდა იცავდეს ენერგეტიკული ურთიერთობების შედეგად გამოწვეული შესაძლო უარყოფითი შედეგებისაგან. მაგალითისთვის, ხომ შეიძლება, რომ ენერგორესურსების ექსპლუატაციამ მავნე ზეგავლენა

¹⁶⁶ Heffron R. J., McCauley D. The Concept of Energy Justice across the Disciplines, *Energy Policy*, Vol. 105, 2017, 658-667.

¹⁶⁷ BK Sovacool and others, *Energy Decisions Reframed as Justice and Ethical Concerns* (2016) 1 *Nature Energy* 1 <www.nature.com/natureenergy>.

¹⁶⁸ დამატებით იხ. Heffron R., et al. *Achieving Sustainable Supply Chains through Energy Justice*, *Elsevier Applied Energy*, Vol. 123, 435-437.

¹⁶⁹ Heffron R., et al. *Achieving Sustainable Supply Chains through Energy Justice*, *Elsevier Applied Energy*, Vol. 123, 436.

იქონიოს ადგილობრივ მოსახლეობაზე¹⁷⁰ ასეთ ვითარებაში მნიშვნელოვანი იქნებოდა ისეთი მომწესრიგებელი ნორმების არსებობა, რომელიც ენერგორესურსების მართვის სოციალურ ფაქტორებზეც იზრუნებდა. სწორედ ეს იგულისხმება სამართლიანი ენერგორეგულირების იდეაში, რომელიც ერთგვარი ბალანსის მექანიზმია, რათა ერთისთვის (სახელმწიფო ხელისუფლება თუ კერძო სექტორი) მინიჭებული უფლებით, უხეშად არ დაირღვეს მეორის (კერძო სამართლის სუბიექტის) თავისუფლება.¹⁷¹ ენერგეტიკის სამართალი არ არის მხოლოდ ეკონომიკური სარგებლის მიღების სამართალი, იგი უნდა უზრუნველყოფდეს ენერგომომხმარებლების სოციალურ უსაფრთხოებასაც. ენერგეტიკის სამართლის ამოცანაა რეგულირების ისეთი მექანიზმების შექმნა, რომელიც ღირებულებებზე იქნება ორიენტირებული. იგი უნდა დაეფუძნოს მომხმარებლის, ანუ ინდივიდის და არავითარ შემთხვევაში ენერგორესურსის „მფლობელის“ ფილოსოფიას, თუ როგორ მიიღოს მეტიდან მეტი.

5.2. უზრუნველყოფის საშუალებები

წინა ქვეთავში მოყვანილი მსჯელობის გასაგრძელებლად, შესაძლებელია იმ რამდენიმე უზრუნველყოფის საშუალების¹⁷² გამოყოფა, რომელიც სამართლიანი ენერგორეგულირების იდეას პრაქტიკაში განამტკიცებს:

- **ხელმისაწვდომობა:** მოსახლეობას უნდა ჰქონდეს წვდომა მაღალი ხარისხის ენერგიაზე საჭირო რაოდენობითა და გონივრული ფასით;

¹⁷⁰ ასე მაგალითად, ელექტროსადგურების მშენებლობამ, ნავთობის რესურსების ექსპლუატაციამ შესაძლოა გამოიწვიოს მოსახლეობის დიდი ნაწილის გადაადგილება. ისეთი გიგანტი ენერგოკომპანიები, როგორცაა უნოკალი (Unocal), შელი (Royal Dutch Shell) და ბიპი (British Petroleum) ხშირად იქნა მხილებული ადამიანის ძირითადი უფებების დარღვევაში. იხ. Fatouros A. A. An International Legal Framework for Energy, Hague Academy of International Law, Vol. 332, 2007, 355-444.

¹⁷¹ სახელმწიფოს არ აქვს უფლება, გაუცხოებული იყოს კერძო სამართლის სუბიექტების მიმართ. საქმე ეხება სამოქალაქო ბრუნვას. ეს სუბიექტები სამოქალაქო ბრუნვისათვის არიან გაჩენილი და სახელმწიფო ვალდებულია, ხელი შეუწყოს მათ და ნდობა გამოუცხადოს. იხ. ზოიძე ბ. საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი, გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ), თბ., 2007.

¹⁷² Heffron J. R., McCauley D. The Concept of Energy Justice Across the Disciplines, Elsevier Energy Policy, Vol. 105, 2017, 659.

- **შესაძლებლობა:** ყველა, მიუხედავად მათი სოციალური მდგომარეობისა, არ უნდა იხდიდეს საკუთარი შემოსავლის 10 % ზე მეტს ენერგოსერვისებისთვის;
- **სათანადო პროცესი:** სახელმწიფო პატივს უნდა სცემდეს ადამიანის ძირითად უფლებებს და თავისუფლებებს. ენერჯის გამოყენება არ უნდა იწვევდეს უხეშ ჩარევას;
- **გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება:** ყველას უნდა ჰქონდეს საჭირო ენერგეტიკულ ინფორმაციაზე წვდომა. ამასთან, ინფორმაცია უნდა იყოს გამჭვირვალე და სახელმწიფოს ენერგეტიკის სფეროში მიღებული გადაწყვეტილებების ანგარიშვალდებულება უნდა გააჩნდეს;
- **მდგრადობა:** ენერგეტიკული რესურსი არ უნდა იყოს ამოწურვადი დროის მოკლე მონაკვეთში და მომავალი თაობები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ საჭირო ენერგეტიკული რესურსებით;¹⁷³
- **პასუხისმგებლობა:** სახელმწიფოს აქვს პასუხისმგებლობა, რათა დაიცვას გარემო და შეამციროს ენერგეტიკული ქმედებებით გამოწვეული ეკოლოგიური დაბინძურება.¹⁷⁴

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, თანამედროვე ენერგეტიკის სამართლი არ არსებობს სამართლიანი ენერგორეგულირების გარეშე, რომელიც ხელს უწყობს ენერგეტიკის სამართლებრივი ფილოსოფიის სწორ საწყისებზე განვითარებას. რამდენად ღრმად გაიდგამს ფესვებს სამართლიანი ენერგორეგულირების პრინციპი, ეს დარგის სამომავლო განვითარებაზეა დამოკიდებული, თუმცა უდავოა, რომ იგი, თავისი არსით, რევოლუციურია, რადგან თანამედროვე ენერგეტიკული სამართლის მიზანია ენერგორესურსების მართვა განხორციელდეს არა მხოლოდ ეფექტურად, არამედ სამართლიანად, ისე რომ უზრუნველყოს საზოგადოების, ენერგომომხმარებლების მაქსიმალური კეთილდღეობა.

¹⁷³ იხ. მსჯელობა ზემოთ.

¹⁷⁴ იხ. John G., Therivel R. Introduction to Environmental Impact Assessment, Routledge, 2013.

6. ენერგეტიკის სამართლის ინტერნაციონალიზაცია

6.1. გლობალური ენერგობაზარი

ჰანს ბაადემ, სავარაუდოდ, სწორად შენიშნა, რომ გასული საუკუნის 60-იან წლებში საერთაშორისო სამართლის პრობლემებზე მსჯელობა თითქმის შეუძლებელი იყო „ნავთობპროდუქტების ორთქლის“ შეგრძნების გარეშე.¹⁷⁵ შესაბამისად, ჯერ კიდევ რამდენიმე ათწლეულის წინ გახდა ცხადი, რომ ენერგეტიკული ოპერაციებს აქვს განსაკუთრებულად მაღალი საერთაშორისო ბუნება.¹⁷⁶ ვალდეს ლოგიკით, უკანასკნელი წლების განმავლობაში ენერგორესურსების ძალმომრეობით დაუფლების სურვილმა ერთგვარი ევოლუცია განიცადა და ენერგეტიკული ვაჭრობის სახე მიიღო.¹⁷⁷ ენერგეტიკა ვეღარ იქნებოდა ჩაკეტილი დამოუკიდებელ ეროვნულ რეჟიმებში.¹⁷⁸ ამან გამოიწვია სფეროს ინტერნაციონალიზაციის ხარისხობრივი ზრდა. შედეგად, გაჩნდა საერთაშორისო ინსტიტუციური თანამშრომლობის მოთხოვნა, რამაც კონკურენტული ენერგობაზრის¹⁷⁹ წარმოქმნის აუცილებლობის წინაშე დააყენა მსოფლიო.

1980 წლამდე ენერგეტიკა შიდაეროვნული რეგულირების საგანი იყო, თუმცა მოგვიანებით მასზე საერთაშორისო სამართლის გავლენები გაიზარდა.¹⁸⁰ იზიარებენ რა ქვეყნები, მათ შორის საქართველო, ზემოხსენებული ენერგეტიკული ქარტიის დებულებებს, ცნობენ ენერგეტიკის დარგში სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის შემდგომი გაფართოებისა და განმტკიცების აუცილებლობას.¹⁸¹ ენერგოურთიერთობა დღეს ცდება ერთი

¹⁷⁵ Fatouros A. A. An International Legal Framework for Energy, Hague Academy of International Law, Vol. 332, 2007, 380.

¹⁷⁶ Talus K. Research Handbook on International Energy Law, Edward Elgar publishing, 2014, 6.

¹⁷⁷ Wälde T. The International Dimension of EU Energy Law and Policy in: Fitzmaurice M., Szuniewicz M. (Eds), Exploitation of Natural Resources in the 21st Century, Kluwer Law International, 2003, 17.

¹⁷⁸ Wälde T. Why OGEL - An Oil Gas Energy Law Intelligence Service? OGEL Vol. 1, 2003.

¹⁷⁹ საყოველთაოდ აღიარებულია, რომ კონკურენტული ბაზარი ხელს უწყობს პროდუქტის მიწოდების (მათ შორის ენერგოურუნველყოფის) ხარისხის გაუმჯობესების და ღირებულების შემცირების უმნიშვნელოვანესი მექანიზმი.

¹⁸⁰ Bradbrook A. The International Legal Development of Energy Conservation and Renewable Energy Technologies, Environmental and Planning Law Journal, Vol. 9, 1992, 31.

¹⁸¹ ენერგეტიკის შესახებ ქარტიის ოქმის მე-9 მუხლი.

სახელმწიფოს იურისდიქციას და მოითხოვს ეფექტურ სახელმწიფოთაშორის თანამშრომლობას.¹⁸²

ენერგეტიკის ინტერნაციონალიზაცია ენერგეტიკული ბაზრის გლობალიზაციას, განსაკუთრებით კი ენერგეტიკული უსაფრთხოების იდეას უკავშირდება. სახელმწიფო ვერ იქნება მიჩნეული ბოლომდე დამოუკიდებლად, თუკი არ არსებობს ენერგოუსაფრთხოების გარანტია.¹⁸³ შესაბამისად, ენერგეტიკული გავლენების გარეშე არ რჩება ფუნდამენტური სახელმწიფოებრივი საკითხი - ეროვნული სუვერენტეტი. საქართველოს კანონის „ნავთობისა და გაზის“ შესახებ მე-4 მუხლში მითითებულია, რომ „საქართველოს აქვს თავის ხმელეთზე და კონტინენტურ შეღწეზე არსებული ნავთობისა და გაზის რესურსების ძებნა-ძიებისა და ექსპლუატაციის ექსკლუზიური და სუვერენული უფლება.“¹⁸⁴ ეს, ბუნებრივია, არ გამოორიცხავს საერთაშორისო ენერგეტიკულ თანამშრომლობას. პირიქით, ეროვნული ენერგოსიმდიდრე ტრანსსასაზღვრო ურთიერთობების მეტ შესაძლებლობებს აჩენს.

6.2. მარეგულირებელი საერთაშორისო წესები

ენერგეტიკა არაა ერთიანი სამართლებრივი რეჟიმის საგანი. საერთაშორისო ენერგეტიკული წესები არ არის თავმოყრილი უნივერსალურ საერთაშორისო ინსტრუმენტში (იქნებოდა ეს სახელმწიფოებო თუ ჩვეულებითი სამართალი).¹⁸⁵ არც ისეთი საერთაშორისო ორგანიზაცია არსებობს, რომელიც დააწესებდა მსოფლიო ენერგეტიკული მმართველობის საყოველთაო პრინციპებს.¹⁸⁶ რამდენადაც არ არსებობს საერთაშორისო ენერგეტიკული ჩარჩო კონვენცია, გაეროს 2030 წლის მდგრადი განვითარების სტრატეგია (*Agenda 2030*) ერთადერთ საერთაშორისო

¹⁸² ამის კარგი მაგალითია “Lex Petrolea.” დაწვრ. იხ. Martin T. Model Contracts: A Survey of the Global Petroleum Industry, *Journal of Energy & Natural Resources Law*, Vol. 22, 2004, 281. ასევე: ნავთობისა და გაზის ტრანსსასაზღვრო გადაზიდვა. დაწვრ. იხ. კოკაია ლ., ნავთობის და გაზის ტრანსსასაზღვრო გადაზიდვის პროექტის ხელშეკრულებათა სამართლებრივი რეგულირების მექანიზმები, *ჟურნ. მართლმსაჯულება და კანონი*, N 1, 49, თბ., 2016, 129.

¹⁸³ დაწვრ. იხ. Fatouros A. A. An International Legal Framework for Energy, *Hague Academy of International Law*, Vol. 332, 2007, 380.

¹⁸⁴ საქართველოს კანონის „ნავთობისა და გაზის“ შესახებ, მუხლი 4 (2), 16.04.1999.

¹⁸⁵ გაეროს კონვენცია არ შეიცავს დათქმას ენერგეტიკის შესახებ.

¹⁸⁶ Leal-Arcas R. The European Union and its Energy Security challenges, *Journal of World Energy Law and Business*, 2015, 2.

ინსტრუმენტად უნდა ჩაითვალოს, რომელიც მსოფლიოს მდგრად ენერგეტიკულ ვალდებულებებს აწესებს.¹⁸⁷

თავად ეს წესები, რომლის მიხედვითაც მსოფლიო ენერგეტიკული წესრიგი რეგულირდება, ტრანსნაციონალური ორგანიზაციების¹⁸⁸ მიერ ყალიბდება. რეგულაციები სხვადასხვა საერთაშორისო ინსტრუმენტებშია მიმოფანტული, რომლებიც საკმაოდ მრავალფეროვანია მათზე ხელშემკვრელი სახელმწიფოებისა თუ ნორმატიული ხარისხის თვალსაზრისით.¹⁸⁹ საერთაშორისო ენერგეტიკული წესების ფორმირების საკითხში უმნიშვნელოვანესია საერთაშორისო საჯარო სამართლის და მომიჯნავე დარგების სახელმეკრულებო ჩარჩო.¹⁹⁰ მაგალითისთვის, უნდა ვახსენოთ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი,¹⁹¹ სადაც ენერგეტიკულ სერვისებზე წვდომა ადამიანის ძირითადი უფლების რანგშია აყვანილი.¹⁹²

ამორფული საერთაშორისო ენერგეტიკული რეჟიმი გავლენას ახდენს ეროვნული ენერგეტიკული კანონმდებლობის მოწყობაზე.¹⁹³ საქართველო კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციის მონაწილე მხარეა, რომლის რატიფიკაციაც ქვეყანამ 1994 წელს მოახდინა. კონვენცია და მისი თანამდევი პროცესი (კიოტოს ოქმი და პარიზის ხელშეკრულება) ავალდებულებს საქართველოს, რათა შესაბამისობაში მოიყვანოს ეროვნული კანონმდებლობა და შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები. ეს ვალდებულებები არაპირდაპირ ემსახურება ახლებური ენერგორეგულირების

¹⁸⁷. United Nations, Transforming Our World: The 2030 Agenda for Sustainable Development, Leal-Arcas R., Wouters J. Research Handbook on EU Energy Law and Policy, Edward Elgar Publishing, 2017, 42.

¹⁸⁸. ამ მხრივ უმნიშვნელოვანესია, საერთაშორისო ენერგეტიკული ორგანოს როლი, რომელიც 70-იანი წლების ენერგეტიკული კრიზის შემდგომ დაფუძნდა და დღეს გლობალური ენერგეტიკული მმართველობის მსოფლიო საკვანძო ორგანიზაციაა.

¹⁸⁹. Fatouros A. A. An International Legal Framework for Energy, Hague Academy of International Law, Vol. 332, 2007, 378.

¹⁹⁰. Bradbrook A. Access to Energy Services in a Human Rights Framework, Parliamentary Forum on Energy and Sustainable Development, Cape Town, South Africa, 2005.

¹⁹¹. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალს ასევე უდიდესი გავლენა აქვს კლიმატის ცვლილების სამართალზე. იხ. Mayer B. The International Law on Climate Change, Cambridge University Press, 2018.

¹⁹². ამ საკითხზე იხ. Tully S. The Human Right to Access Clean Energy. Journal of Green Building: Spring 2008, Vol. 3 (2), 2008, 140-148.

¹⁹³. მაგალითად, ეროვნული ენერგეტიკული კანონმდებლობა არაა კოდიფიცირებული ყოვლისმომცველ კანონში გერმანიაში, მაგრამ მიმოზნეულია მრავალ სხვადასხვა სამართლებრივ აქტში. სწორედ ამიტომ, რომ გერმანიაში ცალკე გამოიყოფა „ენერგოკონკურენციის“, „ენერგოეკონომიკის“, „ენერგოხელშეკრულებების“ სამართალი.

პრინციპებს. მაგალითისთვის, პარიზის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სათბურის გაზების ემისიის 57 % პროცენტი სწორედ ენერგეტიკაზე მოდის.¹⁹⁴

აქვე, აუცილებელია აღინიშნოს „ვენის ოზონის შრის დაცვის კონვენცია“ (რატიფიცირებული 1996 წელს) და მისი თანამდევი მონრეალის ოქმი; აარჰუსის კონვენცია (რატიფიცირებული 2000 წელს); გაეროს 1982 წლის საზღვაო სამართლის შესახებ კონვენცია (რატიფიცირებული 1996 წელს). აუცილებელია GATT-ის¹⁹⁵ ფარგლებში თავისუფალი ვაჭრობის პრინციპების განვითარების აღნიშვნაც, რასაც მნიშვნელოვანი გავლენები აქვს ენერჯის საერთაშორისო და ეროვნულ ბაზრებზე.¹⁹⁶

ქართული ენერგეტიკის სამართლის ინტერნაციონალიზაციაზე მსჯელობისას შეუძლებელია გვერდი ავუაროთ ევროპის კავშირის ენერგეტიკულ კანონმდებლობას. როგორც შესავალში აღინიშნა, ევროკავშირის ენერგეტიკული ნორმების გავრცელების არეალი საქართველოსაც მოიცავს. ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია დეტალურად ნაშრომის მომდევნო თავებში გაანალიზდება.

7. ენერგეტიკის სამართალი როგორც აკადემიური დისციპლინა¹⁹⁷

შეხედულებათა ცვლილება, რასაც, ნაწილობრივ, მდგრადი ენერგეტიკის კუთხით ნაშრომის წინა თავიც შეეხო, თანამდევია იურიდიული მეცნიერებებისათვის. იგი ხშირად ამა თუ იმ სამართლის სისტემის გარდაქმნას იწვევს, რა დროსაც „წმინდა“ (*pure*) სამართლებრივი დარგების გვერდით, შესაძლოა ინტერდისციპლინური, სხვადასხვა დარგების მიჯნაზე აღმოცენებული იურიდიული დისციპლინების წარმოიქმნას. განვითარების ასეთი დინამიკა შეეხო არა მხოლოდ იურიდიული

¹⁹⁴ აშშ-ის გარემოს დაცვის სააგენტოს მონაცემები იხ. <<https://www.epa.gov/ghgemissions/global-greenhouse-gas-emissions-data>>

უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 08.06.2019.

¹⁹⁵ ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმება (General Agreement on Tariffs and Trade).

¹⁹⁶ არაბიძე გ., გუდიაშვილი მ., ჯიშკარიანი თ., ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის საერთაშორისო სამართალი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბ. 2015, 4.

¹⁹⁷ დაწვრ. იხ. სამხარაძე ი. ენერგეტიკის სამართალი, როგორც აკადემიური დისციპლინა, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, № 2 (58), 2018, 63.

კვლევას, არამედ განათლების სფეროსაც, რაც დიდი გამოწვევის წინაშე აყენებს საუნივერსიტეტო სივრცეებს. დაახლოებით 1970 წლამდე იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს შეზღუდული ჰქონდათ არჩევანი სავალდებულო და არასავალდებულო საგნებს შორის.¹⁹⁸ აღნიშნული ტენდენცია იცვლება და ბოლო პერიოდის სამართლის სკოლის პროგრამებში გამორჩეულ ადგილს იკავებს ე.წ. დამატებითი და შედარებით უფრო სპეციალიზებული საგნები.

ამის მთავარი მიზეზი ისაა, რომ იურიდიული კარიერა¹⁹⁹ თანამედროვე იურისტებისგან მოითხოვს ტრადიციულ სამართლებრივ აზროვნების გარდა სხვა კვალიფიკაციას. ამიტომაც, რომ განსაკუთრებული სისწრაფით ვითარდება სამართლებრივი დისციპლინები, რომლებიც საზოგადოებრივი მოთხოვნის შესატყვისია.²⁰⁰ უნივერსიტეტის მიზანიც ხომ ეს უნდა იყოს, რათა სტუდენტს გადასცეს არა მხოლოდ ცოდნა და ინფორმაცია, არამედ მაქსიმალურად მოამზადოს იმ ცვლილებებისთვის, რა პირობებშიც მას მოუწევს სამომავლო საქმიანობა.²⁰¹

ასეთივე სიახლეა თანამედროვე იურიდიულ მეცნიერებაში ენერგეტიკის სამართლის შემოჭრა,²⁰² რომელიც ეტაპობრივად დამოუკიდებელ აკადემიურ დისციპლინად ყალიბდება. მიუხედავად ამისა, იგი მრავალმხრივი სამართლებრივი დარგია²⁰³ და აერთიანებს ელემენტებს სამართლის სხვა მომიჯნავე სპეციალობებიდან.²⁰⁴ ეს არც

¹⁹⁸ Bradbrook A. J. Energy Law as an Academic Discipline, Vol. 14 (2), Journal of Energy and Natural Resources Law, 1996, 193.

¹⁹⁹ საგრძნობლად იმატა მოთხოვნამ ენერგეტიკის სამართლის სპეციალისტების მიმართ როგორც მეცნიერებაში, ისე პრაქტიკაში. კერძო იურიდიულმა ფირმებმა შექმნეს სპეციალიზებული პრაქტიკა ენერგეტიკის სამართლის საკითხებზე, მთავრობებმა შექმნეს ცალკე დეპარტამენტები, რომლების უშუალოდ ენერგეტიკულ საკითხებზეა კონცენტრირებული. მეტი ინფორმაციისთვის იხ. Heffron R. J., Ronne A., Bradbrook A., Tomain J. P., Talus K. A. Treatise for Energy Law. Journal of World Energy Law and Business, Vol. 11, № 1, 2018, 34-48.

²⁰⁰ მაგალითისთვის მასმედიის სამართალი, ჯანდაცვის სამართალი, გარემოს დაცვის სამართალი, შრომის სამართალი, ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) სამართალი, კონკურენციის სამართალი, საბანკო სამართალი, ინტელექტუალური საკუთრების სამართალი და სხვ.

²⁰¹ ხუბუა გ. ელიტური უნივერსიტეტი, (Interpressnews, 21.01.2018) <<http://www.interpressnews.ge/ge/thvalsazrisi/475347-elituri-universiteti.html>> accessed 11.03.2018

²⁰² Buschle D. The Enforcement of Energy Law in Wider Europe, in Buschle, D., Hirsbrunner, S., Kaddous, C. (Eds.), European Energy Law, Helbing Lichtenhahn Verlag, 2011, 318.

²⁰³ Heffron R. J., Ronne A., Bradbrook A., Tomain J. P., Talus K. A. Treatise for Energy Law. Journal of World Energy Law and Business, Vol. 11, № 1, 2018, 37.

²⁰⁴ ადმინისტრაციული სამართალიდან, კერძო სამართალიდან, მომხმარებელთა დაცვის სამართალიდან, კონკურენციის, გარემოს დაცვის, საგადასახადო და ა. შ.

არის გასაკვირი. ენერგეტიკის სამართალი ინდუსტრიის გარშემო აღმოცენდა და არადოგმატური სამართლებრივი პრინციპების ფონზე განვითარდა. ალბათ, სწორედ ამიტომ უწოდებს *ტალუსი* ევროპის ენერგეტიკის სამართალს ევროპის სამართლის ერთგვარ „შეფერილობას.“²⁰⁵ გაერთიანების ფარგლებში არც თუ ისე იშვიათია ენერგეტიკის სფეროს ევროპის სამართლის ზოგადი წესებით მოწესრიგების შემთხვევები.²⁰⁶

7.1. აკადემიური დისციპლინის სათავეებთან

სამართლის ზოგადი და ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება აქტუალურია ჯერ კიდევ *თომას აკვინელის* დროიდან.²⁰⁷ იგი ვერ იქნება საუნივერსიტეტო, აკადემიური საქმიანობისაგან დამოუკიდებელი.²⁰⁸ დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ დაახლოებით ორმოცი წლის წინათ არ არსებობდა ენერგეტიკის სამართალი, როგორც დამოუკიდებელი აკადემიური დისციპლინა, რადგან მაშინდელი სასწავლო პროგრამები არ მოიცავდა ბუნებრივი რესურსების, გარემოს დაცვის, ნავთობის, გაზის და მით უმეტეს განახლებადი ენერჯის საკითხებს.²⁰⁹

ნაშრომის შესავალში ითქვა, რომ ენერგეტიკის სამართლის აკადემიური საწყისები ამერიკულ სკოლას და პროფესორ *ზილმანს* უკავშირდება, რომელმაც 1982 წელს სფეროში პიონერული სახელმძღვანელო შექმნა.²¹⁰ ამას მოგვიანებით *ტომანისა* და *ჰიკის* შრომები მოჰყვა,²¹¹ რამაც უნივერსიტეტებში საგნის სწავლების

ენერგეტიკისა და კონკურენციის სამართლის ურთიერთმიმართებაზე იხ. Whish R., Bailey D. *Competition Law*, Oxford University Press, 2016. გარემოს დაცვა: იხ. Deketelaere K., Calster V. G., 2005, *Energy and Environmental Law: Recent Developments in International, European, and Comparative Environmental and Energy Law*, Acco, Leuven, Belgium.

²⁰⁵ Talus K. *EU Energy Law and Policy: A Critical Account*, Oxford University Press, 2013, 12.

²⁰⁶ აღნიშნული საკითხი დეტალურად ნაშრომის მეორე ნაწილში იქნება განხილული.

²⁰⁷ Heffron R. J., Ronne A., Bradbrook A., Tomain J. P., Talus K. *A Treatise for Energy Law*. *Journal of World Energy Law and Business*, Vol. 11, № 1, 2018, 47.

²⁰⁸ Bartie S. *Towards a History of Law, as an Academic Discipline*, Melbourne University Law Review, Vol. 38, 2014, 444.

²⁰⁹ Zillman D. *Evolution of Modern Energy Law: A Personal Retrospective*, *Journal of Energy & Natural Resources Law*, Vol. 30, 2012, 485.

²¹⁰ Bosselman F. A. *Brief History of Energy Law in United States Law Schools: An Introduction to the Symposium*, *Chicago-Kent Law Review*, Vol. 3, 2011, 3.

²¹¹ იქვე.

პირველი პრეცედენტები გაჩნდა.²¹² მიუხედავად იმისა, რომ ენერგეტიკის სამართლის აკადემიური განვითარების საწყის ეტაპზე, დარგი ბევრი გლობალური პროცესის „მსხვერპლი“ გახდა, 80-იანი წლების ბოლოს შემუშავებული ძირითადი სახელმძღვანელო იდეები ხელშეუხებელი დარჩა.²¹³

ამის ნათელი მაგალითია ენერგეტიკის სამართლის სფეროში *ბრადბროუკის* მოღვაწეობა. მან თავის 1996 წლის საკვანძო პუბლიკაციაში²¹⁴ ენერგეტიკის სამართლის დღემდე აქტუალური ცნება ჩამოაყალიბა. ამის მიუხედავად ენერგეტიკის სამართლის მწყობრი თეორიული საფუძველების შემუშავება თანამედროვე იურისტების საქმეა. წარსულში ენერგეტიკის სამართლის აკადემიურ საკითხებზე დებატი ფრაგმენტულად მიმდინარეობდა.²¹⁵ უკანასკნელი ათწლეულია, რაც მეცნიერებმა, ავსტრალიაში, ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, ენერგეტიკის სამართლის მიმართ დიდი აკადემიური ინტერესი გამოიჩინეს.²¹⁶ ამ მხრივ მოკრძალებულია ქართული იურიდიული სკოლა, სადაც ენერგეტიკის სამართალი, როგორც აკადემიური დისციპლინა,²¹⁷ ამჟამად ყალიბდება.

7.2. აკადემიური დისციპლინის სოციალური ფაქტორები

ტალუსისთვის ექვს არ იწვევს ენერგეტიკის სამართლის, როგორც სპეციალიზებული სამართლებრივი დარგის,

²¹² ერთ-ერთი ასეთი პირველი საგანმანათლებლო კერაა ავსტრალიის ადელაიდეს (University of Adelaide) უნივერსიტეტი. ამას მოჰყვა ჰელსინკის უნივერსიტეტი ფინეთში (University of Helsinki), კოლუჯის ლონდონის უნივერსიტეტი დიდ ბრიტანეთში (UCL) და სხვ.

²¹³ ამ პერიოდიდან იწყება საერთაშორისო გამოცემლობის მაღალი ინტერესი ენერგეტიკის სამართლის მიმართ და საფუძველი ეყრება ისეთ გამოცემებს, როგორებიცაა „ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების საერთაშორისო ჟურნალი (JENR),“ „ენერგეტიკის სამართლის საერთაშორისო მიმოხილვა (IELR),“ „ენერგეტიკის სამართლისა და ბიზნესის ჟურნალი (The Journal of World Energy Law & Business)“ და სხვ.

²¹⁴ Bradbrook A. J. Energy Law as an Academic Discipline, Vol. 14, № 2, Journal of Energy and Natural Resources Law, 1996, 193-217. აღნიშნული პუბლიკაცია სადისერტაციო ნაშრომის ამ ნაწილის პირველწყარო და მთავარი შთაგონებაა.

²¹⁵ Heffron R. J., Ronne A., Bradbrook A., Tomain J. P., Talus K. A. Treatise for Energy Law. Journal of World Energy Law and Business, Vol. 11, № 1, 2018, 34.

²¹⁶ მაგალითები: Roggenkamp M. et al. Energy Law in Europe (1st edn, Oxford University Press 2001) 7 and (3rd edn, OUP 2016) 8 and on the concept of EU Energy Law 188.

²¹⁷ სამხარაძე ი. ენერგეტიკის სამართალი, როგორც აკადემიური დისციპლინა, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, № 2 (58), 2018, 63.

დამოუკიდებელ აკადემიურ დისციპლინად დაკვალიფიცირების საკითხი.²¹⁸ იმავე აზრს იზიარებს *ბრადბრუქი*, რომელიც ენერგეტიკის სამართლის დამოუკიდებელ სამართლებრივ დარგად მსჯელობისას, დამატებით, სოციალური და სამართლებრივი ფაქტორების თანხვედრას მოითხოვს.

კანონმდებლის, ნორმის წამკითხავი თუ შემფარდებელი იურისტის საქმიანობა იურისპრუდენციისა და სოციალური მეცნიერებების „გუნდურ მუშაობას“ ეფუძნება. სამართალი საზოგადოებრივი სინამდვილის ფაქტებით მარაგდება. სოციალურ-ისტორიული ანალიზი უცხო არაა სამართლის თეორიისთვის.²¹⁹ ძალზე დიდია სოციალური ფაქტორების ზეგავლენა როგორც ზოგადად მართლწესრიგზე, ისე ცალკეული სამართლებრივი დოქტრინის განვითარებაზე. საზოგადოებრივი მიდგომები თანმიმდევრულ ასახვას ჰპოვებს თანამედროვე ენერგეტიკის სამართალზეც. ამის ნათელი მაგალითია ზემოთგანხილული მდგრადი განვითარებისა და სამართლიანი ენერგორეგულირების პრინციპები.

7.3. ენერგეტიკის სამართალი საჯარო და კერძო სამართალს შორის

ენერგეტიკის ფრაგმენტული ხასიათი და ინტერდისციპლინურობა, რაზეც ზემოთ შევთანხმდით, პრობლემურს ხდის სამართლის სისტემაში ენერგეტიკის სამართლის ადგილის განსაზღვრას.

ფართო გაგებით, სამართლის სისტემა მოიცავს საჯარო და კერძო სამართალს. თუკი საზომად გამოყენებული იქნება გამიჯვნის კლასიკური თეორიები,²²⁰ მაშინ ენერგეტიკის სამართალმა ან ინდივიდთა შორის წარმოშობილ ურთიერთობები უნდა დაარეგულიროს ან სახელმწიფოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში „იმოქმედოს.“ ასეთი მიჯნის პოვნა რთულია, რადგან ენერგეტიკის სამართლის მომწესრიგებელი ნორმები მრავლად შეიცავს როგორც კერძო, ისე

²¹⁸ Talus K. Research Handbook on International Energy Law, Edward Elgar Publishing, 2014, 3.

²¹⁹ Hanoch D. Law as an Academic Discipline, წიგნში: Helge D., Shauna V. P. (eds.) Stateless Law: Evolving Boundaries of the Discipline, Surrey, Ashgate, 2015, 45.

²²⁰ ხუბუა გ. სამართლის თეორია, თბ., 2004, 205.

საჯაროსამართლებრივ ელემენტებს.²²¹ შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ენერგეტიკის სამართლი ნაწილობრივ კერძოა და ნაწილობრივ საჯარო.²²² ერთი მხრივ, ენერგოსექტორში მაღალია სახელმწიფოს მონაწილეობის ხარისხი, რა დროსაც მას უწევს საჯარო და კერძო ინტერესების დაბალანსება (საჯარო სამართალი), იგი ასევე ხასიათდება წმინდა სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების სიმრავლით და კერძო შეთანხმებებით (კერძო სამართალი).

გარდა ამისა, თანამედროვე სამართალში სულ უფროდაუფრო ქრება ლათინური „ეგზოტიკად“ ქცეული ულპიანესეული²²³ მიჯნა საჯარო და კერძო სამართლებრივ დარგებს (*ius publicum* და *ius privatum*) შორის. ასევე წარსულს ბარდება მოძველებული, მკაცრი განსხვავება ორ კლასიკურ კონტინენტური ევროპისა და ანგლო-ამერიკული სამართლის დოქტრინებს, ე.წ. „ოჯახებს“ შორისაც.²²⁴ ანგლოამერიკული სამართალი უკვე აღარ არის წმინდა პრეცედენტული სამართლის სისტემა. თავის მხრივ, კონტინენტური ევროპის მოსამართლეები ხშირად იყენებენ პრეიუდიციებს.²²⁵ გახშირდა მსჯელობა ნაციონალური შეზღუდვების შემცირებასა და სამართლის მთლიანობის შესახებ. შესაბამისად, ნაშრომის აღნიშნული თავის მიზანს არც წარმოადგენს მისი სამართლის სისტემაში ამ ტიპის კუთვნილების საკითხის გარკვევა. ჩვენი ამოცანაა იმ სოციალური და სამართლებრივი ფაქტორების უკეთ გამოკვეთა, რაც, ფაქტობრივად, შეუქცევადს ხდის ენერგეტიკის სამართლის დამოუკიდებელ აკადემიურ დისციპლინად დაკვალიფიცირებას.

7.4. „პრაქტიკული პროფესიონალიზმი“

ენერგეტიკის სამართლის ცალკე აკადემიურ დისციპლინად ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს არა მხოლოდ მისი ერთიანი თეორიული საფუძვლებისა და ფილოსოფიის განვითარებას, არამედ

²²¹ გაწერელია ა. ენერგეტიკის სამართალი წიგნში ხუბუა გ., ზომერმანი კ. (რედ.), საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლების სახელმძღვანელო, თბ., 2016, 343.

²²² Klees A. Einführung in das Energiewirtschaftsrecht, Fachmedien Recht und Wirtschaft, 2012. 3.

²²³ ob. Barry N. An Introduction to Roman Law, New York, Oxford University Press, 1962, 2.

²²⁴ ob. Freedland R. M., Auby J. The Public Law/Private Law Divide Une entente assez cordiale? Hart Publishing, 2006.

²²⁵ ხუბუა გ. სამართლის თეორია, თბ., 2004, 218.

სამართლის შინაგან და გარეგან სისტემურობას. იგი მოემსახურება საკანონმდებლო რეგულირების სტრატეგიების განსაზღვრას და მოხმარდება დარგის სამომავლო სრულყოფას *de lege ferenda-ს*²²⁶ თვალსაზრისით.

დამოუკიდებელ დისციპლინად ჩამოყალიბების პროცესი განსაკუთრებით საინტერესოა იმ კუთხით, რომ ენერგეტიკის სამართლის განვითარება საქართველოში სამართლის რეფორმის საგნად უნდა იქნეს მოაზრებული. თუკი ვთანხმდებით იმაზე, რომ არსებული ენერგეტიკულ-სამართლებრივი „ინფრასტრუქტურა“ დახვეწას საჭიროებს, ახალი კანონების მიღება უამრავი პრაქტიკული გამოწვევის წინაშე აყენებს ქვეყანას. აუცილებელია სამართლებრივი რეფორმის მიმართ სისტემური მიდგომა და მაღალი საზოგადოებრივი ერთსულოვნება, რათა არ მოხდეს განხორციელების გზაზე მყოფი რეფორმის „ბლოკადა.“

ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ენერგეტიკის სამართლით დაინტერესებული საზოგადოება განიცდის ერთიანი ცოდნის ნაკლებობას. დეფიციტის შევსების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალება კი ერთგვარი აკადემიური კონსენსუსის მიღწევაა. იგი თავს მოუყრიდა სფეროში არსებულ მიმოხეულ ინფორმაციას და განავითარებდა სამართლებრივ დოქტრინას. ენერგეტიკის სამართლის აკადემიურობა დარგის მორალ-ეთიკურ განზომილებასაც უკეთ წარმოაჩენდა. ენერგოკანონმდებლობის საბოლოო ლეგიტიმური მიზანიც ხომ ის არის, რომ ენერგოსექტორის რეგულირებისას გამოირიცხოს სოციალური უთანასწორობა.

დაბოლოს, იურიდიული განათლების დღეს არსებული სისტემა არასაკმარისად უზრუნველყოფს როგორც თეორიულ მომზადებას, ისე პრაქტიკისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების შეთვისებას.²²⁷ ენერგეტიკის სამართლის აკადემიურობა და მისი სასწავლო კომპონენტად შეთავაზება მოხმარდება საქართველოში პრობლემაზე დაფუძნებული განათლების სტიმულირებას და განავითარებს „პრაქტიკული პროფესიონალიზმის“ ტენდენციებს. თანამედროვე სამართლის სკოლის საგანმანათლებლო პროგრამები სოციალური საჭიროებებით უნდა მარაგდებოდნენ. სტუდენტებსაც იმის შესწავლის საშუალება უნდა მიეცეთ, რაც აქტუალურია და მომავალი იურიდიული კარიერის მყარი საფუძველიც.

²²⁶ სამართლის პოლიტიკის საგანი, როგორც „ის უნდა იყოს“ მომავალში. იხ. ხუბუა გ. სამართლის თეორია, თბ., 2004, 22.

²²⁷ ჭანტურია ლ. იურიდიული პროფესიები სამართლებრივ სახელმწიფოში, ქართული სამართლის მიმოხილვა, # 6 (1), 2003, 124.

III. ნაწილი მეორე: ევროკავშირის ენერგეტიკული კანონმდებლობა: ენერგეტიკის სამართლისა და პოლიტიკის ურთიერთმიმართება

1. ანოტაცია

ტალუსი მართებულად აღნიშნავს, რომ ევროკავშირის ენერგეტიკის სამართლი დამოკიდებულია ევროპის ენერგეტიკული ისტორიისა და ენერგოპოლიტიკის საკითხების გაანალიზებაზე.²²⁸ მსგავს მდგომარეობას იზიარებს სადისერტაციო ნაშრომის მეორე ნაწილიც. იგი ევროკავშირის კანონმდებლობას სწორედ ევროპის ენერგოისტორიისა და პოლიტიკის საზღვრებში მიმოიხილავს. რა არის ამის საფუძველი?

ევროინტეგრაციის სხვადასხვა საკითხთა განვითარებასთან ერთად ვითარდებოდა ენერგეტიკის სამართალი, რომელიც უკანასკნელ წლებში ენერგოსექტორზე სახელმწიფო სუვერენიტეტისა და აქტიური კონტროლიდან თავისუფალი ბაზრის პრინციპების სწრაფ ევოლუციას დაექვემდებარა. ამ მხრივ ყველაზე მძლავრი ძვრები 80-იანი წლების ბოლოსა და 90 იანების დასაწყისს უკავშირდება,²²⁹ როდესაც ევროპული ენერგობაზრის ლიბერალიზაცია აქტიურ ფაზაში შევიდა.²³⁰ შესაბამისად, გაჩნდა ევროპის ენერგეტიკის სამართლის თანამედროვე რეგულირების ძირითადი და დამატებითი წესები.

სწორედ ამ პროცესის სამართლებრივ ანალიზს მოიცავს დისერტაციის ეს ნაწილი. იგი, პირველ ყოვლისა, ევროპის ენერგეტიკული პოლიტიკის პარამეტრებს განსაზღვრავს და ენერგორეგულირებას ისტორიულ ჭრილში მიმოიხილავს. ამის შემდგომ, ნაშრომი ევროკავშირის შიდაენერგეტიკული ბაზრის ფუნქციონირების სამართლებრივ საფუძვლებსა და ბაზრის ლიბერალიზაციის ოთხ ეტაპს გამოკვეთს.

დაბოლოს, დისერტაციის მეორე ნაწილი ევროკავშირის ენერგეტიკის სამოქმედო ბაზისს შეისწავლის: იმსჯელებს ენერგოტოპოლიტიკის ძირითად და დამატებით სამართლებრივ ჩარჩოზე, ლისაბონის ხელშეკრულების 194-ე მუხლზე,

²²⁸ Talus K. *EU Energy Law and Policy: A Critical Account*. Oxford University Press, 2013, 7.

²²⁹ იქვე, 3.

²³⁰ იხ. Ilie L., Horobet A., Popescu C. *Liberalization and Regulation in the EU Energy Market*, Academy of Economic Studies, 2007.

გაერთიანების ენერგეტიკულ კომპეტენციასა და ევროკავშირის სამართლებრივ ინსტრუმენტებზე (რეგულაცია და დირექტივა).

2. ევროპის ენერგოპოლიტიკის პარამეტრები

„ახალი ევროპული ენერგეტიკული ერა,“ - ასე შეიძლება ეწოდოს ეპოქას, რომელშიც ევროკავშირი ამჟამად იმყოფება. მას ბევრი გამოწვევა ახლავს თან. მათ შორის ცენტრალურია კლიმატის ცვლილება (როგორც ევროპული, ისე გლობალური გამოწვევა) და ენერგეტიკული უსაფრთხოება. შესაბამისად, დღეს ევროპული ენერგეტიკული პოლიტიკის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორებიც სწორედ კლიმატის ცვლილებისა და ენერგოუსაფრთხოების საკითხებს უკავშირდება.

ევროკავშირი ცდილობს წახალისო მწვანე ენერგეტიკა და მაქსიმალურად გაამრავალფეროვნოს საკუთარი ენერგორესურსები. ამით, ერთი მხრივ, იგი კლიმატის ცვლილების რისკებს და 1980 წელს დაწყებულ მსოფლიო მდგრადი განვითარების მოწოდებებს ეხმიანება²³¹ და, მეორე მხრივ, ადეკვატურ ზომებს იღებს უსაფრთხო ენერგომომხმარების უზრუნველსაყოფად. არსებული, მდგომარეობით, ევროკავშირზე მსოფლიო ენერგომომხმარების მეხუთედი მოდის.²³² ეს იმ ფონზე, როცა ევროკავშირს არ აქვს საკმარისი საშინაო ენერგორესურსი. გაერთიანება ენერგოდამოკიდებული²³³ და მსხვილი ენერგოიმპორტიორია.²³⁴

აღნიშნული გამოწვევების საპასუხოდ 2010 წელს ევროკომისიამ მიიღო კონკურენტული, მდგრადი და უსაფრთხო ენერჯის დოკუმენტი, ე.წ. „2020 სტრატეგია.“²³⁵ იგი საკვანძო დოკუმენტია, რომელმაც დღემდე აქტუალური ევროპული

^{231.} რიოს დედამიწის სამიტი <<http://publications.gc.ca/Collection-R/LoPBdP/BP/bp317-e.htm>> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 12.04.2019.

^{232.} წყარო.

^{233.} ევროსტატის მონაცემებზე დაყრდნობით, ევროკავშირი დაახლოებით 54 %-ით დამოკიდებულია ენერგოიმპორტზე. იხ. Rostowska M. Energising TTIP: A Step towards Better EU Energy Security. PISM Bulletin, № 57, 2014, 652.

^{234.} Delvaux B. EU Law and Development of a Sustainable, Competitive and Secure Energy Policy: Opportunities and Shortcomings, Ph.D. Dissertation, Katholieke Universiteit Leuven, 2011, 64.

^{235.} Communication from the Commission to the European Council, the European Parliament, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions, 'Energy 2020 A Strategy for Competitive, Sustainable and Secure energy, COM(2010)639, 10.11.2010.

ენერგეტიკული მისწრაფება წარმოადგინა. დოკუმენტში ასახულია ევროკავშირის გრძელვადიანი ხედვა დაბალნახშირბადიანი ენერგეტიკული ეკონომიკის განვითარებისათვის და განსაზღვრულია 2020 წლისთვის მისაღწევი სავალდებულო სამიზნე მაჩვენებლები:

- სათბურის გაზების ემისიის შემცირება 20 %-ით (პრეინდუსტრიულ დონესთან (1990 წელი) შედარებით);
- ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება 20 %-ით;
- განახლებადი ენერჯის ხვედრითი წილის ზრდა 20 %-ით.

სავალდებულო სამიზნე მაჩვენებლების გარდა, სტრატეგიამ ევროკავშირის ენერგოპოლიტიკის სამი ფუძემდებლური მიზანი (შემდგომში „სამი მიზანი“) გამოკვეთა: კონკურენცია-ლიბერალიზაცია, მდგრადი განვითარება და მიწოდების უსაფრთხოება (ენერგოუსაფრთხოება).²³⁶ სამი მიზანი ენერგეტიკის ეკონომიკურ, გარემოსდაცვით და უსაფრთხოების ასპექტებს მოიცვას და გაცილებით მეტია, ვიდრე პოლიტიკის დოკუმენტი. ის ასევე გვხვდება ევროკავშირის სადამფუძნებლო ხელშეკრულების 194-ე მუხლში,²³⁷ რომელიც სფეროში მიღებული ნებისმიერი საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტის იურიდიული საფუძველია.²³⁸ ნაშრომის ამ ნაწილში კი ის უნდა აღინიშნოს, რომ სამი მიზანი ურთიერთშემავსებელი პრინციპია და ევროკავშირის მიერ სფეროში გატარებული პოლიტიკა მათ შესრულებას ერთობლივად, თანმიმდევრულად უნდა ემსახურებოდეს.²³⁹ დაუშვებელია ერთისთვის მეორე ან მესამე მიზნის უგულებელყოფა.

²³⁶ Talus K. EU Energy Law and Policy: A critical Account, Oxford University Press, 2013, 56.

²³⁷ TFEU, 194 (1).

²³⁸ ამ საკითხს დეტალურად ქვემოთ შევხებით.

²³⁹ Delvaux B. EU Law and Development of a Sustainable, Competitive and Secure Energy Policy: Opportunities and Shortcomings, Ph.D. Dissertation, Katholieke Universiteit Leuven, 2011, 34.

2.1. კლიმატის ცვლილება

დღეს, სამეცნიერო და პოლიტიკურ დისკუსიებში ჭარბობს ორი სიტყვა: „კლიმატი“ და „ცვლილება.“²⁴⁰ კლიმატის ცვლილება დიდ ზემოქმედებას ახდენს მსოფლიო მოსახლეობის ყოფაზე.²⁴¹ იგი ჩვენი დროის ერთ-ერთი მთავარი გლობალური პრობლემაა, რაც ყველას აზრსა და გონებას თანაბრად მოიცავს. ცნობილია, რომ კლიმატი ელვის სისწრაფით იცვლება, გლობალური დათბობის რისკი მატულობს და პლანეტას საშიშროება ემუქრება.²⁴² ამ რისკების უდიდესი ნაწილი კი ადამიანურ აქტივობას უკავშირდება. წიაღისეული საწვავის გადამუშავება, გაუტყეურება და სხვა სამრეწველო პროცესები ხელს უწყობს მავნე სათბურის გაზების გაფრქვევას და მათ ატმოსფერულ ჰაერში კონცენტრაციას.

ჰალმის მიხედვით, კლიმატის ცვლილება გარემოსდაცვითი, კულტურული და პოლიტიკური ფენომენია, რომელიც დიამეტრალურად ცვლის ჩვენს შეხედულებებს საკუთარ თავზე, საზოგადოებასა და დედამიწაზე.²⁴³ ერთი შეხედვით, კლიმატის ცვლილების პრობლემა გარემოსდაცვითი პრობლემა უფროა, ვიდრე ენერგეტიკული, თუმცა იგი დიდი დოზით არის დაკავშირებული ენერგოსექტორთან. საგულისხმოა, რომ ევროკავშირის მიერ ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა, სათბურის გაზების, გაფრქვევის 80 % სწორედ ენერგიაზე მოდის.²⁴⁴ გასათვალისწინებელია: ა) როგორ, რა გზით მოიპოვება ენერგია (ტრადიციული თუ ალტერნატიული წყაროები); ბ) რამდენად უდანაკარგოა ენერგიის ტრანსპორტირება (გადამცემი ხაზებისა და მილსადენების გამართულობა); გ) სწორად არის თუ არა დარეგულირებული ენერგომომხმარებლის მიერ მიწოდებული ენერგიის გამოყენების საკითხები (ენერგიის დაზოგვისა და ენერგოეფექტურობის მოთხოვნები).²⁴⁵

²⁴⁰ Fräss-Ehrfeld C. Renewable Energy Sources, Climate Change Law, Policy and Practice Series, Kluwer Law International, 2006, 3.

²⁴¹ Mayer B. The International Law on Climate Change, Cambridge University Press, 2018, 11.

²⁴² იხ. Dennis L. Hartmann et al. Observations: atmosphere and surface. წიგნში: Stocker T. F. et al (ed.) Climate Change 2013: The Physical Science Basis, Cambridge University Press, 2013, 165-180.

²⁴³ Hulme M. Why We Disagree about Climate Change, Cambridge University Press, 2009, 1.

²⁴⁴ Delvaux B. EU Law and Development of a Sustainable, Competitive and Secure Energy Policy: Opportunities and Shortcomings, Ph.D. Dissertation, Katholieke Universiteit Leuven, 2011, 9.

²⁴⁵ იქვე, 51.

აღნიშნულის გათვალისწინებით ევროკავშირმა კლიმატის ცვლილების სფეროში²⁴⁶ ნეგატიური მოვლენების შერბილებისათვის არა მხოლოდ ძირითადი სამართლებრივი აქტების რატიფიცირება მოახდინა, არამედ ერთ-ერთი გლობალური ლიდერის პოზიცია იკისრა.²⁴⁷

გაერთიანება წამყვანია კლიმატის საერთაშორისო მოლაპარაკებებში.²⁴⁸ ეს პროცესები 1992 წლის რიოს კონფერენციითა²⁴⁹ და კლიმატის ცვლილების გაეროს ჩარჩო კონვენციის²⁵⁰ მიღებით დაიწყო. უმნიშვნელოვანესია კონვენციის თანამდევი საერთაშორისო ინსტრუმენტების - კიოტოსა (1997)²⁵¹ და პარიზის (2015)²⁵² დამატებითი ოქმების ფუნქცია.²⁵³ ყველა ზემოთ დასახელებული კლიმატის გლობალური პროცესების წარმატებაში „კატალიზატორის“ ფუნქცია იკისრა ევროკავშირმა.²⁵⁴

ევროკავშირი და მისი წევრი სახელმწიფოები ასევე აქტიურად მონაწილეობენ კლიმატისა და ენერჯეტიკის ისეთ საერთაშორისო ფორუმებში, როგორებიც არის: კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისი პანელი (IPCC), ენერჯეტიკული ქარტია (ECT),²⁵⁵ დიდი რვიანი და ოციანი (G8 და G20), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD),

²⁴⁶ Communication from the Commission to the European Parliament, the European Council, the Council, the European Economic and Social Committee, the Committee of the Regions and the European Investment Bank, 'A Clean Plan for All,' COM(2018) 773 final, 28.11.2018.

²⁴⁷ „მწვანე ფურცელი“ ევროპის ენერჯეტიკული სტრატეგიის შესახებ, <<https://www.euractiv.com/section/science-policy-making/links/dossier/energy-green-paper-what-energy-policy-for-europe/>> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 05.04.2019.

²⁴⁸ Leal-Arcas R., Wouters J. Research Handbook on EU Energy Law and Policy, Edward Elgar Publishing, 2017, 41.

²⁴⁹ რიოს დედამიწის სამიტი <<http://publications.gc.ca/Collection-R/LoPBdP/BP/bp317-e.htm>> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 12.04.2019.

²⁵⁰ United Nations Framework Convention on Climate Change (UNFCCC).

²⁵¹ Kyoto Protocol <<https://unfccc.int/process-and-meetings/the-kyoto-protocol/what-is-the-kyoto-protocol/what-is-the-kyoto-protocol>> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 12.04.2019.

²⁵² Paris Agreement <<https://unfccc.int/process-and-meetings/the-paris-agreement/what-is-the-paris-agreement>> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 12.04.2019.

²⁵³ Fräss-Ehrfeld C. Renewable Energy Sources, Climate Change Law, Policy and Practice Series, Kluwer Law International, 2006, 47.

²⁵⁴ ob. Van Calster G., Deketelaere K. Amsterdam, the Intergovernmental Conference and Greening the EU Treaty, European Environmental Law Review, 1998, 15.

²⁵⁵ ენერჯეტიკული ქარტია <<https://energycharter.org/>> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 25.04.2019.

საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტო (IEA)²⁵⁶ და სხვ.²⁵⁷ გაერთიანებამ გადამწყვეტი როლი შეასრულა კიდევ უფრო გლობალურ - გაეროს 2030 მდგრადი განვითარების დღის წესრიგის (Agenda 2030)²⁵⁸ შემუშავებაშიც.²⁵⁹ ბევრისთვის თავად ტერმინი - „მდგრადი განვითარება,“ რომელიც ნაშრომის პირველ ნაწილში უფრო სიღრმისეულად შევისწავლეთ, ევროპული „ბრენდია.“²⁶⁰

საერთაშორისო ასპარეზზე აქტიურობა არ არის ევროკავშირის ერთადერთი ძლიერი მხარე. აბციურია კლიმატისა და ენერგეტიკის საშინაო პოლიტიკა და 2010 წელს დამტკიცებული სამიზნე მაჩვენებლები, რასაც მოკლედ წინა ქვეთავში შევხებით.²⁶¹ კიდევ უფრო ახლო წარსულში, 2014 წლის ოქტომბერში, ევროკავშირმა მიიღო ენერგეტიკისა და კლიმატის პოლიტიკის ერთიანი დოკუმენტი,²⁶² რომელმაც გაერთიანების გრძელვადიანი გეგმა ჩამოაყალიბა.

უფრო კონკრეტულად, 2014 წელს მიღებულმა სტრატეგიამ 2020 წლისთვის მისალწევი ამბიცია გაზარდა და 2030 წლისთვის²⁶³ შემდეგი სამიზნე მაჩვენებლები განსაზღვრა:

- სათბურის გაზების ემისიის შემცირება 40 %-ით (პრეინდუსტრიულ დონესთან (1990 წელი) შედარებით);
- ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება 32 %-ით;

²⁵⁶. საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტო, <<https://www.iea.org/>> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 12.04.2019.

²⁵⁷. ევროკავშირის კლიმატის ცვლილების საერთაშორისო მოლაპარაკებებში <https://ec.europa.eu/clima/policies/international/negotiations_en> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 12.04.2019.

²⁵⁸. 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის, <https://ec.europa.eu/europeaid/policies/european-development-policy/2030-agenda-sustainable-development_en> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 02.04.2019.

²⁵⁹. Leal-Arcas R., Wouters J. Research Handbook on EU Energy Law and Policy, Edward Elgar Publishing, 2017, 42.

²⁶⁰. იქვე, 43.

²⁶¹. Woerdman E., Roggenkamp M., Holwerda M. Essential EU Climate Law, Edward Elgar Publishing, 2015, 11.

²⁶². Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions, 'A policy framework for climate and energy in the period from 2020 to 2030,' COM(2014) 15 final, 22.01.2014.

²⁶³. ევროკავშირის 2030 ენერგეტიკული სტრატეგია, <<https://ec.europa.eu/energy/en/topics/energy-strategy-and-energy-union/2030-energy-strategy>>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 01.04.2019.

- განახლებადი ენერჯის ხვედრითი წილის ზრდა 32 %-ით.²⁶⁴

აღნიშნული დათქმა მოტივირებულია ზემოხსენებული პარიზის ხელშეკრულების მიღებით 2015 წლის დეკემბერში (ძალაში შესვლა: 2016 წლის 4 ნოემბერი), რომელსაც უმაღლეს 175 სახელმწიფო შეუერთდა.²⁶⁵ ხელშეკრულების თანახმად, „დეკარბონიზაცია“²⁶⁶ გახდება გლობალური ენერჯეტიკული პოლიტიკის ქვაკუთხედი, რაც უახლოესი ათწლეულების განმავლობაში უნდა იქნეს მიღწეული.²⁶⁷ შეუძლებელია ყურადღების მიღმა დარჩეს 2018 წლის კლიმატის ცვლილების გაეროს ჩარჩო კონვენციის მხარეთა 24-ე შეხვედრა (COP) პოლონეთის ქალაქ კატოვიცეში, სადაც პარიზის ხელშეკრულების სრული და ყოვლისმომცველი იმპლემენტაციისთვის სპეციალური „წესების წიგნი“ შემუშავდა.²⁶⁸

ყველა ეს თანამდევი პროცესი მიუთითებს იმაზე, რომ კლიმატის ცვლილების გლობალური პრობლემის წინააღმდეგ ბრძოლას ევროკავშირი არ ხედავს ენერჯეტიკის სექტორისაგან დამოუკიდებლად. ევროკავშირის ენერჯეტიკული დიპლომატიის ასეთი ტენდენცია (დაწვრ. იხ. ნაშრომის მესამე ნაწილი) იმას აჩვენებს, რომ ადგილი აქვს ენერჯეტიკისა და კლიმატის ცვლილების ერთიანი პოლიტიკის, ე.წ. „საერთო პორტფელის“ (*piggyback*) შექმნას (ჰილი და სხვ., 2017).²⁶⁹

შესაბამისად, სათბურის გაზების ემისიების შემცირების პროპორციულად უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ამოუწურავი

²⁶⁴ 2018 წლამდე ევროკავშირის სამიზნე მაჩვენებლები განახლებადი ენერჯისა და ენერჯოეფექტურობის ნაწილში შეადგენდა 27 %-ს. ამ საკითხს დაწვრილებით ნაშრომის მეოთხე ნაწილში შევხებით.

²⁶⁵ Mayer B. *The International Law on Climate Change*, Cambridge University Press, 2018, 46.

²⁶⁶ აუცილებელია აღინიშნოს, რომ ტერმინი „დეკარბონიზაცია“ არ შეინიშნება პარიზის ხელშეკრულების ოფიციალურ ტექსტში, მაგრამ ბევრ ავტორს მიაჩნია, რომ წინასწარ განსაზღვრული ეროვნული წვლილის (NDC) შესრულებაში უპირველესად დეკარბონიზაციას სტრატეგია იგულისხმება. დაწვრ. იხ. Sachs J. *Implementation the Paris Agreement – Achieving Deep Decarbonization in the Next Half Century*, Centre for International Relations and Sustainable Development, 2016.

²⁶⁷ Leal-Arcas R., Wouters J. *Research Handbook on EU Energy Law and Policy*, Edward Elgar Publishing, 2017, 30.

²⁶⁸ COP 24 ძირითადი შედეგები <<https://www.carbonbrief.org/cop24-key-outcomes-agreed-at-the-un-climate-talks-in-katowice>> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 03.04.2019.

²⁶⁹ Hill C., Smith M., Vanhoonacker S. *International Relations and the European Union*, Oxford University Press, 2017, 369.

ენერგეტიკული მარაგი, დაბალნახშირბადიანი ტექნოლოგიური ზრდა და ე.წ. „მწვანე განვითარება.“²⁷⁰ ამ ყოველივემ კი უნდა გამოიწვიოს არა ხარჯების მატება, არამედ მეტი ეფექტურობა, ეკონომიკური მდგრადობა და გარემოსდაცვითი მიზნების რეალიზება.²⁷¹

კლიმატისა და ენერგეტიკის პოლიტიკის ურთიერთშერწყმა გათვალისწინებული უნდა იქნეს ახალი ქართული ენერგეტიკული პოლიტიკის შემუშავების საქმეში. ამორტიზებული და მოძველებული ენერგოკანონმდებლობის გაჯანსაღება უნდა დაეფუძნოს მდგრადი, მწვანე ენერგეტიკის პრინციპებს. ამ საკითხს დაწვრილებით ნაშრომის დასკვნით, მეოთხე ნაწილში შევხებით, სადაც ქართული განახლებადი ენერჯის სამართლის ევროპეიზაციაზე დეტალურად ვიმსჯელებთ.

2.2. ენერგოუსაფრთხოებიდან საგარეო ენერგეტიკულ პოლიტიკამდე

ენერგეტიკული უსაფრთხოება ენერგორესურსების უწყვეტ და უსაფრთხო მოხმარებას ნიშნავს.²⁷² იგი ეროვნული უსაფრთხოების და საგარეო პოლიტიკური სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. ეს გაპირობებულია ენერგეტიკული დამოუკიდებლობისკენ სწრაფვით.²⁷³ ყველა ქვეყნისთვის ეროვნული უსაფრთხოების საფუძველია ნაკლები ენერგოდამოკიდებულება უცხოურ ენერგორესურსებზე. ეს არ ეხება მხოლოდ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს. ენერგეტიკულ რესურსებზე მუდმივი წვდომა და ენერგეტიკული უსაფრთხოების გამოუჯობესება საქართველოს ენერგოპოლიტიკის ძირითადი საკითხია. იგი ეროვნული დამოუკიდებლობის რანგშია აყვანილი.²⁷⁴

²⁷⁰ იგულისხმება “Green Growth.” იხ. Hepburn C., Pfeiffer A., Teytelboym A. Green Growth, The New Oxford Handbook of Economic Geography, 2018, 749-769.

²⁷¹ Woerdman E., Roggenkamp M., Holwerda M. Essential EU Climate Law, Edward Elgar Publishing, 2015, 28.

²⁷² Moussis N. Access to the European Union: Law, Economics, Politics, Intersentia, 2016, 573.

²⁷³ ფარცვანია მ. გარანტირებული სიმძლავრე: სამართლებრივი მოწესრიგება და საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა, ლადო ჭანტურია 55, თბ., 2018, 142.

²⁷⁴ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების ახლად დანიშნული მინისტრის (აპრილი, 2019) მიხედვით, ეროვნული დამოუკიდებლობა და ენერგეტიკული დამოუკიდებლობა სინონიმური ცნებებია. <[https://www.bm.ge/ka/article/quotchveni-erovnuli-damoukidebloba-da-energetikuli-](https://www.bm.ge/ka/article/quotchveni-erovnuli-damoukidebloba-da-energetikuli)

საქართველოს ენერგეტიკის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განმსაზღვრელი დადგენილებით, ენერჯის უწყვეტად და მისაღებ ფასად მიწოდება საქართველოს ენერგეტიკის სამართლის ქვაკუთხედი.²⁷⁵ ენერგეტიკული უსაფრთხოების პრობლემა მიწოდების უსაფრთხოების პრობლემაა. გარემოებას ის ართულებს, რომ არ არსებობს მსოფლიო დონეზე ენერგეტიკული უსაფრთხოების შესახებ დიალოგის მრავალმხრივი ფორმატი.

ენერგოუსაფრთხოების ძირითადი ამოცანა არის ენერჯიაზე მოთხოვნის, მასზე დამოკიდებულების შემცირება და ენერგეტიკული სისტემის მდგრადობა.²⁷⁶ რთულად თუ მოიძებნება მსოფლიოში ისეთი ქვეყანა, ან რეგიონი, რომელიც, თუნდაც მინიმალური დოზით, არაა დამოკიდებული ენერგოიმპორტზე.²⁷⁷ ეს ეხება ევროკავშირსაც.²⁷⁸ ხშირად, ევროპა საკუთარ ენერგოდეფიციტს ისეთ ქვეყნებთან თანამშრომლობით ავსებს,²⁷⁹ რომლებიც ენერგეტიკას ევროკავშირთან ურთიერთობის პოლიტიკურ „იარაღად“ იყენებენ.²⁸⁰ შესაბამისად, ენერგოუსაფრთხოების რისკები და მოთხოვნა-მიწოდების სათანადო უზრუნველყოფა სულ უფრო და უფრო მწვავე პრობლემა

damoukidebloba-sinonimebiaquot/32744> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 12.04.2019.

²⁷⁵ საქართველოს პარლამენტის N3758-III დადგენილება „საქართველოს ენერგეტიკის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების თაობაზე“, 2015, მუხლი 1.

²⁷⁶ მწვანე ალტერნატივა, მდგრადი ენერგეტიკის განვითარების წინაპირობები საქართველოში, თბ. 2007, 4.

²⁷⁷ Fatouros A. A. An International Legal Framework for Energy, Hague Academy of International Law, Vol. 332, 2007, 403.

²⁷⁸ Andoura S., Hancher L., Van der Woude M. Towards a European Energy Community: A Policy Proposal. Notre Europe, 2010, 56.

²⁷⁹ 2016 წლის მონაცემებით ევროკავშირის მთავარი ენერგოპარტნიორი ქვეყნებია: რუსეთი, ნორვეგია, ლიბია, ყატარი, ალჟირი და საუდის არაბეთი. იხ. <<https://ec.europa.eu/energy/en/topics/international-cooperation/eu-cooperation-other-countries>> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 11.04.2019.

²⁸⁰ Leal-Arcas R., Rios A. J. The Creation of European Energy Union, European Energy Journal Vol. 5, № 3, 2015, 24.

ხდება ევროპისთვის²⁸¹ და ევროპაც აქტიურადაა დაკავებული საკუთარი ენერგეტიკული წყაროების დივერსიფიკაციით.²⁸²

ფუნქციური და უსაფრთხო შიდა ევროპული ენერგობაზარი წარმოუდგენელია საგარეო ფაქტორების გათვალისწინების გარეშე.²⁸³ ჯერ კიდევ 2006 წელს აცხადებდა ევროკომისია, რომ ენერგეტიკა ევროპის საგარეო ურთიერთობების ცენტრალური ელემენტია.²⁸⁴ ამ პოლიტიკას ევროკავშირი ერთგვარი პან-ევროპული ენერგეტიკული გაერთიანების ჩამოყალიბებით ახორციელებს. ამით ის, ერთი მხრივ, დღევანდელ და ხვალინდელ ევროპელ მომხმარებლებს იცავს გაუთვალისწინებელი ენერგეტიკული რისკებისაგან. მეორე მხრივ კი „საერთო სიკეთის“²⁸⁵ მაკეთებლადაც გვევლინება, რადგან მდგრადი ენერგეტიკის პრინციპებზე დაფუძნებულ იდეოლოგიას ფარგლებს გარეთ ავრცელებს მის.²⁸⁶ ამ საკითხზე ვრცლად დისერტაციის მესამე ნაწილში ვიმსჯელებთ.

²⁸¹ ეს პრობლემა განსაკუთრებულად მწვავედ იდგა 90-იან წლებში. შედეგად, 1994 წელს ევროკომისიამ მიიღო „მწვანე ფურცელი“, რომელმაც ევროკავშირის ენერგეტიკული პოლიტიკის საგარეო ასპექტის მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება, განსაკუთრებით მიწოდების უსაფრთხოების თვალსაზრისით. იხ. “მწვანე ფურცელი” ევროპის ენერგეტიკული სტრატეგიის შესახებ, <<https://www.euractiv.com/section/science-policy-making/links/dossier/energy-green-paper-what-energy-policy-for-europe/>> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 05.04.2019.

²⁸² ევროკომისიის დირექტივები და რეგულაციები, რომლებიც 1973 დან 1988 წლებში იქნა მიღებული ძირითადად სწორედ მოთხოვნა-მიწოდების საკითხების რეგულირებას შეეხებოდა და იმპორტ-ექსპორტის კოორდინაციის ელემენტებს განიხილავდა. აღნიშნულ საკითხზე და ენერგორესურსების „დივერსიფიკაციაზე“ იხ. Leal-Arcas R., Wouters J. Research Handbook on EU Energy Law and Policy, Edward Elgar Publishing, 2017, 123.

²⁸³ იქვე.

²⁸⁴ Hill C., Smith M., Vanhoonacker S. International Relations and the European Union, Oxford University Press, 2017, 361.

²⁸⁵ იგულისხმება “Global Common.” იხ. Hill C., Smith M., Vanhoonacker S. International Relations and the European Union, Oxford University Press, 2017, 360.

²⁸⁶ იხ. სამხარაძე ი. ევროპის ენერგეტიკის სამართლის საგარეო ასპექტები და მისი ზეგავლენა ქართულ კანონმდებლობაზე, სამართლის ჟურნ., № 1, 2018, 241-256.

3. ევროპის ენერგორეგულირების ისტორია²⁸⁷

3.1. ენერგეტიკა - ევროპული ინტეგრაციის სათავე

როგორც ნაშრომის პირველ ნაწილში აღინიშნა, ისტორიულად, ენერგეტიკა და მისი რეგულირება ევროპის გაერთიანების ფუნდამენტია. საერთო ევროპულ წესებზე შეთანხმებას საწყის ეტაპზე, რომელსაც „ომი და მშვიდობაც“²⁸⁸ შეიძლება ვუწოდოთ, ევროკავშირის დამფუძნებელმა მამებმა²⁸⁹ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ „გახლეჩილი“ ევროპის გაერთიანება სწორედ ორი ენერგეტიკული რესურსის - ქვანახშირისა და ფოლადის ერთიანი ევროპული მართვის იდეას დაუკავშირა.

დასაბამიდან ენერგეტიკა ევროპისთვის პოლიტიკურად დელიკატური და სტრატეგიული საკითხია. ნაშრომის პირველ ნაწილში ვისაუბრეთ ენერგეტიკული წყაროების სუვერენიტეტის შესახებ და განვსაზღვრეთ ეროვნული სიმდიდრეების, ბუნებრივი რესურსების პატივისცემის უფლება. ეს ევროპის კონტინენტსაც ეხება, სადაც ენერგორესურსები დღემდე ეროვნული კუთვნილების საკითხს წარმოადგენს. მით უფრო უმნიშვნელოა ამ მხრივ წარსული გამოცდილება, სადაც მაღალია ცალკეული ქვეყნის დომინანტური ინტერესები.²⁹⁰

„შუმანის გეგმით“²⁹¹ განახლებული ევროპული პოლიტიკური იდეოლოგია ქვანახშირისა და ფოლადის წარმოების ერთიან კონტროლს უნდა დამყარებოდა.²⁹² შედეგად, ევროკავშირის

²⁸⁷. ამ ქვეთავზე მუშაობისას განსაკუთრებული გავლენა იქონია ავტორის დისკუსიებმა პროფსორ იან ვოუტერსთან და დოქტორო ბრამ დელვოსთან (ლიუვენის უნივერსიტეტი, ბელგია).

²⁸⁸. მუხიგულიშვილი გ. ენერგეტიკული გაერთიანება და საქართველო, ევროპის ენერგეტიკული გაერთიანება და რეფორმები საქართველოს ენერგეტიკაში, თბ., 2017, 117.

²⁸⁹. ევროკავშირი მის დამფუძნებელ მამად 11 ადამიანს ასახელებს, რომელთა შორისაა კონრად ადენაური, რობერტ შუმანი, ჟან მონე და ვალტერ ჰანსშტაინი. დაწვრ. იხ. Guibernau M. The Birth of a United Europe: on Why the EU Has Generated a 'Non-Emotional' Identity, Nations and Nationalism, Vol. 17 (2), 2011, 302-315.

²⁹⁰. Matlary H. J. Energy Policy in the European Union, Palgrave Macmillan, 1997, 20.

²⁹¹. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა - რობერტ შუმანმა 1950 წლის 9 მაისის დეკლარაციაში წარმოადგინა გეგმა, თუ როგორ დაეკავშირებინა ევროპული ფოლადისა და ქვანახშირის მრეწველობა და დაარსებულიყო ევროპული ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება, (ECSC - European Coal and Steel Community), რომელიც 1952 წელს დაფუძნდა.

²⁹². Talus K. Introduction to EU Energy Law, Oxford University Press, 2016, 1.

სადამფუძნებლო სამი კონსტიტუციური ხასიათის ხელშეკრულებიდან²⁹³ ორი უშუალოდ ენერგეტიკაზეა კონცენტრირებული.²⁹⁴ ენერგოსექტორის რეგულირების უფლებით აღჭურავს დამფუძნებელ მესამე ხელშეკრულებასაც²⁹⁵ ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო. ცნობილი საქმე *Costa v. Enel*,²⁹⁶ რომელიც დღემდე პიონერულ სახელმძღვანელო გადაწყვეტილებად მიიჩნევა ევროპის სამართლის ეროვნულ სამართლის პრიმატთან მიმართებით, ენერგეტიკულ საკითხებზე ერთგვარ კონსტიტუციურ წრედს ქმნის სამივე სადამფუძნებლო ხელშეკრულების ფარგლებში. აღნიშნული გადაწყვეტილებით, სასამართლომ დაადასტურა, რომ ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეკრულება (1957 წ.) ენერგეტიკის სფეროსაც მოიცავს. ეს პოზიცია სასამართლომ თავის მომდევნო გადაწყვეტილებებში²⁹⁷ გაამყარა, სადაც ხაზი გაუსვა იმას, რომ ენერგეტიკა ევროპის ეკონომიკური აქტივობის ქვაკუთხედი.²⁹⁸

3.1.1. ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება

ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება (European Coal and Steel Community – ECSC), ევროკავშირის ზემოხსენებული სადამფუძნებლო ხელშეკრულებიდან ერთ-ერთია (ამჟამად ძალადაკარგული), რომელიც 1952 წელს პარიზში იქნა მიღებული. შეთანხმების შედეგად, ქვანახშირისა და ფოლადის ნედლი მასალის საბადოების დამუშავების სტანდარტები შეიქმნა, რასაც მომავალში საერთო ევროპული ბაზრის რეგულირება მოჰყვა.

ქვანახშირი მაშინდელი ევროპის ენერგორესურსის 80 %-ს, ხოლო ფოლადი ამ ეკონომიკის ხერხემალს წარმოადგენდა. გარდა ამისა, ქვანახშირიცა და ფოლადიც გამოიყენებოდა იარაღისა და

²⁹³. ევროკავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულებების კომპლექსურობა გაპირობებულია რეგულირების ფართო სპექტრით. ისინი აწესრიგებენ სამართლებრივი ურთიერთობების ყველა ძირეულ კონსტიტუციურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ასპექტებს.

²⁹⁴. The European Coal and Steel Community (ECSC), 1951; European Atomic Energy Treaty, (Euratom Treaty) 1957.

²⁹⁵. European Economic Community Treaty (EEC), 1957.

²⁹⁶. CJEU Case 6/64 *Costa v. Enel*, 1964.

²⁹⁷. C-393/92 *Almelo* [1994] ECR I-1477; C-157/94 *Commission v. Netherlands* [1997] ECR I-5699; C-159/94 *Commission v. Italy* [1997] ECR I-5793; C-158/94 *Commission v. France* [1997] ECR I-5819.

²⁹⁸. Talus K., Aalto P. *Competences in EU energy Policy*, წიგნში: *Leal-Arcas R., Wouters J. Research Handbook on EU Energy Law and Policy*, Edward Elgar Publishing, 2017, 15.

საბრძოლო მასალების დასამზადებლად და შესაბამისად სამხედრო ბერკეტად მიიჩნეოდა. მათ წარმოებასა და გამოყენებაზე ერთიანი კონტროლის დაწესება მოაზრებული უნდა იქნეს, როგორც ა) კონფლიქტის მოგვარება ორ გიგანტ და ისტორიულად მეტოქე ერებს - გერმანიისა და საფრანგეთს შორის;²⁹⁹ ბ) ევროპაში ხანგრძლივი მშვიდობის უზრუნველყოფის ინსტრუმენტი.³⁰⁰

შესაბამისად, ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების ხელშეკრულება უფრო იდეოლოგიური ხასიათის იყო და თავის მიზნები შედარებით პრიმიტიული. თუკი კონტროლი დაწესდებოდა ქვანახშირზე და ფოლადზე, ევროპა, ერთი მხრივ, ეკონომიკურ ბალანს დაიცავდა, ხოლო, მეორე მხრივ, უკეთ მოახდენდა რეაგირებას ომისა და დაძაბულობის საფრთხეებზე. აქედან გამომდინარე, ხელშეკრულებას უსაფრთხოების განმტკიცების ინტერესი უფრო ჰქონდა. იგი არ გამოირჩეოდა ეფექტური ევროპული ინსტრუმენტებით და ერთიანი ენერგეტიკული პოლიტიკის შემუშავების საკითხშიც საკმაოდ მოკრძალებული იყო.³⁰¹

3.1.2. ევროატომი - ევროპის ბირთვული ენერგეტიკის გაერთიანება

ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის ხელშეკრულებისაგან განსხვავებით, უფრო მეტი ენერგოსპეციფიკურობით გამოირჩევა ევროკავშირის სადამფუძნებლო მეორე სამართლებრივი დოკუმენტი ატომური ენერჯის სფეროში - ევროპის ბირთვული ენერგეტიკის გაერთიანება (EURATOM). ხელშეკრულებას ხელი 1957 წელს რომში მოეწერა და ევროკავშირის სადამფუძნებლო ხელშეკრულებებიდან დღემდე მოქმედი (უცვლელი ფორმით) ერთადერთი სამართლებრივი ინსტრუმენტია. აღნიშნული დოკუმენტის ინსტრუმენტალისტად ისევდაისევ *შუმანი-მონეს* საერთო ინიციატივები გვევლინება და გეგმებში შედარებით უფრო ამბიციურია: ევროპის კონტინენტზე საჭირო ენერგორესურსის მობილიზება ეკონომიკური ზრდის შესანარჩუნებლად და ევროპული ატომური ენერჯის სწორი მართვა.

²⁹⁹ იხ. Ackermann A. Reconciliation as a Peace-building in Post-war Europe: The Franco-German Case, A Journal of Peace Research, 1994, 1-23.

³⁰⁰ Matlary H. J. Energy Policy in the European Union, Palgrave Macmillan, 1997, 14.

³⁰¹ იქვე, 1.

ხელშეკრულება მიზნად ისახავს რადიაქტიული ნივთიერებების უსაფრთხო კონტროლს. იგი ბირთვული ენერჯის გამოყენებას მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისთვის უშვებს.³⁰² ხელშეკრულება ასევე გამოირჩევა სფეროში კვლევითი და ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვით.³⁰³ პრეამბულაში აღნიშნულია, რომ ხელშეკრულების მიზანია ისეთი პირობების შექმნა, რომელიც ძლიერი ევროპული ატომური ენერჯის ტექნიკურ მოდერნიზაციას შეუწყობს ხელს.³⁰⁴

ხელშეკრულებას ყურადღების მიღმა დარჩა ნავთობის საერთო წესებზე შეთანხმება, რამდენადაც ნავთობის როლი იმ მომენტისთვის მსოფლიო ინდუსტრიალიზმის საკითხში სათანადოდ ვერ იქნა შეფასებული.³⁰⁵ პროგნოზირებადი არ იყო 70-იანი წლების ნავთობის კრიზისიც,³⁰⁶ რაც, უდავოდ, ხელშეკრულების ნაკლოვანებად უნდა იქნეს მიჩნეული. ამის გამოა, რომ ევროპამ ვერ აიცილა მძიმე შედეგები ნაშრომის პირველ ნაწილში განხილული არაბული ემბარგოს ფონზე.³⁰⁷

ზოგადად, ბირთვული ენერჯია ერთ-ერთ ყველაზე კრიტიკულ და საკამათო ენერგეტიკულ (განახლებად) წყაროდ მიიჩნევა. მომხრეები (მაგ. მსოფლიოს ატომური ასოციაცია) მიიჩნევენ, რომ მისი მოხმარება უსაფრთხოა, მაშინ როცა მოწინააღმდეგეები (მაგ. Greenpeace) ჩერნობილისა და ფუკუშიმას შემთხვევებზე ამახვილებენ ყურადღებას და ამტკიცებენ, რომ ატომური ენერჯია მომეტებული საფრთხის შემცველია მოსახლეობისა და გარემოსთვის.³⁰⁸ მიუხედავად ცხარე კამათისა, დღეს, ევროკავშირის 28 წევრი სახელმწიფოდან თოთხმეტი უშვებს ატომური ელექტროსადგურების ოპერირებას, რომელიც ამარაგებს ევროკავშირის ელექტროენერგეტიკის დაახლოებით 30%-ს და მთლიანი ენერგომოხმარების 15%-ს.³⁰⁹ ნებისმიერ შემთხვევაში, ატომური ენერჯის ცალკეული ევროპული სახელმწიფოების მიერ

³⁰² Kanellakis M., Martinopoulos G., Zachariadis T. European Energy Policy – A Review, Elsevier Energy Policy Journal, Vol. 62, 2013, 1020.

³⁰³ Talus K. EU Energy Law and Policy: A critical Account, Oxford University Press, 2013, 7.

³⁰⁴ ევროატომის ხელშეკრულება, პრეამბულა.

³⁰⁵ Matlary H. J. Energy Policy in the European Union, Palgrave Macmillan, 1997, 16.

³⁰⁶ იხ. ნაშრომის პირველი ნაწილი.

³⁰⁷ დისკუსია იენის უნივერსიტეტის პროფესორ მატეას კნაუფთან (ენერგეტიკის სამართალი), ოქტომბერი, 2017.

³⁰⁸ Steinhäuser G., Brandl A., Johnson T. E. Erratum to Comparison of the Chernobyl and Fukushima Nuclear Accidents: A Review of the Environmental Impacts, Elsevier Science of Total Environment, 487, 2014, 575.

³⁰⁹ Krüger H. European Energy Law and Policy, Edward Elgar Publishing, 2016, 163.

გამოყენება მათსავე საშინაო პოლიტიკაზეა დამოკიდებული. ლისაბონის ხელშეკრულების 194-ე მუხლი, ამ საკითხში ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს სრულ დამოუკიდებლობას ანიჭებს.³¹⁰

3.2. „პარადიგმის ცვლილება“ ენერგეტიკაში

შუმანმა თავის 1951 წლის საკვანძო დეკლარაციაში ქვეყნებს ევროპის „საერთო მმართველობის“ იდეისკენ მოუწოდა.³¹¹ იგი მალევე იქცა რეალობად, როდესაც 1967 წელს ევროპამ ე.წ. „შერწყმის ხელშეკრულება“ მიიღო.³¹² შედეგად, წარმოიშვა ერთიანი ევროპული მმართველობითი ინსტიტუტები (საბჭო, პარლამენტი, კომისია), რომლებიც ევროკავშირის საერთო პრინციპებისა და საქმიანობის გამტარებლად წარმოჩინდნენ და დღემდე ასეთებად რჩებიან. ამას პირდაპირი კავშირი აქვს ენერგეტიკის სექტორთან. ევროპა გაერთიანებული ძალებით და ჰარმონიზებული კანონმდებლობით უფრო ეფექტური იქნება ენერგოგამოწვევების წინააღმდეგ, ვიდრე ცალკე აღებული წევრი სახელმწიფოები.³¹³

ამ იდეოლოგიას ეფუძნება ევროკავშირის ენერგეტიკული პოლიტიკა, რომელიც ენერგოსექტორის ზეეროვნული (სუპრანაციონალური) მოწყობისკენაა მიმართული.³¹⁴ იგი ასევე გულისხმობს ერთიანი ენერგეტიკული ინდუსტრიის შექმნას,³¹⁵ წევრი სახელმწიფოების გათავისუფლებას მონოპოლიებისაგან (ოლიგოპოლიისაგან) და ეროვნული ენერგოპოლიტიკის რესტრუქტურირებისაგან, მეტ გამჭვირვალობას და თავისუფლებას. *კელმის* მიხედვით, ევროპული ენერგოპოლიტიკის მთავარი დანიშნულება ისაა, რომ სახელმწიფო მაქსიმალურად

³¹⁰ TFEU, 194 (2).

³¹¹ Schuman Declaration <https://europa.eu/european-union/about-eu/symbols/europe-day/schuman-declaration_en> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 12.07.2019.

³¹² ეს საკითხი მთელ რიგ ევროპული ინტეგრაციის პროცესებს მოიცავს, თუმცა ეს აღნიშნული ნაშრომის ინტერესს არ წარმოადგენს. ამ საკითხთან დაკავშირებით, იხ. <https://europa.eu/european-union/law/treaties_en> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 02.04.2019.

³¹³ Ganova A. European Union Energy Supply Policy: Diversified in Unity? Institut Européen des Hautes Etudes Internationales, 2007, 35-45.

³¹⁴ ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. ბრეგაძე რ. მატერიალური სუპრანაციონალიზმი ევროპის სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, თბ., 2005, 336.

³¹⁵ Walde T. The Role of Selected International Agencies in the Formation of International Energy Law and Policy Towards Sustainable Development, Energy Law and Sustainable Development, IUCN, 2003, 171-173.

„ჩამოშორდეს“ ენერგოსექტორს. სწორედ ამის ინსტრუმენტად მიიჩნევა ბაზრის ლიბერალიზაცია, დერეგულირება,³¹⁶ პრივატიზაცია და კონკურენცია,³¹⁷ როგორც ძირითადი ევროპული ენერგეტიკული პრინციპები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ასეთი ენერგოსექტორი კონკურენტუნარიანი გენერაციისა და მიწოდების საქმიანობის განცალკევებას, სრულ ტექნიკურ და იურიდიულ გამოყოფას მოითხოვს ენერგეტიკული სისტემის დანარჩენი სეგმენტებისაგან.³¹⁸

თუ მონოპოლია განიმარტება, როგორც სიტუაცია ბაზარზე, როცა ერთი კომპანია (ფირმა, მწარმოებელი) ფლობს ბაზრის გარკვეულ სეგმენტზე არსებულ ყველა ან თითქმის ყველა სახის პროდუქტს ან მომსახურებას,³¹⁹ მაშინ კონკურენცია მონოპოლიის საპირისპირო მდგომარეობაა. კონკურენტული გარემოს ჩამოსაყალიბებლად მსხვილი კომპანიების დანაწევრება გაცილებით იოლია პრივატიზაციის პროცესის დროს. პრივატიზაცია ბაზრის ლიბერალიზაციის წინა ეტაპია, თუმცა ეს უკანასკნელი ყოველთვის არ მოითხოვს პრივატიზაციას. მაგალითად, ნორვეგიაში (ევროკავშირის არა წევრი ქვეყანა) კონკურენტული გარემო ჩამოყალიბდა მთლიანად სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ.³²⁰ ამისთვის აუცილებელია ეფექტური ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების არსებობა. მიუხედავად სხვადასხვა წევრ სახელმწიფოებში არსებული შერეული საკუთრების (კერძო, სახელმწიფო) სტრუქტურისა, კონკურენცია მიღწეულია თითქმის ყველა ევროპულ ქვეყანაში და მომხმარებლებს შეუძლიათ თავისუფლად აირჩიონ ენერჯის მიმწოდებლები.³²¹

აღნიშნული პრინციპების ირგვლივ გაერთიანებას და მდგრადი ენერგეტიკის აღმოცენებას თავისუფლად შეიძლება

³¹⁶ „ტრანსპორტირების ან განაწილების ტარიფის დადგენის გარეშე საქმიანობის უფლების მინიჭება.“ საქართველოს კანონი „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“, მუხლი 2 (ჯ).

³¹⁷ ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკის ტრანსფორმაციული პროცესის ერთ-ერთ უმთავრეს შედეგს კერძო სექტორის ჩამოყალიბება და მეწარმეობის განვითარება წარმოადგენს. აღნიშნული ეკონომიკური მოვლენის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს კი პრივატიზაცია ასრულებს. იხ. OECD Proceedings, Privatization, Competition and Regulation, Center for Cooperation with Non-members, 2000.

³¹⁸ თავაძე გ., ქავთარაძე ი., ჩომახიძე დ., მენაბდე დ. ენერგეტიკის რეგულირება: თეორია და პრაქტიკა, თბ., 2006, 59.

³¹⁹ იქვე, 9.

³²⁰ იქვე, 61.

³²¹ იქვე.

ეწოდოს „პარადიგმის ცვლილება“ ენერგეტიკაში.³²² ტომას კუნის განმარტებით,³²³ ამ ტიპის პარადიგმა გულისხმობს აზროვნების „რევოლუციას,“ იდეების ცვლილებას, როდესაც ალტერნატიული ინტელექტუალური შეხედულება ანაცვლებს აქამდე არსებულ საზოგადოდ მიჩნეულ მოძველებულ აზრს. ჩვენს მოცემულობაში, ეს იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ თავისუფალი კონკურენციის პირობებში გახდება ენერგოსექტორი უფრო ეფექტური და მომხმარებლებზე ორიენტირებული. ასეთ დროს ისარგებლებენ ისინი მიწოდების ალტერნატივებით და ბაზრის მიერ დარეგულირებული შედარებით დაბალი ფასებით. იგი ასევე ხელს შეუწყობს მწვანე ენერჯის განვითარებას, რაც ახალი სიტყვაა ენერგოინვესტირების, სფეროში კერძო სექტორის შესაძლებლობების ზრდის და ახლებური ენერგეტიკული მიდგომების თვალსაზრისით. ის, რომ „პარადიგმის ცვლილება“ ევროპული ენერგეტიკის ამოსავალი იდეაა, ნათლად ჩანს გაერთიანების მარეგულირებელი გარემოს და შესაბამისი სამართლებრივი ინსტრუმენტების გაანალიზების ფონზე. ამ საკითხს ნაშრომის მომდევნო თავი შეეხება.

4. ევროკავშირის შიდა ენერგეტიკული ბაზარი

ევროპის ენერგეტიკული პოლიტიკის რეალიზების საქმეში გადაწყვეტი ადგილი უჭირავს ევროპის ენერგეტიკის სამართლის აღსრულებას,³²⁴ ანუ ევროკავშირის სადამფუძნებლო ხელშეკრულებისა და სხვა დამატებითი მეორეული კანონმდებლობის სათანადო იმპლემენტაციას.³²⁵ ამ მხრივ,

³²² იხ. Helm D. The New Energy Paradigm. Oxford University Press, 2005, 1 და Heffron J. Talus K. The Development of Energy Law in the 21st Century: A Paradigm Shift? Journal of World Energy Law and Business, Vol. 9 (3), 2016. 89.

³²³ დეტალური მსჯელობა ცდება ნაშრომის მიზანს. დაწვრ. იხ.: Kuhn S. T. The Structure of Scientific Revolutions, International Encyclopedia of Unified Science, Vol. 2 (2), 1962.

³²⁴ სფეროში პოლიტიკისა და სამართლის ურთიერთმიმართების საკითხთან დაკავშირებით იხ. Esch V. D. B. Legal Aspects of a European Energy Policy, Common Market Law Review, 1965 (2), 139–167 და Omorogbe Y. Promoting Sustainable Development through the Use of Renewable Energy: The role of the law. წიგნში: Zillman D., Omorogbe Y., Redgwell C., Bareera-Hernandez. Beyond the Carbon Economy: Energy Law in Transition, Oxford University Press, 2008, 39.

³²⁵ იხ. Andoura S., Hancher L., Van der Woude M. Towards a European Energy Community: A Policy Proposal. Notre Europe, 2010, 27–60.

უმნიშვნელოვანესია შიდა ენერგეტიკული ბაზრის³²⁶ იდეა, რაც ზემოხსენებული ზეეროვნული წესრიგის პრაქტიკული გამოხატულებაა. იგი ენერგეტიკის სამართლებრივი რეგულირების უფლებამოსილების წევრი სახელმწიფოებიდან ევროკავშირის ინსტიტუციებისთვის გადაცემას გულისხმობს.

ჯერ კიდევ 1975 წელს ევროპის საბჭომ³²⁷ მიიღო რეზოლუცია, რომელმაც ერთიან ევროპულ ენერგოპოლიტიკის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი.³²⁸ რეზოლუციამ ასევე გამოკვეთა უახლოეს ათ წელიწადში საშინაო ენერგობაზრის შექმნის საჭიროება. დაახლოებით 1985 წლიდან ენერგეტიკა ევროკავშირის საშინაო ბაზრის ნაწილი ხდება და ყალიბდება ე.წ. შიდა ენერგეტიკული ბაზარი. ამით საფუძველი ჩაეყარა ენერგობაზრის ლიბერალიზაციის პროცესს, რაც, მეტწილად, კონკურენციის წესების დაცვითა და არადისკრიმინაციული მიდგომის საფუძველზე აღსრულდება. ამიტომაც, რომ დღეს კონკურენციის ნორმები ევროკავშირის ენერგეტიკის სამართლის ქვაკუთხედი და განუყოფელი ნაწილია.³²⁹ მომდევნო ოთხ ქვეთავში შევეცდებით ქრონოლოგიურად მიმოვიხილოთ ევროპის ენერგეტიკის სექტორის ლიბერალიზაციისა და ერთიანი ენერგეტიკული ბაზრის განვითარების პროცესი.

4.1. პირველი ენერგეტიკული პაკეტი

შიდა ენერგეტიკული ბაზრის რეგულირების პირველი რეალური მცდელობა ევროპაში 80-იანი წლების ბოლოს და 90-იანების დასაწყისს უკავშირდება, როდესაც ევროკავშირმა მიიღო შესაბამისი პიონერული საკანონმდებლო ჩარჩო. მას პირობითად პირველი ენერგეტიკული პაკეტი ეწოდა და შემდგომისდაგვარად

³²⁶ ფართო გაგებით, შიდა ენერგეტიკული ბაზარი (Internal Energy Market) შესაძლოა განსხვავდებოდეს საერთო ენერგეტიკული ბაზრისაგან (Common Energy Policy), თუმცა წინამდებარე ნაშრომი საკითხს ასე არ განიხილავს და არსებითად სინონიმურ ცნებებად მოიაზრებს მათ. დაწვრ. იხ. Jegen M. Energy policy in the European Union: The Power and Limits of Discourse, Les Cahiers européens de Sciences Po, № 2, 2014, 1.

³²⁷ იგულისხმება ევროკავშირის ერთ-ერთი ინსტიტუცია (The Council) და არა ორგანიზაცია ევროპის საბჭო (Council of Europe).

³²⁸ Delvaux B. EU Law and Development of a Sustainable, Competitive and Secure Energy Policy: Opportunities and Shortcomings, Ph.D. Dissertation, Katholieke Universiteit Leuven, 2011, 27.

³²⁹ Vooren V. B., Wessel A. R. EU External Relations Law, Text, Cases and Materials, Cambridge University Press, 2014, 447.

კანონში 90-იანი წლების ენერგოპოლიტიკური რეალობა ასახა. არც ის უნდა დარჩეს ყურადღების მიღმა, რომ საწყის ეტაპზე ჭარბობს ეროვნული მთავრობების ოპოზიციური განწყობები. მიუხედავად იმისა, რომ წევრი სახელმწიფოები შეთანხმდნენ საერთო ენერგეტიკული ბაზრის შექმნაზე, სფეროში ჯერ კიდევ შესამჩნევად მაღალია მონოპოლისტი კომპანიების გავლენები.³³⁰ ამგვარი ეროვნული მონოპოლიები ცდილობდნენ, (ზოგ წევრ სახელმწიფოში დღემდე ცდილობენ) ენერგობაზარზე არსებული დომინანტი პოზიციების შენარჩუნებას და ახალი შემომსვლელებისთვის არაკონკურენტული სივრცის გაკონტროლებას.³³¹

პირველი ენერგეტიკული პაკეტი მხოლოდ ორ სამართლებრივ აქტს მოიცავდა.³³² ეს აქტებია ელექტოენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის დირექტივები (1996/1998), რომლებმაც საერთო ევროპული ენერგეტიკული წესების პირველი პრეცედენტი შექმნა. გამომდინარე იქიდან, რომ ჯერ კიდევ ურჩობდა რამდენიმე წევრი სახელმწიფო, ხშირი იყო ცალკეული სახელმწიფოების მიმართ გარკვეული პირობების, ანუ დეროგაციების³³³ დაწესება. ამის შესაბამისად საკანონმდებლო ტალღა ვერტიკალურად ინტეგრირებული³³⁴ ეროვნული მონოპოლიების სერიოზული ბლოკადის პირობებში წარიმართა და შედეგად პირველი ენერგეტიკული პაკეტი ვერ გამოირჩა რევოლუციური მიდგომებით.³³⁵ იგი ვერ ქმნიდა ფუნქციურ ენერგობაზარს. მიუხედავად არსებული კრიტიკისა, შემუშავებულმა კანონმდებლობამ ენერგეტიკის სამომავლო რეგულირების კარგი საფუძველი შექმნა.³³⁶ კერძოდ, გამოიკვეთა ლიბერალური ბაზრის

³³⁰ იხ. Léautier T., Crampes C. Liberalisation of the European Electricity Markets: A Glass Half Full, Florence School of Regulation, EUI, 2016.

³³¹ Talus K. Vertical Natural Gas Transportation capacity, upstream commodity contracts and EU Competition law, Ph.D. Dissertation, University of Helsinki, 2010, 81-82.

³³² Directive 96/92/EC of 19 December 1996 concerning common rules for the internal market in electricity და Directive 98/30/EC of 22 June 1998 concerning common rules for the internal market in natural gas.

³³³ Matlary H. J. Energy Policy in the European Union, Palgrave Macmillan, 1997, 20.

³³⁴ ვერტიკალურად ინტეგრირებული კომპანია ერთდროულად ფლობს ქსელურ ინფრასტრუქტურას და წარმოების ობიექტებს ან უზრუნველყოფს მიწოდებას. იხ. მუხიგულიშვილი გ. ენერგეტიკული გაერთიანება და საქართველო, წიგნში: ევროპის ენერგეტიკული გაერთიანება და რეფორმები საქართველოს ენერგეტიკაში, თბ., 2017.

³³⁵ Kanellakis M., Martinopoulos G., Zachariadis T. European Energy Policy – A Review, Elsevier Energy Policy Journal, Vol. 62, 2013, 1024.

³³⁶ Talus K. Introduction to EU Energy Law, Oxford University Press, 2016, 4.

ტენდენციები და გამომჟღავნდა ევროკავშირის ადრეული ეტაპის საგარეო ენერგეტიკული ხედვები.

შეუმჩნეველი არ უნდა დარჩეს პირველი საგარეო ენერგეტიკული მისწრაფებაც. 1995 წელს ევროკავშირმა განაცხადა, რომ გაერთიანება დაინტერესდებოდა ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის განვითარებით არა მარტო ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების დონეზე, არამედ მის ფარგლებს გარეთაც და მოიცვას ე.წ. დსთ-ის ქვეყნები (იმ დროისთვის საქართველო).³³⁷

4.2. მეორე ენერგეტიკული პაკეტი

ენერგეტიკული კანონმდებლობის განვითარების შემდეგი ფაზა მეორე ენერგეტიკული პაკეტის, ანუ ე.წ. „დაჩქარებული პაკეტის“ შექმნას უკავშირდება. იგი ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სფეროში 2003 წლის ივნისში იქნა მიღებული.³³⁸ პაკეტი რამდენიმე სამართლებრივ აქტს მოიცავს³³⁹ და მისი ძირითადი მიზანია ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის ბაზრებზე კონკურენტული პირობების გაუმჯობესება.³⁴⁰ აღნიშნული კანონმდებლობა შედარებით უფრო მეტი სპეციფიკით ხასიათდება, ვიდრე პირველი ენერგეტიკული პაკეტი.³⁴¹ კერძოდ, ახალმა სამართლებრივმა ინსტრუმენტებმა ისეთი პრინციპული საკითხები მოიცვა, რომლებიც დღესაც აქტუალურია და ელექტროენერგეტიკისა და გაზის მოქმედ ცენტრალურ დირექტივებშიც³⁴² გვხვდება. ესენია: ძლიერი და დამოუკიდებელი

³³⁷ Matlary H. J. Energy Policy in the European Union, Palgrave Macmillan, 1997, 20.

³³⁸ შიდა ენერგეტიკული ბაზარი <
<http://www.europarl.europa.eu/factsheets/en/sheet/45/internal-energy-market>>
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 01.04.2019.

³³⁹ Directive 2003/54/EC of 26 June 2003 concerning common rules for the internal market in electricity და repealing Directive 96/92/EC, Directive 2003/55/EC of 26 June 2003 concerning common rules for the internal market in natural gas and repealing Directive 98/30/EC

³⁴⁰ საქართველო ამჟამად იმყოფება მონოპოლიური საქმიანობის განცალკევების რეჟიმში, რომლის სათავეშიც დგას ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია.

³⁴¹ Kruiken D., Mas F. H. Integrating Demand Side Management into EU Electricity Distribution System Operation: A Dutch Example, Elsevier Energy Policy 129, 2019, 154.

³⁴² Council Directive 2009/72/EC of the European Parliament and of the Council of 13 July 2009 Concerning Common Rules for the Internal Market in Electricity and Repealing Directive 2003/54/EC, OJ L 211, (14.8.2009) შემდგომში „ელექტროენერგეტიკის დირექტივა“ და

ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების მოწყობა (Regulatory Authorities),³⁴³ მესამე პირების არადისკრიმინაციული დაშვება ქსელებზე (Third-Party-Access),³⁴⁴ მომხმარებლებისა და საჯარო ვალდებულებების საკითხები (Consumers and Public Service)³⁴⁵ საქმიანობების განცალკევების რეჟიმები (Unbundling),³⁴⁶ ანუ ენერგეტიკის გადაცემის სისტემის ოპერატორებისა და განაწილების ენერგეტიკული კომპანიების საქმიანობის განმხილვება.³⁴⁷ აღნიშნული პრინციპის დაცვა უზრუნველყოფს ენერგოსექტორში გამჭვირვალობის ზრდას და მეტ კონკურენციას. კონკურენტული გარემოს გარდა, იგი ასევე სტიმულს აძლევს ენერგოკომპანიებს, რათა მეტი ინვესტიცია ჩადონ ქსელის განვითარებაში.³⁴⁸ მაგალითად, ნიდერლანდებში ევროკავშირის კანონმდებლობის ეს მოთხოვნა ძალიან მკაცრად არის ეროვნულ დონეზე დარეგულირებული და მოითხოვს გამანაწილებელი ენერგეტიკული კომპანიები მთლიან, სრულ დამოუკიდებლობას მწარმოებელი და მიმწოდებელი კომპანიებისაგან.³⁴⁹ ამას ადასტურებს 2012 წლის ევროსასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე “*Netherlands v. three Dutch energy companies*,”³⁵⁰ როდესაც წინასწარი გადაწყვეტილების პროცედურის ფარგლებში ნიდერლანდების უზენაესმა სასამართლომ ევროპის სასამართლოს

Council Directive 2009/73/EC of the European Parliament and of the Council of 13 July 2009 Concerning Common Rules for the Internal Market in Natural Gas and Repealing Directive 2003/55/EC, OJ L 211, (14.8.2009), შემდგომში „გაზის დირექტივა.“

³⁴³. ელექტროენერგეტიკისა და გაზის დირექტივა, მუხლი 4-7.

³⁴⁴. ელექტროენერგეტიკისა და გაზის დირექტივა, მუხლი 32.

³⁴⁵. ელექტროენერგეტიკისა და გაზის დირექტივა, მუხლი 3.

³⁴⁶. ელექტროენერგეტიკის დირექტივა, მუხლები 9, 14, 26, 31; გაზის დირექტივა, მუხლები 9, 15, 26, 31.

³⁴⁷. საქმიანობის განცალკევების პრინციპი ნიშნავს იმას, რომ მაგალითისთვის ნავთობკომპანია არ უნდა ფლობდეს ან მენეჯმენტს უწევდეს მილსადენს, რომლის მეშვეობითაც იგი ყიდის თავის პროდუქტს. იხ. Kruiken D., Mas F. H. Integrating Demand Side Management into EU Electricity Distribution System Operation: A Dutch Example, Elsevier Energy Policy 129, 2019, 153-160.

³⁴⁸. იხ. მუხიგულიშვილი გ. ენერგეტიკული გაერთიანება და საქართველო, წიგნში: ევროპის ენერგეტიკული გაერთიანება და რეფორმები საქართველოს ენერგეტიკაში, თბ., 2017, 115.

³⁴⁹. Kruiken D., Mas F. H. Integrating Demand Side Management into EU Electricity Distribution System Operation: A Dutch example in Elsevier Energy Policy 129, 2019, 154.

³⁵⁰. იქვე.

მიმართა.³⁵¹ ამ უკანასკნელმა კი დაასკვნა, რომ ყველა შესაძლო ზომა უნდა იქნეს მიღებული ენერგეტიკული ბაზრის უზრუნველსაყოფად და ეს შესაძლოა კაპიტალის გადაადგილების თავისუფლების პრინციპსაც (ოთხი თავისუფლებიდან ერთ-ერთი) კი ზღუდავდეს.³⁵²

საინტერესოა, რომ მეორე ენერგეტიკული პაკეტით წარმოდგენილი პრინციპების ერთგულება მოეთხოვება ე.წ. „მესამე სახელმწიფოების“ კომპანიებსაც, რომლებიც თანამშრომლობენ ევროპულ ინსტიტუციებთან. ისინი ვალდებული არიან იმავე ინტენსივობით დაიცვან ევროკავშირის ენერგეტიკის სამართლის წესები, როგორც თავად ევროკავშირში ოპერირებადი კომპანიები.³⁵³ ეს დათქმა შეეხება საქართველოსაც, სადაც კანონმდებლობის ევროპის ენერგეტიკული პრინციპებზე მორგება ჯერ კიდევ დიდი გამოწვევაა. ქვეყანა ახლა იწყებს კონკურენტული და მონოპოლური საქმიანობების განცალკევებას ელექტროობის სფეროში. პრობლემად რჩება სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული სტრატეგიული მნიშვნელობის წარმოების ობიექტების და გადამცემი ქსელური ინფრასტრუქტურის გაყოფის საკითხი.³⁵⁴ რამდენადაც ელექტროენერგეტიკულ ბაზარზე ქსელური (გადაცემა, განაწილება) და კონკურენტული (წარმოება, მიწოდება) საქმიანობები არ არის სრულყოფილად გამიჯნული, ეს ხელს უშლის გადამცემ და გამანაწილებელ ინფრასტრუქტურაზე მესამე მხარის დაშვების ეფექტიან უზრუნველყოფას. „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში 2014 წლის დეკემბერს შესული ცვლილებების შედეგად, გადამცემი სისტემის ოპერატორი ფუნქციურად და ინსტიტუციონალურად ახლოს არის დირექტივების მოთხოვნებთან, თუმცა მათთან სრული

³⁵¹ Restrictions on free movement of capital affecting may be compatible with EU law, <<https://www.internationallawoffice.com/Newsletters/Energy-Natural-Resources/Netherlands/LoyensLoeff-NV/Restrictions-on-free-movement-of-capital-affecting-may-be-compatible-with-EU-law>> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 19.07.2019.

³⁵² იხ. Enchelmaier S. Four Freedoms, Ever More Principles? Oxford Journal of Legal Studies, Vol. 36 (1), 2016, 192–217. კიდევ უფრო სიღრმისეული კვლევისთვის, იხ. Barnard C. The Substantive Law of the EU, The Four Freedoms, Oxford University Press, Third Edition, 2010.

³⁵³ Delvaux B., Hunt M., Talus K. EU Energy Law and Policy Issue, Insentria, 2010, 18

³⁵⁴ იხ. მუხიგულიშვილი გ. ენერგეტიკული გაერთიანება და საქართველო, წიგნში: ევროპის ენერგეტიკული გაერთიანება და რეფორმები საქართველოს ენერგეტიკაში, თბ., 2017, 116.

შესაბამისობისთვის საჭირო იქნება სერთიფიცირების პროცედურის გავლა.³⁵⁵

ევროპის მეორე ენერგეტიკული პაკეტი მნიშვნელოვან გარდატეხას წარმოადგენს 2005 წელს დაარსებული ევროკავშირის ემისიებით ვაჭრობის სისტემის განვითარების თვალსაზრისით.³⁵⁶ შეინიშნება საზღვრისპირა თანამშრომლობის რეგულირების საკითხების გააქტიურებაც. ცხადი გახდა, რომ ევროპა მეტ ყურადღებას დაუთმობდა წევრ სახელმწიფოებს შორის გადამცემი ხაზებისა და ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას. საინტერესოა, განახლებადი ენერჯის კანონმდებლობის³⁵⁷ პირველადი მექანიზმების შექმნაც, რასაც დაწვრილებით დისერტაციის დასკვნით, მეოთხე ნაწილში შევეხებით.

4.3. მესამე ენერგეტიკული პაკეტი

მესამე ენერგეტიკული პაკეტი, ანუ ბაზრის ლიბერალიზაციის მესამე ფაზა, ევროკავშირმა 2007 წელს დააანონსა და 2009 წელს მიიღო.³⁵⁸ ჩარჩო დღესაც აქტუალურია და ევროპული ენერგოპოლიტიკის აღსრულების მთავარი მექანიზმია. პაკეტი ძირითადად ბუნებრივი გაზისა და ელექტროენერგეტიკის სფეროების ახლებურ რეგულირებას შეეხება და ორ დირექტივისა და სამ რეგულაციას მოიცავს. ამათგან განსაკუთრებულად საყურადღებოა 2009/73/EC დირექტივა ბუნებრივი გაზის შიდა ბაზრის საერთო წესების შესახებ;³⁵⁹ 2009/72/EC დირექტივა ელექტროენერგეტიკის შიდა ბაზრის საერთო წესების შესახებ³⁶⁰ და 713/2009 რეგულაცია ევროპული მასშტაბის მარეგულირებელი ორგანოს (ACER) დაარსების შესახებ.

³⁵⁵ დაწვრ. იხ. საქართველოს ენერგეტიკის განვითარების სტრატეგია 2016-2025 (სამუშაო დოკუმენტი)

<<http://www.energy.gov.ge/show%20news%20mediacenter.php?id=600&lang=geo.>>

უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 23.04.2019.

³⁵⁶ ემისიებით ვაჭრობა ევროკავშირის კლიმატის ცვლილების პოლიტიკის ქვაკუთხედაა და იგი მსოფლიოში ემისიებით ვაჭრობის ერთ-ერთ ყველაზე პირველ ბაზარს წარმოადგენს. იხ. ETS <https://ec.europa.eu/clima/policies/ets_en> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 23.04.2019.

³⁵⁷ Directive 2003/30/ec of the European Parliament and of the Council of 8 May 2003 on the Promotion of the Use of Biofuels or Other Renewable Fuels for Transport.

³⁵⁸ შიდა ენერგეტიკული ბაზარი <<http://www.europarl.europa.eu/factsheets/en/sheet/45/internal-energy-market>> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 01.04.2019.

³⁵⁹ ზემოხსენებული „გაზის დირექტივა.“

³⁶⁰ ზემოხსენებული „ელექტროენერგეტიკის დირექტივა.“

ზედამხედველობის სპეციალური კომისიის შექმნა, ალბათ, მესამე ენერგეტიკული პაკეტის მთავარი ნოვაციაა, რომელმაც ევროპული ზეეროვნული წესრიგი სხვა მასშტაბში აიყვანა. მისი ძირითადი ფუნქციაა ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების საქმიანობის კოორდინაცია და ევროპის შიდა ენერგეტიკული ბაზრის მონიტორინგი.³⁶¹ ევროპული მარეგულირებელი ორგანოს ქართულ ანალოგად შეიძლება შეფასდეს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (შემდგომში - „კომისია“ ან „სემეკი“),³⁶² რომელიც 1997 წელს შეიქმნა.³⁶³ კომისიის მთავარი დანიშნულებაა ენერგო და წყალმომარაგების სექტორების განვითარების ხელშეწყობა, ამ მიზნით სამართლებრივი საფუძველების შექმნა და რეგულირების სფეროში შემავალი სუბიექტების ინტერესების დაბალანსება.³⁶⁴ მნიშვნელოვანი კომპეტენციაა ასევე ტარიფების დადგენის ფუნქცია, რაც გამჭვირვალობისა და დამოუკიდებლობის ახალი სტანდარტების დაცვით უნდა წარიმართოს.

მესამე ენერგეტიკული პაკეტი აძლიერებს მეორე ენერგეტიკული პაკეტით „ნაბოძები“ ენერგეტიკული პრინციპების საკანონმდებლო რეგულირებას. შესაბამისად, მასში შედარებით უფრო მაღალი ფუნქცია ეკისრება ეფექტური საქმიანობის განცალკევების საკითხებს, ბაზრის გამჭვირვალობას, ანტი-დისკრიმინაციულ ღონისძიებებს. მესამე ენერგეტიკული პაკეტის ფარგლებში ჩნდება ევროკავშირის ენერგეტიკის სამართლის ახალი ინსტრუმენტი ე.წ. „ქსელის კოდექსები“, რომლებიც დამატებითი რეგულაციებია, რათა გაადვილდეს ელექტროენერგეტიკის სფეროში კანონმდებლობის აღსრულება. ამავე პერიოდს

³⁶¹. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილება №6 საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ, 2014.

³⁶². საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია, <<http://gnerc.org/ge/home>> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 01.04.2019.

³⁶³. ზოგ ქვეყნებში მარეგულირებელ კომისიებს 100 წლიანი ისტორია აქვს. მარეგულირებელი კომისიების სამშობლო ამერიკის შეერთებული შტატებია, რომელიც ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ბოლოს დაწინაურდა თავისი საბაზრო სტრუქტურების განვითარებით და მიიღო მსოფლიოში პირველი ანტიმონოპოლური კანონმდებლობა. იხ. თავაძე გ., ქავთარაძე ი., ჩომახიძე დ., მენაბდე დ. ენერგეტიკის რეგულირება: თეორია და პრაქტიკა, თბ., 2006, 59.

³⁶⁴. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია, <<http://gnerc.org/ge/home>> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 01.04.2019.

უკავშირდება გადამცემი ოპერატორების წარმოქმნა (ENTSO-E და ENTSO-G),³⁶⁵ რომლებიც შესაძლებელს ხდის ერთიანი ევროპული ენერგოკავშირის გამართულ ფუნქციონირებას.

მესამე ენერგეტიკული პაკეტით გაიზარდა ევროკავშირის როლი საგარეო ენერგეტიკულ ურთიერთობებში, რომელიც აღარ არის სიმბოლური, არამედ რეალური; ჩნდება საგარეო წარმომადგენლობის ხელშესახები ნიშნები; ენერგეტიკულ საკითხებზე ევროკავშირი და წევრი სახელმწიფოები აღარ არიან დაპირისპირებულები; ქვეყნები „ეგუებიან“ ევროკომისიის მზარდ როლს საერთაშორისო ენერგეტიკულ მოლაპარაკებებსა³⁶⁶ და შიდა ენერგეტიკული კანონმდებლობის ფარგლებს გარეთ გავრცელების საკითხში.

საინტერესოა, რომ მესამე ენერგეტიკული პაკეტის შექმნას ემთხვევა ზემოთ განხილული „2020 სტრატეგიის“ შემუშავება, ევროკავშირის 2009/28/EC განახლებადი ენერჯისა და ევროკავშირის 2012/27/EU ენერგოეფექტურობის დირექტივები. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ევროკავშირი აქამდე არსებულ უპრეცედენტო აქცენტებს აკეთებს ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერჯის წახალისებაზე და პაკეტის აღსრულებაც მწვანე ენერგეტიკის პრინციპების სრული დაცვით მოითხოვს. ქართულ კანონმდებლობაში გადმოსაღები ძირითადი ენერგონორმებიც სწორედ მესამე ენერგეტიკული პაკეტის ფორმითაა წარმოდგენილი, თუმცა ამაზე ნაშრომის მომდევნო თავში ვისაუბრებთ.

4.4. ენერგეტიკული კავშირი და „ზამთრის პაკეტი“³⁶⁷

მეოთხე ენერგეტიკული პაკეტი? აშკარაა, რომ ენერგეტიკული ბაზრის ლიბერალიზაციის ახალი ფაზა განახლებული ენერგოპოლიტიკის საწყისია. ეს პროცესი იმდენად ახალია, რომ რთულია მისი უმაღლეს მეოთხე ენერგეტიკულ პაკეტად მოხსენიება. თუმცა ფაქტია, რომ ამჟამად ევროკავშირი ენერგეტიკული განვითარების სრულიად ახალ, მეოთხე ეტაპზე გადავიდა და ეს ეტაპი საკმაოდ ამბიციური დღის წესრიგით ხასიათდება.

³⁶⁵ European Network of Transmission System Operators for Electricity (ENTSO-e) and European Network of Transmission System Operators for Gas (ENTSO-g).

³⁶⁶ Talus K. EU Energy Law and Policy: A Critical Account. Oxford University Press, 2013, 12.

³⁶⁷ ზამთრის პაკეტის თანამდევ სამართლებრივ პროცესებს დაწვრილებით ნაშრომის მეოთხე ნაწილში განვიხილავთ.

ე.წ. „ზამთრის პაკეტი“,³⁶⁸ რომელიც ევროკავშირმა 2016 წელს შეიმუშავა და 2018 წლის დეკემბერში მიიღო, სამეცნიერო ლიტერატურასა და პრაქტიკაში ახლა იმკვიდრებს თავს. საგულისხმოა, რომ აღნიშნულ სადოქტორო ნაშრომზე მუშაობაც სწორედ ამ პაკეტის მიღებას და ახალი ევროპული ენერგეტიკული კანონპროექტების მომზადებას დაემთხვა. მაინც რას ნიშნავს „ზამთრის პაკეტი?“ თავად ტერმინი³⁶⁹ „ზამთრის პაკეტი“ მხოლოდ და მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ იგი ევროპას ზამთრის პირას - 2016 წლის ნოემბერში სუფთა ენერგეტიკის სტრატეგიის სახით (Clean Energy Package)³⁷⁰ მოეწვინა. იგი მიზნად ისახავს ენერგეტიკული გარდაქმნის (ტრანზიციის) ხელშეწყობას და ამისთვის ათამდე სამართლებრივ აქტს აერთიანებს.³⁷¹

„ზამთრის პაკეტი“ ეფუძნება 2015 წლის ევროპულ ინიციატივას - ენერგეტიკულ კავშირს (Energy Union).³⁷² ბევრისთვის ენერგეტიკული კავშირის როლი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ იგი ზოგადი ევროპული პროექტის „გადარჩენის“ უკანასკნელი შანსია.³⁷³ მისი შვილობილი - „ზამთრის პაკეტი“ კი, ალბათ, ამ შანსის შემადგენელი ნაწილი. ინიციატივა ჯერ კიდევ ძალიან „ახალგაზრდაა“³⁷⁴ სრულფასოვანი შეფასებისთვის. ევროკავშირის ქვეყნები ახლა იწყებენ შესაბამის ეროვნულ კანონპროექტებზე მუშაობას, რათა „ზამთრის პაკეტს“ ეროვნულ დონეებზე ეფექტური აღსრულება მოჰყვეს.

ცხადია, სტრატეგიის წარმატებაში მთავარი განმსაზღვრელი ენერგეტიკული კავშირის იდეა იქნება, რომელიც *იუნკერის* კომისიის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია (მე-2 პრიორიტეტადაა მითითებული).³⁷⁵ მისი შექმნა რუსეთ-უკრაინის

³⁶⁸ სტრატეგიას პირობითად დაერქვა ზამთრის პაკეტი, რადგან ევროკომისიამ იგი 2016 წლის ნოემბერში, მოახლოებული ზამთრის დროს წარმოადგინა.

³⁶⁹ იხ. Iliopoulos T. Dilemmas of a New Renewable Energy Directive, *European Energy and Environmental Law Review*, 2018, 210-222.

³⁷⁰ ევროკომისია 'Clean energy for all Europeans' <<https://ec.europa.eu/energy/en/topics/energy-strategy-and-energy-union/clean-energy-all-europeans>> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 12.01.2019.

³⁷¹ იქვე.

³⁷² ენერგეტიკული კავშირი (Energy Union) <https://ec.europa.eu/commission/priorities/energy-union-and-climate_en> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 12.02.2019.

³⁷³ Leal-Arcas R., Wouters J. *Research Handbook on EU Energy Law and Policy*, Edward Elgar Publishing, 2017, 67.

³⁷⁴ მიღებული იქნა 2018 წლის დეკემბერში.

³⁷⁵ პრიორიტეტები <https://ec.europa.eu/commission/priorities_en> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 10.05.2018.

გაზის კრიზისს უკავშირდება,³⁷⁶ რომელიც თავდაპირველად, 2010 წლის დელორი-ბუზეკის ლექსიკონში³⁷⁷ გამოჩნდა და მოგვიანებით პოლონეთის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა და ამჟამინდელმა ევროპის საბჭოს პრეზიდენტს - დონალდ ტუსკმა განავითარა (აპრილი, 2019).

ენერგოკავშირი არ წარმოადგენს რაიმე ახალ გაერთიანებას. იგი მხოლოდ ახალი ევროპული სტრატეგიის სახელწოდებაა. ეს სტრატეგია მოიცავს როგორც სამართლებრივ დოკუმენტებსა და დირექტივებს, ისე კომუნიკაციებს, საპროექტო წინადადებებსა და პროგრამებს. მისი მთავარი მიზანია გააერთიანოს ევროპული ენერგოსივრცე და ხელი შეუწყოს პან-ევროპული ენერგეტიკული ბაზრის სრული ინტეგრაციას. სტრატეგიის ამოცანაა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების კიდევ უფრო მჭიდრო ენერგეტიკული ურთიერთობის ხელშეწყობა, რათა „ერთი ხმით“ (*in one voice*)³⁷⁸ ესაუბროს ენერგიის მონოპოლიურ მომწოდებლებს. იგი ასევე ზემოთ ხსენებული პარიზის კლიმატის ხელშეკრულების ერთ-ერთ ინსტრუმენტად მიიჩნევა და ევროკავშირის ენერგეტიკული მომავლის ქვაკუთხედი. სტრატეგია ხუთ (5) ძირითად კრიტერიუმს და თხუთმეტ (15) სამოქმედო პუნქტს მოიცავს:

1. ენერგოუსაფრთხოება, სოლიდარობა და ნდობა;
2. სრულად ინტეგრირებული ევროპული ენერგობაზარი;³⁷⁹
3. ენერგოეფექტურობა, როგორც ენერგიაზე მოთხოვნის შემცირების მექანიზმი;
4. ეკონომიკის დეკარბონიზება;³⁸⁰
5. კვლევა და ინოვაცია.³⁸¹

³⁷⁶ რუსეთ-უკრაინას გაზის კრიზისი <<https://www.reuters.com/article/us-russia-ukraine-gas-timeline-sb-idUSTRE50A1A720090111>> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 10.05.2018.

³⁷⁷ Buzek J., Delors J. Towards a New European Energy Community, May 2010.

³⁷⁸ Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions, Second Strategic Energy Review, COM (2008) 781 final, 13.11.2008, 3.

³⁷⁹ ევროპის მასშტაბით ენერგიის თავისუფალი გადაადგილება, შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება.

³⁸⁰ წიაღისეული საწვავის ენერგიის განახლებადი წყაროებით ჩანაცვლება.

³⁸¹ ენერგეტიკული კავშირი და კლიმატის ცვლილება, ევროკომისია, <https://ec.europa.eu/commission/priorities/energy-union-and-climate_en> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 02.03.2019.

შესაბამისად, ენერგეტიკის სფეროში ყოველი მომდევნო საკანონმდებლო ინიციატივა უნდა ეფუძნებოდეს ენერგეტიკული კავშირის ზემოაღნიშნულ ხუთ ძირითად კრიტერიუმს და იზიარებდეს „ზამთრის პაკეტის“ სულისკვეთებას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თანამედროვე ევროპული ენერგეტიკული ხედვა შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს კლიმატის ცლილებისა და ენერგეტიკის ერთობლივ მიზნებთან და ემსახურებოდეს ნახშირბადთავისუფალი (*carbon-free*) ევროპის იდეას.³⁸² ევროპული „გზამკვლევი 2050“ სათბურის გაზების 80-95 %-ით შემცირებას მოასწავებს 2050 წლისთვის.³⁸³

სუფთა ენერჯის წარმოება საქართველოს ენერგეტიკის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა.³⁸⁴ თუ რა პრაქტიკული გავლენა ექნება „ზამთრის პაკეტის“ შემუშავებას და მის თანამდევ პროცესებს ქართულ კანონმდებლობაზე, ამას მეოთხე ნაწილში უფრო დეტალურად განვიხილავთ, როცა განახლებადი ენერჯის სამართლის ანალიზით დავკავდებით.

5. ევროკავშირის ენერგეტიკის სამართლის მოქმედება³⁸⁵

წინა ორი თავი შეეხო ევროპის ენერგეტიკული ისტორიისა და ენერგოპოლიტიკის ძირითადი მიმართულებების ანალიზს. შევთანხმდით, რომ თანამედროვე ევროპული ენერგეტიკული ხედვა სამი ძირითადი მიზნისა და ენერგეტიკული კავშირის (*Energy Union*) ირგვლივაა განვითარებული. არსებული კანონმდებლობაც, შესაბამისად, მათი მიღწევისკენ უნდა იყოს მიმართული.

წესები, რომლის მეშვეობითაც აღსრულდება ევროპის ენერგეტიკული პოლიტიკა, ევროკავშირის პირველად და თანამდევ

³⁸². ევროკავშირის 2050 წლის გრძელვადიანი სტრატეგია <https://ec.europa.eu/clima/policies/strategies/2050_en> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 10.05.2018.

³⁸³. Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions, A Roadmap for Moving to a Competitive Low Carbon Economy in 2050, COM(2011) 112 final, 8.3.2011.

³⁸⁴. საქართველოს პარლამენტის N3758-III დადგენილება „საქართველოს ენერგეტიკის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების თაობაზე“, 2015.

³⁸⁵. დაწვრ. იხ. სამხარაძე ი. ევროპის ენერგეტიკის სამართლის საგარეო ასპექტები და მისი ზეგავლენა ქართულ კანონმდებლობაზე, სამართლის ჟურნალი, № 1, 2018, 241-256.

სამართლებრივ აქტებშია მიმოფანტული და ერთიან სისტემას ქმნის.³⁸⁶ სათავეში დგას ე.წ. „ლისაბონის ხელშეკრულება“, რომელიც დღეს მოქმედი ძირითადი კონსტიტუციური ხასიათის სამართლებრივი აქტია.³⁸⁷ ევროკავშირის ენერგეტიკის სამართლის უმნიშვნელოვანეს, თუმცა დამხმარე წყაროს წარმოადგენს რეგულაცია, დირექტივა და გადაწყვეტილება, რომლებიც მეორეული სახის კანონმდებლობაა.³⁸⁸ დამატებითი სამართლებრივი წყაროთა შორის წამყვანია ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებები და სამართლის ზოგადი პრინციპები. არ უნდა დაგვავიწყდეს შედარებით ნაკლები იურიდიული ძალის მქონე პოლიტიკის დოკუმენტებიც, როგორებიცაა ე.წ. „თეთრი“ და „მწვანე“ ფურცლები, ევროკომისიის კომუნიკაციები, ევროკავშირის ორგანოების შიდა განაწესები, საერთაშორისო შეთანხმებები. მათ მიერ უხვად მარაგდება ევროპული ენერგეტიკული საკანონმდებლო სივრცე.

ეს სივრცე, პირობითად, შესაძლოა ორ დიდ კატეგორიად დაიყოს: სახელშეკრულებო, ანუ ძირითადი და არასახელშეკრულებო, დამხმარე საკანონმდებლო ჩარჩო. ენერგეტიკის სამართლის ამ ორ კატეგორიაში თავსებადობის საკითხს ეხება სწორედ ეს თავი.

5.1. ძირითადი სამართლებრივი ჩარჩო

როგორც ზემოთ აღინიშნა, სახელშეკრულებო სამართლებრივი ჩარჩოს მთავარი იურიდიული დოკუმენტი ლისაბონის ხელშეკრულებაა. მისი დღეს არსებული რედაქცია 2007 წელს ლისაბონში იქნა მიღებული (ძალაში შესვლა: 2009 წელი) და ევროკავშირის კონსტიტუციური ხასიათის თანაბარი იურიდიული ძალის მქონე შესასრულებლად სავალდებულო ორი დოკუმენტისაგან შედგება: ხელშეკრულება ევროკავშირის შესახებ (TEU) და ხელშეკრულება ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ (TFEU).³⁸⁹

³⁸⁶ Kanellakis M., Martinopoulos G., Zachariadis T. European Energy Policy – A Review, Elsevier Energy Policy Journal, Vol. 62, 2013, 1021.

³⁸⁷ არ უნდა იქნეს არეული ევროპის კონსტიტუციის პროექტთან, რომელიც 2005 წელს უარი ეთქვა. იხ. Dehouse R. The Unmaking of a Constitution: Lessons from the European Referanda, Constellations 13, 2006, 151.

³⁸⁸ იხ. პაპავა ი. ევროპის კავშირის ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლები, საბაზისო აქტები და კომენტარები, თბ., 2004.

³⁸⁹ Paul C. The Lisbon Treaty, Law, Politics and Treaty Reform, Oxford University Press, 2010, 25.

აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ ლისაბონის ხელშეკრულების დადებამდე, ევროკავშირის სადამფუძნებლო ხელშეკრულებები არ შეიცავდნენ კონკრეტულ დათქმებს ენერგეტიკის სფეროში. შესაბამისად, ენერგეტიკული კანონმდებლობა ასახვას ჰპოვებდა არაპირდაპირი გზით მომიჯნავე³⁹⁰ დარგების მომწესრიგებელ ნორმებში და ძირითადად სადამფუძნებლო სამართლებრივი დოკუმენტების მიღმა იყო განვითარებული.³⁹¹

ლისაბონის ხელშეკრულება არშემდგარი კონსტიტუციური შეთანხმების³⁹² წევრი სახელმწიფოების მიერ მიღებული ერთგვარი კომპრომისული ვარიანტია. მისი მთავარი მახასიათებელი ისაა, რომ იგი შინაარსობრივად ევროპის კონსტიტუციური შეთანხმების მსგავსია.³⁹³ შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ევროპის კონსტიტუცია, ფაქტობრივად, ლისაბონის ხელშეკრულების არქიტექტურით მოგვევლინა. სიტყვა „კონსტიტუცია“ ამოღებულ იქნა ხელშეკრულების რედაქციიდან, რაც, როგორც ჩანს, ეროვნული სუვერენიტეტის სიმბოლური ხელყოფის ფაქტს წარმოადგენდა.³⁹⁴ მიუხედავად იმისა, რომ სამართლებრივი ტექნიკის თვალსაზრისით ლისაბონის ხელშეკრულება სრულად ვერ აღწევს დასახულ მიზანს და ევროკავშირის კონსტიტუციური ხასიათის ძირითადი

³⁹⁰ აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ ლისაბონის ხელშეკრულების დადებამდე, ევროკავშირის სადამფუძნებლო ხელშეკრულებები არ შეიცავდნენ კონკრეტულ დათქმებს ენერგეტიკის სფეროში და შესაბამისად ენერგეტიკული კანონმდებლობა ასახვას ჰპოვებდა გარემოსდაცვით (175-ე მუხლი), საკანონმდებლო ჰარმონიზაციის ზოგადი პრინციპების (მე-100 მუხლი), კონკურენციის (81-ე-88-ე მუხლები), განვითარებითი თანამშრომლობის პოლიტიკა (130-ე-131-ე მუხლები), ტრანს-ევროპული ქსელების (154-ე მუხლი) წესებში და ძირითადად სადამფუძნებლო სამართლებრივი დოკუმენტების მიღმა იყო განვითარებული.

³⁹¹ Kanellakis M., Martinopoulos G., Zachariadis T. *European Energy Policy – A Review*, Elsevier Energy Policy Journal, Vol. 62, 2013, 1021.

³⁹² ევროკავშირის კონსტიტუციური ხელშეკრულების რატიფიცირება მოახდინა 15 წევრმა სახელმწიფომ, თუმცა ყველასგან მოულოდნელად ჩავარდა ნიდერლანდების სამეფოსა და საფრანგეთის რეფერენდუმზე. დაწვ. იხ. Dehouse R. *The Unmaking of a Constitution: Lessons from the European Referenda*, Constellations 13, 2006, 151.

³⁹³ Piris J-C. *The Lisbon Treaty, A legal and Political Analysis*, Cambridge University Press, 2010, 63.

³⁹⁴ Pradel N. *The EU External Energy Policy and the Law: Does the EU Really Matter?* Squintani L., Vedder H., Reese M., Vanheusden B. *Sustainable Energy United in Diversity – Challenges and Approaches in Energy Transition in the European Union*, European Environmental Law Forum Book Series, Vol. 1, 2014, 245.

საკანონმდებლო ჩარჩოს გამარტივებას,³⁹⁵ იგი შინაარსობრივი თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი ევროპული სამართლებრივი დოკუმენტია.

რატომ დაგვიანდა ევროკავშირის მთავარ იურიდიულ დოკუმენტში ენერგეტიკის ნორმის გამოჩენა? ამ საკითხზე, სავარაუდოდ, დიდი გავლენა იქონია ევროპული ენერგეტიკული სტაგნაციის ხანამ. მართალია, 1958 წლიდან მატულობს ენერგეტიკის მიმართ პოლიტიკური ინტერესი, თუმცა ევროპის დღის წესრიგში არ დგას ენერგეტიკის სამართლის რეგულირების კონკრეტული ინიციატივები.³⁹⁶ ეს მიდგომა 1973 წლიდან შეიცვალა და ინტერესიც ენერგეტიკის სამართლის მომწესრიგებელი ნორმების მიმართ გაიზარდა. გააქტიურების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი ნაშრომის პირველ თავში ნახსენები „ოპეკის შოკია,“ რამაც სფეროს რეგულირების აქამდე არ ნახული საჭიროებები გააჩინა. „ოპეკიდან“ ლისაბონამდე, ევროპის ენერგეტიკის სამართალმა ევოლუციის მძიმე გზა განვლო, თუმცა მისი დეტალური განხილვა ამ ნაშრომით დასახულ მიზნებს ცდება.³⁹⁷

5.1.1. ლისაბონის ხელშეკრულება

ბევრ სხვა იურიდიულ ნოვაციასთან ერთად, ლისაბონის ხელშეკრულება ახალი სიტყვაა ევროპის ენერგეტიკის სამართლის განვითარების საქმეში, რომლის XXI კარი (194-ე მუხლი) უშუალოდ ენერგეტიკას ეხება და სფეროს რეგულირების მატერიალურ-სამართლებრივ ბაზისს ქმნის (ტალუსი, 2016).³⁹⁸

კერძოდ, აღნიშნული მუხლი იმ ზომების რეგულირებას ახდენს, რომლებიც ზემოხსენებული სამი მიზნის შესრულებას ემსახურება. ესენია: ა) ფუნქციონალური ენერგეტიკული ბაზრის უზრუნველყოფა (194 (1ა.)). ეს დათქმა შიდა ენერგეტიკული ბაზრის კოდიფიცირება, რომლის სათავეში კონკურენციის წესების პატივისცემაა; ბ) ენერჯის მიწოდების უსაფრთხოება (194 (1ბ.)). აღნიშნული დანაწესი ხაზს უსვამს ერთ-ერთი ზემოხსენებული მიზნის სამართლებრივი უზრუნველყოფის მნიშვნელობას

³⁹⁵ Piris J-C. The Lisbon Treaty, A legal and Political Analysis, Cambridge University Press, 2010, 63.

³⁹⁶ Roggenkamp M., Redgwell C., Ronne A., Guayo I. Energy Law in Europe, Oxford University Press, 2007, 227.

³⁹⁷ იბ. Samkharadze I. Externalising the Energy Law: The Domestic Impact beyond the Current Domain of the European Union, International Journal of Green Economics, Vol. 12 (2), 2018, 145-154.

³⁹⁸ Talus K. Introduction to EU Energy Law, Oxford University Press, 2016, 22.

ევროკავშირის გაზრდილი ენერგოდამოკიდებულების ფონზე. მიუხედავად იმისა, რომ კანონი არ განმარტავს, თუ რა იგულისხმება კონკრეტულად მიწოდების უსაფრთხოებაში, იგი გაგებულ უნდა იქნეს, როგორც „მდგომარეობა, როდესაც მოქალაქეები და მეწარმეები მისაღებ ფასად მოიხმარენ ენერგიას.“³⁹⁹ შესაბამისად, ეს ნორმა ისეთი კანონმდებლობის განმტკიცებისკენაა მიმართული, რომელიც მაქსიმალურად აიცილებს ენერგოუსაფრთხოების რისკებს და ხელს შეუწყობს გაერთიანების ენერგორესურსების დივერსიფიცირებას. გ) გარემოსდაცვითი ღონისძიებები, ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერგიის ხელშეწყობა (194 (1გ.)). აღნიშნული დათქმა მდგრადი ენერგეტიკული განვითარების პრინციპის სამართლებრივი ხორცშესხმაა და ევროკავშირის პოლიტიკის ეკოლოგიურ ასპექტს ეხმიანება. თავად ხელშეკრულება არ განმარტავს, თუ რა იგულისხმება კონკრეტულად „გარემოსდაცვითი“ ენერგეტიკის განვითარებაში, თუმცა, აქ უნდა მოიაზრობოდეს ევროკავშირის ერთგვარი „გაფრთხილება,“ რომ ენერგეტიკის სფეროში მიღებული კანონმდებლობა მინიმუმ არ უნდა აუარესებდეს გარემოს⁴⁰⁰ და დაცული უნდა იყოს გარემოზე ზემოქმედების დაბალი ხარისხი.⁴⁰¹ დ) წევრი სახელმწიფოების ენერგოინფრასტრუქტურით დაკავშირება (194 (1დ)). ეს საკითხი გარკვეულწილად ევროკავშირის ენერგეტიკული პოლიტიკის საგარეო ვექტორია, რამეთუ ფუნქციონალური და კარგად მოქმედი ურთიერთდამაკავშირებელი ქსელები საზღვრისპირა რეგიონული თანამშრომლობის უმთავრესი ელემენტია.

ლისაბონის ხელშეკრულების 194-ე მუხლი ამბობს, რომ სფეროში მიღებული კანონმდებლობა ენერგეტიკული პოლიტიკის განვითარებას უნდა ემსახურობოდეს, თუმცა იგი არ განმარტავს, თუ რა სფეროები მოიაზრება ენერგეტიკულ პოლიტიკაში. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული მუხლი არ აწესებს რაიმე კონკრეტულ ჩარჩოს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ენერგეტიკული პოლიტიკა გულისხმობს ენერგეტიკული ფაზის ყველა აქტივობას (იხ. ნაშრომის პირველი ნაწილი), რაც ხორციელდება ევროკავშირის ან მისი წევრი სახელმწიფოების მიერ.

³⁹⁹ Barton B., Redgwell C., Ronne A., Zilleman D. (eds.) Energy Security – Managing Risk in a Dynamic Legal and Regulatory Environment, Oxford University Press, 2004, 5.

⁴⁰⁰ Ehrlicke U., Hacklander A. European Energy Policy on the Basis of the New Provisions in the Treaty of Lisbon წიგნში: Bausch A., Schwenker B. (eds.) Handbook Utility Management, Berlin Heidelberg, Springer-Verlag, 2009, 752.

⁴⁰¹ საქართველოს კანონი „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“, 14.12.2007.

გარდა ამისა, აღნიშნული მუხლის საფუძველზე წარმოებული ენერგოპოლიტიკა თანაბრად უნდა ეხებოდეს ყველა შესაძლო ენერგეტიკულ რესურსს, იქნება ეს წიაღისეული, განახლებადი თუ ატომური ენერგია.⁴⁰² ეს კი იმას ნიშნავს, თითოეული საკანონმდებლო ინიციატივა, რითაც ენერგეტიკული პოლიტიკა დარეგულირდება, უნდა შეესაბამებოდეს სწორედ ზემოაღნიშნულ სამ მიზანს და შიდა ენერგეტიკული ბაზრის პრინციპებს. საინტერესოა, თუ ვინ ახდენს სფეროს რეგულირებას და სად გადის ზღვარი ევროკავშირსა და წევრ სახელმწიფოებს შორის ენერგეტიკული კანონმდებლობის შემუშავების კომპეტენციისას.

5.1.2. ენერგეტიკული კომპეტენცია

5.1.2.1. საშინაო ენერგეტიკული კომპეტენცია

ცალკეული ქვეყნების საკანონმდებლო ორგანოებისაგან განსხვავებით, რომელთაც კანონშემოქმედებითობის შეუზღუდავი „ფანტაზია“ აქვთ და კანონის მიღება, ფაქტობრივად, ნებისმიერ საკითხზე შეუძლიათ, ევროკავშირი, ამ თვალსაზრისით, შებოჭილია. გაერთიანების საკანონმდებლო ორგანოები⁴⁰³ ფლობენ მხოლოდ იმ მოცულობის კომპეტენციას, ანუ კონკრეტულ საკითხზე კანონის მიღების უფლებამოსილებას, რა მოცულობითაც მათ ეს ლისაბონის ხელშეკრულებით აქვთ მინიჭებული. TEU-ს მე-5 მუხლი აწესებს „კომპეტენციების მინიჭების შეზღუდვის პრინციპს,“ რომლის მიხედვითაც ევროკავშირს არ ძალუძს საკუთარი თავისთვის კომპეტენციის მინიჭება. ეს უშუალოდ ხელშეკრულებიდან უნდა გამომდინარეობდეს და სახეზე უნდა იყოს ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფოს წინასწარი თანხმობა.

⁴⁰² შედარებით პრობლემურია ატომური ენერჯის საკითხი, რადგან *lex specialis*-ის პრინციპისა და ლისაბონის ხელშეკრულების მეორე ოქმის მიხედვით, უპირატესობა უფრო კონკრეტული ბირთვული ენერჯის ხელშეკრულებას უნდა მიენიჭოს. მიუხედავად ამისა, ლისაბონის ხელშეკრულების სრული გამორიცხვა ატომური ენერჯის კანონმდებლობის სფეროში შეუძლებელია. ECJ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში (Joined Cases 188 to 190/80, French Republic, Italian Republic and United Kingdom of Great Britain and Northern Ireland v Commission of the European Communities) მიუთითებს, რომ ლისაბონის ხელშეკრულების მოქმედება ნარჩუნდება *lex generalis*-ის ლოგიკით და ერთვარი შემავსებლის ფუნქცია აქვს ევრატივის ხელშეკრულებასთან მიმართებაში.

⁴⁰³ ევროპარლამენტი და ევროპის საბჭო.

ლისაბონის ხელშეკრულება, ამ თვალსაზრისით, გამოყოფს ორ ძირითად სამართლებრივ კომპეტენციას: განსაკუთრებული და კონკურირებადი კომპეტენცია.⁴⁰⁴

ა) განსაკუთრებული კომპეტენციის დროს მხოლოდ ევროკავშირი ადგენს ექსკლუზიურად სფეროს მარეგულირებელ ნორმებს. ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით, წევრი სახელმწიფოები იმ შემთხვევაშიც კი ვერ ერევიან გაერთიანების კომპეტენციაში, როცა ევროკავშირი უმოქმედოა ან არ იყენებს მისთვის მინიჭებულ უფლებას.⁴⁰⁵ ხელშეკრულების მე-3 მუხლის მიხედვით, ევროპული კავშირის განსაკუთრებულ კომპეტენციებს მიეკუთვნება საბაჟო⁴⁰⁶ და სავაჭრო პოლიტიკა, შიდა ბაზრის ფუნქციონირებისთვის აუცილებელი კონკურენციის წესების დადგენა, სავალუტო პოლიტიკა და თევზჭერის პოლიტიკის ის ნაწილი, რომელიც ზღვის ბიოლოგიური რესურსების დაცვას ეხება;

ბ) კონკურირებადი კომპეტენციისას, ევროკავშირი და წევრი სახელმწიფოები ერთობლივად, საერთო შეთანხმების პირობებში ადგენენ სფეროს მარეგულირებელ წესებს და შესასრულებლად სავალდებულო სამართლებრივ აქტებს თანაბრად გამოსცემენ. შესაბამისად, ევროკავშირსაც და წევრ სახელმწიფოებსც შეუძლიათ სფეროში შესასრულებლად სავალდებულო აქტის მიღება. ამასთან, წევრები მხოლოდ იმ შემთხვევაში იღებენ სამართლებრივ აქტებს, თუკი ევროკავშირმა არ გამოიყენა მისთვის გადაცემული უფლება.⁴⁰⁷ ასეთ დროს მნიშვნელოვანია სუბსიდიარობისა და თანაზომიერების პრინციპების დაცვა⁴⁰⁸ და გადაწყვეტილებაც აღნიშნული ნორმების საფუძველზე მიიღება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ევროკავშირი მხოლოდ იმ შემთხვევაში განახორციელებს თავის უფლებამოსილებას და მიიღებს სფეროში შესასრულებლად სავალდებულო სამართლებრივ აქტს, თუკი

⁴⁰⁴ დაწვრ. იხ. გაბრიჭიძე გ. ევროპული კავშირის სამართლის სახელმძღვანელო, თბ., 2012, 108.

⁴⁰⁵ Case 41/76, Donckerwolcke (1976). იხ. Piri J-C. The Lisbon Treaty, A legal and Political Analysis, Cambridge University Press, 2010, 63.

⁴⁰⁶ საბაჟო კავშირი შედგება 2 ელემენტისაგან: ერთის მხრივ, წევრ სახელმწიფოთა შორის ბაჟისა და მსგავსი ეფექტის გადასახადების დაწესების აკრძალვა და მეორეს მხრივ, მესამე სახელმწიფოთა მიმართ საერთო საბაჟო ტარიფის შემოღება. ბაჟი არის გადასახადი, რომელსაც სახელმწიფო საქონლის ექსპორტსა და იმპორტთან დაკავშირებით აწესებს. დაწვრ. იხ. გაბრიჭიძე გ. ევროპული კავშირის სამართლის სახელმძღვანელო, თბ., 2012.

⁴⁰⁷ Piri J-C. The Lisbon Treaty, A legal and Political Analysis, Cambridge University Press, 2010, 75.

⁴⁰⁸ TFEU, 5.

დასახული მიზნის მიღწევა გაერთიანების და არა ცალკეული წევრი სახელმწიფოების დონეზე უფრო ადეკვატურია.⁴⁰⁹

პრაქტიკაში თანაზომიერებისა და სუბსიდიარობის პრინციპი ბევრ წინააღმდეგობას იწვევს, თუმცა ამ საკითხის განხილვა ნაშრომის მიზანი არაა.⁴¹⁰ ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ ხელშეკრულების მე-4 მუხლის მიხედვით, ენერგეტიკა ერთ-ერთი ის სპეციფიკური სფეროა, რომლის რეგულირების საკითხში არ არსებობს ევროკავშირის განსაკუთრებული კომპეტენცია და იგი განაწილებულია (*shared*) ევროკავშირსა და წევრ სახელმწიფოებს შორის.

როგორ მოვიქცეთ? ასეთ დროს აუცილებელია მოძიებულ იქნეს კონკრეტული სახელშეკრულებო დათქმა, რის საფუძველზეც, ცალკეულ შემთხვევებში, განისაზღვრებოდა ევროკავშირისა და წევრი სახელმწიფოების „გაყოფილი“ უფლებამოსილება. ასეთი დათქმაა ზემოხსენებული 194-ე მუხლი, რომლის თანახმადაც ევროკავშირს ენიჭება უპირატესი როლი ენერგეტიკული კანონმდებლობის შექმნის საკითხში,⁴¹¹ თუმცა იგი იქვე აწესებს წევრ სახელმწიფოებთან სოლიდარულად (*“in the spirit of solidarity”*) მოქმედების ვალდებულებასაც. აღნიშნული დათქმა, ცხადია, შორსაა სამართლებრივი სიზუსტისაგან. გაურკვეველია, თუ რა იგულისხმება კონკრეტულად ენერგეტიკის სფეროში ევროკავშირსა და წევრ სახელმწიფოებს შორის სოლიდარულად მოქმედებაში.⁴¹²

აქვე, აუცილებელია აღინიშნოს 194-ე მუხლის მე-2 ნაწილიც, რომელიც წევრ სახელმწიფოებს განსაკუთრებულ უფლებამოსილებას უტოვებს ენერგეტიკული რესურსების ექსპლოატაციისათვის. ცხადია, ეს იმ ნარატივის ნაწილია, რომელიც დელიკატურად მიიჩნევს ენერგორესურსების გამოყენების საკითხს. მასში იგულისხმება ევროკავშირის ქვეყნების სუვერენული უფლება თავად განსაზღვრონ ენერგორესურსების ტიპიც და მოხმარების ხარისხიც, რითაც უნდა დაკმაყოფილდეს ეროვნული ენერგომომთხოვნა.⁴¹³ ეს წარმომოშობს ინტერპრეტაციის საკმაოდ

⁴⁰⁹ Harbo T. The Function of the Proportionality Principle in EU Law, *European Law Journal*, Vol. 16 (2), 2010, 158.

⁴¹⁰ იხ. Horspool M., Humphreys M. *European Union Law, Core Text Series*, Oxford University Press, 7th Edition, 2012.

⁴¹¹ Piris J-C. *The Lisbon Treaty, A Legal and Political Analysis*, Cambridge University Press, 2010, 318.

⁴¹² Andoura S., Hancher L., Van Der Woude M. *Towards a European Energy Community: A Policy Proposal*, *Notre Europe*, 2010, 98.

⁴¹³ მაგალითად, ქვეყნებს საკუთარი ინტერესებისა და პრიორიტეტების შესაბამისად შეეძლებათ საერთაშორისო ხელშეკრულებებში მონაწილეობა იმ საკითხების მიმართ, რაც ენერგო რესურსებს უკავშირდება. ამას ნაშრომის

მაღალ დონეს და პრობლემურს ხდის ენერგეტიკული კომპეტენციის საკითხს.

საქმე კიდევ უფრო რთულდება, როდესაც ადგილი აქვს ევროკავშირის მიერ საგარეო ენერგეტიკული კომპეტენციის განხორციელებას.⁴¹⁴ ლისაბონი არ განმარტავს კონკურირებადი სფეროს საგარეო კომპეტენციის ფარგლებს. შესაბამისად, ასეთი კომპეტენციის განსაზღვრისთვის აუცილებელია მივმართოთ ევროკავშირის საგარეო საქმეებში მონაწილეობის ზოგად წესებს.

5.1.2.2. საგარეო ენერგეტიკული კომპეტენცია

ევროკავშირის *“sui generis”*⁴¹⁵ ბუნება არსად ისე არ იჩენს თავს, როგორც მისი საგარეო კომპეტენციების განსაზღვრისას. ეს, ცხადია, ენერგეტიკის სექტორზეც აისახება. საგარეო ურთიერთობები „არლეკინოს კოსტუმითაა“, რომელიც, როგორც წესი, სახელმწიფოთაშორის პრინციპს⁴¹⁶ ეფუძნება. პრაქტიკაში განსაკუთრებულად მაღალია გადაწყვეტილების მიღების პროცესში წევრ სახელმწიფოთა უხეში ჩართულობის შემთხვევები და კოორდინაციის ხარვეზები. ამას ადასტურებს გერმანიის კანცლერის, ანგელა მერკელის სიტყვებიც, რომელიც საგარეო ენერგეტიკული კომპეტენციის განსაზღვრისას სრულიად ახალი მეთოდის გამოყენების მომხრეა. „ჩვენ შეგვიძლია ენერგეტიკულ საკითხებში გამოვიყენოთ კოორდინირებული მეთოდი: კომბინაცია სუპრანაციონალური და სახელმწიფოთაშორისი ელემენტებისა და ეს ყველაფერი - სოლიდარული თანამშრომლობის ფარგლებში.“⁴¹⁷

პირველი თავი შეეხ. იხ. Vooren, V. B., Wessel A. R. EU External Relations Law, Text, Cases and Materials, Cambridge University Press, 2014, 447.

⁴¹⁴ იხ. Samkharadze I. Externalising the Energy Law: The Domestic Impact beyond the Current Domain of the European Union, International Journal of Green Economics, Vol. 12 (2), 2018, 145-154.

⁴¹⁵ ევროკავშირი განსაკუთრებული ტიპის (*sui generis*) რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომლის სტატუსი დღესაც კი, საკამათოა. მსჯელობა გაერთიანების სამართლებრივი ბუნების შესახებ არ არის წინამდებარე ნაშრომის მიზანი. დაწვ. იხ. Metz J. Expert Groups in the European Union: A Sui Generis Phenomenon? Journal Policy and Society, Vol. 32 (30), 2017, 267.

⁴¹⁶ გადაწყვეტილებების მიღების სახელმწიფოთაშორისი პრინციპის (intergovernmentalism) შესახებ იხ. Bickerton J. C., Hodson D., Puetter U. The New Intergovernmentalism: European Integration in the Post-Maastricht Era, Journal of Common Market Studies, Vol. 53 (4), 703-722.

⁴¹⁷ ანგელა მერკელის მოხსენება ბრიუგეს ევროპის კოლეჯის 61-ე აკადემიური წლის გახსნით ღონისძიებაზე 2010 წლის 2 ნოემბერს.

მერკელის მიერ შემოთავაზებული ვარიანტი იქნებოდა „საერთო პასუხისმგებლობა“ ან „კოორდინირებული ქმედება“,“⁴¹⁸ რომელიც კიდევ უფრო ართულებს საგარეო ენერგეტიკული კომპეტენციის განსაზღვრას. ამას ისიც ემატება, რომ სპეციალური 194-ე მუხლი დუმს ენერგეტიკის საგარეო კომპეტენციის შესახებ. როგორ უნდა გადაიჭრას ენერგეტიკის საგარეო კომპეტენციის საკითხი? არსებობს რაიმე სხვა სამართლებრივი საფუძველი?

ასეთი სამართლებრივი საფუძველი შესაძლოა იყოს ევროპის სამართლის ზოგადი წესებით დამკვიდრებული ე.წ. „ნაგულისხმევი კომპეტენციის“ თეორია. შესაბამისად, ლისაბონის ხელშეკრულების 216-ე მუხლი (მესამე სახელმწიფოებთან საერთაშორისო ხელშეკრულებების დადება) და იმავე ხელშეკრულების მე-3 მუხლის მე-2 ნაწილი (საგარეო მოქმედების ზოგადი პრინციპები) უნდა იქნეს მიჩნეული იურიდიულ საფუძველად, რომლის მიხედვითაც ევროკავშირი ახორციელებს საგარეო ენერგეტიკულ კომპეტენციას.⁴¹⁹ აქვე აუცილებელია ხელშეკრულების 47-ე და 24-ე მუხლების მოხმობაც.⁴²⁰ პირველი გაერთიანებას საერთაშორისო სამართალსუბიექტობას ანიჭებს, ხოლო მეორე ამბობს, რომ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან თავი შეიკავონ ისეთი მოქმედებებისაგან, რაც ხელს შეუშლის ევროკავშირის, რათა განახორციელოს ეფექტური საგარეო პოლიტიკა.⁴²¹

იურიდიული ანალიზის გარდა, ბოლო წლების პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ენერგეტიკული საკითხების რეგულირების საქმეში ნდობის უფრო მაღალი მანდატით ევროკავშირი სარგებლობს. ენერგეტიკული პოლიტიკის შემუშავება თითქმის მთლიანად გადავიდა ევროკავშირის ინსტიტუტების კომპეტენციაში. დღეს გაერთიანებას ენერგეტიკის სამართლის ნორმების მიღებისა და აღსრულების საკითხში უპირატესი უფლება აქვს და სფეროში რეგულირების თითქმის ექსკლუზიური კომპეტენციით გამოდის.⁴²²

<<https://www.coleurope.eu/events/mrs-angela-merkel-delivered-opening-address-opening-ceremony>> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 25.04.2019.

⁴¹⁸ Leal-Arcas R., Wouters J. Research Handbook on EU Energy Law and Policy, Edward Elgar Publishing, 2017, 36.

⁴¹⁹ Vooren V. B., Wessel A. R. EU External Relations Law, Text, Cases and Materials, Cambridge University Press, 2014, 451.

⁴²⁰ TEU, 47, 24.

⁴²¹ TEU, 24 (3).

⁴²² Leal-Arcas R., Wouters J. Research Handbook on EU Energy Law and Policy, Edward Elgar Publishing, 2017, 36.

ამრიგად, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ევროკავშირს აქვს უფლებამოსილება მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო ენერგოურთიერთობებში. ამას იგი სამართლის ევროპეიზაციის ფარგლებში ახორციელებს, რა დროსაც გაერთიანების ფორმალური და არაფორმალური წესები ევროპული დონიდან შიდასახელმწიფოებრივზე გადაეცემა.⁴²³ სამართლის ევროპეიზაციის ნაშრომის მომდევნო ნაწილში განვიხილავთ.

5.2. დამხმარე საკანონმდებლო ჩარჩო

ლისაბონის ხელშეკრულების გარდა, რომელიც სამართლის პირველადი წყარო და სამართლებრივი ბაზისია, ევროკავშირის სამართლის სისტემა მოიცავს მეორად წყაროებს. დამხმარე სამართლებრივი აქტები გამოცემულია ევროკავშირის რომელიმე ან რამდენიმე ორგანოს მიერ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში და შესაბამისობაში მოდის პირველად წყაროსთან. ისინი საკმაოდ არაერთგვაროვან საკანონმდებლო სივრცეს ქმნის. მნიშვნელოვანი განსხვავებაა იურიდიული ძალის მიხედვით და ასიმეტრიულია მათი მოქმედების ფარგლებიც.

ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ხუთი სამართლებრივი ინსტრუმენტი, რომელიც ლისაბონის ხელშეკრულების 288-ე მუხლითაა განსაზღვრული: რეგულაცია, დირექტივა, გადაწყვეტილება, რეკომენდაცია და შეხედულება. ამათგან პირველი ორი მაღალი ნორმატიულობით გამოირჩევა, მაშინ როცა „გადაწყვეტილება“ სავალდებულოა შესასრულებლად მხოლოდ კონკრეტული მითითების შემთხვევაში, ხოლო „რეკომენდაცია“ და „შეხედულება“ „რბილი სამართლის“⁴²⁴ ძალით ხასიათდება. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს განსაკუთრებული იერარქია სამართლებრივ ინსტრუმენტებს შორის და ერთი არ მეორეზე უპირატეს იურიდიულ მდგომარეობაში.⁴²⁵ გადაწყვეტილაც, თუ რომელი ინსტრუმენტით უნდა დარეგულირდეს ესა თუ ის საკითხი, ცალკეულ შემთხვევაში მიიღება.

⁴²³ სამხარაძე ი., საქართველოს ევროპეიზაცია: ევროკავშირში გაწევრიანების ძირითადი სამართლებრივი ასპექტები, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი,“ № 5, 2015, 41.

⁴²⁴ დეტალური განმარტებისთვის იხ. ნაშრომის მესამე ნაწილის მე-3 თავი.

⁴²⁵ Burca de G., Craig P. EU Law: Texts, Cases, and Materials, Oxford University Press, 6th edition, 2015, 106.

ევროკავშირის ენერგეტიკის სამართლის მეორეული კანონმდებლობის სრული და დეტალური მიმოხილვა ცდება დისერტაციით დასახულ მიზნებს. ნაშრომი ვერ და არ მიმოხილავს ყველა მეორად საკანონმდებლო აქტს ენერგეტიკის სფეროში. შედარებითი ანალიზის ჭრილში რამდენიმე მათგანზე მსჯელობა ნაშრომის მომდევნო ორ ნაწილში დაეფუძნება ევროკავშირის საქართველო ასოცირების ხელშეკრულებასა და ენერგეტიკული გაერთიანების ჩარჩო, რის ფარგლებშიც საქართველოს ევალდებულება შეზღუდული რაოდენობის საკანონმდებლო აქტების ეროვნულ კანონმდებლობაში იმპლემენტაცია. ეს აქტები რეგულაციის ან დირექტივის სახით გვევლინება. შესაბამისად, აუცილებელია, მათი მოკლე იურიდიული ანალიზი.

5.2.1. რეგულაცია

რეგულაცია შესასრულებლად სავალდებულო აქტია და მას პირდაპირი მოქმედების ძალა აქვს ევროკავშირის ყველა წევრ სახელმწიფოში.⁴²⁶ რას ნიშნავს პირდაპირი მოქმედების ძალა? უნარს, რომელიც გამოცემისთანავე იძენს მაღალ იურიდიულ ძალას. შესაბამისად, რეგულაციას აქვს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში „პარაშუტის“ ფუნქცია და მისი აღსრულებისთვის დამატებითი ეროვნული კანონმდებლობის მიღება საჭირო აღარაა. ინდივიდებსაც ეროვნულ სასამართლოებში დავისას რეგულაციის მოხმობა პირდაპირ შეუძლიათ, შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში მისი ასახვის გარეშე. ამას ადასტურებს მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო თავის ცნობილ საქმეში *“Van Gen den Loos”*,⁴²⁷ რომელიც საკვანძო გადაწყვეტილებაა ევროკავშირის სამართლის პირდაპირი მოქმედების დოქტრინის განვითარებისათვის. რეგულაციის ინსტრუმენტის ეფექტურობა იმაში მდგომარეობს, რომ ეროვნულ კანონმდებლობაში მისი ინკორპორირების პროცესები არ აყოვნებს რეგულაციის მოქმედების ძალა. იგი გამოცემისთანავე, მყისიერად მოქმედებს.⁴²⁸

მიუხედავად ზემოთ თქმულისა, რეგულაციების იმპლემენტაციის პროცესი არაა მარტივი. იგი განსაკუთრებულად პრობლემატურია დუალისტური (მონისტურისაგან განსხვავებით)

⁴²⁶ TFEU, 288.

⁴²⁷ Case 26/62 Van Gen den Loos [1963] ECR 13.

⁴²⁸ Fairhust J. Law of the European Union, Pearson Education Limited, 2016, 66.

კონსტიტუციური მოწყობის სახელმწიფოებისთვის.⁴²⁹ როგორც წესი, ასეთი ტიპის სახელმწიფოებში⁴³⁰ რეგულაციის პირდაპირი იურიდიული ძალის მიუხედავად, შიდაეროვნული აქტის მიღება მაინც ხდება საჭირო ხდება. ისევედასევე სასამართლოს „მკაცრი ტონის“ ციტირებით, სახელმწიფომ ყველა ზომა უნდა მიიღოს, რათა არ მოხდეს რეგულაციის შიდაეროვნული კანონმდებლობით ბლოკირება და ინსტრუმენტის იურიდიული ბუნების დარღვევა. ეს ვალდებულება ქვეყნებს ევროკავშირის წევრობის ძალით ეკისრებათ.⁴³¹

5.2.2. დირექტივა

დირექტივა, რეგულაციასთან შედარებით, უფრო სუსტი რეგულირების ხარისხით ხასიათდება და არ აქვს უშუალოდ მოქმედების უნარი. შესაბამისად, ევროკავშირის მიერ ინსტრუმენტის მიღება არაა საკმარისი მისი წევრ სახელმწიფოებში პირდაპირი იმპლემენტაციისთვის. აუცილებელია შესაბამისი ეროვნული საკანონმდებლო აქტის მიღება.

დირექტივა, როგორც წესი, ეროვნული კანონმდებლობის ევროპულთან ჰარმონიზაციას ან საკანონმდებლო ცვლილებას მოითხოვს და, თავისი ბუნებით, შედარებით უფრო სპეციალურია. მისი განსაკუთრებულობა იმაშიც მდგომარეობს, რომ იგი უფრო მოქნილი და დრეკადი სამართლებრივი მექანიზმია. დირექტივა მიმართულია რომელიმე კონკრეტულ ქვეყანაზე ან ქვეყნების ჯგუფზე. გარდა ამისა, მისი იმპლემენტაციის მეთოდი სრული თავისუფლების პრინციპზეა აგებული და, სამართლებრივი ტექნიკის თვალსაზრისითაც, ქვეყნებს მოქმედების მეტ თავისუფლებას უტოვებს.⁴³² ეს არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც იურიდიული ქაოსი და დირექტივის როლის დაკნინება. პირიქით, დირექტივა რიგ შემთხვევებში უფრო ეფექტური საშუალებაცაა, ვიდრე რეგულაცია და საკმაოდ მომთხოვნია „სასჯელიც“ მისი შეუსრულებლობისთვის. ამის შესახებ მითითებულია ევროსასამართლოს *“Francovich”* გადაწყვეტილებაში,⁴³³ რომელიც

⁴²⁹ იხ. ტოიბნერი გ. გლობალური კერძო რეჟიმები: ნეოსპონტანური სამართალი და ავტონომიურ სექტორთა დუალისტური კონსტიტუცია? სამართლის ჟურნალი №2, 2016.

⁴³⁰ მაგ. საფრანგეთი და გერმანია.

⁴³¹ Case 34/73 Variola v. Amministrazione dell Finanze [1973], ECR 981.

⁴³² Burca de G., Craig P. EU Law: Texts, Cases, and Materials, Oxford University Press, 6th Edition, 2015, 107.

⁴³³ Cases 6 and 9/90 Francovich [1991] ECR I-5357, 39.

საკმაოდ მკაცრია სახელმწიფოს მიმართ დირექტივის არაჯეროვანი იმპლემენტაციის შემთხვევაში. შესაძლოა ადგილი ჰქონდეს სასამართლოს მხრიდან ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაწესებაც.⁴³⁴

თუ რომელ დამხმარე ინსტრუმენტს გამოიყენებს ევროკავშირი ამა თუ იმ სფეროს დასარეგულირებლად ეს უშუალოდ ლისაბონის ხელშეკრულებაში პირდაპირაა მითითებული⁴³⁵ ან ევროკავშირის დისკრეციის ნაწილია. განმსაზღვრელია აქტის გამოცემის მიზანი და ქმედების ეფექტურობის კრიტერიუმი.

ნებისმიერ შემთხვევაში, რეგულაციისა და დირექტივის „წარმატება“ წევრი სახელმწიფოების მიერ მათი იმპლემენტაციის კეთილ ნებას ეფუძნება. ეს, ერთი მხრივ, კონსტიტუციურ მოწყობისა და შიდა სამართლებრივ სისტემის საგანია და, მეორე მხრივ, მაღალი პოლიტიკური თუ სოციალური თავისებურების მაჩვენებელი.

2009 წელს ევროკომისიამ 40-ზე მეტი საჩივარი წარადგინა ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოში, რომელიც წევრი სახელმწიფოების მიერ ენერგეტიკის სფეროში ნაკისრი სამართლებრივი ვალდებულებების შეუსრულებლობას შეეხებოდა.⁴³⁶ ძირითადი დარღვევები მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორც არის ენერგობაზრების გამჭვირვალობის პრინციპების არასათანადო აღსრულება, არასაკმარისი ენერგეტიკული თანამშრომლობა ნაციონალურ და ადგილობრივ დონეებზე, ეროვნული მთავრობების მიერ აღსრულების აქტივობების უმოქმედობა, დავის გადაწყვეტის ადეკვატური მექანიზმების არ არსებობა და ა. შ.⁴³⁷ სასამართლო საქმის წარმოება არაა ევროპული კანონის აღსრულების სრული გარანტი. ხშირად ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოსთვის გადაცემული საკითხის განხილვა მნიშვნელოვნად ყოვნდება, რა დროსაც წევრი

⁴³⁴ Case C6/90 and C-9/90 Francovich [1991] ECR I-5357.

⁴³⁵ მაგალითად, ლისაბონის ხელშეკრულების 109-ე მუხლში პირდაპირაა აღნიშნული, რომ შესაბამისი ქმედება დარეგულირდეს რეგულაციით, მაშინ როცა 115-ე მუხლი აწესებს დირექტივის გამოცემის ვალდებულებას. ნებისმიერ შემთხვევაში, ასეთი მაგალითები მწირია და ძირითადად, ევროკავშირს უწევს ცალკეულ შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღება.

⁴³⁶ იხ. Burca de G., Craig P. EU Law: Texts, Cases, and Materials, Oxford University Press, 6th Edition, 2015.

⁴³⁷ Communication from the Commission of 11 March 2010 to the Council and the European Parliament, Report on progress in creating the internal gas and electricity market, COM(2010)84, 2. ნაშრომში: Delvaux B. EU Law and Development of a Sustainable, Competitive and Secure Energy Policy: Opportunities and Shortcomings, Ph.D. Dissertation, Katholieke Universiteit Leuven, 2011, 114.

სახელმწიფოები განაგრძობენ სამართლებრივი ვალდებულებების შეუსრულებლობას. ეს კი საფრთხის ქვეშ აყენებს, როგორც ენერგოპოლიტიკის მიზნების რეალიზებას, ისე შიდა ენერგეტიკული ბაზრის მთლიანობას.

რასაკვირველია, ევროკავშირის კანონმდებლობის აღსრულების საკითხი უფრო გართულებულია გაერთიანების არა წევრი სახელმწიფოს შემთხვევაში. ამ პროცესში ევროპული სასამართლოს „დახმარება“ ხომ გამორიცხულია, რადგან მისი იურისდიქცია ვერ გავრცელდება ევროკავშირის არა წევრ ქვეყანაზე. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო ევროკავშირის წევრი არ არის და საქართველოში რეგულაციისა და დირექტივის პირდაპირი მოქმედების ძალა ვერ ექნება, ქვეყნას აქვს ეროვნულ კანონმდებლობაში მისი ინტეგრირების ფორმის არჩევის თავისუფლება – ის შეიძლება მიღებულ იქნეს საკანონმდებლო აქტით (მაგ. საქართველოს კანონი) ან სხვა ფორმით (მაგ. საქართველოს მთავრობის დადგენილება).

სამართლებრივი დაახლოების პროცესში მნიშვნელოვანია, რომ უცვლელად დარჩეს რეგულაციის და დირექტივის ტექსტის შინაარსი.⁴³⁸ გასათვალისწინებელია, საფრთხე არ შეექმნას ევროკავშირის კანონმდებლობით დადგენილი კონკრეტული სტანდარტების შესრულებას. საქართველოს ნორმატიულ სივრცეში რეგულაციისა და დირექტივის გადატანისას გვერდს ვერ ავუვლით ტერმინოლოგიურ და ტექნიკურ საკითხებსაც. ქართულ სამართლებრივ სივრცეში ევროპული კანონის აღსრულების უფრო კონკრეტულ შემთხვევებს ნაშრომის მომდევნო ორი ნაწილი შეეხება.

6. დასკვნის ნაცვლად

ევროკავშირის ენერგეტიკულ პოლიტიკას ჯერ კიდევ ბევრი კრიტიკოსი ჰყავს. *ჰელმის* სკეპტიციზმით, ევროკავშირის შიდა ბაზარი ჯერ არაა სრულად მატერიალიზებული, რაც წევრი სახელმწიფოების არაერთგვაროვანი ენერგოსექტორითა და მათ შორის ნაკლები დიალოგით აიხსნება.⁴³⁹ ამასთან, მაღალია *დე ფაქტო* მონოპოლური კომპანიების როლი, რაც ევროკავშირის ფარგლებში მოქმედ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს არ აძლევს სრულად ლიბერალიზებული ენერგობაზრით სარგებლის მიღების

⁴³⁸ სამართლებრივი დაახლოება, სახელმძღვანელო პრინციპები, საჯარო მოხელის სამაგიდო ბროშურა, თბ., 2017, 26.

⁴³⁹ Kanellakis M., Martinopoulos G., Zachariadis T. European Energy Policy – A Review, Elsevier Energy Policy Journal, Vol. 62, 2013, 1025.

შესაძლებლობას.⁴⁴⁰ ევროკავშირის სამი მიზნის მიღწევაც გარკვეული სიძნელეებით ხასიათება, რასაც არათანმიმდევრული, ფრაგმენტული პოლიტიკა იწვევს.

მიუხედავად არსებული კრიტიკისა და ხარვეზისა,⁴⁴¹ ევროკავშირის ერთიანი ენერგეტიკული ბაზარი და ზოგადად - ევროპის ენერგეტიკის სექტორი - ზეეროვნული ენერგოწესრიგის მსოფლიოში აქამდე არ არსებული უნიკალური მაგალითია. ამ წესრიგის ევროკავშირის საზღვრებს მიმართ გავრცელება, დღეს, გაერთიანების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა. შედეგად, მისი დაფარვის ზონა იზრდება და მოიცავს ყველა იმ არა წევრ ქვეყანას, რომელიც ნებაყოფლობით უშვებს ევროპის სამართლის შიდაეროვნულ კანონმდებლობაში შემოჭრის შესაძლებლობას.⁴⁴²

ამ საკითხის სიღრმისეულ ანალიზს შეეხება ნაშრომის მომდევნო ორი ნაწილი, რომელიც საქართველოს ენერგეტიკის სექტორის ევროპეიზაციის პროცესს უფრო დეტალურად გააანალიზებს. იგი იმ კონკრეტულ სამართლებრივ მექანიზმებზე იმსჯელებს, რის საფუძველზეც მიმდინარეობს ქართული ენერგეტიკის კანონმდებლობის განახლება.

მანამ, შუალედური დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ წინამდებარე სადოქტორო ნაშრომი ქართული ენერგეტიკული კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებას სამ-განზომილებაში ხედავს:

ეროვნული პოლიტიკის დონეზე, საქართველოში არსებული კანონმდებლობის გაუმჯობესება და ახლის შემუშავება ენერგეტიკული კავშირის (Energy Union) მიერ ზემოთჩამოთვლილი ხუთი კომპონენტისა და თხუთმეტი სამოქმედო პუნქტის საფუძველზე უნდა წარიმართოს.⁴⁴³

სამართლებრივი ბაზისის თვალსაზრისით, საქართველომ უნდა გაიზიაროს ლისაბონის ხელშეკრულების 194-ე მუხლის პირობები. მშენებლობის პროცესში მყოფი ქართული

⁴⁴⁰ Communication from the Commission of 10 January 2007, Inquiry pursuant to Article 17 of Regulation (EC) No 1/2003 into the European gas and electricity sectors (Final Report), COM(2006) 851, 10.1.2007.

⁴⁴¹ ევროკავშირი თავადაც აცნობიერებს ხარვეზებს ბაზრის ფუქციონირების საკითხში და მუდმივად მის გაუმჯობესებაზე ზრუნავს. ევროკავშირის საერთო ბაზრის სრული ლიბერალიზაციის ყველაზე მძლავრი მექანიზმი წევრი სახელმწიფოების ეროვნული ეროვნული ბაზრების ინტერნაციონალიზაციაა. იხ. Kanellakis M., Martinopoulos G., Zachariadis T. European Energy Policy – A Review, Elsevier Energy Policy Journal, Vol. 62, 2013, 1025.

⁴⁴² Featherstone K., Radaelli C. The Politics of Europeanization, Oxford University Press, 2003, 25.

⁴⁴³ დაწვრ. იხ. წინა თავის მეოთხე ქვეთავი.

ენერგეტიკული კანონმდებლობა უნდა უზრუნველყოფდეს ლისაბონის ხელშეკრულების სამი მიზნის ადგილობრივ დონეზე მიღწევას: კონკურენცია-ლიბერალიზაცია, მდგრადი განვითარება და ენერგოსაფრთხოება.

სექტორული კანონმდებლობის შემუშავებისათვის, საქართველომ შიდაეროვნულ სივრცეში უნდა შემოიტანოს ენერგეტიკული გაერთიანებისა და ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ევროპული კანონმდებლობა და მოახდინოს მისი სრული იმპლემენტაცია.

IV. ნაწილი მესამე: სამართლის ჰარმონიზაცია, როგორც ქართული ენერგეტიკული კანონმდებლობის ევროპულთან დაახლოების ძირითადი მექანიზმი

1. ანოტაცია

როგორც ნაშრომის შესავალ ნაწილში აღინიშნა, დღეს, იურიდიული აზროვნება მზად არის სამართლის სისტემათა კოჰაბიტაციისთვის. მისი საწყისებიდან ჰარმონიზაცია ქართული სამართლის განვითარების მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენდა. ამ პროცესში დიდი წვლილი მიუძღვის დასავლური ერების გამოცდილებას.

ქართული სამართალწარმოება ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა ევროკავშირთან ასოცირების ფორმატმა. თუკი წარსულში ევროკავშირი მხოლოდ წევრ სახელმწიფოთა შიდა ინტეგრაციის სტიმულირებით იყო დაკავებული, დღეს, იგი აღარაა „გალაქტიკის ერთადერთი პლანეტა“⁴⁴⁴ და საერთაშორისო სამართლებრივი რეჟიმებსაც აქტიურად განსაზღვრავს.⁴⁴⁵ ეს ეხება ქართულ ენერგეტიკის სამართალსაც, რომელიც საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობის ერთ-ერთი საკვანძო საგანია.

შესაბამისად, დისერტაციის ეს ნაწილი საქართველოს ენერგეტიკის სამართლის ჰარმონიზაცია-ევროპეიზაციის დოგმატურ საფუძვლებს შეისწავლის და სამომავლო იურიდიული ანალიზის ბაზისს ქმნის. იგი საქართველოში ევროპის ენერგეტიკული დიპლომატიის კონკრეტულ ინსტრუმენტებს მიმოიხილავს და სიღრმისეულად ენერგეტიკული თანამშრომლობის ყველაზე მძლავრი სამართლებრივი ინსტრუმენტების - ასოცირების ხელშეკრულებასა და ენერგეტიკული გაერთიანების ჩარჩოს დააკვირდება.

⁴⁴⁴ Dragneva R., Wolczuk K. EU Law Export to the Eastern Neighbourhood წიგნში P. J. Cardwell. EU External Relations Law and Policy in Post-Lisbon Era, TMC Asser Press, The Hague, 2012, 225.

⁴⁴⁵ უფრო კონკრეტულად ევროკავშირის საგარეო ურთიერთობათა სამართალი იმ წესების ერთობლიობაა, რომელიც არეგულირებს გაერთიანების საგარეო ქმედებს, რაც ძირითადად გაერთიანების მიერ სხვა ერთეულებთან და „მესამე სახელმწიფოებთან“ საერთაშორისო ხელშეკრულების გაფორმებასა და ურთიერთქმედებაში ან ტრანსნაციონალური ორგანიზაციების პროცესში მონაწილეობაში (წევრობაში) გამოიხატება. მეტი ინფორმაციისთვის: Vooren B. V. EU External Relations Law, Cambridge University Press, 2014, 30.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ნაშრომის მესამე ნაწილი უხვად შეიცავს ენერგეტიკის სამართლისთვის დამახასიათებელ ტერმინებს, რომლებიც ქართული იურიდიული ლიტერატურისთვის ჯერ კიდევ უცხოა. სწორედ ამიტომ, ერთ-ერთი ქვეთავი ამ ცნებებსა და დებულებებს დაეთმობა.

2. სამართლებრივ სისტემათა ჰარმონიზაცია და საკანონმდებლო დაახლოების ფარგლები

2.1. ქართული სამართალი ჰარმონიზაციის საწყისები

ევროკავშირის სამართალთან დაახლოება არ არის ქართული კანონმდებლობის რეფორმირების პირველი გამოცდა. ქვეყანა არასდროს ყოფილა თავის ვიწრო ნაციონალურ ღირებულებებში ჩაკეტილი. პროგრესული იდეალების მიმართ იგი ყოველთვის დიდ დაინტერესებას იჩენდა და ამგვარად სრულყოფდა თავის კულტურასა და სამართალს.⁴⁴⁶ ეს განსაკუთრებულად თვალშისაცემია საბჭოთა კავშირის რღვევის შემდეგ, როდესაც საქართველომ, ისევე როგორც პოსტ-სოციალისტური ქვეყნების უმრავლესობამ, დასავლური ღირებულებების მქონე დემოკრატიული და საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებული სახელმწიფოს მშენებლობა დაისახა მიზნად. დამოუკიდებლობის მიღებიდან ქვეყნის სამართლებრივი ტრანსფორმირების დღის წესრიგს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს საქართველოს ევროპული მისწრაფებები.

ამის მაგალითია ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული,⁴⁴⁷ 1649 წლის სჯულდებისა და პეტრე პირველის „სამხედრო წესდების“ ქართული თარგმანი.⁴⁴⁸ ვახტანგ VI-მ თავი მოუყარა უცხო და ქართული სამართლის ძეგლებს და პირველმა განაცხადა, რომ ქართული სამართალი არის ეროვნულისა და სამართლის საერთო სულის სინთეზირებული პროექტი.

საქართველო მუდმივად განიცდიდა აღმოსავლური და დასავლური კულტურების ზეგავლენას, რაც, ბუნებრივია, გავლენას ახდენდა მის სამართლებრივ განვითარებაზეც. *გაბუნია*ს აზრით,

⁴⁴⁶ ზოიძე ბ. ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, თბ., 2005, 19.

⁴⁴⁷ მასში შესულია უცხოური წარმომავლობის სამართლის ძეგლები: მოსეს სჯული, ბერძნული სამართალი, სომხური სამართალი, სირიულ-რომაული სამართალი, „მხითარ-გომის სამართალი.“

⁴⁴⁸ ზოიძე ბ. ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, თბ., 2005, 19.

„ცალკე აღებული, თავისთავადი ქვეყანა - საქართველო განეკუთვნებოდა „აღმოსავლეთს,” ე.ი. აზიას, როცა აღმოსავლეთი პირველობდა და „დასავლეთს,” ე.ი. ევროპას, როდესაც დასავლეთი „წარუძღვებოდა” ცივილიზებულ კაცობრიობას.“⁴⁴⁹ ქართულ-ევროპული ურთიერთობების მკვლევრის, *ჯანრი კამიას*, დაკვირვებით, „საქართველო და ქართული კულტურა ბუნებით ევროპელები და ბუნებითვე წინააზიელები არიან. ამ წარმომავლობის ისტორიული საფუძვლები შეიძლება იყოს ბერძნული (ევროპულ-დასავლური) და შუამდინარულ-ირანული (წინააზიურ-აღმოსავლური) ცივილიზაციები და მათი ეპოქალური გავლენები.“⁴⁵⁰

აქედან გამომდინარე, ისტორიულად, ქართული სამართალი ქვეყნის საგარეო პრიორიტეტების კვალდაკვალ სხვადასხვა გავლენის ფონზე ვითარდებოდა. მიუხედავად ამისა, საქართველოში არასდროს მომხდარა უცხო ქვეყნის სამართლის სარკისებური რეცეპცია. ნორმის გადმოღება კანონშემოქმედებითი საქმიანობაა და იგი არ შეიძლება გაიგივებულ იქნეს ნაწარმოების თარგმნასთან. „ამ პროცესში მთარგმნელი არ არის შეზღუდული, როცა სჭირდება უმატებს, ავრცობს, როცა სჭირდება – აკლებს, ამოკლებს და, რაც მთავარია, ხშირ შემთხვევაში თარგმნის არა სიტყვასიტყვით, არამედ წაიკითხვას მუხლს, გაიაზრებს და მერე წერს.“⁴⁵¹

ქართული სამართლის ჰარმონიზაციის თანამედროვე გამოწვევები მნიშვნელოვნად განსხვავდება იმისგან, რაც საუკუნეების წინ მის საწყის ეტაპზე იდგა. დღეს, სამართლის ჰარმონიზაციას დასახული აქვს სრულიად სხვა ამოცანები როგორც შინაარსობრივი თვალსაზრისით, ასევე მეთოდებითა და ტექნიკური განხორციელების გზებით. მთავარი ისაა, რომ სამართლის ჰარმონიზაციის პროცესში აუცილებელია სამართლებრივ ფასეულობათა ჰარმონიზაცია.⁴⁵² კანონის გადმოღებას თან უნდა ახლდეს ევროპული სტანდარტების მიმართ პატივისცემა და მათი ეროვნულ კანონმდებლობაში ღირებულებითი ინტეგრაცია.

⁴⁴⁹ გაბუნია გ. საქართველო ევრაზიულ გეოპოლიტიკურ სივრცეში (X-XIII სს.) – კრებულში: ქართველური მემკვიდრეობა, ქუთაისი, 2001, 75.

⁴⁵⁰ ზოიძე ბ. ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, თბ., 2005, 19.

⁴⁵¹ იქვე, 21.

⁴⁵² იქვე, 38.

2.2. ჰარმონიზაციის არსი

ზოგადად, ჰარმონიზაცია შესაძლოა განიმარტოს როგორც პროცესი, რომელიც ისწრაფვის ორი ან მეტი განსხვავებული ელემენტის გაერთიანებას ან მათ მაქსიმალურ დაახლოებას.⁴⁵³ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჰარმონიზაცია მიზნად ისახავს მეტ ჰარმონიას და მოიცავს განსხვავებული ნაწილების, ელემენტებისა თუ „ერთმანეთთან დაკავშირებული“ საგნების კომბინაციასა და შეთავსებას. ეს ყოველივე კი საბოლოოდ ქმნის თანმიმდევრული ერთიანობის განცდას.⁴⁵⁴

ჰარმონიზაცია არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც ინდივიდუალიზმიდან საერთოში გადასვლის უხეში მცდელობა. იგი მრავალფეროვნების ერთ ობიექტში გაერთიანებაა, რა დროსაც საფრთხე არ ემუქრება ცალკეული დამოუკიდებელი ელემენტების ინდივიდუალობას. ჰარმონიზაციის შედეგად შემაღენელი ელემენტების თვისობრიობასა და იდენტობას ეფუძნება.⁴⁵⁵

ინგლისური ეტიმოლოგიის მიხედვით, „ჰარმონიის,“ როგორც იდეის, უპირველესი ჩანასახი მუსიკას უკავშირდება, რომლის დროსაც რამდენიმე ერთმანეთისაგან განსხვავებული ბგერის კომბინაციით სასიამოვნო ჟღერადობა იქმნება. *ბოდმანის* ლოგიკითაც, სამართლის ჰარმონიზაციის ფუნდამენტური თვისებები სწორედ მუსიკალურ ჰარმონიასთან შედარებაში უნდა ვეძებოთ.⁴⁵⁶ მუსიკასთან მსგავსების გაანალიზებით, ჰარმონია დამოუკიდებელი, ცალკე აღებული ნოტების ინტეგრაცია და ერთდროული გახმოვანებაა, რაც ერთ მთლიანობას – ანუ მელოდიას ქმნის.

ჰარმონიზაციის მიღწევისთვის საჭიროა სათანადო წესრიგის უზრუნველყოფა. ერთდროულად უწესრიგოდ აქდერებეული განსხვავებული ნოტები აუცილებლად კაკაფონიას გამოიწვევს, მწყობრად მიმართული ბგერები კი - სასიამოვნო ჟღერადობას. სწორედ ამიტომ ორი განსხვავებული კომპონენტის ერთმანეთთან შეკავშირებისას უმნიშვნელოვანესია წესრიგის უზრუნველყოფა. წესრიგი გადამწყვეტია სამართლის ჰარმონიზაციის პროცესშიც,

⁴⁵³ Fox E.M. Harmonization of Law and Procedures in a Globalized World: Why, What and How? Vol.60 Antitrust Law Journal, 1992, 594.

⁴⁵⁴ Boodman M. The Myth of Harmonization of Laws, The American Journal of Comparative Law, Vol. 39, 1991, 699.

⁴⁵⁵ Leebron D. Claims for Harmonization: A Theoretical Framework, Canadian Business Law Journal, 1996, 65.

⁴⁵⁶ Boodman M. The Myth of Harmonization of Laws, The American Journal of Comparative Law, Vol. 39, 1991, 700.

როდესაც განსხვავებული სამართლებრივი სისტემები ერთმანეთს შეერწყმის.

2.3. სამართლის ჰარმონიზაცია

სამართლის ჰარმონიზაცია განსხვავებული სამართლებრივი სისტემების თანაარსებობას გულისხმობს.⁴⁵⁷ რენე დავიდი მას სხვადასხვა სამართლებრივი ალტერნატივის ერთიან უნიფიკაციად მიიჩნევს.⁴⁵⁸ ბეიკერისთვის ჰარმონიზაცია ძალაა, რომელიც სამართლებრივ რეფორმას მოასწავებს.⁴⁵⁹ ფოლოი მას საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე ნორმების ურთიეთკავშირად მიიჩნევს, რომელიც სრულ თავსებადობაშია ერთმანეთთან.⁴⁶⁰ ეგანს სწამს, რომ სამართლის, ისევე როგორც პოლიტიკის, ჰარმონიზაცია საშუალებაა, რათა მიიღწეს კონსენსუსი.⁴⁶¹ ჰარმონიზაცია არის ნორმატიული მტკიცება, რომელიც ქვეყნის შიგნით ორგანულად ერთიანი სამართლებრივი სივრცის შექმნას ისახავს მიზნად. ჰარმონიზებული სამართლის ორგანულობის ხარისხი დამოკიდებულია, როგორც საკანონმდებლო ტექნიკაზე, ისე ცალკეული სამართლის ბუნებაზე. სწორედ ამიტომ, რომ ჰარმონიზაციის სპეციფიკა ცალკეულ შემთხვევებში სამართლის დარგის თვისობრიობის თანამდევია.⁴⁶²

სამართლის ჰარმონიზაციის თანამედროვე გაგება შედარებით ახალი ფენომენია, რომელიც „სამართლებრივი მოდერნიზმის“⁴⁶³ ეპოქაში გაჩნდა. იგი, მაგალითად, არ გვხვდება ფეოდალიზმის ხანაში. ფეოდალური კარჩაკეტილობა სხვადასხვა ხალხთა სამართლის უნიფიკაციასა და ჰარმონიზაციისთვის ხელშემშლელი ფაქტორი იყო, რაშიც ძირითადი დაბრკოლება სამართლის წოდებრივი, იერარქიული ბუნება გახლდათ.⁴⁶⁴

⁴⁵⁷ The Parliament of the Commonwealth of Australia, Harmonization of the Legal Systems within Australia, Canberra, 2006, 7.

⁴⁵⁸ Polach G. Harmonisation of Laws in Western Europe, American Journal of Comparative Law, Vol. 8, 1959, 154.

⁴⁵⁹ Backer C. L. Harmonization, Subsidiarity and Cultural Difference: An Essay on the Dynamics of Opposition within Federative and International Legal Systems, Tulsa Journal of Comparative and International Law, Vol. 4 (2), 187.

⁴⁶⁰ Fouloy C. Glossary of EC Terms (London: Butterworths, 1992), H-227.

⁴⁶¹ Egan M. The Single Market, წიგნში: Cini M. (ed.), European Union Politics, Oxford University Press, 2006, 32.

⁴⁶² Boodman M. The Myth of Harmonization of Laws, Vol. 39, The American Journal of Comparative Law, 1991, 702.

⁴⁶³ იხ. Luban D. Legal Modernism, The University of Michigan Press, 1997.

⁴⁶⁴ ზოიძე ბ. ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, თბ., 2005, 35.

დაბალი ტექნიკური პროგრესის პირობებში ადგილი ჰქონდა სახელმწიფოთა შორის გაუცხოებას. „ყოველი სახელმწიფო საკუთარ კანში ეტეოდა და მხოლოდ საკუთარი სამართლით ცხოვრობდა.“⁴⁶⁵ შესაბამისად, ადრეული ეტაპის სამართლის ჰარმონიზაცია უფრო იძულებითი და არა ნებაყოფლობითი. ერთიანი სამართლის იდეა განვითარებული კულტურის ქვეყნებში ყალიბდებოდა და შემდეგ უკვე „ცეცხლითა და მახვილით“ ვრცელდებოდა. უპირველესად, ასეთად ითვლებოდა რომის სახელმწიფოს სამართალი, რომელიც დღესაც „ხერხემალია“ უნიფიცირებულ-ჰარმონიზებული სამართლისათვის.⁴⁶⁶ იმავე პრინციპებს ეფუძნება დღევანდელი ევროპული - გერმანული და ფრანგული სამართალიც.

თანამედროვე სამართლის ჰარმონიზაციის საფუძვლები მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში გაჩნდა, როცა ევროპული⁴⁶⁷ კოდიფიკაციის გავლენებმა მოიცვა თითქმის ყველა კონტინენტი. მათ შორის ისეთი ქვეყნებიც, რომელთაც არასდროს ჰქონიათ კოლონიური წარსული.⁴⁶⁸ ამ მხრივ, განსაკუთრებულად აქტიურია გასული საუკუნე, როდესაც სამართლის ჰარმონიზაცია საერთაშორისო ურთიერთობების ცენტრალურ კომპონენტად იქცა. ეს ძირითადად გამოწვეული იყო საერთაშორისო ურთიერთობებში კერძო აქტორების (კომპანიები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ინდივიდები) როლის ზრდით და სახელმწიფო მონოპოლიების კლებით.⁴⁶⁹

შედეგად, სამართლის ჰარმონიზაციის თავდაპირველი ობიექტიც კერძო სამართალი იყო, რასაც ხელი შეუწყო 1926 წელს კერძო სამართლის უნიფიკაციის საერთაშორისო ინსტიტუტის⁴⁷⁰ დაარსებამ. ჰარმონიზაციის სფეროში ინსტიტუტის პიონერობას

⁴⁶⁵ იქვე.

⁴⁶⁶ იქვე, 35.

⁴⁶⁷ აქ ძირითადად იგულისხმება ფრანგული სამოქალაქო კოდექსი: *Code Civil* (1804) და გერმანული *Bürgerliches Gesetzbuch* (1896, ძალაში შევიდა 1900 წელს).

⁴⁶⁸ Faria J. A. Future Directions of Legal Harmonisation and Law Reform: Stormy Seas or Prosperous Voyage? *Uniform Law Review*, 2009, 6.

⁴⁶⁹ Romanova T. Towards a Comprehensive Theory of Legal Harmonization between the EU and a Third Partner: The Case of The EU-Russian Energy Dialogue, წიგნში: Delvaux B., Hunt M., Talus K. (eds.) *EU Energy Law and Policy Issues*, Vol. 3, Intersentia, 2012, 279.

⁴⁷⁰ The International Institute for the Unification of Private Law (UNIDROIT) არის დამოუკიდებელი სამთავრობოთაშორისი ორგანიზაცია, რომელიც სწავლობს სამართლის მოდერნიზაციისა და ჰარმონიზაციის მეთოდებს კერძო სამართლის სფეროში. სწავლების შედეგები მომავალში გამოიყენება ცალკეული სახელმწიფოს მიერ. ლორდ *ჯასტის კენედის* აზრით, ორგანიზაციამ უდიდესი სიკეთე მოუტანა კაცობრიობას კერძო სამართლის ჰარმონიზაციის საკითხში. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ: Kennedy J. The Unification of Law, 10 *Journal of the Society of Comparative Legislation*, 1909.

მაღევე მოჰყვა ახალი მსგავსი პროფილის მქონე ორგანოების წარმოქმნა.⁴⁷¹

სამართლის ჰარმონიზაციის „კოპულარობას“ ასევე ხელი შეუწყო „რბილი სამართლის“⁴⁷² განვითარების ტენდენციებმა. ხშირია მკაცრი სამართლის დებულებების ჩანაცვლება კოოპერაციის უფრო ღია და ვოლუნტატური, სპონტანური მეთოდებით.⁴⁷³ მთავარ არქიტექტორებად ამ საქმეში საერთაშორისო, რეგიონული ორგანიზაციები და სხვა სამთავრობო-თავმოვლის გაერთიანებები გვევლინება.⁴⁷⁴ საერთაშორისო სამართალი მოსცილდა მის ტრადიციულ საფუძვლებს. საერთაშორისო ურთიერთობებში შესუსტდა არა მხოლოდ ცალკეული სახელმწიფოების როლი, არამედ სახელმწიფოს, როგორც ინსტიტუციის პოზიციები.⁴⁷⁵ თანამედროვე საერთაშორისო სამართალში სახელმწიფოები აღარ არიან ამ სფეროს ერთადერთი სუბიექტები. დამოუკიდებელ სუბიექტებად გვევლინებიან როგორც საერთაშორისო ორგანიზაციები და მულტინაციონალური კომპანიები, ისე ცალკეული ინდივიდები, რამდენადაც მათ გააჩნიათ საერთაშორისო სამართალსუბიექტობა.⁴⁷⁶

საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობა ზეეროვნული წესრიგის მიმართ პატივისცემას მოითხოვს, რაც გავლენას ახდენს შიდაეროვნული სამართლის ახლებურ ფორმირებაზე. ამის ნათელი მაგალითია ევროკავშირი, რომელიც განსაზღვრავს მისი წევრი და არა-წევრი - ე.წ. „მესამე სახელმწიფოების“⁴⁷⁷ სამართალშემოქმედების პროცესს. სამართლის ჰარმონიზაციას ამ ტიპს - სამართლის ევროპეიზაციასაც უწოდებენ.

⁴⁷¹ მაგალითისთვის ასეთად შეიძლება მოიაზრობოდეს 1955 წლის ჰააგის კონფერენცია საერთაშორისო კერძო სამართალში (The Hague conference on Private International Law) და 1966 წლის გაეროს კომისია საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში (UNCITRAL).

⁴⁷² იხ. ნაშრომის მეორე ნაწილის მეხუთე ქვეთავი.

⁴⁷³ Romanova T. Towards a Comprehensive Theory of Legal Harmonization between the EU and a Third Partner: The Case of The EU-Russian Energy Dialogue, წიგნში: Delvaux B., Hunt M., Talus K. (eds.) EU Energy Law and Policy Issues, Vol. 3, Intersentia, 2012, 284.

⁴⁷⁴ ამის ნათელი მაგალითია ევროპის კავშირი.

⁴⁷⁵ Segbers K. The New global Landscape and Energy Politics in the 21st Century, წიგნში: Leal-Arcas R., Wouters J. Research Handbook on EU Energy Law and Policy, Edward Elgar Publishing, 2017, 105.

⁴⁷⁶ McCorquodale R. The Individual and International Legal System წიგნში: Evans D. M. International Law, Oxford University Press, 284. ასევე: Reparation for Injuries Suffered in the Service of the Nations, Advisory Opinion, April, 1949, ICJ Rep 174, ICGJ 232, International Court of Justice.

⁴⁷⁷ განმარტებული ნაშრომის შესავალში.

2.4. სამართლის ევროპეიზაცია

„ევროპეიზაციის დიაპაზონი დიდია და მნიშვნელოვნად სცდება ევროკავშირის საზღვრებს.“⁴⁷⁸ – აცხადებს *ფიჯერსტონი*. მისი აზრით, ევროპეიზაცია ერთი ევროპული სახელმწიფოდან ან ევროპული ორგანიზაციიდან, (მაგ. ევროკავშირი და ევროპის საბჭო⁴⁷⁹) მეორეში პოლიტიკის ტრანსფერია (ე.წ. „კლუბის პოლიტიკის ტრანსფერი“⁴⁸⁰). წინამდებარე სადოქტორო ნაშრომის კონტექსტში საინტერესოა მხოლოდ ევროკავშირის სამართლის გავრცელების პოტენციალის შესწავლა, რასაც თავისუფლად შეიძლება „EU-ზაცია“ ეწოდოს.

ვინემორეს მიხედვით, ევროპეიზაცია ევროკავშირის უნარია გავლენა მოახდინოს წევრი და არაწევრი სახელმწიფოების შიდა კანონმდებლობის, პოლიტიკის პრიორიტეტებისა და ადმინისტრაციული სტრუქტურების განვითარებაზე.⁴⁸¹ *მაგენის* მიხედვით, ევროპეიზაციის პოლიტიკა და პროცესი ევროკავშირის, როგორც ორგანიზაციის, წიაღში იძერწება და შემდეგ ვრცელდება მუნიციპალურ დონეებზე.⁴⁸²

რადაელი მიიჩნევს, რომ ევროკავშირის მიერ ინიცირებული სამართლის ევროპეიზაცია გაერთიანების ფორმალური და არაფორმალური წესების, პროცედურების, ჩვევების, პოლიტიკის პარადიგმების, „საქმის კეთების სტილისა და მეთოდების“ ევროპული დონიდან შიდასახელმწიფოებრივ დონეზე გადაცემაა. ევროპეიზაცია პროცესია, რის ფარგლებშიც ევროკავშირი ახორციელებს ე.წ. „საგარეო მმართველობას“ – ქმნის ქცევის წესების ერთობლიობის გაკრვეულ მოდელებს, რასაც საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში უზიარებს სხვა სახელმწიფოებს.⁴⁸³

⁴⁷⁸ Featherstone K. Introduction: In the Name of 'Europe,' წიგნში: Featherstone K., Radaelli C. *The Politics of Europeanization*, Oxford University Press, 2003, 3.

⁴⁷⁹ იგულისხმება ორგანიზაცია ევროპის საბჭო და არა ევროკავშირის ორგანო.

⁴⁸⁰ Dimitrova A. *Enlargement, Institution-Building and the EU's Administrative Capacity Requirement*, *West European Politics*, Vol. 25 (4), 2002, 173.

⁴⁸¹ Phinnemore D., McGowan L. *A Dictionary of the European Union*, Europa Publications, London and New York, 2002, 194.

⁴⁸² Magen A. *Transformative Engagement through Law: The Acquis Cummunautaire as an Instrument of EU External Influence*, *European Journal of Law Reform*, Vol. 9, 2007, 364.

⁴⁸³ Lavenex S., Schimmelfennig F. *EU Rules beyond EU Borders: Theorizing External Governance in European Politics*, *Journal of European Public Policy*, Vol. 16 (6), 2009, 795.

ვიწრო გაგებით, ევროპეიზაცია სუპრანაციონალური⁴⁸⁴ ხასიათის ნორმათა ერთობაა, რომელთაც შესასრულებლად სავალდებულო ძალა აქვთ ევროკავშირის წევრისახელმწიფოებისათვის. ასეთ დროს, სამართლის ევროპეიზაცია ევროკავშირის დონეზე მიღებული კანონებით წევრი სახელმწიფოების სამართლებრივი ბოჭვაა, სადაც, ხშირ შემთხვევაში, ევროკავშირის მიერ დადგენილი ნორმა სამართლის ავტონომიური წყაროა და მისი შიდასახელმწიფოებრივ სამართალში ფორმალური ინკორპორირება საჭირო აღარაა.

ასე მაგალითად, ევროპის სამართლის უშუალო მოქმედების დოქტრინის მიხედვით, ევროკავშირის ამა თუ იმ წევრი სახელმწიფოს მოქალაქეს სასამართლო დავისას უფლება აქვს დაეყრდნოს ევროკავშირის მიერ მიღებულ ნორმატიულ აქტს, რომელიც ეროვნული კანონმდებლობის უშუალო ნაწილი არ არის.⁴⁸⁵ ალბათ სწორედ ამის გამოა, რომ *ლავეტონი* ევროპეიზაციას *დე იურე* ცალკეული სახელმწიფოების მიერ სუვერენიტეტის ბრიუსელისთვის გადაცემად მიიჩნევს.⁴⁸⁶

ფართო გაგებით, ევროპეიზაცია ევროპის სამართლისა და კანონმდებლობის ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიღმა გავრცელებაა, რა დროსაც გაერთიანების პოლიტიკის მიმდევარი მესამე სახელმწიფოები შიდაეროვნულ დონეზე უშვებენ ევროკავშირის სამართლის გამოყენების შესაძლებლობას. ასეთ დროს ევროპეიზაცია ზემოდან ინიცირებულ პროცესს წააგავს და ევროკავშირი გვევლინება, როგორც წესებისა და რეგულაციების „ექსპორტიორი.“

აქ აუცილებელია აღინიშნოს ევროკავშირის ცივილური ბუნების შესახებაც,⁴⁸⁷ რაც იმას ნიშნავს, რომ გაერთიანება მხოლოდ ნებაყოფლობით, იძულების მექანიზმის გამოყენების გარეშე ავრცელებს მის მიერ უკვე კარგად აპრობირებულ მეთოდებსა და ინსტრუმენტებს. შესაბამისად, სამართლის ევროპეიზაცია მესამე

⁴⁸⁴ ევროპული სუპრანაციონალიზაციის შესახებ დამატებითი ლიტერატურის თვალსაზრისით იხ. ბრეგაძე რ. „მატერიალური სუპრანაციონალიზმი ევროპის სამართალში,“ ქართული სამართლის მიმოხილვა, 8, 2005, 336.

⁴⁸⁵ ამის შესახებ უფრო ვრცლად ნაშრომის მეორე თავში იყო საუბარი, როდესაც რეგულაციისა და დირექტივის სამართლებრივ ბუნებას შევხვით.

⁴⁸⁶ Radaelli C. *The Europeanization of Public Policy* წიგნში: Featherstone K., Radaelli C., *The Politics of Europeanization*, Oxford University Press, 2003, 27.

⁴⁸⁷ აქ იგულისხმება ის, რომ ევროკავშირი მის ფარგლებს გარეთ საკუთარი წესებსა და მოდელს ავრცელებს მხოლოდ ნებაყოფლობით და არა ძალის გამოყენებით. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ: Lavenex S., Schimmelfennig F. *EU Rules beyond EU Borders: Theorizing External Governance in European Politics*, *Journal of European Public Policy* Vol. 16 (6), 2009.

სახელმწიფოებში შეიძლება შეფასდეს, როგორც ნებაყოფლობითი ჰარმონიზაცია სახელშეკრულებო ან არასახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე.⁴⁸⁸ ანალოგიურ შემთხვევას აქვს ადგილი საქართველოს ენერგეტიკული, განახლებადი ენერჯის კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან ჰარმონიზაციისას. იგი მოტივირებულია, როგორც ევროკავშირის კომპეტენციათა გავლენით, ისე საქართველოში მოძველებული და ამორტიზებული რეგულაციების აღმოფხვრით.

2.5. ჰარმონიზაციის დროს წარმოქმნილი ენობრივი ბარიერები

ტერმინი „ევროპეიზაცია“ მრავალმხრივია და რთულია მისი ერთგვაროვანი განმარტება. მიუხედავად იმისა, რომ „ევროპეიზაცია“ მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისის სამეცნიერო დებატში გამოჩნდა, იგი მაინც თანამედროვე ტერმინად მიიჩნევა, რომელიც აქტიურად ბოლო ორ ათწლეულში გამოიყენება.⁴⁸⁹

ტერმინს ბევრი სხვადასხვა ვარიანტი აქვს და ზოგჯერ უფრო მეტ შეკითხვას აჩენს, ვიდრე პასუხს. ევროპეიზაციას მოიხსენიებენ როგორც „ბრიუსელიზაცია“, რომლის საფუძველები შესაძლოა 1993 წლის ევროპის ერთიანი საგარეო და თავდაცვის პოლიტიკის აღმოცენების ნაწილში უნდა ვეძებოთ.⁴⁹⁰ ცხადია, „ბრიუსელიზაციას“ საერთო ბევრი არ აქვს სამართლის ევროპეიზაციასთან და იგი მხოლოდ გეოგრაფიული მნიშვნელობით გამოიყენება. ბელგიის დედაქალაქი - ბრიუსელი ევროკავშირის რამდენიმე წამყვანი ორგანოს⁴⁹¹ ადგილსამყოფელია. მიუხედავად ამისა, ბრიუსელი არ

⁴⁸⁸ Gabrichidze G. Legal Approximation and Application of EU Law in Georgia, წიგნში: Petrov R., Elsuwege P. V. (eds.), The Application of EU Law in the Eastern Neighbourhood of the European Union – Towards a Common Regulatory Space? Routledge, London 2014, 180.

⁴⁸⁹ Howell K. Developing Conceptualizations of Europeanization and European Integration: Mixing Methodologies, ESRC Seminar Series / UACES Study Group on the Europeanization of British Politics, 2002, 5.

⁴⁹⁰ Phinnemore D., McGowan L. A Dictionary of the European Union, Europa Publications, London and New York, 2002, 30.

⁴⁹¹ კომისია, ევროპის პარლამენტი, ევროპის საბჭოს სამდივნო, რეგიონების კომიტეტი, ეკონომიკური და სოციალური კომიტეტი.

არის ევროკავშირის ერთადერთი ნავსაყუდელი. ევროკავშირის ინსტიტუტები მრავლად გვხვდება სხვა ევროპულ ქალაქებშიც.⁴⁹²

მრავალი წლის განმავლობაში ევროპეიზაციის ზუსტი დეფინიციის განსაზღვრას ბევრი მეცნიერი შეეცადა: *ბომბერგი და პეტერსონი (2000)*, *შიმელფენიგი (2000)*, *ბიორცელი (1999, 2002)*, *ბულერი და გამბელი (2002)*, *ბულმერი და ბურხი (2001)*, *დისონი, ჰიქსი და გოეცი (2000, 2002)*, *კნილი და ლემკული (1999)* *ფიზერსტონი და კაზამიასი (2001)*, *ლადრეხი (1994)*, *ოლსენი (2002)*, *რადაელი (2000)*, *რისე (2001)* და *სხვები*.⁴⁹³ ისინი ვერ თანხმდებიან ევროპეიზაციის ერთიანი კონცეფციის შემუშავებაზე. მათ შრომებზე დაკვირვებისას იკვეთება, რომ ტერმინით „ევროპეიზაცია“ ევროპული ინტეგრაციის (საშინაო და საგარეო) პროცესები მოიხსენიება და იგი უფრო პოლიტიკური მეცნიერებების საგანია, ვიდრე სამართლის. არ არსებობს საყოველთაოდ აღიარებული თეორია, რომელიც ევროპეიზაციის სამართლებრივ ბუნებას ზედმიწევნით სწორად ახსნიდა. ამ საკითხზე დუმილს ამჯობინებს ევროკავშირის სადამფუძნებლო იურიდიული დოკუმენტებიც და სხვა თანამდევი სამართლებრივი აქტები.

ევროპეიზაცია არ არის „ჰარმონიზაციის“ იდენტური. ჰარმონიზაცია უშუალოდ საკანონმდებლო რეგულირებაა, რა დროსაც განსხვავება სხვადასხვა სამართლებრივ სისტემებს შორის მცირდება (იხ. მსჯელობა ზემოთ), მაშინ როცა ევროპეიზაცია პოლიტიკურ-სოციალური ცნებაა და უფრო ზოგადი, ყოვლისმომცველი ტერმინია. ეს უკანასკნელი, ჰარმონიზაციისაგან განსხვავებით, შესაძლოა პირდაპირ საკანონმდებლო რეგულირებისკენ არ იყოს მიმართული.⁴⁹⁴ ევროკავშირის ოფიციალურ დოკუმენტებში არც „ჰარმონიზაციის“ ცნების დეფინიცია მოიძებნება. მიუხედავად ამისა, იგი შედარებით მეტი სამართლებრივი სიზუსტით ხასიათდება, ვიდრე ევროპეიზაცია. ლისაბონის ხელშეკრულება ცალკეულ შემთხვევებში, პირდაპირ დათქმას აკეთებს ეროვნული კანონმდებლობების ჰარმონიზაციის შესახებ. მაგალითად, ხელშეკრულების 113-ე მუხლი ხაზს უსვამს სამართლის ჰარმონიზაციაზე შიდა ბაზრის ფუნქციონირებისა და კონკურენციის უზრუნველსაყოფად.

⁴⁹² Cohesion Policy in the European Union: Growth, Geography, Institutions <https://ec.europa.eu/regional_policy/archive/policy/future/pdf/6_pose_final-formatted.pdf> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 12.07.2019.

⁴⁹³ Howell K. Developing Conceptualizations of Europeanization and European Integration: Mixing Methodologies, ESRC Seminar Series / UACES Study Group on the Europeanization of British Politics, 2002, 12.

⁴⁹⁴ Radaeli C. Europeanization of Public Policy, წიგნში: Featherstone K., Radaelli C. The Politics of Europeanization, Oxford University Press, 2003, 33.

ინტენსივობის თვალსაზრისით განასხვავებენ სხვადასხვა ტიპის ჰარმონიზაციას: „მთლიანი ჰარმონიზაცია“, „მინიმუმი ჰარმონიზაცია“, „დინამიკური ჰარმონიზაცია“,⁴⁹⁵ „ოპტიმალური ჰარმონიზაცია“, „ალტერნატიული ჰარმონიზაცია“, „ნაწილობრივი ჰარმონიზაცია“, „ეტაპობრივი ჰარმონიზაცია“, „სპონტანური ჰარმონიზაცია“ და სხვ.⁴⁹⁶ როგორც წესი, ჰარმონიზაციის ტიპი, ფორმა და ხარისხი დამოკიდებულია ეროვნულ თავისებურებებზე.

ევროკავშირის ერთ-ერთი ძირითადი სამართლებრივი ინსტრუმენტი - დირექტივა, რომელზეც დეტალურად ნაშრომის მეორე ნაწილში ვიმსჯელებთ, როგორც ცნობილია, სამართლის ჰარმონიზაციის მექანიზმია. დირექტივა მოითხოვს არა სრულყოფილ, ყოვლისმომცველ ცვლილებას ეროვნულ კანონმდებლობაში, არამედ ცალკეული სფეროების ჰარმონიზებას, ანუ მათ „შესაბამისობაში მოყვანას.“⁴⁹⁷

ევროპის სამართალი იცნობს „საკანონმდებლო დაახლოების“ (აპროქსიმაცია) ტერმინსაც, რომელსაც სამეცნიერო წრეში საკმაოდ ბევრი მომხრე ყავს (მაგ. *ველუტი, დავიდი და ილზიჩოვი, ალბი, ფინემორი*).⁴⁹⁸ ევროკავშირის 2007 წლის ენციკლოპედია⁴⁹⁹ „დაახლოებას“ განმარტავს როგორც პროცესს, რომელიც ათავისუფლებს ეროვნულ კანონმდებლობას არასასურველი მინარევებისაგან.⁵⁰⁰ მართალია, ზოგიერთი მკვლევარი⁵⁰¹ სამართლის „ჰარმონიზაციისა“ და „დაახლოების“ ტერმინებს შორის გარკვეულ სხვაობას ხედავს და მიიჩნევს რომ პირველი უფრო ინტენსიურია, ვიდრე მეორე, ჰარმონიზაციისა და საკანონმდებლო დაახლოებას შორის არსებითი შინაარსობრივი განსხვავება არ იკვეთება.

⁴⁹⁵ დინამიკურ ჰარმონიზაციას დეტალურად შევხებით ნაშრომის მომდევნო, მეოთხე ნაწილის მეოთხე თავში.

⁴⁹⁶ იხ. Mathijsen P. F. A Guide to European Union Law, London: Sweet and Maxwell, 2013, 478-479. ასევე: „სამართლებრივი დაახლოება - სახელმძღვანელო პრინციპები“, საჯარო მოხელის სამაგიდო ბროშურა, თბ., 2017.

⁴⁹⁷ Carbonara E., Parisi F. The Paradox of Legal Harmonization, Public Choice, Springer, 367-400.

⁴⁹⁸ იხ. სურმავა ლ. საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობის საკითხი სახელმწიფო დახმარების დარგში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი, სადოქტორო ნაშრომი, 19.

⁴⁹⁹ European Union Encyclopedia and Directory 2007 (London, Routledge, 2007), 8.

⁵⁰⁰ იქვე.

⁵⁰¹ იხ. Romanova T. Towards a Comprehensive Theory of Legal Harmonization between the EU and a Third Partner: The Case of The EU-Russian Energy Dialogue, წიგნში: Delvaux B., Hunt M., Talus K. (eds.) EU Energy Law and Policy Issues, Vol. 3, Intersentia, 2012, 282.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ლისაბონის ხელშეკრულების 114-ე მუხლი (ანუ მუხლი, რომელიც დასათავურებულია, როგორც „საკანონმდებლო დაახლოება“), ევროპის სამართლის ჰარმონიზაციის მთავარ ზოგად ნორმად მიიჩნევა,⁵⁰² მაშინ ისინი სინონიმურ ცნებებად უნდა მოვიაზროთ. ამასვე მოწმობს „ურთიერთშეთანხმება“ საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებასა და მთელ რიგ ქართულ ნორმატიულ აქტებს შორის. ასოცირების შეთანხმება ძირითადად იყენებს „საკანონმდებლო დაახლოების“ ტერმინს (პრეამბულა და ხელშეკრულების 416-ე და 417-ე მუხლები), ხოლო საქართველოს ნორმატიული აქტები უპირატესობას „სამართლის ჰარმონიზაციას“ ანიჭებს.⁵⁰³

თუკი „ევროპეზაციისა“ და „ჰარმონიზაციის“ დებულებები შედარებით ახალია ქართული სამართლისთვის, ძველია „სამართლის რეცეპციის“ ცნება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის დიდი ნაწილი სწორედ გერმანული სამოქალაქო სამართლის რეცეპციის შედეგია.⁵⁰⁴ წმინდა ლინგვისტური თვალსაზრისით, „რეცეპცია“ „გაზიარება-გადმოღებას“ ნიშნავს. თუ მოვიშველიებთ უცხო სიტყვათა ლექსიკონს, სამართლებრივი რეცეპცია განიმარტება, როგორც „სესხება და შეგუება ამა თუ იმ ქვეყნის სამართლის პირობებთან, რომელიც შემუშავებულია სხვა სახელმწიფოში ან წინამავალ ისტორიულ ეპოქაში.“⁵⁰⁵ ევროკავშირის სამართალში არ არსებობს „რეცეპციის“ ზუსტი შესატყვისი. აქედან გამომდინარე

⁵⁰² Mathijsen P. F. A Guide to European Union Law, London: Sweet and Maxwell, 2013, 478.

⁵⁰³ საქართველოს პარლამენტის 1997 წლის 2 სექტემბრის №828 დადგენილება „საქართველოს კანონმდებლობის ევროპის კავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის შესახებ.“ საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 24 ივლისის №317 ბრძანებულება „საქართველოსა და ევროკავშირის შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების განხორციელების ხელშეწყობის თაობაზე“. საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 31 დეკემბრის №1422 განკარგულება „საქართველოს კანონმდებლობის ევროგაერთიანების კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის სტრატეგიის შემუშავების შესახებ“; საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 23 აპრილის №150 ბრძანებულება „ევროკავშირთან თანამშრომლობის საკოორდინაციო საბჭოს შექმნის შესახებ“, რომლის თანახმადაც, საბჭოს ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა „საქართველოს კანონმდებლობის ევროპულ კანონმდებლობასთან შემდგომი ჰარმონიზაციის პროცესის ხელშეწყობა.“ საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 14 ივნისის №613 განკარგულება „საქართველოს კანონმდებლობის ევროგაერთიანების კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის სტრატეგიის შესახებ“.

⁵⁰⁴ იხ. ჭანტურია ლ. სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი - სახელმძღვანელო, გამომცემლობა „სამართალი“, თბ., 2011, 20.

⁵⁰⁵ ჭაბაშვილი მ. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, მესამე შესწორებული და შევსებული გამოცემა, თბ., 1989, 440.

აღნიშნული სადოქტორო ნაშრომი ტერმინოლოგიური თვალსაზრისით „ჰარმონიზაციას“ ამჯობინებს.

ამავდროულად, დისერტაცია არ უგულებელყოფს „სამართლის ევროპეიზაციის“ ტერმინსაც. მართალია, შევთანხმდით, რომ ეს უკანასკნელი უფრო პოლიტიკური მეცნიერების საგანია, ვიდრე სამართლის, იგი შესაძლოა მოიცავდეს სამართლის ჰარმონიზაციის ტენდენციებსაც. თუ მოვიშველიებთ *შიმელფენიგისა და ვაგნერის* მოსაზრებას, დავასკვნით, რომ ეროვნული კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოება სამართლის ევროპეიზაციასაც გულისხმობს.⁵⁰⁶ შესაბამისად, ნაშრომის მომდევნო ნაწილებში ტერმინებს - „ჰარმონიზაცია“, ანუ „სამართლებრივი დაახლოება“ და „ევროპეიზაცია“ - ურთიერთშენაცვლებით გამოვიყენებთ.

3. ევროპის ენერგეტიკული დიპლომატია საქართველოში და მისი ინსტრუმენტები⁵⁰⁷

შევჯერდით რა სამართლის ჰარმონიზაციის ცნებებსა და საკანონმდებლო დაახლოების ზოგად დებულებებზე, შესაძლებელი იქნება გავანალიზოთ საქართველო-ევროკავშირის ენერგეტიკული ურთიერთობის ფარგლები და ევროპულ კანონთან ჰარმონიზაციის კონკრეტული შემთხვევები. რა უდევს საფუძვლად ევროკავშირისა და საქართველოს ენერგოთანამშრომლობას და რატომაა იგი ესოდენ მნიშვნელოვანი პარტნიორი მხარეებისთვის?

ნაშრომის მეორე ნაწილში უფრო ვრცლად ვისაუბრეთ იმ ენერგეტიკული „საშიშროებების“⁵⁰⁸ შესახებ, რაც ევროკავშირის აქტიური საგარეო ენერგოპოლიტიკისკენ უბიძგებს. მიწოდების უსაფრთხოება და ევროპის ენერგომომხმარებლის უზრუნველყოფა, როგორც ევროკავშირის მთავარი ენერგეტიკული გამოწვევა, თითქმის მთლიანად საერთაშორისო ურთიერთობებზეა დამოკიდებული.

ჯერ კიდევ 2006 წელს ევროკომისია ენერგეტიკის სფეროს ევროპის საგარეო პოლიტიკას ცენტრალურ ელემენტად

⁵⁰⁶ Magen A. Transformative Engagement through Law: The Acquis Cummunautaire as an Instrument of EU External Influence, *European Journal of Law Reform*, Vol. 9, 2007, 374.

⁵⁰⁷ ნაშრომის ამ ნაწილზე მუშაობისას გადამწყვეტილი როლი იქონია საუბრებმა ლიუვენის უნივერსიტეტის (ბელგია) პროფესორებთან: კურტ დეკეტელაერე, იან ვოუტერსი და ტომ კასიერი.

⁵⁰⁸ 2030 წლისთვის მოსალოდნელია ენერგოიმპორტის ზრდა 65 %-მდე. იხ. Leal-Arcas R., Wouters J. *Research Handbook on EU Energy Law and Policy*, Edward Elgar Publishing, 2017, 33.

მოიხსენიებს.⁵⁰⁹ ხავერდოვანი სიტყვებით, „ევროკავშირმა უნდა გააფართოვოს ენერგეტიკული ბაზარი და მოიცვას სამეზობლო ტერიტორია, ის ქვეყნები, რომლებიც იზიარებენ ევროკავშირის ხედვას ენერგოვაჭრობის საკითხებზე.“⁵¹⁰ 2011 წელს ევროკავშირმა კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი დადგენილება მიიღო,⁵¹¹ რომელმაც უფრო გააძლიერა გაერთიანების ენერგეტიკული ინტერესები ფორმალური საზღვრების მიღმა.⁵¹² ევროკომისიის 2015 წლის თებერვლის ცნობილ დადგენილებაში,⁵¹³ აღნიშნულია, რომ ევროკავშირმა ენერგეტიკული ურთიერთობები უნდა გაამყაროს კასპიის რეგიონში და აიცილოს ენერგოდამოკიდებულების ზრდა რუსულ გაზზე.⁵¹⁴

ეს ყოველივე ევროკავშირთან ეფექტური ენერგოთანამშრომლობის შესაძლებლობებს ზრდის, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია საქართველოსთვის. ქვეყანას აქვს ამბიციის, რათა გახდეს ენერგორესურსების სატრანზიტო დერეფანი და შეასრულოს რუსეთის ალტერნატიული მარშრუტის ფუნქცია.⁵¹⁵ ევროკავშირისთვის საინტერესოა ურთიერთობები ენერგიით

⁵⁰⁹. Green Paper, A European Strategy for Sustainable, Competitive and Secure Energy, COM (2006)105.

⁵¹⁰. Solana J. Towards an EU External Energy Policy, (2006). <https://www.consilium.europa.eu/ueDocs/cms_Data/docs/pressdata/EN/discours/98532.pdf> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 06.06.2019.

⁵¹¹. Communication of the European Commission, On Security of Energy Supply and International Cooperation – ‘The EU Energy Policy: Engaging with Partners beyond Our Borders’, COM(2011) 539 final.

⁵¹². ევროპის ენერგეტიკულ დიპლომატიას არადეკლარირებული მიზნებიც აქვს. იგი შესაძლოა საზღვარგარეთ ევროპული ინვესტიციების დაცვას ემსახურებოდეს. საქმე ისაა, რომ ევროკავშირის კანონმდებლობის წევრი სახელმწიფოების მიღმა გავრცელებით, შემცირდება გარიგებისთვის საჭირო გადასახადები, რაც უფრო დაცულს ხდის ევროპულ ინვესტორს და კონკურენტულს - მის პროდუქტს ადგილობრივ ბაზრებზე. იხ. Leal-Arcas R., Wouters J. Research Handbook on EU Energy Law and Policy, Edward Elgar Publishing, 2017, 128.

⁵¹³. Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions, ‘A policy framework for climate and energy in the period from 2020 to 2030,’ COM(2014) 15 final, 22.01.2014.

⁵¹⁴. მაგალითისთვის ნაშრომზე მუშაობის დროს (2018 წლის დეკემბერი) გაცხადდა, რომ 74 წლიანი „მეგობრობის“ შემდეგ პოლონეთი ემშვიდობება რუსულ გაზს: <https://www.bloomberg.com/news/articles/2018-02-08/poland-bets-on-lng-norwegian-gas-as-divorce-with-russia-looms?fbclid=IwAR3pbmVq4u8rTF_E0ihEjsujggt4Z6JJZaUZ4I6Tj87Sg9G87kFCv1i6iGM> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 12.12.2018.

⁵¹⁵. Emerson M., Kovziridze, T. (Eds), Deepening EU-Georgian Relations What Why and how? Second edition, Centre for European Policy Studies, 2018, 160.

მდიდარი აზერბაიჯანთან და თურქმენეთთან,⁵¹⁶ უაღრესად მნიშვნელოვანი - „სამხრეთის გაზის დერეფნის“ პროექტი.⁵¹⁷ იგი კასპიის ზღვიდან და შუა აღმოსავლეთიდან ბუნებრივი გაზის ევროპაში რუსეთის გვერდის ავლით მიწოდებას გულისმობს.⁵¹⁸

მაინც რა ფორმა აქვს ევროკავშირი-საქართველოს ენერგოურთიერთობას? წარმატებული თანამშრომლობა საერთო წესებზე შეთანხმებას ნიშნავს. ეს პროცესი სამდონიანია:

პირველი დონე ევროკავშირის სტრატეგიული თანამშრომლობის სფეროებს მოიცავს და ძირითადად პოლიტიკური შინაარსის დოკუმენტებით არის განმტკიცებული;

მეორე დონე ქართული ენერგოსექტორის ჰარმონიზაციის კონკრეტულ მიზნებს შეეხება და თანამშრომლობის მკაცრ სამართლებრივ ჩარჩოებს აწესებს;

მესამე დონე იმ სამართლებრივი აქტების ეროვნული კანონმდებლობაში შემოღებას გულისხმობს, რომლებიც მხარეებს შორის არის შეთანხმებული და შესაძლებელს ხდის ჰარმონიზაციის მიზნების რეალიზებას.⁵¹⁹

წინამდებარე თავი, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, სწორედ აღნიშნულ სამდონიან მიდგომას ირჩევს. შესაბამისად, ამავე მეთოდიკით გაანალიზდება ქართული ენერგეტიკის სამართლის ჰარმონიზაციის პროცესი.⁵²⁰

⁵¹⁶ Leal-Arcas R., Wouters J. Research Handbook on EU Energy Law and Policy, Edward Elgar Publishing, 2017, 200.

⁵¹⁷ მილსადენი სულ 3500 კილომეტრის სიგრძისაა და რამდენიმე შედარებით მცირე ზომის მილსადენებს აერთიანებს. ამათგან ერთ ერთია „სამხრეთ კავკასიის გაზსადენი,“ ანუ იგივე „შაჰდენიზის გაზსადენი“, რომელიც აზერბაიჯანიდან საქართველოს გავლით თურქეთში მიემართება და მოგვიანებით ევროკავშირის აღმოსავლეთის ქვეყნებს უერთდება

⁵¹⁸ Leal-Arcas R., Wouters J. Research Handbook on EU Energy Law and Policy, Edward Elgar Publishing, 2017, 202.

⁵¹⁹ Romanova T. Towards a Comprehensive Theory of Legal Harmonization between the EU and a Third Partner: The Case of The EU-Russian Energy Dialogue, წიგნში: Delvaux B., Hunt M., Talus K. (eds.) EU Energy Law and Policy Issues, Vol. 3, Intersentia, 2012, 280.

⁵²⁰ დამატებითი ანალიზისთვის იხ. Samkharadze I. The Europeanization of Georgian Energy Law: The Legal Harmonization Agenda, Georgian Law Journal, Vol. 2, Iss. 1, 2018, 17-26.

3.1. სტრატეგიული თანამშრომლობა: ევროკავშირის სამართალი გაერთიანების ფორმალურ საზღვრებს მიღმა

საინტერესოა, რომ ევროკავშირის „საგარეო მმართველობის“⁵²¹ ანუ საკუთარი სამართლის „ექსპორტის“ რამდენიმე მექანიზმი აქვს. ეს მექანიზმები განსხვავებული სამართლებრივი ძალით ხასიათდება და პირობითად ორ დიდ კატეგორიად იყოფა: ე.წ. „რბილი“ (*soft law*) და „მკაცრი“ (*hard law*) სამართალი.

რბილი სამართლის⁵²² ნაირსახეობას განეკუთვნება პოლიტიკური (მაგალითისთვის ევროპის სამეზობლო პოლიტიკა (ENP) და აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) ინიციატივა) და სხვა მსგავსი სახის დოკუმენტები, რომელთაც შესასრულებლად სავალდებულო იურიდიული ძალა არ აქვთ. ისინი ძირითადად მოსამზადებელ დოკუმენტებად მიიჩნევა და გარკვეულ ვადაში, როგორც წესი, სავალდებულო სამართლებრივი ინსტრუმენტები ანაცვლებს.

მკაცრი სამართლის მექანიზმებს შორის ძირითადად საერთაშორისო ხელშეკრულებები მოიაზრება, რომლის ერთ-ერთი მხარეა ევროკავშირი და რომლებიც კანონის ძალით აღსრულდება. სწორედ სახელშეკრულებო ურთიერთობაა ევროპის სამართლის გავრცელების ძირითადი ფორმა. იგი პირდაპირ ან ირიბად ხელშემკვრელ სახელმწიფოს მოუწოდებს ეროვნული სამართლის ევროპულ სტანდარტებთან ჰარმონიზაციისკენ.⁵²³

აქ უნდა ვიგულისხმოთ ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო და რეგიონული შეთანხმებები. ევროინტეგრაციის

⁵²¹ კრემონას ლოგიკით „ევროკავშირის გაფართოება მეტიდან მეტის მიღების შესაძლებლობაა,“ რაც აქცენტს აკეთებს ევროკავშირზე ფუნქციური და არა ტერიტორიული დატვირთვით. გაფართოება გაერთიანების საგარეო ურთიერთობების ერთ-ერთი ყველაზე ქმედითი კომპონენტი და მმართველობის მოდელი – „გაფართოებითი მმართველობაა.“ ზოგიერთი მკვლევარისთვის ევროკავშირის გაფართოების ფილოსოფია მეტისმეტი ღიაობის პრინციპს ეფუძნება და თითქმის მთელი ევროპული კონტინენტის დაფარვას გულისხმობს. ეს აზრი ნამდვილად არაა საფუძველმოკლებული. აშკარაა, რომ ევროკავშირის წევრობა დახურული სივრცე არ არის, თუმცა სადავოა ამ სივრცეში ინტეგრირების სიმარტივის ხარისხი. იხ. Cremona M. *Enlargement: A successful Instrument of Foreign Policy?* წიგნში: Tridimas T. Nebbia P. *European Union Law for the Twenty-First Century*, Vol. I, Oxford Hart Publishing 2004, 397.

⁵²² იხ. Redgwell C. *International Soft Law and Globalization* წიგნში: Barry B., Lila K., Barrera-Hernandez, Lucas A. *Regulating Energy and Natural Resources*, Oxford University Press, 2009, 89.

⁵²³ Gabrichidze G. *Legal Approximation to the EU Acquis – a Georgian Perspective* in: Andreas Kellerhals, Tobias Baumgartner (eds.), *EU Neighbourhood Policy – Survey and Perspectives*, Zürich, 2014, 30.

ყველაზე ინტენსიური ფორმა ე.წ. „მიერთების ხელშეკრულებაა“, რომლის გაფორმება სახელმწიფოს ევროკავშირის წევრობის გზას უხსნის და თავის შიდა რეგულირების სფეროში აქცევს. შესაბამისად, ასეთი ქვეყნებისთვის ევროპის სამართლის უპირატესი იურიდიული ძალის პრინციპის საფუძველზე ევროკავშირის სამართლის სავალდებულობა კითხვის ნიშნის ქვეშ აღარ დგას.⁵²⁴ ინტეგრაციის შედარებით უფრო მსუბუქი, მაგრამ ჰარმონიზაციის თვალსაზრისით, ძლიერი ფორმაა შეთანხმებები, რომელსაც ევროკავშირი არაწევრ ქვეყნებთან აფორმებს (მაგ.: ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების ხელშეკრულება).

ასეთი ხელშეკრულებები განსაზღვრავს ევროპული ნორმათშემოქმედების გავრცელების დინამიკას მესამე სახელმწიფოებში. ხშირად ისინი ამ სახელმწიფოთა კანონმდებლობის განუყოფელი ნაწილი ხდებიან, თუმცა თუ რა იურიდიული ძალა აქვს კონკრეტულ ქვეყანაში ევროკავშირთან გაფორმებულ ხელშეკრულებას, დამოკიდებულია თავად ამ სახელმწიფოს კონსტიტუციურ მოწყობაზე.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მიხედვით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება ან შეთანხმება ნორმატიულ აქტთა იერარქიაში მესამე ადგილზეა.⁵²⁵ ამასვე ადასტურებს „საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი.⁵²⁶ საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით საერთაშორისო შეთანხმება და ხელშეკრულება ძალაშია იმდენად, რამდენადაც იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ კანონსა და კონსტიტუციურ შეთანხმებას.⁵²⁷ ყველა დანარჩენ შემთხვევაში საერთაშორისო შეთანხმებას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ, რაც, თავისთავად, საერთაშორისო აქტებისთვის საკმაოდ მაღალი სამართლებრივი სტანდარტია.

იმავედროულად, აუცილებელია ითქვას, რომ ევროკავშირის სამართლთან ჰარმონიზაციის ტიპური გაგება უფრო განვითარებადი სახელმწიფოებისთვისაა დამახასიათებელი, რომელთაც საკუთარი სამართლის გაჯანსაღებისათვის სხვა ევროპულ სამართლებრივ სისტემებთან დაახლოება ესაჭიროებათ. ასეთ შემთხვევას აქვს

⁵²⁴ როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ (CJEU) თავის გადაწყვეტილებაში *Flaminio Costa v ENEL*, [1964] ECR 585 (6/64) დაადასტურა ევროკავშირის სამართლის პრიმატი ეროვნული სამართლის მიმართ.

⁵²⁵ საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“, მუხლი 7 (3).

⁵²⁶ საქართველოს კანონი „საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“, მუხლი 6 (1).

⁵²⁷ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 6 (2).

ადგილი ქართული ენერგეტიკის სამართლის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების პროცესში. ნაკლებ სავარაუდოა ევროკავშირის სამართლის გადმოღება განვითარებული სამართლებრივი სისტემის მქონე ქვეყნის მხრიდან. სამაგიეროდ, ასეთი ქვეყნები შედარებით განსხვავებული ფორმით თანამშრომლობენ ევროკავშირთან. საინტერესოა, ე.წ. „ორმხრივი გათავისების“ ხელშეკრულებების არსებობა,⁵²⁸ რა დროსაც ესა თუ ის სახელმწიფო არ ცვლის და აახლოებს თავის სამართალს ევროპულთან, არამედ მხოლოდ იზიარებს მომიჯნავე სამართლებრივი სისტემის პრინციპებს. მაგალითისთვის, ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა, ავსტრალია, იაპონია, შვეიცარია, ისრაელი და ახალი ზელანდია არ საჭიროებენ თავიანთ კანონმდებლობაში ევროპული სამართლის სტანდარტების შემოღებას, თუმცა ხშირ შემთხვევაში ისინი ითავისებენ და იზიარებენ ევროპულ დებულებებს.⁵²⁹ ეს პროცესები უნდა განვასხვაოთ სამართლის ჰარმონიზაციისაგან, რადგან, ასეთ შემთხვევაში, არ ხდება სამართლის სხვა სისტემიდან ნორმების ინკორპორირება.

3.2. ქართულ-ევროპული ენერგეტიკული ურთიერთობების ჩამოყალიბება

ევროკავშირის სამართალთან დაახლოების პირველადი მექანიზმები 90-იანი წლებიდან იღებს სათავეს. სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება ქართული სამართლის ძირეული გარდაქმნებიც. მხარეებს შორის ურთიერთობის პირველი სამართლებრივი ფორმა 1996 წელს ხელმოწერილი პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება (PCA) იყო, რომლის 56-ე მუხლი ენერგეტიკულ თანამშრომლობას ეხებოდა.⁵³⁰ მასში ნახსენებია განახლებადი ენერჯის განვითარების საჭიროებაც. ხელშეკრულება პირდაპირ მიუთითებდა საკანონმდებლო ჰარმონიზაციის შესახებ, თუმცა, თავისი ბუნებით, იგი არ იყო შესასრულებლად სავალდებულო დოკუმენტი. პარტნიორობის შეთანხმება არ ითვალისწინებდა

⁵²⁸. “Mutual Recognition Agreement” (MRA) - ძირითად სავაჭრო ურთიერთობების სფეროში იდება ერთი მხრივ ევროკავშირსა და მეორე მხრივ არა-წევრ სახელმწიფოს შორის, რომელთა საფუძველზეც საერთო მხარეები საერთო სამართლებრივ პრინციპებსა და სტანდარტებზე თანხმდებიან.

⁵²⁹. Petrov R. Exporting the Acquis Communautaire into the Legal Systems of Third Countries, *European Foreign Affairs Review*, Vol. 13, Kluwer Law International, 2008, 43.

⁵³⁰. პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება (PCA), მუხლი 56.

ენერგეტიკული კანონმდებლობის ჰარმონიზაციის კონკრეტული ვადებს, შემოიფარგლებოდა მხოლოდ ზოგადი დათქმებით და აკლდა სამართლებრივი სიზუსტე.

სამაგიეროდ, აქვე უნდა აღინიშნოს ხელშეკრულების საფუძველზე მიღწეული დადებითი შედეგების შესახებაც. სწორედ პარტნიორობის შეთანხმების პირობებში საქართველოს პარლამენტმა 1997 წელს მიიღო დადგენილება,⁵³¹ რომელიც მოითხოვდა ქართული კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებას. იგი ქართული სამართლის, მათ შორის ენერგეტიკული ნორმების, „ევროპულ სარკეში აღქმის“ პირველი მცდელობა იყო. აღნიშნული დადგენილება, ცხადია, შორს იყო სასურველი მისწრაფებისაგან,⁵³² თუმცა მან გაჩინა ევროკავშირისა და ქართულ სამართალს შორის „პარტნიორობის“ პირველი ძლიერი პრეცედენტი. ამ დადგენილებით საქართველომ გამოავლინა ევროპულ სტანდარტებთან მიახლოების აშკარა პოლიტიკური ნება. დღეს ეს პოლიტიკური ნება სრულიად სხვა მასშტაბშია აყვანილი. 2009 წელს ცვლილებები შევიდა საქართველოს კანონში „ნორმატიული აქტების შესახებ.“ შედეგად კანონის მე-17 მუხლი იმპერატიულია საკანონმდებლო საქმიანობის სფეროში ევროპულ დირექტივებთან შესაბამისობის სავალდებულოობის შესახებ.⁵³³ კიდევ უფრო ახალი საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად (2018), საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლი პირდაპირ მიუთითებს ევროპული ინტეგრაციის შესახებაც.⁵³⁴

ურთიერთობის საწყის ფორმებს რომ გვერდი ავუაროთ, ამჟამად ევროკავშირი-საქართველოს ენერგოთანამშრომლობის ჩარჩო რამდენიმე ძირითად პლატფორმას აერთიანებს და შემდეგ ინსტრუმენტებს მოიცავს: ა) 2004 წლის ევროპის სამეზობლო პოლიტიკის დოკუმენტს (European Neighbourhood Policy)⁵³⁵ ბ) 2009 წელს დამტკიცებული აღმოსავლეთთან პარტნიორობის ინიციატივა

⁵³¹. საქართველოს პარლამენტის No. 828 დადგენილება „საქართველოს კანონმდებლობის ევროპის კავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის შესახებ,” 1997.

⁵³² Gabrichidze G. Legal Approximation and Application of EU Law in Georgia, წიგნში: Petrov R., Elsuwege V. P. (eds.), The Application of EU Law in the Eastern Neighbourhood of the European Union – Towards a Common Regulatory Space?, Routledge, London, 2014, 183.

⁵³³ საქართველოს კანონი, „ნორმატიული აქტების შესახებ,” მუხლი 17 (1 „გ“).

⁵³⁴ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 78.

⁵³⁵ Wider Europe — Neighbourhood: A New Framework for Relations with our Eastern and Southern Neighbours, Communication from the Commission to the Council and European Parliament, COM (2003) 104, 11 March, 2003.

(Eastern Partnership Initiative)⁵³⁶ გ) 2014 წელს ხელმოწერილი ასოციირების ხელშეკრულება (Association Agreement); დ) 2016 წელს მიერთებული ენერგეტიკული გაერთიანება (Energy Community Treaty). ამათგან პირველი ორი პოლიტიკის დოკუმენტია, ხოლო მომდევნო ორი სამართლებრივად უფრო მკაცრია და ასოციირების კონკრეტულ დღის წესრიგს განსაზღვრავს. შესაბამისად, ENP-სა და EaP-ს მხოლოდ მოკლედ მიმოვიხილავთ და მეტ აქცენტს დანარჩენ ორზე გავაკეთებთ.

3.3. ევროპის სამეზობლო პოლიტიკის დოკუმენტი (ENP)

ევროპის სამეზობლო პოლიტიკა (ENP)⁵³⁷ ევროკავშირის საპასუხო რეაქციაა დიდი გაფართოების შემდეგ ახალ გეოპოლიტიკურ გამოწვევებზე.⁵³⁸ დოკუმენტი სამართლებრივ ბაზისს ლისაბონის ხელშეკრულების მე-8 და 212-ე მუხლში ჰპოვებს, რაც ევროკავშირს მესამე სახელმწიფოებთან ურთიერთობას ავალდებულებს.⁵³⁹

საზღვრების გაზრდის შედეგად ევროკავშირი დაუმეზობლდა ისეთ ქვეყნებს, რომლებიც გამოირჩევიან მყიფე პოლიტიკური სისტემებით, კორუფციის მაღალი დონითა და ცხოვრების დაბალი პირობებით.⁵⁴⁰ ცხადია, ეს საფრთხეს უქმნიდა თავად ევროპის სტაბილურობის იდეას, რამაც უსაფრთხოების, მათ შორის ენერგოუსაფრთხოების, საკითხების ხელახალი გადახედვის აუცილებლობა გამოიწვია.⁵⁴¹ საქართველოს სამეზობლო პოლიტიკაში

⁵³⁶ Eastern Partnership, Communication from the Commission to the European Parliament and the Council, Brussels, 3.12.2008 COM (2008).

⁵³⁷ Communication from the Commission to the Council and the European Parliament, 'Wider Europe — Neighbourhood: A New Framework for Relations with our Eastern and Southern Neighbours,' COM(2003), 11.03.2003.

⁵³⁸ უდავოა, რომ პოლიტიკის დოკუმენტის შექმნით ევროკავშირმა მის სამეზობლოში „მეგობრების წრე“ შექმნა, თუმცა ისიც აშკარაა, რომ ამ ქმედებით გაერთიანებას უპირველესად ყოვლისა მოულოდნელი საფრთხეების თავიდან აცილება სურდა. *დანრაუტერის* აზრით, უსაფრთხოების ინტერესების ოპერირება და სავარაუდო რისკების იდენტიფიცირება არის ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი. *იხ. Dannreuther R. Developing the Alternative to Enlargement: The European Neighbourhood Policy, European Foreign Affairs Review 11, 2006, 186.*

⁵³⁹ TEU, 8; TFEU, 212.

⁵⁴⁰ *იხ. Popescu N. EU and the Eastern Neighbourhood: Reluctant Involvement in Conflict Resolution, European Foreign Affairs Review 14, Kluwer Law International, 2009.*

⁵⁴¹ Whitman R., Wolff S. Much Ado about Nothing? The European Neighbourhood Policy in Context, წიგნში: Whitman R., Wolff S. The European Neighbourhood Policy in Perspective, Palgrave Macmillan, 2010, 5.

ჩართვის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი, კასპიის ზღვიდან ენერგორესურსებთან წვდომაა.⁵⁴²

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში ევროკავშირი-საქართველოს სამოქმედო გეგმა (2007) ყურადღებას ამახვილებს ენერგეტიკის სტრატეგიულ მნიშვნელობაზე. იგი პირდაპირ მოითხოვს ენერგოპოლიტიკის მიზნების ევროკავშირთან დაახლოებას, კარგად გათვლილი და გრძელვადიანი პოლიტიკის შემუშავებას, განახლებადი ენერჯისა და ენერგოეფექტურობის სტიმულირებას ენერგორესურსების უსაფრთხოების ჩათვლით.⁵⁴³

მიუხედავად ამისა, სამართლის ევროპეიზაციის ნაწილში დოკუმენტს ორი უმთავრესი პრობლემა აქვს: ა) სამეზობლო პოლიტიკის დოკუმენტი ხასიათდება ზემოთგანხილული „რბილი სამართლის“ იურიდიული ბუნებით; ბ) სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში საქართველო არ იღებს ევროპის ენერგეტიკის სამართლის ნორმატიული აქტების – დირექტივებისა და რეგულაციების გადმოღების ვალდებულებას. კონკრეტული სამართლებრივი იმპერატივებისა და აღსრულების მექანიზმების გარეშე კი დოკუმენტი იმთავითვე განწირულია ძალზე ქაოტური და ბუნდოვანი სამართლებრივი შედეგებისათვის.

აქედან გამომდინარე საქართველოს ევროპის სამეზობლო პოლიტიკის დოკუმენტში ჩართვა ევროკავშირთან პოლიტიკური „აფილირების“ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, თუმცა იგი არ ითვალისწინებს სექტორული ენერგეტიკული კანონმდებლობის ჰარმონიზაციის მაღალ სტანდარტებს.

3.4. აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა (EaP)

აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა (EaP),⁵⁴⁴ რომლის წარმოშობის იდეა ბევრისთვის სამეზობლო პოლიტიკის დოკუმენტის მიულწეველი შედეგების საპასუხოდ მეტყველებდა,⁵⁴⁵ 2009 წელს იქნა მიღებული. იგი სამეზობლო პოლიტიკასაგან განსხვავებით, ცვლილების მეტ სტიმულირებას უწყობს ხელს და უკეთ

⁵⁴² Dannreuther R. Developing the Alternative to Enlargement: The European Neighbourhood Policy, 2006 11(2), EFAR, 183.

⁵⁴³ მდგრადი ენერგეტიკის განვითარების წინაპირობები საქართველოში, მწვანე ალტერნატივა, თბ., 2007, 2.

⁵⁴⁴ Communication from the Commission to the European Parliament and the Council, 'Eastern Partnership,' COM(2008), 03.12.2008.

⁵⁴⁵ Prodi R. A Wider Europe – a Proximity Policy as the Key to Stability, speech delivered at the 6th ECSA–World conference, Brussels, 5–6 Dec. 2002, 3.

„აპროექტებს“ ევროკავშირის „რბილ ძალას“ რეგიონში.⁵⁴⁶ რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, თუკი სამეზობლო პოლიტიკის დოკუმენტი თანაბრად ეხებოდა ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოსა და ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებს,⁵⁴⁷ ახალმა ინციატივამ დაავიწროვა გეოგრაფია და, საქართველოსთან ერთად, მხოლოდ აღმოსავლეთ ევროპის ხუთი ქვეყანა⁵⁴⁸ მოიცვა. საგულისხმოა, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის სამი ძირითადი თემატური პლატფორმიდან ერთი უშუალოდ ენერგეტიკას, უფრო ზუსტად კი - ენერგეტიკულ უსაფრთხოებას ეხება და მხარეებისგან ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზის, ნავთობის, განახლებადი ენერჯისა და ენერგოეფექტურობის სფეროში თანამშრომლობას მოუწოდებს.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი კრიტიკოსისთვის აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა მაინც „ძველი ღვინოა ახალ ბოთლში“,⁵⁴⁹ და დიდი მიღწევებით ვერც ენერგეტიკის სამართლის ჰარმონიზაციით დაიკვებნის, ინიციატივა ერთ-ერთ ყველაზე პროგრესული ინსტრუმენტია. პროგრამამ საქართველოს შესთავაზა არა ერთი სიახლე.⁵⁵⁰ მთავარი ნოვაცია ასოცირების ხელშეკრულებაა, რომელიც პირველად სწორედ EaP-ის კონტექსტში გაჩნდა.

4. ასოცირების შეთანხმება (AA)

4.1. ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება

ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და, მეორე მხრივ, საქართველოს შორის, საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობის ჯერ კიდევ ახალი და ამბიციური ფორმაა. შეთანხმებას ხელი 2014 წლის 27 ივნისს მოეწერა

⁵⁴⁶ დაწვრ. იხ. Mocanu O. The Eastern Partnership – a premise for an enhanced EU Eastern Neighbours Cooperation Relationship, Romanian Journal of European Affairs, No. 1, 2009. Nielsen K. L., Vilson M. The Eastern Partnership – Soft Power Strategy or Policy Failure? Paper prepared for the EURINT International Conference, ‘The EU as a model of soft power in the Eastern Neighbourhood’, Iasi, Romania, May, 2013.

⁵⁴⁷ Huff A. The Role of EU Defence Policy in the Eastern Neighbourhood, ISS, Occasional Paper 91, May, 2011, 12.

⁵⁴⁸ აზერბაიჯანი, ბელორუსია, მოლდოვა, სომხეთი და უკრაინა.

⁵⁴⁹ Landaburu E., Jones E., Genugten S. The Future of European Foreign Policy, Routledge, 2009.

⁵⁵⁰ მაგალითად აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი: <<https://eap-csf.eu/>> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 03.06.2019.

და ძალაში 2016 წლის თებერვალს შევიდა, მას შემდეგ რაც იგი რატიფიცირებული იქნა ევროკავშირის 28 სახელმწიფოსა და საქართველოში.⁵⁵¹

ასოცირების ხელშეკრულება სამართლებრივ ლეგიტიმაციას ლისაბონის ხელშეკრულებაში, კერძოდ კი TEU-ს 31-ე და TFEU-ს 37-ე და 217-ე მუხლებში ჰპოვებს.⁵⁵² ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს “*Demirel*”-ის გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ ასოცირების ხელშეკრულებით ევროკავშირი სპეციალურ, პრივილეგიურ კავშირს ამყარებს გაერთიანების არა-წევრ სახელმწიფოს შორის.⁵⁵³

„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად, ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების ხელშეკრულება საერთაშორისო ხელშეკრულებაა, რომელიც საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციასთან წერილობითი ფორმით დადებული შეთანხმებაა.⁵⁵⁴ იგი საქართველოს კანონმდებლობის განუყოფელი ნაწილია⁵⁵⁵ და ინტენსივობის თვალსაზრისით ყველაზე ეფექტური შეთანხმებაა, რომელიც ოდესმე საქართველოს ევროპულ გაერთიანებასთან გაუფორმებია.⁵⁵⁶ ბევრისთვის ასოცირების ხელშეკრულება მისი მნიშვნელობით შესაძლოა ამ რამდენიმე ათეული წლის წინ გამოცხადებულ საქართველოს დამოუკიდებლობის ფაქტსაც კი გაუტოლდეს,⁵⁵⁷ რადგან იგი ქართული სამართალშემოქმედების განვითარების სრულიად ახალი ეტაპის დაწყებას მოწმობს.⁵⁵⁸

⁵⁵¹ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, <<http://www.mfa.gov.ge/News>> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 01.06.2019.

⁵⁵² TEU, 31; TFEU, 37, 217.

⁵⁵³ Case 12/86, *Demirel v Stadt Schwäbisch Gündn* [1987] ECR 3719.

⁵⁵⁴ „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი.

⁵⁵⁵ იქვე, მე-6 მუხლი.

⁵⁵⁶ Petrov R. *Implementation of Association Agreements between the EU and Ukraine, Moldova and Georgia: Legal and Constitutional Challenges*, წიგნში: Chochia A., Kerikmae T. (eds.) *Political and Legal Perspectives of the EU Eastern Partnership Policy*, Springer, 2016, 155.

⁵⁵⁷ აქვე უნდა აღინიშნოს 1918 წელს მოპოვებული დომოუკიდებლობა, თუმცა საქართველოს მაშინდელი დამოუკიდებლობა მცირე ხანს გაგრძელდა და დამოუკიდებელ საქართველოს არ დასცალდა სამართლის სფეროში სერიოზული რეფორმების გატარება. სწორედ ამიტომ, ამ კონტექსტში საქართველოს 1991 წლის დამოუკიდებლობის გამოცხადება იგულისხმება.

⁵⁵⁸ „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ გზამკვლევი, თებერვალი, 2014, <<http://www.mfa.gov.ge>>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 17.01.2015.

ევროკავშირის მიერ კოოპერატორ სახელმწიფოებთან გაფორმებულ საერთაშორისო შეთანხმებებს შესასრულებლად სავალდებულო ბუნება აქვთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ხელშეკრულება მესამე სახელმწიფოს ევროპის ერთიანი ეკონომიკური ზონის ნაწილად აქცევს.⁵⁵⁹ ევროკავშირსა და საქართველოს შორის ხელმოწერილი ასოცირების ხელშეკრულება გაერთიანების წევრობის არავითარ წინაპირობას არ შეიცავს.⁵⁶⁰ სამაგიეროდ, იგი ითვალისწინებს საქართველოს მიერ ევროპის შიდა ეკონომიკურ ზონაში – ერთიან ბაზარში – შეღწევის შესაძლებლობას. მოიცავს რა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის პერსპექტივას, ხელშეკრულების 26-ე და 29-ე მუხლები აუქმებს საბაჟო გადასახადს ევროკავშირსა და საქართველოს შორის ექსპორტსა და იმპორტზე. ე.ი. შესაბამისი ვალდებულებების შესრულების საფუძველზე საქართველო გახდება ევროპის ერთიანი სავაჭრო სისტემის მონაწილე. ვაჭრობის ნაწილში, შეთანხმება მოიცავს როგორც ენერგორესურსებით თავისუფალი ვაჭრობის, ასევე მხარეებს შორის თავისუფალი ტრანზიტის უზრუნველყოფის ვალდებულებებს.⁵⁶¹ ეს კი იმას ნიშნავს, რომ, ევროკავშირის სამართლის მიხედვით, ასოცირების ხელშეკრულება შესასრულებლად სავალდებულო სამართლებრივი ბუნების დოკუმენტია.⁵⁶² აღებული ვალდებულება საკანონმდებლო ჰარმონიზაციის შესახებ არ მოიცავს თანამშრომლობის მხოლოდ რამდენიმე ძირითად ასპექტს, არამედ იგი ფარავს პრაქტიკულად ყველა სფეროს, სადაც პარტნიორობა ევროკავშირსა და საქართველოს შორის თეორიულად მაინც არის შესაძლებელი.

4.2. ასოცირების ხელშეკრულებაში სამართლის ჰარმონიზაციაზე

ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებიდან სამ წელიწადში (2014-2017) საქართველოში 9 ახალი კანონი იქნა მიღებული.

⁵⁵⁹ Petrov R. Exporting the Acquis Communautaire into the Legal Systems of Third Countries, *European Foreign Affairs Review*, Vol. 13, Kluwer Law International, 2008, 41.

⁵⁶⁰ ევროკავშირის წევრობის პირობებსა და პერსპექტივებზე იხ: Cremona M., *Accession to the European Union: Membership Conditionality and Accession Criteria*, Vol. 25, *Polish Yearbook of International Law*, 2001.

⁵⁶¹ დაწვრ. იხ. ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA).

⁵⁶² Muraviov V. The Impact of the EU Acquis and Values on the Internal Legal Order of Ukraine, *Max Weber Programme/Law Department Conference: Integration without EU membership*, San Domenico di Fiesole, 2008, 2.

ცვლილება შევიდა 70-მდე კანონში და გამოცემული იქნა 100-მდე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი.⁵⁶³ საბოლოო მიზანი გაცილებით უფრო ამბიციურია. და იმპერატიულია. ასოცირების ხელშეკრულებით საქართველოს კანონმდებლობა მთლიანად 300 ევროპულ სამართლებრივ აქტს უნდა დაუახლოვდეს.⁵⁶⁴ ხელშეკრულების 272-ე მუხლი პირდაპირ მოითხოვს ისეთი კანონების ახლით ჩანაცვლებას, რომლებიც არ შეესაბამება ევროკავშირის კანონმდებლობას.⁵⁶⁵ სამართლის ჰარმონიზაციის უზრუნველსაყოფად, 2018 წელს ცვლილებები შეეხო „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონსა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტსაც. ცვლილებების მიხედვით ქართულ კანონმდებლობის ევროპულთან შესაბამისობის მიზნით შემუშავებულ კანონპროექტებს თან უნდა ახლდეს განმარტებითი ბარათი ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ.⁵⁶⁶

სამართლის ჰარმონიზაციის უშუალო მეთოდი, რომელსაც ევროკავშირი საქართველოსთან ასოცირების შეთანხმების ფარგლებში იყენებს, ორგვარია. ერთი მხრივ, გაერთიანება საქართველოს მის მიერ მიღებული ნორმატიული აქტების (რეგულაცია, დირექტივა) შემოღებას ავალდებულებს. მეორე მხრივ, ის საქართველოსგან ცალკეულ სფეროში არსებული საერთაშორისო ხელშეკრულებებზე მიერთებით აღებული ვალდებულებების პატივისცემას მოითხოვს. მაგალითისთვის, ვაჭრობის სფეროში ასოცირების ხელშეკრულება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) სამართლის პრინციპების საფუძველზე ქართული კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანას საჭიროებს.⁵⁶⁷ ამავე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრობით გათვალისწინებული პირობების საფუძველზე მოქმედებს აღსრულებასთან დაკავშირებული პროცედურული ნორმები, სასამართლო ორგანოების უფლებამოსილებები და განხორციელების უზრუნველყოფის ღონისძიებები.

⁵⁶³ Reports of the Action Plans for 2015, 2016 and 2017 for the Implementation of the Association Agreement and the Association Agenda: <<http://www.mfa.gov.ge/ევროპული-და-ევრო-ატლანტიკური-ინტეგრაცია/asocirebis-dgis-cesrigis-angarishebi.aspx?lang=ka-GE>> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 28.06.2018.

⁵⁶⁴ Gabrichidze G. Impact of the EU-Georgia Association Agreement on the Legal Order of Georgia, Kyiv-Mohila Law & Politics Journal, No. 4, 2018, 55.

⁵⁶⁵ ასოცირების ხელშეკრულება, მუხლი 272.

⁵⁶⁶ საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“ (მუხლი 17, 2018 წლის 13 ივნისის ცვლილებების გათვალისწინებით) და პარლამენტის რეგლამენტი (მუხლი 145 2018 წლის 13 ივნისის ცვლილებების გათვალისწინებით).

⁵⁶⁷ ევროკავშირისა და საქართველოს ასოცირების ხელშეკრულების 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილი.

იგივე შეიძლება ითქვას ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროს მიმართ. ასოცირების ხელშეკრულება მოითხოვს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) მიერ ადმინისტრირებული საერთაშორისო შეთანხმებების ერთგულებას, რომელთაგანაც განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ შეთანხმების (TRIPS) ადეკვატური და ეფექტური განხორციელების ვალდებულება.⁵⁶⁸

აღნიშნული მაგალითები მოწმობს, რომ ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჰარმონიზაცია საქართველოს მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებასაც მოიცავს. დაახლოების ძირითადი მექანიზმი მაინც ასოცირების ხელშეკრულების რამდენიმე თავის დანართია. მასში მითითებულია ცალკეულ სფეროში გადმოსაღები ევროპული სამართლებრივი აქტების დეტალურ ჩამონათვალსა,⁵⁶⁹ რაც ნიშნავს იმას, რომ საკანონმდებლო დაახლოება უნდა მოხდეს ეტაპობრივად, შეთანხმებული ვადების გათვალისწინებით.⁵⁷⁰ ენერგეტიკული ნორმების ჰარმონიზაცია მომდევნო თავში გაანალიზდება.

4.3. ენერგეტიკის სექტორი ასოცირების ხელშეკრულებაში

ენერგეტიკის სექტორი ასოცირების შეთანხმების ორი სხვადასხვა თავით და ერთი დამატებითი ოქმით რეგულირდება. ხელშეკრულების ძირითად ტექსტში გვხვდება მითითება ევროკავშირის ენერგეტიკულ გაერთიანების წევრობაზე.⁵⁷¹ ვაჭრობის ნაწილში ასევე ვაწყდებით მითითებებს ენერგეტიკულ ქარტიასა⁵⁷² და 1994 წლის ვაჭრობისა და ტარიფები გენერალური შეთანხმების (GATT), თუმცა ენერგეტიკული ქარტიისა და GATT-ის პროცესის შეფასება ცდება წინამდებარე ნაშრომის მიზნებს და, შესაბამისად, არ იქნება დეტალურად განხილული.

შეთანხმების მე-4 კარის 11-ე თავი მოიცავს ენერგორესურსებით ვაჭრობის დებულებებს მოიცავს, კერძოდ კი

⁵⁶⁸ ევროკავშირისა და საქართველოს ასოცირების ხელშეკრულების 153-ე მუხლი.

⁵⁶⁹ სექტორული (დარგობრივი) თანამშრომლობის პირობებში საქართველო ვალდებულია გარკვეულ ვადებში (ხშირ შემთხვევაში სამიდან ხუთი წელი) მიიღოს შესაბამისი ევროპული რეგულაციები.

⁵⁷⁰ Muraviov V. The Impact of the EU Aquis and Values on the Internal Legal Order of Ukraine, Max Weber Programme/Law Department Conference: "Integration without EU membership," San Domenico di Fiesole, 2008, 2.

⁵⁷¹ ასოცირების ხელშეკრულება, მუხლი 218.

⁵⁷² ასოცირების ხელშეკრულება, მუხლი 211.

მათი შეუფერხებელი ტრანზიტის საკითხებს. აქ სიახლე არაფერია და იგი, ფაქტობრივად, იმეორებს ენერგეტიკული ქარტიის დებულებებს, რომლის მხარე საქართველო 1994 წლიდან არის.⁵⁷³ DCFTA-ის თავში ენერგეტიკის სფეროზე ვრცელდება თავისუფალი ვაჭრობასთან დაკავშირებული დებულებები, რომელიც ეხება ელექტროენერჯის, ნედლი ნავთობისა და ბუნებრივი გაზის სფეროებს.⁵⁷⁴ ეს ნაწილი არ არის ნაშრომის საკვანძო საკითხი.

სამაგიეროდ, საინტერესოა მე-6 კარის მე-2 თავი, რომელიც ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის უფრო ფართო სპექტრს ეხება.⁵⁷⁵ მოცემული თავი ითვალისწინებს თანამშრომლობას ენერგეტიკის პრაქტიკულად ყველა მიმართულებით, მათ შორის ენერგოპოლიტიკის სტრატეგიების, სფეროში კრიზისების მართვის მექანიზმების, ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციის, საინვესტიციო კლიმატის, განახლებადი ენერჯის, ენერგოეფექტურობის, ენერგოუსაფრთხოების ხელშეწყობის და ენერჯის დაზოგვის საკითხებზე.⁵⁷⁶

აღსანიშნავია, რომ ეს თავი შეიცავს ისეთ დათქმებს, რომლებიც სათავეს იღებს ევროკავშირის ძირითადი ენერგეტიკული პოლიტიკისა და ევროპის ენერგეტიკის სამართლის პრინციპებიდან. წინამდებარე სადოქტორო ნაშრომის მეორე ნაწილში განვიხილეთ კონკურენცია-ლიბერალიზაციის, ენერგოუსაფრთხოებისა და მდგრადი ენერგეტიკის დებულებები. ეს ზოგადი პრინციპები ასოცირების ხელშეკრულების 216-ე და 217-ე მუხლებშია ასახული. ენერგეტიკული რეგულირების უფრო სპეციალურ მოთხოვნებს, როგორებიცაა მაგალითისთვის ძლიერი და დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების მოწყობა, მესამე პირების არადისკრიმინაციული დაშვება ქსელებზე, მომხმარებლებისა და საჯარო ვალდებულებების საკითხები, საქმიანობების განცალკევების რეჟიმები და სხვ. (იხ. ნაშრომის მეორე და მეოთხე ნაწილი) თავმოყრილია შესაბამის დამატებით ოქმში.

სამართლებრივი რელევანტურობის კუთხით, ყველაზე მნიშვნელოვანია ასოცირების ხელშეკრულების მე-300 მუხლი, რომელიც მითითებითი ნორმაა და აქცენტს XXV-ე დანართზე

⁵⁷³. ენერგეტიკის შესახებ ქარტიის ოქმი ენერგეტიკული ეფექტურობისა და გარემოსთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 09.12.2004 წლის # 656 დადგენილებით.

⁵⁷⁴. Emerson M., Kovziridze T. (Eds), Deepening EU-Georgian Relations What Why and How? Second edition, Centre for European Policy Studies, 2018, 151.

⁵⁷⁵. ენერგეტიკა, <http://www.asocireba.ge/show_article.php?id=242> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 06.06.2019.

⁵⁷⁶. იქვე.

აკეთებს. უფრო კონკრეტულად, მე-300 მუხლი იმპერატიულია და აცხადებს, რომ საქართველო თავის ენერგეტიკულ კანონმდებლობას მიუახლოვებს ევროკავშირის აქტებს, რომლებიც სწორედ აღნიშნულ დამატებით ოქმშია თავმოყრილია.⁵⁷⁷ საუბარია ევროკავშირის ენერგეტიკული კანონმდებლობის ვრცელ ჩამონათვალზე და საქართველოს მიერ ან კანონმდებლობასთან დაახლოების კონკრეტულ გრაფიკზე: ევროკავშირის ოცდარვა (28) სამართლებრივი აქტი (რეგულაცია და დირექტივა) ელექტროენერჯის, ბუნებრივი გაზის, ნავთობის, განახლებადი ენერჯისა და ენერგოეფექტურობის სფეროში.⁵⁷⁸

იმპლემენტაციის ვადები ძირითადად სამიდან ხუთ წლამდე მერყეობს, თუ სხვაგვარად არაა დარეგულირებული ენერგეტიკული გაერთიანების შეთანხმების მიერ (ეს დათქმა არ ეხება ყველა აქტს). ვალდებულებების დროული შესრულება დამოკიდებულია სახელმწიფოს მხრიდან სწორი პრიორიტეტების განსაზღვრაზე და აქტიურ მუშაობაზე. არც ის უნდა მიეცეს დავიწყებას, რომ საქართველოს (ისევე როგორც ევროკავშირის პარტნიორ სხვა სახელმწიფოებს) აქვს ასოცირების ხელშეკრულების იმპლემენტაციის ცოდნის დეფიციტი და შეზღუდული შესაძლებლობები.⁵⁷⁹ შესაბამისად, ამ პროცესში უმნიშვნელოვანესია თავად ევროკავშირის მხარდაჭერა, რაც უზრუნველყოფს მიმდინარე რეფორმის სტრუქტურულ და შინაარსობრივ გამართულობას.

5. ევროპის ენერგეტიკული გაერთიანება (EnC)

5.1. სამართლებრივი ჩარჩო

2016 წელს სარაევოში, ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების მინისტრთა საბჭოს მე-14 შეხვედრაზე საქართველო შეუერთდა „ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ შეთანხმებას.“ (შემდგომში „ენერგეტიკული გაერთიანება“ ან „თანამეგობრობა“).⁵⁸⁰ შეთანხმება ძალაში 2017 წლის 21 აპრილს შევიდა, როდესაც საქართველოს პარლამენტმა მისი რატიფიცირება

⁵⁷⁷ ასოცირების ხელშეკრულება, მუხლი 300.

⁵⁷⁸ ასოცირების ხელშეკრულების XXV-ე დანართი.

⁵⁷⁹ Wolczuk K. EU's Association Agreement with Georgia, Moldova and Ukraine, წიგნი: Emerson M., Cenusă D., Kovziridze T., Movchan V. The Struggle for Good Governance In Eastern Europe, CEPS, 2016, 294.

⁵⁸⁰ 2016/18/MC-EnC გადაწყვეტილება.

მოახდინა.⁵⁸¹ ამით საქართველომ, ერთი მხრივ, ასოცირების ხელშეკრულებით უკვე ნაკისრი ვალდებულებები „დაამოწმა“ და, მეორე მხრივ, ევროპასთან სტაბილური ენერგოთანამშრომლობა განამტკიცა. თავად გაერთიანების სადამფუძნებლო შეთანხმებას ხელი 2005 წელს მოეწერა ევროკავშირსა და ცხრა პარტნიორ სახელმწიფოს შორის ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთით.⁵⁸²

ენერგეტიკული გაერთიანება საერთაშორისო ორგანიზაცია⁵⁸³ ძლიერი ინსტიტუციური მოწყობით და მუდმივმოქმედი სამდივნოთი. რენერის მტკიცებით, იგი ნეოფუნქციონალისტური⁵⁸⁴ ინტეგრაციის კლასიკური ნიმუშია, რომელიც სექტორულ-რეგიონული თანამშრომლობის აქამდე არსებული უპრეცედენტო შემთხვევაა.⁵⁸⁵ ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების სამოქმედო არეალი ენერგეტიკის სექტორით შემოიფარგლება. შესაბამისად, მას თავისუფლად შეიძლება ეწოდოს სექტორული საერთაშორისო ორგანიზაცია.⁵⁸⁶ ევროპის სამეზობლო პოლიტიკის პრიზმიდან რომ შევხედოთ, ენერგეტიკული გაერთიანება წარმოადგენს ევროკავშირის ენერგეტიკული თანამეგობრობის რეგიონულ ჩარჩოს, რომლის ამოცანაა პან-ევროპული ენერგეტიკული ბაზრის შექმნა.⁵⁸⁷

ორგანიზაციის სამართლებრივი სისტემის სათავეში დგას „შეთანხმება ენერგეტიკული გაერთიანების დაფუძნების შესახებ.“⁵⁸⁸ იგი გაერთიანების მთავარი იურიდიული დოკუმენტია და შესასრულებლად სავალდებულოა ყველა წევრი სახელმწიფოსთვის. გაერთიანების *raison d'être* ევროკავშირის შიდა ენერგეტიკული წესებისა და პრინციპების ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთ და შავი ზღვის რეგიონში გავრცელებაა. შეთანხმების მე-2 მუხლი

581. სემეკის 2017 წლის ანგარიში: <http://gnerc.org/files/wliuri%20angariSi/ANNUAL%20REPORT%202017_opt.pdf>

უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 07.06.2019.

582. ალბანეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, კოსოვო, მაკედონიის რესპუბლიკა, საქართველო, მოლდოვა, მონტენეგრო, სერბეთი და უკრაინა.

583. ენერგეტიკული გაერთიანება <<https://author.energy-community.org/enc-author-prd/enc/aboutus/whoweare.html>> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 07.06.2019.

584. ინტეგრაციის სამეცნიერო თეორია, რომელიც ინტეგრაციის განვითარების ყველაზე ეფექტურ გზად ქვეყნების საერთო ინტერესების სექტორებში ნაბიჯ-ნაბიჯ დაახლოებას მიიჩნევს.

585. Renner S. The Energy Community Of Southeast Europe: A Neo-fuctionalist Project of Regional Integration, European Integration Online Papers, Vol. 13, 2009, 2.

586. Ciric R. Application of Energy Community Competition Rules in Georgia, ENLR, 2016, 32.

587. Petrov, R. Energy Community, as a Promoter of the European Union's "Energy Acquis" to Its Neighbourhood, Legal Issues of Economic Integration 39 (3), 2012, 331.

588. Treaty Establishing the Energy Community.

გაერთიანების ხუთ ძირითად მიზანს გამოკვეთს: ა) ინვესტიციების მოზიდვა; ბ) ინტეგრირებული ენერგეტიკული ბაზრის შექმნა; გ) მიწოდების უსაფრთხოების უზრუნველყოფა; დ) გარემოსდაცვითი მდგომარეობის გაუმჯობესება; ე) კონკურენციის წახალისება. ამ მიზნების უზრუნველსაყოფად, გაერთიანება სტიმულირებს წევრებს შორის ენერგეტიკული თანამშრომლობის მაღალ სტანდარტს. იგი უსაფრთხო, ხელმისაწვდომი, მდგრადი და კონკურენტული ენერჯის ინსტრუმენტია, რომელიც წევრებს შორის სოლიდარობასა და ნდობას ეფუძნება.⁵⁸⁹

გაერთიანების დამფუძნებელი შეთანხმების ტექსტი და მიზნები ევროკავშირის ძირითადი კონსტიტუციური ხასიათის ხელშეკრულებების და ენერგოკავშირის (*Energy Union*) შინაარსის მატარებელია (იხ. ნაშრომის მე-2 ნაწილის მე-4 თავი).⁵⁹⁰ შეთანხმების 94-ე მუხლი დამატებით იმასაც ადასტურებს, რომ ხელშეკრულების ნორმების ინტერპრეტაციისას განმსაზღვრელია ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს პოზიცია.⁵⁹¹ შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ორგანიზაცია, ფაქტობრივად, ევროპის საშინაო ენერგეტიკული პოლიტიკის საგარეო უზრუნველყოფის საშუალებაა. მის საქმიანობაში გადამწყვეტია ევროკავშირის ინსტიტუციების, მათ შორის ევროსასამართლოს როლი.

გაერთიანება საქართველოში თანამედროვე და მდგრადი ენერგეტიკის სამართლის (იხ. ნაშრომის პირველი ნაწილი) განვითარებას უწყობს ხელს. ენერგეტიკული გაერთიანების ჩარჩო მოითხოვს განახლებადი ენერჯის წყაროების და ენერგოეფექტურობის განვითარებას, გარემოსდაცვითი პრინციპების დაცვას, რაც, თავის მხრივ, ქვეყნის მწვანე ენერგეტიკულ განვითარებას, ტექნოლოგიურ პროგრესს ნიშნავს. გაერთიანების წევრობა ხელს უწყობს ენერგეტიკული ბაზრის რეფორმირებას, განახლებადი ენერჯისა და ენერგოეფექტურობის კანონმდებლობის დანერგვას. გრძელვადიან პერსპექტვაში საქართველოს ექნება შესაძლებლობა წვლილი შეიტანოს ევროკავშირისა და ენერგეტიკული გაერთიანების მხარეების ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში.⁵⁹²

⁵⁸⁹ Coop G., Maier B. The External Relations of EU Energy Regulations, წიგნში: Cameron, P. D., Heffron, R. Legal Aspects of EU Energy Regulation: The Consolidation of Energy Law across Europe, second edition, Oxford University Press, 2016, 89.

⁵⁹⁰ Karova R. Application of the EU Constitutional Principles in the Energy Community, European Networks Law and Regulations Quarterly, Vol. 176, 2015, 176.

⁵⁹¹ იქვე.

⁵⁹² მარგველაშვილი მ. მაღალაშვილი ა., კვარაცხელია თ., უშვანი ლ., მუხიგულიშვილი გ. საქართველოს ენერგეტიკული სექტორი ევროკავშირთან

5.2. “*Acquis Communautaire*”

ენერგეტიკული გაერთიანების მხარეები მზარ არიან შიდაეროვნული სამართლის სისტემაში შემოიღონ ევროპის ენერგეტიკული კანონმდებლობა ე.წ. *Acquis Communautaire*.⁵⁹³ ევროკავშირის ენერგეტიკული “*acquis*” მესამე სახელმწიფოებში გავრცელება თანამეგობრობის მთავარი ამოცანაა.⁵⁹⁴ თანაც ისე, რომ მონაწილე სახელმწიფოებს დაევალოს მათი ეროვნულ დონეზე ეფექტური და შეუფერხებელი იმპლემენტაცია.⁵⁹⁵

ტერმინი “*Acquis Communautaire*,” რომელსაც აქტიურად იყენებს ენერგეტიკული გაერთიანების სადამფუძნებლო დოკუმენტი, საკმაოდ ბუნდოვანი და საკამათო ცნებაა, რომელიც ევროპის სამართლის ჭრილში სათანადოდ არაა გამოკვლეული. განსაკუთრებული მატერიალური და პროცესუალური სირთულე თავს იჩენს მესამე სახელმწიფოებთან მიმართებაში, რომლებსაც მოეთხოვებათ “*acquis*“ სრული ან ნაწილობრივი გათავისება.⁵⁹⁶ საქმე ისაა, რომ აღნიშნული ტერმინით მოიხსენიებენ ევროკავშირის სამართლის სისტემაში არსებულ ნებისმიერ უფლებასა და ვალდებულებას, ნორმათა ერთობლიობას (მათ შორის ენერგეტიკული), რომელიც განუსაზღვრელი ოდენობის სამართლებრივ აქტს მოიცავს. ისმის კითხვა: რა მოცულობით არის ვალდებული საქართველო, რომ მისი კანონმდებლობა მიუახლოოს ევროპის ენერგეტიკულ *acquis*-ის?

ამ გაურკვეველობას აქარწყლებს ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების მე-10 მუხლი. მასში პირდაპირ არის მითითებული, რომ მონაწილე სახელმწიფოებს გაერთიანების ხელშეკრულების პირველ დამატებით ოქმში თავმოყრილი ენერგეტიკული *acqui*-ის იმპლემენტაციის ვალდებულება აქვთ. აქვე, აუცილებლად უნდა იქნას ნახსენები

ასოცირების კონტექსტში, მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის (WEG), თბ., 2015, 18.

⁵⁹³ ფინემორეს მიხედვით ტერმინი ძირითადად მერეულ კანონმდებლობას მოიცავს, რომელიც სადამფუძნებლო ხელშეკრულებების საფუძველზე განვითარდა და მოიცავს: რეგულაციას, დირექტივას და გადაწყვეტილებას. იხ. Phinnemore D., McGowan L. A Dictionary of the European Union, Europa Publications, London and New York, 2002, 3.

⁵⁹⁴ Wustenberg M., Talus K. Risks of Expanding the Geographical of EU Energy Law, *European Energy and Environmental Law Review*, 2017, 139.

⁵⁹⁵ Karova R. Application of the EU Constitutional Principles in the Energy Community, *European Networks Law and Regulations Quarterly*, Vol. 176, 2015, 177.

⁵⁹⁶ Magen A. Transformative Engagement through Law: The *Acquis Communautaire* as an Instrument of EU External Influence, *European Journal of Law Reform*, Vol. 9, 2007, 361.

ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც ამბობს, რომ *acquis*-ის გავრცელება ახალ [მესამე] სახელმწიფოებში, ფართო გეოგრაფიულ არეალზე ევროკავშირის სამართლის გავლენის განმტკიცებაა.⁵⁹⁷ თუ ენერგეტიკული გაერთიანების ჩარჩოზე განვაზოგადებთ, იგი უნიკალური სამართლებრივი მოდელია, რომელიც ევროკავშირის ენერგეტიკული კანონმდებლობის მესამე სახელმწიფოებში გავრცელების ძალიან მნიშვნელოვან ინსტიტუციურ-სამართლებრივ ფორმას ქმნის.⁵⁹⁸

5.3. დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან შეერთების ოქმი

საქართველოსა და ენერგეტიკულ გაერთიანებას შორის სამართლებრივი ურთიერთობა „ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების შესახებ“ ოქმით (შემდგომში „შეერთების ოქმი“ ან „პროტოკოლი“) რეგულირდება, რომელსაც ხელი 2016 წლის 14 ოქტომბერს მოეწერა. მისი რატიფიკაცია საქართველოს პარლამენტმა 2017 წლის 21 აპრილის დადგენილებით მოახდინა.⁵⁹⁹

შეერთების ოქმის სამართლებრივი ბუნების განსასაზღვრად უმნიშვნელოვანესია ეროვნული კონსტიტუციური სამართლის დებულებები. შეერთების ოქმი, ასოცირების ხელშეკრულების მსგავსად, საერთაშორისო ხელშეკრულებაა. შესაბამისად, მასზეც თანაბრად მოქმედებს ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის დათქმა. აქედან გამომდინარე პროტოკოლი იერარქიულად ასოცირების ხელშეკრულების თანასწორია და მას შიდაეროვნული ნორმატიული აქტების მიმართ უპირატესი იურიდიული ძალა აქვს. ეს, ცხადია, დამატებით გარანტიებს ქმნის ქვეყანაში ენერგეტიკული „*acquis*“ იმპლემენტაციის თვალსაზრისით.

საინტერესოა ისიც, რომ აღნიშნულ საკითხზე საქართველოს კონსტიტუციური სამართლის დამოკიდებულება ენერგეტიკული გაერთიანების სხვა ხელშემკვერელი სახელმწიფოების გამოცდილების შესატყვისია. მაგალითად, ალბანეთისა და მონტენეგროს

⁵⁹⁷ ECJ Opinion 1/00, paras. 2-3.

⁵⁹⁸ Petrov R. Energy Community, as a Promoter of the European Union's 'Energy Acquis' to its Neighbourhood, Legal Issues of Economic Integration 39 (3), 2012, 331.

⁵⁹⁹ საქართველოს პარლამენტის 2017 წლის 21 აპრილის N 716-III დადგენილება „ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების შესახებ“ ოქმთან შეერთების თაობაზე.

კონსტიტუციები⁶⁰⁰ ასევე მიუთითებს საერთაშორისო ხელშეკრულებების უპირატესობას შიდაეროვნულ კანონმდებლობასთან მიმართებაში, რაც ავტომატურად ვრცელდება მათი ენერგეტიკული გაერთიანების შეერთების ოქმებზე.⁶⁰¹

პროტოკოლი შესასრულებლად სავალდებულო იმ სამართლებრივი აქტების (რეგულაცია და დირექტივა) ნუსხას განსაზღვრავს, რომლის ეროვნულ კანონმდებლობაში გადმოღება საქართველოს შესაბამის ვადაში მოეთხოვება. ოქმით გაწერილი საკანონმდებლო აქტების აბსოლუტური უმრავლესობა ასოცირების ხელშეკრულებით უკვე ნაკისრ ვალდებულებებს წარმოადგენს და, ძირითადად, ელექტროენერჯის, ბუნებრივი გაზის, ნავთობის, განახლებადი ენერჯისა და ენერგოეფექტურობის სფეროებს მოიცავს. ჩნდება შეკითხვა: რატომ მეორდება აქტების ჩამონათვალი ორ სხვადასხვა იურიდიულ დოკუმენტში? შეერთების ოქმი არ გულისხმობს ასოცირების ხელშეკრულებისგან რაიმე განსხვავებულ სამართლებრივ პროცესს. ეს უკანასკნელი უფრო აზუსტებს ასოცირებით უკვე ნაკისრ ვალდებულებების ბუნებას და ვადებს.

გარდა ამისა, როგორც ზემოთ ითქვა, ენერგეტიკული გაერთიანება სექტორული საერთაშორისო ორგანიზაცია და მასზე შეერთებით საქართველო უერთდება უფლება-მოვალეობების უფრო ვრცელ და ყოვლისმომცველ პაკეტს ენერგეტიკის სექტორში, ვიდრე ეს ასოცირების ხელშეკრულებითაა გაწერილი. შესაბამისად, ასოცირების შეთანხმებისგან განსახვავებით, შეერთების ოქმი უფრო სპეციალურია სამართლებრივი აქტია. იგი გაცილებით ინტენსიური ენერგეტიკული თანამშრომლობის ფორმაა და მაღალია აღებული ვალდებულებების მონიტორინგის ხარისხიც.

ამის კარგი მაგალითია დავების გადაწყვეტის მექანიზმი.⁶⁰² ენერგეტიკულ გაერთიანებას არ აქვს მუდმივმოქმედი სასამართლო ორგანო, თუმცა დაინტერესებულ მხარეს, მარეგულირებელ გამგეობას და სამდივნოს შეუძლია საჩივრით მიმართოს მინისტრთა საბჭოს ხელშემკვრელი სახელმწიფოს მხრიდან ნაკისრ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში.⁶⁰³ განსაკუთრებით საინტერესო ისაა, რომ კერძო პირებსაც აქვთ უფლებამოსილება, რათა

⁶⁰⁰. ალბანეთის კონსტიტუციის 122(2) და მონტენეგროს კონსტიტუციის 145-ე მუხლი.

⁶⁰¹. გასაოცრად ღიაა მოლდოვას კონსტიტუცია, რომლის მიხედვითაც, საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირებამ შესაძლოა კონსტიტუციური ნორმების გადასინჯვა გამოიწვიოს, თუკი ეს უკანასკნელი რატიფიცირებულ ხელშეკრულებას ეწინააღმდეგება. მოლდოვას კონსტიტუციის 135 (1) მუხლი.

⁶⁰². ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელი შეთანხმების 90-93-ე მუხლები.

⁶⁰³. იქვე, 90-ე მუხლი.

საჩივრით მიმართონ სამდივნოს ადგილობრივი მთავრობების წინააღმდეგ საქმის წარმოების მიზნით.⁶⁰⁴ შედეგად, მინისტრთა საბჭომ შესაძლოა ხელშემკვრელ სახელმწიფოს ხმის უფლება შეუჩეროს ან გამოიყენოს მის ხელთ არსებული სხვა შემზღვეველი ღონისძიება.⁶⁰⁵

რა ხდება ასოცირების ხელშეკრულებისა და შეერთების ოქმის კოლიზიის დროს? აღნიშნული დოკუმენტების ურთიერთობის მთავარი განმსაზღვრელი ნორმა ასოცირების ხელშეკრულების 218-ე მუხლია. მისი პირველი ნაწილი პირდაპირ მიუთითებს, რომ ენერგეტიკული გაერთიანების შეთანხმებასა და ასოცირების ხელშეკრულებას შორის დაპირისპირებისას უპირატესობა ენიჭება ენერგეტიკული გაერთიანების შეთანხმებას. აღნიშნული დათქმის გარდა, გასათვალისწინებელია სამართლის ზოგადი პრინციპებიც. *Lex posterior* და *Lex specialis*,⁶⁰⁶ (*lex specialis derogate lege generali*)⁶⁰⁷ ლოგიკას თუ მიყვებით, ორს შორის კოლიზიის შემთხვევაში უპირატესობა უფრო ახალ და სპეციალურ კანონს უნდა მიენიჭოს.

6. ქართული სამართლის ჰარმონიზაციის კრიტიკული ანალიზი⁶⁰⁸

6.1. სამართლის ჰარმონიზაციის მონაწილე მხარეთა უფლებრივი თანასწორობა

პეტროვი მიიჩნევს, რომ ასოცირების ხელშეკრულება პარიტეტულ საწყისებზე დამყარებული ორმხრივი სამართლებრივი დოკუმენტია და იგი მხარეთა უფლება-მოვალეობებს თანაბრად განსაზღვრავს.⁶⁰⁹ წმინდა ფორმალური თვალსაზრისით ეს შესაძლოა

⁶⁰⁴ Petrov R. Energy Community, as a Promoter of the European Union's 'Energy Acquis' to Its Neighbourhood, *Legal Issues of Economic Integration* 39 (3), 2012, 343.

⁶⁰⁵ იქვე.

⁶⁰⁶ ბოლოს მიღებული და უფრო სპეციალური. დეტალურად იხ. Vranes E. *Lex Superior, Lex Specialis, Lex Posterior – Zur Rechtsnatur der “Konfliktlösungsregeln,”* *ZaöRV* 65, 2005, 391-405.

⁶⁰⁷ Draft Articles on Responsibility of States for Internationally Wrongful Acts, Commentary under Article 55, para 4.

⁶⁰⁸ დასკვნების გამოტანაში დიდი მნიშვნელობა იქონია ავტორის ინტერვიუებმა ბრიუსელში ჰორია ნაგაშევჩთან (ევროკომისია, ნოემბერი, 2018) და მარკო გიულისტან (ევროპის პოლიტიკის ცენტრი, აპრილი, 2019).

⁶⁰⁹ Petrov R. Energy Community, as a Promoter of the European Union's 'Energy Acquis' to Its Neighbourhood, *Legal Issues of Economic Integration* 39 (3), 2012, 352.

ნამდვილად ასე იყოს, თუმცა, პრაქტიკაში ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის პროცესი ძირითადად ევროკავშირის სცენარით მიმდინარეობს. ასეთ საკანონმდებლო დაახლოებას ცალმხრივად მავალდებულებელი გარიგების ბუნება (ევროპა, როგორც კანონის ავტორი) უფრო აქვს, რადგან ევროკავშირის არა წევრი ქვეყნები არ მონაწილეობენ იმ კანონების შექმნაში, რომელსაც მოგვიანებით საკუთარი სამართლის სისტემაში იღებენ.⁶¹⁰

ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჰარმონიზაციის პროცესი არ გულისხმობს ხელშეკრულების ორივე მხარის ვალდებულებას საკუთარი კანონმდებლობის ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანისთვის. იმის ილუზია არავის აქვს, რომ ევროკავშირი საკუთარ კანონმდებლობას ქართულს დაუახლოვებს. სამაგიეროდ, საქართველოს ევალდებულება ეროვნული მარეგულირებელი გარემოს ევროპულ სტანდარტებზე გადაწყობა. ხომ არ გამოდის, რომ საქართველო რამდენადმე იზღუდავს საკუთარ სუვერენულ უფლებას? მას, როგორც ევროკავშირის არა წევრ სახელმწიფოს, არ აქვს არავითარი ბერკეტი რომ გავლენა მოახდინოს ევროკავშირის კანონშემოქმედებით პროცესზე.

ევროპის სამართლის ქართულ სამართალში გადმოღება ემსახურება საქართველოს კანონმდებლობის დასავლურ, თანამედროვე სტანდარტებზე მორგებას. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის ნორმატიული აქტები სრულად ან ნაწილობრივ ხდება ქართული სამართლებრივი სისტემის განუყოფელი ნაწილი, ჰარმონიზაციის პროცესი მხოლოდ და მხოლოდ ქართული სამართლის ლოგიკითაა ნაკარნახევი. ასოცირების ხელშეკრულების იმპლემენტაცია ადგილობრივ დონეზე ეროვნული კონსტიტუციური სამართლის მიერ იქნება აღსრულებული.⁶¹¹ ქართული სამართლებრივი წესრიგის ევროპეიზაციის გავლენები საფრთხეს არ წარმოადგენს ქვეყნის სახელმწიფო სუვერენიტეტისა და მისი კონსტიტუციური იდენტობისთვის.⁶¹² შესაბამისად, ევროკავშირის ენერგოკანონმდებლობის საქართველოში გადმოღება არ უნდა

⁶¹⁰ Romanova T. Towards a Comprehensive Theory of Legal Harmonization between the EU and a Third Partner: The Case of The EU-Russian Energy Dialogue, წიგნში: Delvaux B., Hunt M., Talus K. (eds.) EU Energy Law and Policy Issues, Vol. 3, Intersentia, 2012, 283.

⁶¹¹ Petrov R. Energy Community, as a Promoter of the European Union's 'Energy Acquis' to Its Neighbourhood, Legal Issues of Economic Integration 39 (3), 2012, 157.

⁶¹² ყალიჩავა კ. ქართული ადმინისტრაციული სამართლის ევროპეიზაცია ევროინტეგრაციის ჭრილში – წარსულის გამოცდილება და მომავლის პერსპექტივები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ჟურნალი, N 2, 2017, 289.

შეფასდეს, როგორც ქვეყნის ეროვნული ინტერესების დაკნინება, რათა თავად განსაზღვროს საკუთარი ენერგეტიკული პოლიტიკა.

ამასთან, სამართლის ჰარმონიზაციის სხვადასხვა მექანიზმის გამოყენება, იქნება ეს ასოცირების ხელშეკრულება თუ ენერგეტიკული გაერთიანების ჩარჩო, ძირითადად, ჰარმონიზაციის განმახორციელებელი სახელმწიფოს ნებაზეა დამოკიდებული. თითოეულ ქვეყანას ყოველგვარი სამართლებრივი იძულების გარეშე, ნებაყოფლობით, შეუძლია ნებისმიერი სხვა მომიჯნავე სისტემიდან გადმოიღოს ესა თუ ის სამართლებრივი სტანდარტი თუ ნორმა, რომლისთვისაც სულაც არაა საჭირო „ნორმის გამცემი“ სახელმწიფოს თუ ორგანიზაციის წინასწარი თანხმობა. ამის მაგალითია ის, რომ ქართულ მართლმსაჯულებას ჯერ კიდევ ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებამდე აქვს გამოყენებული თავის გადაწყვეტილებებში მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს მიდგომები.⁶¹³ ამას არ შეიძლება დაჰყენოთ იძულებითი ხასიათი, რადგან საქართველო არაა ევროკავშირის სადამფუძნებლო დოკუმენტის ხელშემკვრელი ქვეყანა და არც ევროპის სამართალია მისი სამართალწარმოების ძირითადი წყარო.⁶¹⁴

6.2. სამართლის ჰარმონიზაციის მოტივები

რა მოტივაცია აქვთ ევროკავშირის არა წევრ სახელმწიფოებს და რატომ „უერთდებიან“ ისინი ევროპის შიდა ენერგეტიკული ბაზრის წესებს? აკადემიურ ლიტერატურაში ეს კითხვა დიდი კამათის საგანია. ცხადია, ევროპული ენერგოინტეგრაციის მოტივები კითხვებს არ აჩენს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისთვის, თუმცა საინტერესოა, თუ რა ინტერესები ამოძრავებთ ქვეყნებს, რომლებიც არ არიან უშუალოდ ევროპის ენერგეტიკული სივრცის ნაწილი.

ენერგეტიკული კანონმდებლობის მოდერნიზაციის ზოგად საჭიროებებზე აღარ განვმეორდებით. (იხ. ნაშრომის შესავალი და პირველი ნაწილი). ენერგეტიკული ასოცირების ნაწილში

⁶¹³ დაწვრ. იხ. Gabrichidze G. Impact of the EU-Georgia Association Agreement on the Legal Order of Georgia, Kyiv-Mohila Law & Politics Journal, No. 4, 2018, 53-64.

⁶¹⁴ ეს საკითხი უფრო გლობალურად შესაძლოა განხილულ იქნეს ევროპეიზაციის კრილში, თუმცა ამაზე დეტალური მსჯელობა გასცდება წინამდებარე ნაშრომის ძირითად თემას. დაინტერესებისამებრ იხ: Radaelli C. Whither Europeanization? Concept Stretching and Substantive Change, European Integration Online Papers (EIoP), Vol. 4, No. 8, 2000; Dragneva R., Wolczuk K. EU Law Export to the Eastern Neighbourhood, წიგნში: Cardwell P. J. EU External Relations Law and Policy in Post-Lisbon Era, TMC Asser Press, The Hague, 2012.

საინტერესოა გმტოლის შეფასება, რომელიც მესამე სახელმწიფოებისთვის ევროკავშირის ენერგოსივრცეში ინტეგრაციის სამ ძირითად მოტივს ხედავს: ა) იდენტიფიცირების სურვილი; ბ) ენერგოდამოუკიდებლობის განმტკიცება და გ) ეკონომიკური ინტერესი.⁶¹⁵ ეს შეხედულება ნამდვილად არაა საფუძველმოკლებული ქართული ენერგეტიკული სამართლის ჰარმონიზაციის მიზნებისთვისაც.

ევროპული იდენტობა არაა მხოლოდ კულტურული, ისტორიული და გეოგრაფიული (მით უფრო პრობლემური საკითხი ენერგეტიკის სექტორისთვის, რასაც მომდევნო ქვეთავში შევხებით) მნიშვნელობის განსაზღვრა. ევროპის ენერგეტიკულ ველში ჩართვით საქართველო არა მხოლოდ გაათანამედროვეებს მის მოძველებულ ენერგეტიკულ მარეგულირებელ გარემოს, არამედ ასეთი სექტორული თანამშრომლობით კიდევ ერთ მნიშვნელოვან ნაბიჯს გადადგამს ევროკავშირთან იდენტიფიცირების, ინტეგრაციის გზაზე.

ენერგოდამოუკიდებლობა ქვეყნის ეროვნული სტრატეგიის ერთ-ერთი ძირითადი გამოწვევაა. 2015 წლის 24 ივნისის საქართველოს პარლამენტის დადგენილებით „საქართველოს ენერგეტიკის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების თაობაზე,“ ენერგოუსაფრთხოება ქვეყნის ეროვნული ენერგეტიკული პოლიტიკის ქვაკუთხედაა.⁶¹⁶ საქსტატის 2016 წლის მონაცემებით საქართველოს ენერგომომხმარების უდიდეს ნაწილი (39 % ბუნებრივი გაზი და 29 % ნავთობპროდუქტები) თითქმის 100 %-ით იმპორტირებულია.⁶¹⁷ არასტაბილური ენერგეტიკული ურთიერთობა რუსეთთან წლების განმავლობაში პრობლემატური იყო საქართველოსთვის.⁶¹⁸ ევროპასთან მეგობრობა გაცილებით უფრო სტაბილურ, წესებზე დამყარებულ ენერგოგარემოს გვპირდება.

ევროკავშირთან გახშირებული ენერგეტიკული ვაჭრობა და საინვესტიციო ურთიერთობები გაღრმავებულ ეკონომიკურ თანამშრომლობას მოასწავებს. საკუთარი ენერგორესურსების

⁶¹⁵ Prange-Gstöhl H. Enlarging The EU's Internal Energy Market: Why Would Third Countries Accept EU Rule Export? Elsevier Energy Policy 37, 2009, 5303.

⁶¹⁶ საქართველოს პარლამენტის 2015 წლის 24 ივნისის N3758-II ს დადგენილებით „საქართველოს ენერგეტიკის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების თაობაზე.“

⁶¹⁷ საქართველოს ენერგეტიკული ბალანსი 2016, <<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/85/sakartvelos-energetikuli-balansi-2016>> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 06.06.2019.

⁶¹⁸ მაგალითისთვის, 2006 წლის ზამთრის კრიზისიც კი კმარა. იხ. Georgia: Tbilisi Accuses Moscow of Energy Sabotage <<https://www.rferl.org/a/1064976.html>> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 06.06.2019.

მრავალფეროვნებისთვის ევროკავშირს აუცილებლად დასჭირდება ენერჯის მწარმოებელ და ტრანზიტულ ქვეყნებში ინვესტიციები, რაც საქართველოს მომგებიან მდგომარეობაში აყენებს.⁶¹⁹ ასეთი ტიპის მასშტაბური ევროპული ინვესტიციებისთვის საჭიროა ენერგეტიკული გაერთიანებით მოაზრებული სტაბილური მარეგულირებელი, კონკურენტული, მომხმარებელზე-ორიენტირებული, მოქნილი და გამჭვირვალე ენერგობაზრის ჩამოყალიბება.

6.3. ეროვნული სამართლებრივი თავისებურებანი

ენერგეტიკული გაერთიანებით მოაზრებული თავისუფალი და გამჭვირვალე ენერგოსექტორი არსებულ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის ან სრულიად ახალი კანონების მიღებით მიიღწევა, თუმცა ეს საკმარისი როდია. სფეროს სამომავლო განვითარება-დახვეწისთვის ევროპული კანონმდებლობის მხოლოდ ეროვნული სამართლის სისტემაში სარკისებური რეცეპცია და მისი ფორმალური იმპლემენტაცია ვერ გამოიღებს სასურველ შედეგს. ამ თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესია სათანადო და ეფექტური აღსრულების მექანიზმების შექმნა. არსებითი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოსთან მჭიდრო თანამშრომლობას და სამოქმედო გეგმის შემუშავებას, რომელიც გაითვალისწინებს მისაღწევ შუალედურ და საბოლოო შედეგებს და დაადგენს შესაბამისი ანგარიშვალდებულების მოთხოვნებს.⁶²⁰

დირექტივებისა და რეგულაციების იმპლემენტაციისთვის აუცილებელია ქვეყანაში არსებობდეს ყველა საჭირო უფლებამოსილებით აღჭურვილი, ქმედითი, დამოუკიდებელი, გამჭვირვალე და ძლიერი მარეგულირებელი ორგანოები, რათა არ დაირღვეს ბაზრის არც ერთი მონაწილის უფლებები და ინტერესები.⁶²¹ თავად ჰარმონიზებული კანონმდებლობის საბოლოო „პროდუქტი“ უნდა იყოს მოდერნიზებული ენერგეტიკული

⁶¹⁹. Prange-Gstöhl H. Enlarging the EU's Internal Energy Market: Why Would Third Countries Accept EU Rule Export? Elsevier Energy Policy 37, 2009, 5301.

⁶²⁰. ჯანელიძე ს. ენერგეტიკულ გაერთიანებაში საქართველოს გაწევრიანებიდან ერთი წლის შეფასება, იხ. ევროპის ენერგეტიკული გაერთიანება და რეფორმები საქართველოს ენერგეტიკაში, მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის (WEG), თბ. 2017, 92.

⁶²¹. ონაშვილი ა. ევროკავშირის კანონმდებლობის ძირითადი მოთხოვნები ენერგეტიკის რეგულირების სფეროში, იხ. ევროპის ენერგეტიკული გაერთიანება და რეფორმები საქართველოს ენერგეტიკაში, მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის, თბ., 2017, 67.

კანონმდებლობა. შესაბამისად, თანამედროვე ქართული ენერგორეგულირების ამოცანა ისეთი ჯანსაღი სისტემის ორგანიზაციული გამართვა უნდა იყოს, რომელიც კონკურენციისა და გამჭვირვალობის მაღალ სტანდარტს ქმნის, ორმხრივად მომგებიანია და საერთაშორისო არადისკრიმინაციულ წესებს ეფუძნება.⁶²²

ამ საქმეში უმნიშვნელოვანესია მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანოების, განსაკუთრებით კი საკონსტიტუციო სასამართლოს როლი. როგორც წესი, ადგილობრივი სასამართლო ორგანოები არ არიან მოტივირებული აქტიურად მოიხმონ საერთაშორისო სამართლის ნორმები მათ გადაყვეტილებებში.⁶²³ მისასალმებელი იქნებოდა ქართული სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები, რომლებიც ინტერპრეტირებულია ასოცირების შეთანხმებისა და ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების ტექსტის შესაბამისად. სასურველია, ქართულმა სასამართლოებმა მოიხმონ საერთაშორისო, ევროპული იურიდიული დოკუმენტების ცალკეული მუხლები, რის შესაძლებლობასაც „საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონი იძლევა. საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო აქტები ეროვნული კანონმდებლობის განუყოფელი ნაწილია.⁶²⁴

მიუხედავად ამისა, ასოცირების ხელშეკრულებისა და მით უმეტეს ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების სასამართლო იმპლემენტაცია საქართველოში ჯერ კიდევ საწყის ეტაპზეა.⁶²⁵ არსებობს მხოლოდ რამდენიმე იშვიათი გამონაკლისი. ასეთია, მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება, რომელშიც სასამართლომ თავისი სამართლებრივი ანალიზი ასოცირების ხელშეკრულების 228-ე და 229-ე მუხლებს დააფუძნა.⁶²⁶ კიდევ უფრო მეჩხერი ხასიათი აქვს ევროკავშირის სხვა კანონებისა და ნორმატიული აქტების ციტირებას,

⁶²² მარგველაშვილი მ. მაღალაშვილი ა., კვარაცხელია თ., უშვანი ლ., მუხიგულიშვილი გ. საქართველოს ენერგეტიკული სექტორი ევროკავშირთან ასოცირების კონტექსტში, მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის (WEG), თბ., 2015, 14.

⁶²³ Petrov R., Kalinichenko P. The Europeanization of Third Country Judiciaries through the Application of the EU *Acquis*: The Cases of Russia and Ukraine, Vol. 60 Int'l & Comp. L.Q., 2011, 325–353.

⁶²⁴ საქართველოს კანონი „საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“, მუხლი 6.

⁶²⁵ ეს არ ეხება ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას, რომელიც აქამდე ყველაზე ხშირად ციტირებული საერთაშორისო აქტია.

⁶²⁶ Blockmans S., Hriptievski N., Panasiuk V., Zguladze E. Integrity and Judicial Reform on Trial, წიგნში: Emerson M., Cenusu D., Kovziridze T., Movchan V. The Struggle for Good Governance in Eastern Europe, Centre for European Policy Studies, 2018, 122.

რომლებიც საქართველოსთვის ისედაც არ წარმოადგენს სავალდებულო სამართლებრივ წყაროს.⁶²⁷ მაგალითისთვის, საკონსტიტუციო სასამართლომ თავის 2001 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილება ევროპარლამენტის რეზოლუციას დააფუძნა⁶²⁸ და ევროკავშირის სამართლის გამოცდილება მოიხმო მომხმარებელთა დაცვის თემატიკაზე.⁶²⁹ საკონსტიტუციო სასამართლოს გარდა, სახეზეა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მხრიდან ევროკავშირის კანონმდებლობის ციტირება, თუმცა შეზღუდული რაოდენობით. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევაა 2013 წლის გადაწყვეტილება,⁶³⁰ სადაც სასამართლომ ევროკავშირის 96/9 დირექტივა⁶³¹ და ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს სხვა გადაწყვეტილებები მოიხმო.⁶³²

ქართული სასამართლოების მიერ ევროკავშირის სამართლისა და მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების მოყვანა, სავარაუდოდ ევროკავშირის, როგორც მოდელური სუპრანაციონალური ორგანიზაციის და სამაგალითო რეპუტაციის მქონე გაერთიანების როლს უკავშირდება. ევროპის „ნორმატიული ძალა“⁶³³ გლობალური სამართლებრივი წესრიგის ნაწილია.⁶³⁴ ამიტომ, იმაში უცნაური არაფერი იქნება, თუკი ქართველი მოსამართლე საკუთარ იურიდიულ არგუმენტაციას ევროპულ სამართალს დააფუძნებს. პირიქით, ამას უფრო ხშირი ხასიათი უნდა ჰქონდეს, რაც, ალბათ, უახლოეს წლებში, მიმდინარე საკანონმდებლო რეფორმების ფონზე შეიცვლება.

შედარებისთვის, ასოცირების ეს გზა უკვე წარმატებით განვლო რამდენიმე ევროპულმა ქვეყანამ. ჩეხეთის საკონსტიტუციო სასამართლომ თავის გახმაურებულ გადაწყვეტილებაში: „Skoda Auto“ ხაზი გაუსვა ევროკავშირის სამართლის განსაკუთრებულ მნიშვნელობას და აღიარა, რომ ჩეხეთის კონსტიტუციური

⁶²⁷ იხ. Gabrichidze G. 'Auswirkung der Beziehungen zwischen Georgien und der Europäischen Union auf die Georgische Judikative', *Zietschrift fur Europarecht* 15 (6), 2013, 136-142.

⁶²⁸ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება. No. 1/5/224, 16.11.2005.

⁶²⁹ საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის გადაწყვეტილება. No. 1/1/374, 379, 9.02.2007.

⁶³⁰ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება. N AS 1210-1139-2012 2.05.2013.

⁶³¹ Council Directive 96/191/EC of The European Parliament and of The Council of 11 March 1996 on the legal protection of databases.

⁶³² Case C-46/02; Case C-203/02, Case C-338/02.

⁶³³ იხ. Manners J. Normative Power Europe: A Contradiction in Terms? *Journal of Common Market Studies*, 2002, 235-258.

⁶³⁴ Gabrichidze G. Impact of the EU-Georgia Association Agreement on the Legal Order of Georgia, *Kyiv-Mohila Law & Politics Journal*, No. 4, 2018, 57.

სამართალი ევროპულ პრინციპებს ეფუძნება. ჩეხეთის საკონსტიტუციო სასამართლო ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებებს ჯერ კიდევ წევრობამდე აქტიურად ციტირებდა.⁶³⁵

საინტერესოა პოლონეთისა და უნგრეთის გამოცდილებაც. 1997 წელს პოლონეთის საკონსტიტუციო ტრიბუნალმა უარყო ევროკავშირის სამართლის უპირობო პრიმატი პოლონეთის შიდაეროვნული კანონმდებლობის მიმართ, თუმცა იქვე მოითხოვა ადგილობრივი სამართლებრივი აქტების იმგვარი ინტერპრეტაცია, რომელიც უზრუნველყოფდა ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების პატივისცემას.⁶³⁶ 1998 წელს უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლომ თავის ცნობილ „ევროპის გადაწყვეტილებაში“ მიუთითა ევროკავშირი-უნგრეთის ასოცირების ხელშეკრულებაში მოთავსებული კანონების სახელმწიფო დაწესებულებების მხრიდან პატივისცემაზე.⁶³⁷

6.4. მთავარი გამოწვევები

ყურადღების მიღმა არ უნდა დაგვრჩეს რამდენიმე საკითხი, რომელიც ართულებს საქართველოს ენერგეტიკული კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პროცესს. სამწუხაროდ, გამოწვევების სიმრავლეს არ ვუჩივით,⁶³⁸ მაგრამ, საილუსტრაციოდ, მხოლოდ ხუთ პრობლემატურ საკითხს განვიხილავთ.⁶³⁹

ა) **ვალდებულებების შესრულების ფორმატი და შესაძლებლობები.** ენერგეტიკული გაერთიანების ბოლო ანგარიში ადასტურებს საქართველოს პროგრესს ენერგოვალდებულებების შესრულების თვალსაზრისით.⁶⁴⁰ მასში მითითებულია, რომ

⁶³⁵ იქვე.

⁶³⁶ პოლონეთის საკონსტიტუციო ტრიბუნალის გადაწყვეტილება, 15/97, OTK [Orzecznictwo Trybunalu Konstytucyjnego, the collection of decisions of the Constitutional Tribunal], nr. 19/1997, 380.

⁶³⁷ უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილება 30/1998, (VI 25) AB at V. 5.

⁶³⁸ ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად უნდა შეფასდეს ასევე ენერგეტიკული კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პროცესში განსხვავებული დაინტერესებული მხარეები, მათი ინტერესები და ლობირება. თუმცა ეს და მსგავსი საკითხების განხილვა სცდება წინამდებარე სადოქტორო ნაშრომის მიზანს. იხ. USAID White Paper Energy Strategy Of Georgia (2015-2030), ივლისი, 2014.

⁶³⁹ იხ. Samkharadze I. Europeanization of Energy Law and Policy beyond the Member States: The Case of Georgia, Elsevier Energy Policy Journal, 130, 2019, 1-6.

⁶⁴⁰ Energy Governance in Georgia, Report on Compliance with the Energy Community Acquis, Energy Community Secretariat on 1 July 2017.

საქართველო იჩენს ევროპის ენერგეტიკულ ველში ინტეგრირების დიდ ინტერესს. მიუხედავად ამისა ენერგეტიკის სფეროს სრული ტრანსფორმაცია ჯერ კიდევ შორსაა და ენერგოსექტორი ისევ განიცდის საბჭოთა მემკვიდრეობის უარყოფით გავლენებს.⁶⁴¹ ენერგეტიკული გაერთიანების მონაცემებით, ამ მომენტისთვის საქართველოს მიერ ვალდებულებების ზოგადი შესაბამისობის დონე 23 % ია.⁶⁴²

სირთულეს წარმოადგენს კანონების იმპლემენტაციის შესრულების გეგმა და ფორმატი. დირექტივებისა და რეგულაციების გადმოღებისთვის საჭირო კანონპროექტების მომზადება⁶⁴³ ტექნიკურ და შინაარსობრივ მომზადებას მოითხოვს. კერძოდ, აუცილებელია კანონპროექტები საერთაშორისო ექსპერტიზისა და გამოცდილების ფარგლებში მომზადდეს, რაც დაკავშირებულია დიდ ადამიანურ და ფინანსურ რესურსებთან, დონორების, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობასთან.⁶⁴⁴ მიუხედავად სირთულეებისა, ოქმის ხელმოწერიდან დღემდე, არაერთი პროგრესული ნაბიჯი გადაიდგა ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით: მიმდინარეობს მუშაობა ენერგეტიკის შესახებ კანონპროექტის მისაღებად, მომზადდა ენერგოეფექტურობის, განახლებადი ენერჯის (განხილული ნაშრომის მეოთხე ნაწილში) პირველადი სამოქმედო გეგმები, არაერთი ცვლილება განხორციელდა გარემოს მარეგულირებელ კანონებსა და კანონქვემდებარე აქტებში.⁶⁴⁵

ბ) ვალდებულებების შესრულების ვადა და მონიტორინგი.

შეერთების ოქმითა და ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პერიოდი ამბიციურია, თანაც

⁶⁴¹ იქვე.

⁶⁴² ენერგეტიკული გაერთიანება, <<https://www.energy-community.org/implementation/Georgia.html>> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 06.06.2019.

⁶⁴³ საქართველოს მთავრობის განცხადებით, ენერგეტიკულ გაერთიანებას რამდენიმე კანონპროექტის მონახაზი (კანონი ენერგეტიკის შესახებ, განახლებადი, ენერგოეფექტურობა და შენობები) 2018 წლის ბოლოს უნდა წარედგინოს. იხ. <<https://www.euneighbours.eu/en/east/stay-informed/news/georgias-progress-reforming-energy-sector-line-energy-community-treaty>> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 06.06.2019.

⁶⁴⁴ Samkharadze I. Climate Change in the EU-Georgia Association Context, a report compiled under the BMU-commissioned GIZ programme 'Capacity Development for Climate Policy in the Western Balkan, Central and Eastern Europe and Central Asia' as part of the International Climate Initiative (IKI), 2017.

⁶⁴⁵ ჯანელიძე ს. ენერგეტიკულ გაერთიანებაში საქართველოს გაწევრიანებიდან ერთი წლის შეფასება, იხ. ევროპის ენერგეტიკული გაერთიანება და რეფორმები საქართველოს ენერგეტიკაში, მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის (WEG), თბ. 2017, 92.

ცვალებადი. სფეროს ანალიზი აჩვენებს, რომ ქვეყანა არაა მზად იმ საკანონმდებლო აქტების მისაღებად, რომლის ვადაც უახლოეს პერიოდში იწურება ან უკვე ამოიწურა.⁶⁴⁶ ენერგეტიკული გაერთიანება აწესებს ვალდებულებების შესრულების საბოლოო ვადებს, თუმცა არ ახორციელებს ამ ვადების მკაცრ მონიტორინგს. ამის მიზეზი აღსრულების სუსტი რეგიონული მექანიზმებია, რაც ენერგეტიკული გაერთიანების „აქილევსის ქუსლია.“⁶⁴⁷ ადგილი არ აქვს შეუსრულებელი ვალდებულებების სასამართლო კონტროლს მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანოს მხრიდან. დარღვევების პროცედურის მონიტორინგს მხოლოდ გაერთიანების სამდივნო ასრულებს და საბოლოო გადაწყვეტილების მიმღები ინსტანცია არის არა სასამართლო ორგანო, არამედ მინისტრთა საბჭო.⁶⁴⁸

გ) სამართლებრივი თუ პოლიტიკური განაჩენი? რას უნდა ველოდოთ, თუკი საქართველო ვერ შეასრულებს ენერგეტიკული გაერთიანების ჩარჩოს ვალდებულებებს? ადგილი ექნება პოლიტიკურ, დიპლომატიურ სანქციებს თუ მოსალოდნელია გაერთიანების სამდივნოს მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ საქმის წარმოება? ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების მიხედვით გაერთიანების სამდივნო, საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენებს მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას და დაიწყებს საქმის წარმოებას.⁶⁴⁹ მიუხედავად ამისა, საქართველოს წევრობის პირველ ეტაპზე ვალდებულების შეუსრულებლობის მკაცრი იურიდიული სანქციები მოსალოდნელი არ უნდა იყოს. თვალს თუ გადავაავლებთ არსებულ გამოცდილებას, გაერთიანების სამდივნომ ვალდებულებების დარღვევის გამო ბოსნია-ჰერცეგოვინას წინააღმდეგ საქმე⁶⁵⁰ სადამფუძნებლო დოკუმენტის ძალაში

⁶⁴⁶. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე აქტის ეროვნულ კანონმდებლობაში ინკორპორირების საბოლოო ვადა აღნიშნულ სადოქტორო ნაშრომზე მუშაობის დროს ემთხვევა და ბევრ მათგანზე კანონპროექტი ჯერ კიდევ მომზადების პროცესშია.

⁶⁴⁷. Buschle D. Exporting the Internal Market – Panacea or Nemesis for the European Neighbourhood Policy? Lessons from the Energy Community, EU Diplomacy Paper No. 2, College of Europe, 2014, 11.

⁶⁴⁸. იქვე, 12.

⁶⁴⁹. Theiss J. EU External Energy Governance – An Internal Remedy? წიგნში: Delvaux B., Hunt M., Talus K. EU Energy Law and Policy Issues 4, Intersentia, 2014, 269.

⁶⁵⁰. Case ECS- 01/10, Energy Community Secretariat <https://www.energy-community.org/portal/page/portal/ENC_HOME/AREAS_OF_WORK/Dispute_Settlement/2010/1_10>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 20.10.2015.

შესვლიდან მეოთხე წელს აღძრა.⁶⁵¹ ანალოგიურია უკრაინის 2014 წლის გამოცდილებაც.⁶⁵² აქედან უნდა ვივარაუდოთ, რომ ნაადრევია სამდივნოს მხრიდან ქართულ გადაცდომებზე მკაცრი სამართლებრივი ნაბიჯების გამოყენება. ამის საპირისპიროდ, ადგილი ექნება დიპლომატიურ დიალოგს, ვალდებულებების გადავადებას და ზოგადად ხელშეწყობას იმისთვის, რომ საქართველომ დროის უმოკლეს ვადაში შეძლოს ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

დ) გეოგრაფიული სიშორე და სუსტი ენერგოდამაკავშირებელი ინფრასტრუქტურა. აუცილებელია ხაზი გაესვას რეგიონულ კონტექსტს, განსაკუთრებით კი ბუნებრივი გაზის ტრანსსასაზღვრო ვაჭრობისა და ტრანსპორტირების ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული საკითხებს.⁶⁵³ მოცემულ ეტაპზე საქართველო არ არის გეოგრაფიულად დაკავშირებული ევროკავშირის ან ენერგეტიკული გაერთიანების რომელიმე ქვეყნის ენერგობაზართან.⁶⁵⁴ უკრაინასა და მოლდოვას შემთხვევებისგან განსხვავებით, საქართველოს არ აქვს საერთო საზღვრები ენერგეტიკული გაერთიანების წევრ ქვეყნებთან და არ არის პირდაპირ დაკავშირებული ევროკავშირის რომელიმე სახელმწიფოს ენერგეტიკულ ქსელთან. უფრო მეტიც, საქართველოს არც ერთი მეზობელი ქვეყანა (თურქეთი, რუსეთი, სომხეთი და აზერბაიჯანი), სავარაუდოდ, არ აპირებს უახლოეს მომავალში გაერთიანებაში გაწევრიანებას.⁶⁵⁵ ეს ენერგეტიკული გაერთიანების მიზნების რეალიზებას და ევროპის ენერგეტიკულ ბაზართან ინტეგრირებას ართულებს.

ე) ვალდებულებების პირობებით (დეროგაციები) შესრულება. გეოგრაფიული სიშორისა და სხვა შემაფერხებელი ფაქტორებიდან გამომდინარე, საქართველოსა და ენერგეტიკულ გაერთიანებას შორის მოლაპარაკების პროცესში დაშვებულ იქნა

⁶⁵¹ Ciric R. Application of Energy Community Competition Rules in Georgia, European Networks Law and Regulation Quarterly 1, 2016, 31.

⁶⁵² Case ECS-07/11, Energy Community Secretariat <https://www.energy-community.org/portal/page/portal/ENC_HOME/AREAS_OF_WORK/Dispute_Settlement/2011/07_11>, Last accessed 20 October 2015.

⁶⁵³ Ciric R. Application of Energy Community Competition Rules in Georgia, European Networks Law and Regulation Quarterly 1, 2016, 31.

⁶⁵⁴ საქართველოს ენერგეტიკის განვითარების სტრატეგია 2016-2025 (სამუშაო დოკუმენტი) იხ. <<http://www.energy.gov.ge/show%20news%20mediacenter.php?id=600&lang=geo>>. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 04.06.2019.

⁶⁵⁵ Emerson M., Kovziridze T. (Eds), Deepening EU-Georgian Relations What Why and how? Second edition, Centre for European Policy Studies, 2018, 157.

გარკვეული პირობები (ე.წ. დეროგაციები).⁶⁵⁶ შესაბამისად, ვალდებულებების შესრულებისას განისაზღვრება სპეციფიკური მიდგომები, რაც შედარებით ანელებს და პირობადამოკიდებულს ხდის ევროპაში ენერგოინტეგრაციის პროცესს. ეს არ არის ცალსახად უარყოფითი მოვლენა და შესაძლებელია შეფასდეს, როგორც საქართველოს მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობებით გაწვევრიანება.⁶⁵⁷

შეერთების ოქმის მე-2 მუხლის მიხედვით, საქართველო გათავისუფლებულია მესამე ენერგეტიკული პაკეტით გათვალსიწინებული ტრანსსასაზღვრო ვაჭრობის ზოგიერთი საკითხისაგან. შესაბამისად, საქართველოს არ შეეხება ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების კონკურენციის შესახებ კანონმდებლობის დებულებები.⁶⁵⁸ გარდა ამისა, გაერთიანების წევრობით ნაკისრი ვალდებულებების მოთხოვნების შესრულებისაგან 2026 წლის 31 აგვისტომდე⁶⁵⁹ (ევროკავშირის 2009/73/EC დირექტივა და 715/2009 რეგულაცია) თავისუფალია სამხრეთ კავკასიის მილსადენი⁶⁶⁰ და ჩრდილოეთ-სამხრეთის მაგისტრალური მილსადენი.⁶⁶¹ შეერთების ოქმის მე-2 მუხლის მე-6 ნაწილით, ენერგეტიკული გაერთიანების მოთხოვნები ასევე არ გავრცელდება საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის მთავრობათაშორის შეთანხმებაზე, საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიებსა და მის ფარგლებს გარეთ, ბუნებრივი გაზის ტრანზიტის, ტრანსპორტირებისა და ვაჭრობის საქმიანობების შესახებ.⁶⁶²

⁶⁵⁶ საქართველოს ენერგეტიკის განვითარების სტრატეგია 2016-2025 (სამუშაო დოკუმენტი) იხ. <<http://www.energy.gov.ge/show%20news%20mediacenter.php?id=600&lang=geo>>. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 04.06.2019. 10.

⁶⁵⁷ იქვე.

⁶⁵⁸ ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების მე-4 თავის მე-2 ნაწილი.

⁶⁵⁹ ანუ „ენერგეტიკული გაერთიანების“ ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვამდე. შეერთების ოქმის მე-2 მუხლის მე-5 ნაწილი.

⁶⁶⁰ სამხრეთ კავკასიის მილსადენი ნიშნავს SCP პროექტს, რომელიც განისაზღვრება საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის მთავრობათაშორის შეთანხმების მიხედვით

⁶⁶¹ ჩრდილოეთ-სამხრეთის მაგისტრალური მილსადენი არის საქართველოს მაგისტრალური გაზსადენის სისტემის ნაწილი, რომელიც მოიცავს 1200/1000 მმ დიამეტრის გაზსადენის სექციებს (როგორც შეიძლება იყოს აღდგენილი, შეკეთებული, შეცვლილი, განახლებული, გადაკეთებული და/ან გადაადგილებული).

⁶⁶² საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება „საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის სამხრეთ-კავკასიური მილსადენის სისტემის მეშვეობით საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიებზე და ამ

6.5. შესაძლებლობები

დიპლომატიური დიალოგი და მოლაპარაკება არ არის ევროპის საგარეო ენერგეტიკული პოლიტიკის ერთადერთი „მსუბუქი ძალა.“⁶⁶³ ევროკავშირი არა მხოლოდ ენერგეტიკულ ვალდებულებებს უწესებს გაერთიანების ხელშემკვრელ სახელმწიფოებს, არამედ ეხმარება კიდევ მათ ენერგეტიკული რეფორმების განხორციელებაში. ეს ითვალისწინებს პარტნიორი სახელმწიფოების ტექნიკური და ფინანსური დახმარების შესაძლებლობებს.

ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია რეგიონული ინიციატივა ე.წ. „EU4Energy“ მმართველობის პროგრამა, რომელიც „ცნობილი“ INOGATE პროგრამის ერთგვარი გაგრძელებაა.⁶⁶⁴ EU4Energy ტექნიკური დახმარების პროექტია, რომელიც ევროკავშირის მიერ ფინანსდება. პროექტი ოთხი წლის ვადითაა დამტკიცებული (2016-2020) და მისი მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს ენერგეტიკულ ტრანზიციის, მდგრადი ენერგეტიკის საკანონმდებლო და მარეგულირებელ პროცესებს ახლო სამეზობლოში, აღმოსავლეთ პარტნიორობისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში.⁶⁶⁵

საქართველოში EU4Energy პროგრამა, რომელსაც ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნო ადმინისტრირებს, სტრატეგიული თანამშრომლობის რამდენიმე სფეროს მოიცავს: ელექტროენერგეტიკა, ბუნებრივი გაზი და ენერგოეფექტურობა. EU4Energy პროგრამის ფარგლებში, ევროპულ ექსპერტებთან კონსულტაციის გზით მუშავდება ვალდებულებების განხორციელებისთვის საჭირო ღონისძიებები: სამართლებრივი ცვლილებების პაკეტი, რეკომენდაციები. კვალიფიკაციას იმაღლებენ და დამატებით გამოცდილებას იძენენ სფეროში მომუშავე

ტერიტორიების ფარგლებს გარეთ ბუნებრივი გაზის ტრანზიტის, ტრანსპორტირებისა და რეალიზაციის შესახებ“ 2001 წლის 12 ოქტომბრის სამთავრობათაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული დღგ-ით დაბეგვრის რეჟიმის გამოყენების თაობაზე“ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.“

⁶⁶³ იხ. Nye S. Soft Power: The Means to Success in World Politics, Public Affairs, New York, 2004.

⁶⁶⁴ ევროკავშირი ენერგეტიკისთვის, იხ. <<https://www.eu4energy.iea.org/about>> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 04.06.2019.

⁶⁶⁵ EU4Energy პროგრამის პირველი საორგანიზაციო შეხვედრა, <<http://weg.ge/ge/eu4energy-programis-pirveli-saorganizacio-shexvedra>> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 04.06.2019.

პერსონალი.⁶⁶⁶ EU4Energy-ის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ საქართველოში პირველი ენერგეტიკული საკანონმდებლო ცვლილების პროექტი ენერგოეფექტური შენობების სამოქმედო გეგმა და ენერგეტიკის შესახებ საქართველოს კანონის მონახაზი სწორედ აღნიშნული პროგრამის ხელშეწყობით მზადდება.⁶⁶⁷

ევროკავშირის გარდა, ენერგეტიკულ საკითხებზე აქტიურად მუშაობს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), მსოფლიო ბანკი (WB), ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), დანიის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (DANIDA) და სხვა საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები. ეს ყოველივე იმის ვარაუდის საფუძველია, რომ ენერგეტიკული გაერთიანების ფარგლებში გადაიდგმება ქმედითი ნაბიჯები ლიბერალური ენერგობაზრის მოწყობისათვის, ენერგეტიკული რესურსების მიწოდებისა და უსაფრთხოებისთვის, განახლებადი ენერჯის ათვისებისა და ენერგოეფექტურობის ხელშეწყობისთვის.

იმისათვის, რომ უკეთ იქნას გააზრებული ასოცირების ხელშეკრულებისა და ენერგეტიკული გაერთიანების პროცესი საქართველოში, ევროკავშირის კანონმდებლობის ქართულ სამართლებრივ სივრცეში შემოჭრის თავისებურებები და პასუხი გაეცეს წინამდებარე სადოქტორო ნაშრომით დასმულ ძირითად შეკითხვებს, ნაშრომის მომდევნო, მეოთხე და ბოლო ნაწილი დეტალურად განიხილავს განახლებადი ენერჯის ადგილს საქართველოს ენერგეტიკის სამართლის სისტემაში და გააანალიზებს მასზე ევროკავშირის 2009/28/EC დირექტივის (განახლებადი ენერჯის წყაროებიდან ენერჯის გამოყენების ხელშეწყობის შესახებ) გავლენებს.

⁶⁶⁶. საქართველოს ენერგეტიკის განვითარების სტრატეგია 2016-2025 (სამუშაო დოკუმენტი) [ob. <http://www.energy.gov.ge/show%20news%20mediacenter.php?id=600&lang=geo>](http://www.energy.gov.ge/show%20news%20mediacenter.php?id=600&lang=geo). უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 04.06.2019, 13.

⁶⁶⁷. ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში, [<https://eeas.europa.eu/delegations/georgia_mn/35328/EU4Energy>](https://eeas.europa.eu/delegations/georgia_mn/35328/EU4Energy) უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 04.06.2019.

V. ნაწილი მეოთხე: საქართველოს განახლებადი ენერჯის კანონმდებლობის ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოება

1. ანოტაცია

სადოქტორო ნაშრომის პირველ სამ ნაწილში მიმოხილულია, თუ რა ძირითად კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს თანამედროვე ენერჯეტიკის სამართალი. შესაბამისად, გაანალიზდა სფეროში ევროკავშირის წარმატებული გამოცდილება და ევროპის ენერჯორეგულირების პრინციპების საქართველოში გადმოღების თეორიული საფუძვლები. კვლევის შუალედურ შედეგებსა და დასკვნებზე დაყრდნობით, დისერტაციის ეს ნაწილი უშუალოდ ქართული ენერჯოსექტორის სამართლებრივ ჩარჩოსა და მასში განახლებადი ენერჯის როლს მიმოხილავს.

ასოცირების შეთანხმება და ენერჯეტიკული გაერთიანების წევრობა, გარდა საქართველოში ენერჯობაზრის ლიბერალიზაციას (იხ. ნაშრომის მესამე ნაწილი), პირდაპირი ზეგავლენას ახდენს განახლებადი ენერჯის წარმოებასა და განვითარებაზე. კერძოდ, საქართველომ აიღო ვალდებულება, რომ ეროვნულ კანონმდებლობაში ასახოს ევროკავშირის 2009/28/EC დირექტივა: „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის მიღების წახალისების“ შესახებ.⁶⁶⁸ ნაშრომის ეს ნაწილი დირექტივის ეროვნული იმპლემენტაციის პროცესის შესაფასებლად შედარებითი კვლევის ფარგლებში შეისწავლის საქართველოში განახლებადი ენერჯის მარეგულირებელ გარემოს და მასზე ევროკავშირის სამართლის გავლენებს.

ვინაიდან მეოთხე ნაწილი ძირითადად ნაშრომის შეჯამებას ეთმობა, ხშირია წინა თავებში წარმოდგენილ დასკვნებსა და მსჯელობებთან უკუკავშირი. გარდა ამისა, დისერტაციის ამ ნაწილში წარმოდგენილი იქნება რამდენიმე რეკომენდაცია საქართველოში განახლებადი ენერჯის სამართლის ევროპეიზაციის კუთხით. აღნიშნული დასკვნები და შემოთავაზებები წარმოადგენს ავტორის ხედვას საქართველოში განახლებადი ენერჯის კანონმდებლობის რეფორმირების პროცესთან მიმართებით. მისასალმებელი იქნება, თუკი აღნიშნული რეკომენდაციები საფუძვლად დაედება

⁶⁶⁸ Council Directive 2009/28/EC of the European Parliament And Of The Council of 23 April 2009 on the promotion of the Use of Energy from Renewable Sources and Amending and Subsequently Repealing Directives 2001/77/EC and 2003/30/EC, OJ L 140, (5.6.2009), შემდგომში „დირექტივა.“

საქართველოს განახლებადი ენერჯის სფეროს განვითარებას, ახალი მიდგომების ჩამოყალიბებას და შემდგომ სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს.

2. ენერჯეტიკის სექტორი საქართველოში

ენერჯეტიკის სექტორს ქართული სახელმწიფოსთვის უდიდესი ეკონომიკური, სოციალური და გეოპოლიტიკური ფუნქცია აქვს. ენერჯეტიკა სტრატეგიული მნიშვნელობის საბაზო დარგია.⁶⁶⁹ მისი სწრაფი განვითარება დიდ გავლენას ახდენს ქვეყნის უსაფრთხოებასა და მის ეკონომიკურ სიძლიერეზე. საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდგომ ქართული ენერჯოსექტორი, ფაქტობრივად, ჩამოშლის პირას მივიდა, რამაც უდიდესი ზიანი მიაყენა როგორც ერთიან ენერჯოპოლიტიკას, ისე ენერჯეტიკის მარეგულირებელ საკანონმდებლო გარემოს. არც თუ ისე დიდი ხნის წინ იდგა ქვეყანა ისეთი ენერჯეტიკული კრიზისების წინაშე, როგორებიცაა მწვავე ენერჯოდეფიციტი, მოძველებული და ამორტიზებული ინფრასტრუქტურა, ელექტროენერჯისა და გაზის მიწოდების მასიური შეწყვეტა.⁶⁷⁰

მიუხედავად ბოლო წლებში მიღწეული პროგრესისა და საკანონმდებლო ცვლილებებისა⁶⁷¹ ქართული ენერჯოსექტორი ჯერ კიდევ განიცდის მძიმე საბჭოური მემკვიდრეობის შედეგებს. იგი მოწყვეტილია თანამედროვე ენერჯორეგულირების სტანდარტებს და, შესაბამისად, ენერჯეტიკის სექტორის სრულ ტრანსფორმირებამდე გრძელი გზა გასავლელი. არ არსებობს გრძელვადიანი სტრატეგიული ხედვა, ერთიანი საკანონმდებლო სისტემა, სპეციალური კანონები, როგორც ტრადიციული ენერჯეტიკის, ისე მწვანე, სუფთა ენერჯის დარგში. ამ გამოწვევების დასაძლევად, ყველაზე მნიშვნელოვანია შესაბამისი ენერჯეტიკული ინსტიტუციური, საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზის განვითარება წარმოადგენს.⁶⁷²

⁶⁶⁹ ელექტროენერჯეტიკა და ბუნებრივი გაზი ენერჯეტიკულ რესურსებს შორის ერთ-ერთი ყველაზე პრიორიტეტული მიმართულებაა.

⁶⁷⁰ საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების სტრატეგია 2016-2025 (სამუშაო დოკუმენტი) იხ.

<<http://www.energy.gov.ge/show%20news%20mediacenter.php?id=600&lang=geo.>>

უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 07.06.2019.

⁶⁷¹ იქვე, 13.

⁶⁷² 2013-2016 წლებში საქართველოს ენერჯეტიკის სექტორში განხორციელებული ცვლილებების შეფასებისთვის იხ. <<http://weg.ge/ge/2013-2016-clebshi-sakartvelos-energetikis-sektorshi-ganxorciebuli-cvllilebebis-shepaseba>> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 23.04.2019.

ევროკავშირთან ასოცირების დღის წესრიგი და ევროპის ენერგეტიკული კანონმდებლობის ლიბერალურ მოდელზე⁶⁷³ ორიენტირი (იხ. ნაშრომის მეორე და მესამე ნაწილი) დიდი შესაძლებლობაა ამორფული ენერგეტიკული ნორმატიული ბაზის მოწესრიგებისთვის. ასოცირების ხელშეკრულება და ენერგეტიკული გაერთიანების წევრობა ეფექტური და ფუნქციურად გამართული ენერგობაზრის ჩამოყალიბების საწინდარია. შესაბამისად, იგი ენერგეტიკული სექტორის მნიშვნელოვან გარდაქმნას მოასწავებს. აუცილებელია ისეთი კანონებისა და რეგულაციების შემუშავება, რომელებიც, ერთი მხრივ, გამჭირვალე და კონკურენტულ ენერგეტიკულ ბაზარს წარმოშობს, ხოლო, მეორე მხრივ, სათანადო პირობებს შექმნის სექტორის გრძელვადიანი, სტაბილური განვითარებისთვის. იგი ასევე ხელს შეუწყობს საქართველოს მნიშვნელოვანი ენერგეტიკული პრივილეგიების (მაგ. სატრანზიტო პოტენციალი) წარმოჩენას და მწვანე ენერგეტიკის მაქსიმალურ წახალისებას, მომხმარებლების ხარისხიანი ენერგიით უზრუნველყოფასა და ენერგოსაფრთხო გარემოს.

2.1. ენერგეტიკული პოლიტიკა

2006 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა დადგენილება სახელწოდებით: „საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები.“⁶⁷⁴ დოკუმენტმა ეროვნული ენერგეტიკული პოლიტიკის პირველი თანამედროვე ელემენტები გააჩინა და ისეთი საკითხები გამოკვეთა, როგორებიც არის ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ადგილობრივი და უცხოური კომპანიების საქმიანობის ხელშეწყობა, საერთაშორისო ინსტიტუტებთან თანამშრომლობა, ენერგობაზრის ეტაპობრივი ლიბერალიზაცია და დერეგულირება. დადგენილება შეეხო ასევე განახლებადი ენერჯის წყაროებსა და, ამ მხრივ, განსაკუთრებული აქცენტი ქვეყნის მდიდარ ჰიდრორესურსებზე

⁶⁷³ ლიბერალიზაცია შესაძლოა მოაზრებულ იქნას, როგორც რეფორმატორული მიდგომა, რა დროსაც იერარქიულ „ზემოდან ქვემოთ“ მექანიზმს ანაცვლებს საბაზრო ეკონომიკაზე დაფუძნებული ურთიერთობები. დაწვრ. იხ. Ilie L., Horobet A., Popescu C. Liberalization and Regulation in the EU Energy Market, Academy of Economic Studies, 2007 და Léautier T., Crampes C. Liberalisation of the European Electricity Markets: A Glass Half Full, Florence School of Regulation, EUI, 2016.

⁶⁷⁴ საქართველოს პარლამენტის 2006 წლის № 3259 – II დადგენილება „საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების“ თაობაზე.

გააკეთა. დოკუმენტი ენერგეტიკის სექტორის აქტიური რეფორმის ფონზე იქნა მიღებული და, ფაქტობრივად, პიონერული მისია იტვირთა კონკურენტული მარეგულირებელი და სატარიფო სისტემის შესაქმნელად. გამოიკვეთა ეროვნული ენერგეტიკული სტრატეგიის მთავარი მიზნები: საქართველოს მოსახლეობის მდგრადი ენერგეტიკული ველით უზრუნველყოფა და ხელმისაწვდომი ენერგეტიკული ტარიფები.⁶⁷⁵

2015 წლის 24 ივნისს საქართველოს პარლამენტმა ახალი დადგენილება მიიღო „საქართველოს ენერგეტიკის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების თაობაზე.“ დადგენილებამ ზემოხსენებული 2006 წლის დოკუმენტი ჩაანაცვლა⁶⁷⁶ და არსებულ ენერგეტიკულ გამოწვევებსაც უკეთ გამოეხმაურა.

კერძოდ, დოკუმენტმა 2006 წლის პრიორიტეტები „გადაახალისა“ და საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის ახალი ძირითადი მიმართულებები განსაზღვრა: ერთიანი გრძელვადიანი სახელმწიფო ხედვის ჩამოყალიბება და მასზე დაფუძნებული ენერგეტიკული პროგრამების შექმნა, რომელიც მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზის დახვეწის საფუძველი გახდება.⁶⁷⁷ დამატებით გამოიკვეთა ორი მთავარი საჭიროება: ა) ენერგეტიკული სტრატეგიებისა და სცენარების შემუშავება; ბ) მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზის დახვეწა.⁶⁷⁸

შინაარსობრივი თვალსაზრისით, ახალი დადგენილება პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს მნიშვნელოვნად არ ცვლის. 2006 წლის დოკუმენტის მსგავსად, მასში ხაზგასმულია ისევდასვე ენერგეტიკული უსაფრთხოების, საქართველოს სატრანზიტო როლის, ენერჯის მიწოდების წყაროების დივერსიფიკაციის, ადგილობრივი ენერგეტიკული რესურსებისა და ენერგეტიკული ბაზრის ლიბერალიზაციის საკითხები.⁶⁷⁹ დადგენილება წინამორბედისგან იმით განსხვავდება, რომ იგი გლობალური გარემოსდაცვითი პროცესების გამოწვევებს უკეთ პასუხობს. ახალი დადგენილება განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს კლიმატის ცვლილებისა და სუფთა ენერჯის საკითხებზე და ყურადღებას

⁶⁷⁵ USAID White Paper Energy Strategy of Georgia (2015-2030), July, 2014, 3.

⁶⁷⁶ საქართველოს პარლამენტის 2015 წლის 24 ივნისის № 3758-II ს დადგენილებით „საქართველოს ენერგეტიკის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების თაობაზე.“

⁶⁷⁷ იქვე, მუხლი 1.

⁶⁷⁸ იქვე, მუხლი 2.

⁶⁷⁹ იქვე, მუხლი 2 („ა“) და („ე“).

ამახვილებს გარემოს დაცვის სოციალურ-საზოგადოებრივ ასპექტებზე.⁶⁸⁰

წინამდებარე ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე განსაკუთრებულად საინტერესოა დადგენილების მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის დათქმა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის სტანდარტებთან ეტაპობრივ დაახლოებასა და ევროპასთან პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას მოითხოვს.⁶⁸¹ იგი ასევე ხაზს უსვამს არადისკრიმინაციული სამართლებრივი ბაზის გაუმჯობესებასაც. აღნიშნული დათქმები ახალია. ისინი არ გვხვდება 2006 წლის დადგენილებაში, რაც, ცალსახად, 2014 წელს ხელმოწერილ საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებასა და ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებასთან თანამშრომლობას უნდა უკავშირდებოდეს.

საინტერესოა, რომ 2015 წლის დადგენილებამ საქართველოს ენერგეტიკის განვითარების სტრატეგია წარმოადგინა.⁶⁸² სტრატეგიამ საქართველოს ენერგეტიკული სექტორის განვითარების კიდევ უფრო კონკრეტული მიზნები და ამოცანები განისაზღვრა.⁶⁸³ ის დეკლარაციული ხასიათის დოკუმენტია და საექსპერტო წრეებში დიდი კამათის საგანს წარმოადგენს. მიჩნეულია, რომ დოკუმენტი შორსაა სრულყოფისაგან,⁶⁸⁴ თუმცა იგი ენერგოპოლიტიკის რამდენიმე საჭირო საკითხს ეხება. სტრატეგიის მიერ წარმოდგენილი პრიორიტეტები თავსებადობაშია 2015 წლის დადგენილებასთან და ითვალისწინებს ადგილობრივი ენერგორესურსების ათვისებას, რეგიონულ ენერგეტიკულ ბაზრებზე ვაჭრობის შესაძლებლობების

⁶⁸⁰ იქვე, მუხლი 2 („ბ“) და („ვ“).

⁶⁸¹ იქვე, მუხლი 2 („გ“).

⁶⁸² საქართველოს ენერგეტიკის განვითარების სტრატეგია 2016-2025 (სამუშაო დოკუმენტი) იხ.

<<http://www.energy.gov.ge/show%20news%20mediacenter.php?id=600&lang=geo>>

უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 07.06.2019.

⁶⁸³ სტრატეგიის შემუშავებისას საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში მიმდინარე პროცესების ანალიზისა და გრძელვადიანი სტრატეგიული დაგეგმვისას გამოყენებულ იქნა წრფივი პროგრამირებისა და ოპტიმიზაციის მოდელი („MARKAL-საქართველო“). იგი ეფუძნება 2014 წლის საქართველოს ენერგეტიკული ბალანსის მონაცემებს. სტრატეგია შეიმუშავდა USAID-ის დაფინანსებული პროგრამის ფარგლებში, რომელიც Winrock International-ის მიერ განხორციელდა.

⁶⁸⁴ 2013-2016 წლებში საქართველოს ენერგეტიკის სექტორში განხორციელებული ცვლილებების შეფასება იხ. მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის (WEG) <<http://weg.ge/ge/2013-2016-clebshi-sakartvelos-energetikis-sektorshi-ganxorciebuli-cvlilebebis-shepaseba>> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 07.06.2019.

ზრდას.⁶⁸⁵ რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სტრატეგია განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს ქართული კანონმდებლობის ევროკავშირის სტანდარტებთან მიახლოებაზე და, ამ თვალსაზრისით, მაქსიმალურ ევროპულ ინტეგრაციას მოითხოვს.

სტრატეგია ენერგეტიკული პოლიტიკის სამ მთავარ მიზანს გამოკვეთს:

- ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- ენერგოსექტორში კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა;
- ენერგოსექტორის განვითარება მდგრადი განვითარების პრინციპების საფუძველზე.

იკვეთება, რომ ენერგეტიკული სტრატეგიის ძირითადი გამოწვევა არ არის მხოლოდ ენერგეტიკული უსაფრთხოება და კონკურენტუნარიანი ენერგოგარემოს შექმნა. საგულისხმოა, რომ იგი აპელირებს დარგის მდგრად განვითარებაზე და ამით თანამედროვე ენერგეტიკულ თეორიებს, სამართლიანი ენერგორეგულირების საკითხებს ეხმიანება (იხ. ნაშრომის პირველი ნაწილი). ასევე საინტერესოა ისიც, რომ დოკუმენტით გათვალისწინებული მიზნები იდენტურია ნაშრომის მეორე ნაწილში განხილული ევროკავშირის სამი მიზნისა: ენერგოუსაფრთხოება, კონკურენცია და მდგრადი განვითარება. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ევროკავშირის სადამფუძნებლო ხელშეკრულების 194-ე მუხლშია ინკორპორირებული (იხ. ნაშრომის მეორე ნაწილი).

დაბოლოს, საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი დოკუმენტების მიმოხილვისას აუცილებლად უნდა შევჩერდეთ „საქართველო 2020“ სტრატეგიაზეც, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ 2014 წელს იქნა დამტკიცებული.⁶⁸⁶ სტრატეგიის დოკუმენტში ენერგეტიკის სექტორი საკმაოდ მასშტაბურადაა წარმოჩენილი. ხაზგასმულია ენერგეტიკის სექტორის დანიშნულება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის. კერძოდ, დოკუმენტი საუბრობს იმაზე, რომ შესაბამისი ზომები უნდა იქნეს მიღებული მზარდი ეკონომიკისა და

⁶⁸⁵ საქართველოს ენერგეტიკის განვითარების სტრატეგია 2016-2025 (სამუშაო დოკუმენტი) იხ.

<<http://www.energy.gov.ge/show%20news%20mediacenter.php?id=600&lang=geo>>

უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 07.06.2091.

⁶⁸⁶ საქართველოს მთავრობის დადგენილება № 400 2014 წლის 17 ივნისი ქ. თბილისი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020“ დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე.

გაზრდილი ენერგომომხმარებლის საპირწონედ, რათა საფრთხე არ დაემუქროს სტაბილურ ენერგომიწოდება. იგი ასევე ეხმაურება ენერგოდამოუკიდებლობის მნიშვნელობას, ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის საკითხებს, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას, ქვეყნის მდიდარ ენერგორესურსებსა (განსაკუთრებით კი ჰიდროს) და მათი ეფექტურად ათვისების პერსპექტივებს. სტრატეგია შეეხება ევროკავშირთან ხელმოწერილ ასოცირების ხელშეკრულებასაც და მას საქართველოს ევროპული ინტეგრაციის ქვაკუთხედად მიიჩნევს.

2.2. საქართველოს ენერგეტიკის სამართალი

2.2.1. არსებული კანონმდებლობა

ენერგეტიკის რეგულირება ახალი სიტყვაა პოსტსოციალისტური სამყაროსთვის. მას არ და ვერ შექმნიდა ცენტრალიზებული-დირექტიული მართვის სისტემის მქონე სახელმწიფო. ასეთი მმართველობის სტილი და ორგანიზაციული წყობა გამორიცხავდა ეკონომიკის რეგულირების „რბილ“, საბაზრო სტრუქტურების შესატყვის არაპოლიტიზირებულ ფორმას.⁶⁸⁷ ბაზრის რესტრუქტურირება და ვერტიკალურად ინტეგრირებული ენერგეტიკული სისტემის ფუნქციონალური და ქონებრივი დაყოფა ეტაპობრივად განხორციელდა.⁶⁸⁸ კიდევ უფრო ახალი და აქტუალურია საქართველოში ეფექტური და ლიბერალური ენერგეტიკული მარეგულირებელი გარემოს შექმნა.

ზემოთ განხილული პოლიტიკის დოკუმენტები ძირითადად რბილი სამართლის⁶⁸⁹ და/ან კანონქვემდებარე ნორმატიული ძალის⁶⁹⁰ მქონე იურიდიული დოკუმენტებია. ისინი ენერგეტიკის დარგის პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს განსაზღვრავს და, ამასთანავე, ამავე პოლიტიკის აღსრულებას ემსახურება. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (შემდგომში „სამინისტრო“) ეკისრება ენერგეტიკის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მახასიათებლების შემუშავება და მათი განხორციელების უზრუნველსაყოფად

⁶⁸⁷ თავაძე გ., ქავთარაძე ი., ჩომახიძე დ., მენაბდე დ. ენერგეტიკის რეგულირება: თეორია და პრაქტიკა, თბ., 2006, 7.

⁶⁸⁸ აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ენერგეტიკული ბაზრის ფუნქციონალური და ქონებრივი დაყოფის პროცესი ჯერ კიდევ არ არის დასრულებული.

⁶⁸⁹ იხ. ნაშრომის მეორე ნაწილის მეხუთე ქვეთავი.

⁶⁹⁰ საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“, მუხლი 7.

შესაბამისი ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის ინიცირება.⁶⁹¹ სამინისტროს მიერ გამოცემული აქტები, ცხადია, არ არის სფეროს რეგულირების ერთადერთი საფუძველი. ენერგეტიკის სექტორის მარეგულირებელი ეროვნული ჩარჩო მოიცავს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე სამართლებრივ აქტებს; საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ მიღებული დადგენილებებსა და სხვა სამართლებრივი აქტებს.⁶⁹²

სამართლებრივი ჩარჩოს სათავეში დგას საქართველოს კანონი „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ.“⁶⁹³ კანონის უმთავრესი მიზანია საბაზრო ეკონომიკის პრინციპების შესაბამისად, სხვა მიზნებთან ერთად, უზრუნველყოს დარგის ფუნქციონერება და მომხმარებლის სტაბილური ენერგომომარაგება.⁶⁹⁴ ამ მიზნით, კანონი განსაზღვრავს ენერგეტიკის დარგში ძირითადი მარეგულირებელი ორგანოებისა და ბაზრის საკვანძო სუბიექტების ფუნქციებს.⁶⁹⁵

ენერგეტიკული საკანონმდებლო სივრცე ასევე მოიცავს საქართველოს კანონს „ნავთობისა და გაზის შესახებ“,⁶⁹⁶ ენერგეტიკის დარგში ავტორიზაციის, სერტიფიცირების და ლიცენზირების,⁶⁹⁷ ისევე როგორც სხვა დამატებითი მარეგულირებელ კანონქვემდებარე აქტებს.⁶⁹⁸ ხშირ შემთხვევაში ისინი წინააღმდეგობრივი, რთულად

⁶⁹¹ საქართველოს კანონით „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“, 1-ლი მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით. საქართველოს პარლამენტის 2015 წლის საკვანძო დადგენილება ენერგეტიკის დარგში, რომელსაც დეტალურად წინა ქვეთავში შევხებით, სწორედ სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთი ასეთი ინსტრუმენტია.

⁶⁹² სემეკის სამართლებრივი აქტები შესაძლოა მოძიებულ იქნას მისსავე ვებ-გვერდზე: <<http://gnerc.org/ge/legal/komisiis-mier-mighebuli-samartlebrivi-aqtebi>> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 12.06.2019.

⁶⁹³ საქართველოს კანონი „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“, 14.05.1999.

⁶⁹⁴ იქვე, მუხლი 1 (2 „ბ“).

⁶⁹⁵ იქვე, მუხლები 4-23.

⁶⁹⁶ საქართველოს კანონი „ნავთობისა და გაზის შესახებ“, 16.04.1999.

⁶⁹⁷ შესაბამისი საქმიანობა ლიცენზიით ხორციელდება, თუკი ეს კონკრეტული საქმიანობა დაკავშირებულია ადამიანის სიცოხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის მომეტებულ საფრთხესთან, ან ეხება სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინტერესს. „ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 2 (1).

⁶⁹⁸ მაგალითად: საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2013 წლის 22 აგვისტოს ბრძანება № 125 „საქართველოში ასაშენებელი პოტენციური ელექტროსადგურების ნუსხის“ დამტკიცების შესახებ; საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2013 წლის 22 აგვისტოს ბრძანება № 40, „იმ ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ წინადადებების ენერგეტიკის სამინისტროსთვის წარდგენისა და განხილვის წესის

აღსაქმელი და გამოსაყენებელი იურიდიული დოკუმენტებია და არ ქმნიან სისტემურობის განცდას.⁶⁹⁹ ამ „პრობლემას“ ვერ ჭრის დარგის მომწესრიგებელი მთავარი საკანონმდებლო აქტი.

საქართველოს ენერგეტიკული კანონმდებლობის ევროკავშირთან ჰარმონიზაციის ძირითადი საგანი სწორედ აღნიშნული კანონია „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შეხებ.“ საკანონმდებლო ცვლილებების დიდი ნაწილიც, სავარაუდოდ, მას უნდა შეეხოს. აქვე, ისიც უნდა შეინიშნოს, რომ მოსალოდნელი ცვლილებათა პაკეტი არ იქნება მარეგულირებელი გარემოს გაუმჯობესების პირველი მცდელობა. ენერგეტიკის სექტორის რესტრუქტურისაციის, მეზობელ ქვეყნებთან ტრანსსასაზღვრო ვაჭრობის განვითარებისა და ევროპის მესამე ენერგეტიკულ პაკეტთან (რასაც ნაშრომის მეორე ნაწილი უფრო დაწვრილებით შეეხოს) შესაბამისობის მიზნით გამოქვეყნების დღიდან⁷⁰⁰ კანონში მრავალი ცვლილება შევიდა.⁷⁰¹ მნიშვნელოვანი გარდატეხები 2005-2016 წლებში განხორციელდა.⁷⁰² ეს ცხადყოფს,

და პირობების დამტკიცების თაობაზე, რომელშიც არ არის შეტანილი ასაშენებელი პოტენციური ელექტროსადგურების ნუსხაში;“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული მარეგულირებელი კომისიის 2014 წლის 30 ივლისის დადგენილება № 14 „ელექტროენერჯის ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიის“ დამტკიცების შესახებ.

^{699.} იხ. <<http://weg.ge/ge/2013-2016-clebshi-sakartvelos-energetikis-sektorshiganxorcielebuli-cvllilebebis-shepaseba>> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 23.04.2019.

^{700.} 1999 წლის 30 აპრილი.

^{701.} მაგ. ბოლო წლებში კანონში განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები მისი ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობის მიზნით. კერძოდ, 2013 წლის 27 დეკემბერს ბაზრის ტრანსფორმაციის ახალი ეტაპის ფარგლებში კანონში შევიდა შემდეგი სახის ცვლილებები: „ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი“ ეწოდა და შესაბამისი ფუნქციების შესრულება დაეკისრა სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“, განისაზღვრა ელექტროენერჯის ტრანზიტის განხორციელების პირობები და განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი – დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი. 2014 წლის 23 დეკემბერს შესული ცვლილებების თანახმად, განიმარტა გადამცემი სისტემის ოპერატორის არსი, მისი ფუნქციების შესრულება დაეკისრა ელექტროენერჯის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს.⁹⁷ აგრეთვე, განისაზღვრა „საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმის“ მიზანი, ამოცანები, დამტკიცების პროცედურები და განხორციელების მექანიზმები.

^{702.} „ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის“ სტატუსი მიენიჭა და შესაბამისი ფუნქციების შესრულება დაეკისრა სს 13 „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს,“ ჩამოყალიბდა „გადამცემი სისტემის ოპერატორის“ უფლებამოსილებები და მისი ფუნქციების შესრულება დაეკისრა ელექტროენერჯის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს; განისაზღვრა ელექტროენერჯის ტრანზიტის განხორციელების პირობები და მისი განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი – დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი;

რომ ენერგეტიკული საკანონმდებლო ბაზის განვითარება და დახვეწა თანმიმდევრულ, ეტაპობრივ პროცესს წარმოადგენს.

ცვლილებები შევიდა ასევე საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული მარეგულირებელი კომისიის საქმიანობაში. კერძოდ, გაფართოვდა მისი უფლებამოსილებანი⁷⁰³ და შეითვისა რამდენიმე ძირითადი ფუნქცია, რომლებიც ტრანსფორმაციული ეკონომიკის ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი.⁷⁰⁴

როგორ წესი, მარეგულირებელ კომისიას სახელმწიფო იმ დარგებსა და სფეროებში ქმნის, სადაც მონოპოლიის განსაკუთრებული რისკი არსებობს. შესაბამისად, კომისია წარმოადგენს ენერგოსექტორში სტაბილურობის უზრუნველყოფისა და სათანადო კონტროლის განხორციელების ძირითად მექანიზმებს.⁷⁰⁵ მისი მთავარი მიზანია ენერგეტიკულ ბაზარზე მოქმედი სუბიექტებისათვის მოქმედების სამართლიანი და თანაბარი პირობების უზრუნველყოფა და მათი ინტერესების დაცვა, განახლებადი და ალტერნატიული ენერჯის გამოყენების გაფართოება.⁷⁰⁶ მოქმედი კანონმდებლობით კომისია სპეციალური უფლებაუნარიანობის მქონე საჯარო სამართლის იურიდიული პირია, რომელიც საკუთარ საქმიანობას სხვა ორგანოებისაგან

განისაზღვრა საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმის შემუშავებასა და დამტკიცებაზე პასუხისმგებელი პირები (გადამცემი სისტემის ოპერატორი და ენერგეტიკის სამინისტრო), მიზანი, ამოცანები, განხილვისა და დამტკიცების პროცედურები, განხორციელების მექანიზმები; დამტკიცდა სასისტემო (დამხმარე) მომსახურების სახეები, სტრუქტურა და შესაბამისი სახელშეკრულებო ურთიერთობის ზოგადი ნორმები; დაზუსტდა ელექტროენერჯის სისტემათაშორის ტრანზიტისათვის განკუთვნილი ხაზების გამტარუნარიანობის განაწილებისა და ასევე სპეციალური აუქციონის ჩატარების წესები; დაზუსტდა ტრანზიტისა და იმპორტ-ექსპორტის განხორციელების წესები. იხ. საქართველოს ენერგეტიკის განვითარების სტრატეგია 2016-2025 (სამუშაო დოკუმენტი) იხ.

<<http://www.energy.gov.ge/show%20news%20mediacenter.php?id=600&lang=geo>>

უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 07.06.2091.

⁷⁰³ იხ. „საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ საქართველოს 1999 წლის 30 აპრილის კანონი №1934-სსმ I.

⁷⁰⁴ თავაძე გ., ქავთარაძე ი., ჩომახიძე დ., მენაბდე დ. ენერგეტიკის რეგულირება: თეორია და პრაქტიკა, თბ., 2006, 7.

⁷⁰⁵ გაწერელია ა. ენერგეტიკის სამართალი, წიგნში: ხუბუა გ., ზომერმანი კ. (რედ.), საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლების სახელმძღვანელო, თბ. 2016, 348.

⁷⁰⁶ ამ საკითხის დეტალური განხილვა სცდება ნაშრომის აღნიშნული ნაწილის მიზანს. დაწვრ. იხ. თავაძე გ., ქავთარაძე ი., ჩომახიძე დ., მენაბდე დ. ენერგეტიკის რეგულირება: თეორია და პრაქტიკა, თბ., 2006, თავი III.

დამოუკიდებლად წარმართავს.⁷⁰⁷ კომისია დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობას.⁷⁰⁸ მისი საქმიანობის საფუძველია საქართველოს კონსტიტუცია, საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, საქართველოს კანონი „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“, კომისიის დებულება და სხვა საკანონმდებლო აქტები.⁷⁰⁹

2.2.2. მოსალოდნელი ცვლილებები

მიუხედავად ენერგეტიკის სექტორში განხორციელებული ზემოაღნიშნული რეფორმებისა,⁷¹⁰ დარგის მარეგულირებელი ძირითადი საკანონმდებლო ბაზა ჯერ კიდევ არ შეიცავს სრულად იმ ევროპულ დებულებებს, რომლებიც ბაზრის ლიბერალიზაციის, კონკურენციის სრულყოფისა და ენერგეტიკული უსაფრთხოების სრული გარანტი იქნებოდა. საკანონმდებლო რეფორმა, ძირითადად, ტექნიკურ მახასიათებლებს ეხებოდა და ძალიან არასისტემური იყო. არ გაუმჯობესებულა თავად კანონმდებლობის ხარისხი. ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია ენერგეტიკული კანონმდებლობის ბაზა, რაც და განსხვავებული ინტერპრეტაციების შესაძლებლობას იძლევა. იგივე ეხება სემეკის საქმიანობის სამართლებრივი ჩარჩოს განმსაზღვრელ კანონმდებლობასაც.⁷¹¹ ძალაუფლების სამინისტროში კონცენტრირების გამო სემეკის ფუნქციები და კომპეტენცია

⁷⁰⁷. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 6 მარტის №6 დადგენილება საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ, მუხლი 1 (2).

⁷⁰⁸. იქვე, მუხლი 1 (3).

⁷⁰⁹. საქმიანობის სფეროების და შესაბამისი უფლებამოსილებები (მათ შორის, ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში ლიცენზირება, აგრეთვე ლიცენზიატების, იმპორტიორების, ექსპორტიორების, ბაზრის ოპერატორების, ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის მიმწოდებლების საქმიანობის რეგულირება, ენერგეტიკული ბაზრის მონიტორინგი) გაწერილია საქართველოს კანონში „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ 13.09.2002.

⁷¹⁰. იხ. წინა ქვეთავი.

⁷¹¹. სემეკს არ გააჩნია გარკვეული უფლებამოსილებები, რომლებიც უნდა ჰქონდეს მარეგულირებელ ორგანოს. მაგალითად, საბითუმო ბაზრის წესებს, რომელიც წარმოადგენს ბაზრის მარეგულირებელ ძირითად დოკუმენტს და განსაზღვრავს საბითუმო ბაზრის პრინციპებსა და მათ ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა გარემოებებს, სემეკის ნაცვლად, როგორც ელექტროენერგეტიკის, ისე ბუნებრივი გაზის სექტორში, ამტკიცებდა საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო. დაწვრ. იხ. ევროპის ენერგეტიკული გაერთიანება და რეფორმები საქართველოს ენერგეტიკაში, მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის (WEG), თბ., 2017.

შეზღუდულია, ხოლო გაუმჭვირვალე მართვის პრაქტიკა გარე ზემოქმედების, შეცდომების მაღალ რისკებს შეიცავს.⁷¹²

ევროდირექტივები და ევრორეგულაციები, რომლებიც ნაშრომის მესამე ნაწილში მიმოვიხილეთ, ახალ საკანონმდებლო რეალობას, კოდიფიკაციისა და შესაბამისი აღსრულების წესების ცვლილებებს მოასწავებს. აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ ენერგეტიკის სამართლის სრული ჰარმონიზაცია ვერ იქნეს მიღწეული მხოლოდ არსებულ კანონმდებლობაში ცვლილების შეტანის გზით. უმნიშვნელოვანესია მზაობა სრულიად ახალი მარეგულირებელი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების მიღებისათვის, რაც, ერთი მხრივ, არსებულ საკანონმდებლო ხარვეზს ამოავსებს და, მეორე მხრივ, თანამედროვე ქართული ენერგეტიკული სექტორის განვითარებას მოემსახურება.

ამის ნათელი მაგალითია კანონპროექტი „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ,“ რომელზეც მუშაობა რამდენიმე წელია დაწყებულია და ამ მომენტშიც მიმდინარეობს.⁷¹³ იგი ზემოხსენებულ საქართველოს კანონს „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“⁷¹⁴ ჩაანაცვლებს და სფეროს მარეგულირებელი ძირითადი სამართლებრივი აქტი გახდება. შესაბამისი კანონპროექტი ევროკავშირის ხელშეწყობით მზადდება და დიდი სამართლებრივი დატვირთვა აქვს.⁷¹⁵ იგი ევროპული რეგულაციების ბევრ სხვადასხვა ასპექტს ეხება და, ამ მომენტისთვის, საქართველოს ენერგეტიკის სექტორის რეფორმირების მთავარ ინსტრუმენტად მიიჩნევა.

კანონმა ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზის და სასმელი წყლის სფეროები უნდა მოიცვას და ენერგეტიკის სამართლის ახალი მარეგულირებელი წესები დაადგინოს. იგი უნდა შეიცავდეს ევროკავშირის მესამე ენერგეტიკული პაკეტით მოთხოვნილ პრინციპებს (იხ. ნაშრომის მეორე ნაწილის მესამე თავი)

⁷¹² მუხიგულიშვილი გ. ენერგეტიკული გაერთიანება და საქართველო, წიგნში: ევროპის ენერგეტიკული გაერთიანება და რეფორმები საქართველოს ენერგეტიკაში, მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის (WEG), თბ., 2017, 114.

⁷¹³ ენერგეტიკისა და წყალმომარაგების კანონპროექტის შესახებ მუშაობა მიმდინარეობს ევროკავშირის ტექნიკური მხარდაჭერის პროგრამის „ევროკავშირის ენერგეტიკისათვის“ (EU4Energy) ფარგლებში. იხ. <<https://www.energycommunity.org/regionalinitiatives/EU4Energy.html>> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 08.01.2019.

⁷¹⁴ საქართველოს კანონი „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ,“ 14.05.1997.

⁷¹⁵ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო <<http://www.economy.ge/?page=news&nw=1090>> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 02.06.2019.

და თანამედროვე ენერგეტიკული რეგულირების მიდგომებს ეფუძნებოდეს (Heffron და სხვ. 2018).⁷¹⁶

ამის პარალელურად, აქტიური ეროვნული სამუშაოები მიმდინარეობს სხვა რამდენიმე კანონპროექტის მონახაზზე (მაგ. ენერგოეფექტურობა და შენობები),⁷¹⁷ რომელთა მიღებაც ასევე უახლოეს პერიოდშია დაანონსებული.⁷¹⁸ სადოქტორო ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია განახლებადი ენერჯის კანონმდებლობაში მიმდინარე პროცესების ანალიზი და საინტერესოა, რომ გარკვეული ძვრები ამ მიმართულებითაც შეინიშნება. დისერტაციის მეოთხე ნაწილზე მუშაობა დაემთხვა საქართველოს განახლებადი ენერჯის კანონპროექტისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავებას.⁷¹⁹ შესაბამისად, მომდევნო თავებში მოყვანილი მსჯელობა ამ პროცესის დოგმატურ იურიდიულ დისკუსიაში გადატანის მცდელობაა.

3. განახლებადი ენერჯის სამართალი⁷²⁰

3.1. განახლებადი ენერჯის მიმოხილვა

სადისერტაციო ნაშრომის წინა სამ ნაწილში ეტაპობრივად მიმოვიხილეთ ენერგეტიკული და გარემოსდაცვითი გამოწვევები გლობალურ, ევროპულ და ქართულ ჭრილში. სამაგიეროდ, დეტალურად არ განვიხილავს განახლებადი ენერჯია, როგორც შესაძლებლობა ბევრი ენერგეტიკული საშიშროების (მაგ. გაზრდილი ენერგომომხმარება) დასაძლევად. გაეროს უნივერსალური მდგრადი განვითარების მე-7 მიზანი მდგრადი ენერგეტიკული მომავლის

⁷¹⁶ Heffron R. J., Ronne A., Bradbrook A., Tomain J. P., Talus K. A Treatise for Energy Law, *Journal of World Energy Law and Business*, Vol. 11, № 1, 2018, 34.

⁷¹⁷ ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნო, <<https://www.energy-community.org/news/Energy-Community-News/2018/12/12a.html>> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 30.12.2018.

⁷¹⁸ Georgia's progress in reforming energy sector in line with Energy Community Treaty discussed in Vienna, 2018 <<https://www.euneighbours.eu/en/east/stay-informed/news/georgias-progress-reforming-energy-sector-line-energy-community-treaty>> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 03.06.2019.

⁷¹⁹ ჩომახიძე ე. მწვანე ენერჯის მომავალი, <<http://forbes.ge/news/6128/mwvane-energiis-momavali>> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 30.04.2019.

⁷²⁰ ნაშრომის აღნიშნულ თავზე მუშაობისას დიდი გავლენა იქონია ინტერვიუმ კლიმატის საერთაშორისო ფონდის საგარეო ურთიერთობების დირექტორთან - თომას ლეგესთან 2019 წლის 12 აპრილს ბრიუსელში.

შექმნისკენ მოგვიწოდებს.⁷²¹ თითქმის ყველა, ვინც ენერგეტიკის სამართლის მდგრადი განვითარების ასპექტებზე მუშაობს თანხმდება იმაზე, რომ დაბალნახშირბადიანი განვითარება ჩვენი ხვალისდელი დღეა. მასში უდიდესი როლი კი განახლებად, რეგენერაციულ ენერგიას (ე.წ. „განახლებადები“) მიუძღვის.⁷²²

განახლებადი ენერჯის გამოყენებით საყოფაცხოვრებო პირობებში ელექტროენერჯის გამომუშავება და ჭარბად გამომუშავების შემთხვევაში გამანაწილებელი კომპანიისათვის მისი მიყიდვა მიმზიდველი შესაძლებლობაა.⁷²³ ეს ყოველივე ისე, რომ არ მცირდება მომავალი თაობების ენერგომარაგი, არ ბინძურდება გარემო და არ ვლინდება წიაღისეული საწვავის უარყოფითი ეფექტები.⁷²⁴ ენერჯია განახლებადია, თუკი ხელახლა იმავე ოდენობით გამომუშავდება, რა მოცულობითაც იხარჯება.⁷²⁵ ასეთი ენერჯის წყარო კი მუდმივად ხელმისაწვდომი რესურსია - მზე,⁷²⁶ ქარი, წყალი (ჰიდრო), ბიომასა და გეოთერმული ენერჯია.⁷²⁷ გარდა იმისა, რომ განახლებადი ენერჯია მუდმივი თვითგანახლების პრინციპს ეფუძნება და ამოუწურავია, იგი ენერჯის უფრო სუფთა წყაროა, ვიდრე წიაღისეული საწვავი. განახლებადი ენერჯია არ აზიანებს გარემოს და არ იწვევს მის უკიდურეს დაბინძურებას.⁷²⁸

⁷²¹ გაეროს მდგრადი განვითარების მე-7 მიზანი (ხელმისაწვდომი, სანდო, მდგრადი და თანამედროვე ენერგეტიკა), <<https://sustainabledevelopment.un.org/sdg7>> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 04.06.2019.

⁷²² Ottinger L. R., Mathews L., Czachor E. N. Renewable Energy in National Legislation: Challenges and Opportunities, წიგნში: Zillman D. et al. Energy Security: Managing Risk in Dynamic Legal and Regulatory Environment, Oxford University Press, 2005, 183.

⁷²³ ჩომახიძე ე. მწვანე ენერჯის მომავალი, <<http://forbes.ge/news/6128/mwvane-energiis-momavali>> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 30.04.2019.

⁷²⁴ Ottinger L. R., Mathews L., Czachor E. N. Renewable Energy in National Legislation: Challenges and Opportunities, წიგნში: Zillman D. et al. Energy Security: Managing Risk in Dynamic Legal and Regulatory Environment, Oxford University Press, 2005, 184.

⁷²⁵ Woerdman E., Roggenkamp M., Holwerda M. Essential EU Climate Law, Edward Elgar Publishing, 2015, 127.

⁷²⁶ დედამიწის ზედაპირი ყოველწლიურად იღებს დაახლოებით ათასჯერ მეტ ენერჯიას, ვიდრე ჯამში ყველა ცნობილი ნავთობის რეზერვუარი. დაწვრ. იხ. არაბიძე გ., გუდიაშვილი მ., ჯიშკარიანი თ. ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის საერთაშორისო სამართალი, ტექნიკური უნივერსიტეტი, თბ., 2015, 14.

⁷²⁷ ფართო გაგებით, განახლებადი ენერჯია ასევე მოიცავს ატმოსფერულ ენერჯიას, ტალღას, ოკეანის მიქცევისა და მოქცევის ენერჯიას, ნაგავსაყრელის აირს და სხვ. დაწვრ. იხ. მუხიგულიშვილი გ., კვარაცხელია თ. (ავტ.), ენერჯის განახლებადი წყაროები და ენერგოეფექტურობა - მსოფლიო გამოცდილება, თბ., 2013.

⁷²⁸ თუ კრიტიკულად შევხედავთ საკითხს, განახლებადი ენერჯია შესაძლოა ზიანს აყენებდეს გარემოსთვის მნიშვნელოვან გარკვეულ საკითხებს (მაგ., ველური ბუნების, ჰიდრო რესურსების გამოყენება), მაგრამ ამ საკითხზე დეტალური მსჯელობა ცდება წინამდებარე ნაშრომის მიზნებს. აღნიშნულ კონტექსტში

სწორედ ეს განასხვავებს მას ენერჯის ტრადიციული ფორმებისგან, რომლის მოხმარება ამცირებს ენერგეტიკულ „რეზერვუარებს.“

მიუხედავად იმისა, რომ არსებული მონაცემებით განახლებადი ენერჯის წყაროები მსოფლიო ელექტროენერჯის მიწოდების თითქმის მეხუთედს, 17 %-ს შეადგენს,⁷²⁹ თანამედროვე კვლევები იმასაც ადასტურებს, რომ, თეორიულად, შესაძლებელი იქნებოდა მთლიანი მსოფლიო ელექტროენერგეტიკული მოხმარების განახლებადი ენერჯით მომარაგება.⁷³⁰ კლიმატის ცვლილების საერთაშორისო პანელის⁷³¹ მონაცემებზე დაყრდნობით მსოფლიო თანამეგობრობის მონდომების შემთხვევაში 2050 წლისთვის რეალურია გლობალური ელექტროენერჯის 80 %-ის განახლებადი ენერჯით შევსება.⁷³²

3.2. განახლებადი ენერჯის მნიშვნელობა

განახლებადი ენერჯის წყაროების ათვისება დიდი სისწრაფით მიმდინარეობს. მას ბევრი სხვადასხვა მიზეზი აქვს: ტრადიციული ენერჯორესურსების შემცირების შეუქცევადი პროცესი, კლიმატის ცვლილება, ჰაერისა და გარემოს დაბინძურება, ენერგეტიკული უსაფრთხოების გაუმჯობესება, მდგრადი განვითარების პოპულარიზაცია, საშინაო ენერჯორესურსების დივერსიფიკაცია და სხვ.⁷³³ განახლებადი ენერჯის განვითარება ხელს უწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, რაც ადგილობრივ

პრეზუმფციად ვიღებთ, რომ განახლებად ენერჯია არ აზიანებს გარემოს. დაწვრ. იხ. Panwar N. L., Kaushik S. C., Kothari S. Role of Renewable Energy Sources in Environmental Protection: A Review, *Renewable and Sustainable Energy Reviews*, Vol. 15 (3), 2011, 1513-1524.

⁷²⁹ მარგველაშვილი მ., მაღალაშვილი ა., კვარაცხელია თ., უშხვანი ლ., მუხიგულიშვილი გ. საქართველოს ენერგეტიკული სექტორი ევროკავშირთან ასოცირების კონტექსტში, მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის (WEG), თბ., 2015, 95.

⁷³⁰ Harvey F. Renewable Energy Can Power the World, Says Landmark IPCC Study, *The Guardian*. London, <<https://www.theguardian.com/environment/2011/may/09/ipcc-renewable-energy-power-world>> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 01.06.2019. Ritchie H., Roser M. Global Renewable Energy Consumption over the Long-run, 2019, <<https://ourworldindata.org/renewable-energy>> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 04.06.2019.

⁷³¹ International Panel Climate Change (IPCC).

⁷³² Ritchie H., Roser M. Global Renewable Energy Consumption over the Long-run, 2019, <<https://ourworldindata.org/renewable-energy>> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 04.06.2019.

⁷³³ Fräss-Ehrfeld C. Renewable Energy Sources, *Climate Change Law, Policy and Practice Series*, Kluwer Law International, 2006, 61.

დონეზე გენერირებული ენერჯის ობიექტებზე მომუშავე ეროვნულ პერსონალის რაოდენობას ზრდის.⁷³⁴ ევროკომისიის 2012 წლის დადგენილებით⁷³⁵ განახლებადი ენერჯის ხელშეწყობამ შესაძლოა სამ მილიონზე მეტი სამუშაო ადგილი გამოიმუშავოს ევროპაში. სუფთა ტექნოლოგიებზე (ე.წ. „clean tech“) მომუშავე საწარმოების⁷³⁶ რიცხვი ელვის სისწრაფით იზრდება.⁷³⁷

ეს ყოველივე არ იძლევა სრული ოპტიმიზმის საფუძველს. განახლებადი ენერჯის განვითარება და გამოყენება რომ მარტივი იყოს, ალბათ, მსოფლიო მოსახლეობის უმრავლესობა უკვე მოიხმარდა მას და საბოლოოდ დასრულდებოდა დებატი კლიმატის ცვლილების მავნე ზეგავლენის შესახებ. საქმე ისაა, რომ განახლებადი ენერჯის პოლიტიკის შემუშავება და მისი სათანადო რეგულირების სტანდარტების შექმნა საკმაოდ კომპლექსური მოვლენაა. იგი აერთიანებს ბევრი სხვადასხვა პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს და შემდეგ ოთხ კომპონენტს მოიცავს:

- რეგულაციები და სტანდარტები;
- ხარისხის ხელსაწყოები;
- სახელმწიფო შესყიდვები;
- ფასთან დაკავშირებული ინსტრუმენტები.⁷³⁸

აღნიშნული კომპონენტების გათვალისწინება სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკაში აუცილებელი და საჭირო წინაპირობაა განახლებადი ენერჯის წყაროების სრულფასოვანი გამოყენებისა და

⁷³⁴ Bradbrook J. A. The Development of Renewable Energy Technologies and Energy Efficiency Measures through Public International Law, წიგნში: Zillman D. et al. Energy Security: Managing Risk in Dynamic Legal and Regulatory Environment, Oxford University Press, 2005, 111.

⁷³⁵ Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of The Regions Renewable Energy: A Major Player in the European Energy Market, Brussels, 6.6.2012 COM(2012) 271 final,2.

⁷³⁶ დირექტივის პრეამბულის მიხედვით ტექნოლოგიური ინოვაცია განახლებადი ენერჯის სფეროში მოქმედი ევროკავშირის დირექტივის, რომელიც მთავარი იურიდიული აქტია, ერთ-ერთი ძირითადი მიზანია.

⁷³⁷ ევროკომისია, 2017, <https://ec.europa.eu/commission/news/investment-plan-supports-growth-innovative-smart-energy-and-clean-tech-companies-2017-dec-15_en> უკანასკნლად იქნა გადამოწმებული: 12.06.2019.

⁷³⁸ მარგველაშვილი მ., მაღალაშვილი ა., კვარაცხელია თ., უშვანი ლ., მუხიგულიშვილი გ. საქართველოს ენერგეტიკული სექტორი ევროკავშირთან ასოცირების კონტექსტში, მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის (WEG), თბ., 2015, 97.

განვითარებისათვის.⁷³⁹ ეს საკმაოდ რთული ტექნიკური და ეკონომიკური პროცესია, რომელიც დაკავშირებულია დიდ ფინანსურ რესურსებთან. მიუხედავად იმისა, რომ ტექნოლოგიები თანდათან იაფდება, დღეს, ზოგიერთ რეგიონში, განახლებადი ენერჯის მოპოვება გაცილებით ძვირია, ვიდრე ტრადიციული ენერჯის შექმნა-გამომუშავება.⁷⁴⁰ განსაკუთრებულად ძვირია ელექტროსადგურების მშენებლობა და მათგან გენერირებული ენერჯის ქსელამდე ტრანსპორტირება.⁷⁴¹ მრავალი წლის განმავლობაში მიიჩნეოდა, რომ განახლებადი ენერჯის პროექტები უფრო განწირულნი იყვნენ წარუმატებლობისთვის, ვიდრე წიაღისეული საწვავის ინსტალაციები. ეს შეხედულება კიდევ უფრო იშვიათს ხდიდა სფეროში მძლავრ ფინანსურ ინვესტიციებს.⁷⁴²

აქედან გამომდინარე, განახლებადი ენერჯის ათვისებისა და განვითარებისთვის, აუცილებელია ადეკვატური ეროვნული პოლიტიკის შემუშავება და შესაბამისი საკანონმდებლო, მარეგულირებელი გარემოს შექმნა. სხვადასხვა ქვეყნას განახლებადი ენერჯის წყაროების განვითარების განსხვავებული მექანიზმი და მხარდაჭერის სქემა აქვს. მაგალითისთვის, ევროკავშირი განსაკუთრებულად უწყობს ხელს განახლებადი ენერჯის პოლიტიკას და შეიმუშავებს მხარდაჭერის სპეციალურ გეგმებს. ეს წახალისების სხვადასხვა ინსტრუმენტებს მოიცავს, რომელსაც დაწვრილებით ქვემოთ შევხებით.

მხარდაჭერის ეროვნული სქემების განვითარება ძვირი სიამოვნებაა. უხეში გათვლებით განახლებადი ენერჯის განვითარებაზე დახარჯული თანხა და მის პოპულარიზაციაზე მოხმარებული რესურსი უტოლდება ევროპის წლიური ენერჯოიმპორტის ფასს.⁷⁴³ ისმის კითხვა: რაში სჭირდება ევროპას განახლებადი ენერჯის განვითარება, თუკი იგივე ფასად (ან უფრო ნაკლებად) შესაძლოა იყიდოს ენერჯია რესურსებით მდიდარი

⁷³⁹ იქვე, 98.

⁷⁴⁰ Fräss-Ehrfeld C. Renewable Energy Sources, Climate Change Law, Policy and Practice Series, Kluwer Law International, 2006, 61.

⁷⁴¹ Woerdman E., Roggenkamp M., Holwerda M. Essential EU Climate Law, Edward Elgar Publishing, 2015, 145.

⁷⁴² ამ მიმართულებით, სურათი რადიკალურად შეიცვალა უკანასკნელ წლებში, რადგან ინვესტორები სულ უფროდაუფრო ინტერესდებიან განახლებადი ენერჯის პროექტებში ფულის დაბანდებით. იხ. in REN 21, Renewables: Global Status Report 2006 Update, 15 და Ottinger L. R., Mathews L., Czachor E. N. Renewable Energy in National Legislation: Challenges and Opportunities, წიგნში: Zillman D. et al. Energy Security: Managing Risk in Dynamic Legal and Regulatory Environment, Oxford University Press, 2008, 190.

⁷⁴³ იქვე.

ქვეყნებისგან? განახლებადი ენერჯის წყაროების განვითარება მხოლოდ გარემოსდაცვითი ღონისძიება არ არის. განახლებადი ენერჯის განვითარება ხელს უწყობს კოტოს პროტოკოლით განსაზღვრული მიზნების შესრულებას და, ამავდროულად, შესაძლებელს ხდის სხვადასხვა სოციო-ეკონომიკური უპირატესობით სარგებლობას.⁷⁴⁴ იგი ასევე ხსნის ენერჯიმპორტზე დამოკიდებულებას⁷⁴⁵ და ემსახურება ტექნოლოგიურ პროგრესს. შესაბამისად, განახლებადი ენერჯის ხელშეწყობა დანახული უნდა იქნეს, როგორც შესაძლებლობა დაბალნახშირბადიანი ეკონომიკური განვითარებისთვის, სადაც გამოყენებულია ინოვაციური კვლევები და თანამედროვე მიღწევები.

3.3. განახლებადი ენერჯია ქართულ კანონმდებლობაში

საქართველო მდიდარია ბუნებრივი რესურსებით. ქვეყანას განახლებადი ენერჯის განვითარების დიდი პოტენციალი აქვს, როგორც ჰიდროელექტროენერჯის, ისე ქარის, ბიომასის, გეოთერმული და მზის ენერჯის თვალსაზრისით. საგულისხმოა, რომ მიმდინარეობს მუშაობა ადგილობრივი განახლებადი ენერჯეტიკული წყაროების ბოლომდე ათვისების ხელშეწყობის მხრივ, რაც შეამცირებს დამოკიდებულებას იმპორტზე, გააუმჯობესებს ენერჯოუსაფრთხოების საკითხებსა და ხელს შეუწყობს გლობალური გარემოსდაცვითი პრობლემების გადაჭრას.⁷⁴⁶ ამ საქმეში ჰიდრო დომინანტი ბუნებრივი რესურსია.⁷⁴⁷ შესაბამისად, ენერჯეტიკული პოლიტიკის პრიორიტეტიც ადგილობრივი ჰიდროენერჯეტიკული რესურსების მაქსიმალური გამოყენებაა. საბოლოო მიზანია მომხმარებლის ელექტროენერჯიაზე მოთხოვნის სრული დაკმაყოფილება საწყის ეტაპზე იმპორტთან

⁷⁴⁴ მარგველაშვილი მ., მაღალაშვილი ა., კვარაცხელია თ., უშხვანი ლ., მუხიგულიშვილი გ. საქართველოს ენერჯეტიკული სექტორი ევროკავშირთან ასოცირების კონტექსტში, მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის (WEG), თბ., 2015, 105.

⁷⁴⁵ უნდა გავითვალსიწინოთ ისიც, რომ ევროპას ენერჯეტიკის დარგში თანამშრომლობა ძირითადად არასტაბილური დემოკრატიის ქვეყნებთან უწევს.

⁷⁴⁶ USAID White Paper Energy Strategy Of Georgia (2015-2030), July, 2014, 17.

⁷⁴⁷ საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა შედგენილი გადამცემი სისტემის ოპერატორის - ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“

მიერ ელექტროენერჯის გადამცემის ლიცენზიატებთან - ს/ს „გაერთიანებული ენერჯეტიკული სისტემა“ და შპს. „ენერჯოტრანსთან“ შეთანხმებით, 340.

ერთად, ხოლო შემდგომ, იმპორტის ადგილობრივი თბოელექტროსადგურებით ჩანაცვლება. გრძელვადიან პერსპექტივაში მოაზრებულია მზის, ქარისა და გეოთერმული ენერგეტიკული წყაროების⁷⁴⁸ განვითარება, რომლებიც თანდათან ენერგოსექტორის განვითარების მთავარ მიმართულებებად ყალიბდება.⁷⁴⁹

ქართული განახლებადი ენერჯის წყაროების სწრაფი და ეფექტური განვითარების საკითხში გადამწყვეტია სფეროს შესაბამისი სამართლებრივი რეგულირება. ამ მხრივ არსებული მდგომარეობა არც თუ ისე სახარბიელოა. სამართლებრივი სტანდარტები, რომლებიც ენერგეტიკის სექტორისთვისაა შექმნილი, წიაღისეული საწვავის რეგულირებაზე უფროა ორიენტირებული და მიზანმიმართულად თუ უნებლიედ, ალტერნატიული ენერგეტიკული წყაროების „დისკრიმინაციას“ ახდენს.⁷⁵⁰ ძირითადი საკანონმდებლო სივრცე არ მოიცავს სრულად განახლებადი ენერჯის რეგულირებისა და წახალისების საჭირო ფორმებს. მთავარი პრობლემა ისაა, რომ არ არსებობს სპეციალური კანონი,⁷⁵¹ რომელიც დაარეგულირებდა განახლებადი ენერჯის განვითარების სხვადასხვა ასპექტს.⁷⁵² ხელშემწყობი ღონისძიებები ქაოტურადაა მიმობნეული სხვადასხვა კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებსა და მომიჯნავე პოლიტიკურ დოკუმენტებში.

3.3.1. ძირითადი მარეგულირებელი გარემო

დარგის მთავარი მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმატიული აქტის, საქართველოს კანონის „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ ენერგეტიკული სფეროს ერთ-ერთ მთავარ მიზნად ჰიდროენერგეტიკული და სხვა განალეზადი,

⁷⁴⁸ USAID White Paper Energy Strategy Of Georgia (2015-2030), July, 2014, 6.

⁷⁴⁹ საქართველოს პარლამენტის 2015 წლის 24 ივნისის № 3758-II ს დადგენილებით „საქართველოს ენერგეტიკის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების თაობაზე.“

⁷⁵⁰ Ottinger L. R., Mathews L., Czachor E. N. Renewable Energy in National Legislation: Challenges and Opportunities, წიგნში: Zillman D. et al. Energy Security: Managing Risk in Dynamic Legal and Regulatory Environment, Oxford University Press, 2008, 189.

⁷⁵¹ გერმანული განახლებადი ენერჯის კანონი (Erneuerbare-Energien-Gesetz) ამის კარგი მაგალითია.

⁷⁵² ჯანელიძე ს. ენერგეტიკულ გაერთიანებაში საქართველოს გაწევრიანებიდან ერთი წლის შეფასება, იხ. ევროპის ენერგეტიკული გაერთიანება და რეფორმები საქართველოს ენერგეტიკაში, მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის (WEG), თბ. 2017, 87.

ალტერნატიული ადგილობრივი რესურსების უპირატეს გამოყენებას აცხადებს.⁷⁵³ კანონი განმარტავს განახლებადი ენერჯის წყაროებს და ამბობს, რომ მასში მოიაზრება „არაწიაღისეული, მდგრადი ენერჯის ყველა წყარო, რომელიც წარმოიშობა, მაგრამ არ შემოიფარგლება: ბიო და ჰიდროენერჯებით, გეოთერმული, მზის, ქარისა და ზღვის (მათ შორის, დინებების, ტალღების და თერმული) ენერჯებით.“⁷⁵⁴ კანონი მხოლოდ ზოგადი განმარტებებითა და დათქმებით შემოიფარგლება და განახლებადი ენერჯის დარგში იმდენად ზედაპირულია, რომ საკანონმდებლო ნორმატიული აქტის დონეზე დარგის სრულყოფილ რეგულირებაზე, ამ მომენტისთვის, საუბარიც კი ზედმეტია.

განახლებადი ენერჯის ძირითადი პოლიტიკურ-სამართლებრივი ჩარჩო ასევე მოიცავს ზემოხსენებულ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს, 2015 წლის საქართველოს პარლამენტის დადგენილებას „საქართველოს ენერჯეტიკის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების თაობაზე“ და დადგენილების საფუძველზე მიღებულ პოლიტიკის დოკუმენტს - ზემოხსენებულ სტრატეგიას. განახლებადი ენერჯეტიკული რესურსების ათვისება დადგენილების მიერ განსაზღვრული ძირითადი ენერჯეტიკული მიმართულებების ქვაკუთხედი.⁷⁵⁵ დოკუმენტი განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს ჰიდრორესურსების გამოყენებაზე, თუმცა უყურადღებოდ არ რჩება ქარის, მზის, ბიომასისა და გეოთერმული ენერჯის პოტენციალის შეფასება. საგულისხმოა, რომ დადგენილება ეხება გლობალური კლიმატის ცვლილების პრობლემას და სუფთა ენერჯის პოპულარიზაციის საკითხებსაც. იგი ამ მიმართულებით კანონმდებლობის დახვეწის საჭიროებას უსვამს ხაზს და ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების განხორციელებასაც მოითხოვს.⁷⁵⁶

3.3.2. დამატებითი მარეგულირებელი გარემო

აუცილებელია, მოკლედ შევეხოთ ქართული განახლებადი ენერჯის დამატებით, ანუ მეორეულ საკანონმდებლო სივრცეს, რომელსაც პირდაპირი ან ირიბი გავლენა აქვს სფეროზე და შემდეგ აქტებს მოიცავს:

⁷⁵³ „ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“, მუხლი 1 (დ).

⁷⁵⁴ იქვე, მუხლი 2 (3²²).

⁷⁵⁵ იქვე, მუხლი 2 (ბ).

⁷⁵⁶ იქვე, მუხლი 2 (ვ).

ა) საქართველოს მთავრობის დადგენილება: „სახელმწიფო პროგრამა: განახლებადი ენერჯია 2008.“⁷⁵⁷ მისი მთავარი მიზანია განახლებადი ენერჯიის ახალი წყაროების ხელშეწყობა ინვესტიციების მოზიდვის გზით.⁷⁵⁸ მაგალითისთვის, პროგრამის საფუძველზე მოხდა 2008 წლის 1 აგვისტოს შემდგომ აშენებული ელექტროსადგურების ნაწილობრივი დერეგულირება.⁷⁵⁹

ბ) სტრატეგიული დოკუმენტი „საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა 2015-2025“,⁷⁶⁰ რომლის ერთ-ერთი მთავარი მიზანია განახლებადი ენერგეტიკული წყაროების ინტეგრირება ქსელში.

გ) საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის # 40 ბრძანება,⁷⁶¹ რომელიც არეგულირებს ქარის ელექტროსადგურებისა და სხვა განახლებადი ენერგორესურსებზე მომუშავე სადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების წესებს.

⁷⁵⁷. საქართველოს მთავრობის #107 დადგენილება სახელმწიფო პროგრამა „განახლებადი ენერჯია 2008“ - საქართველოში განახლებადი ენერჯიის ახალი წყაროების მშენებლობის უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ. 18.04.2008.

⁷⁵⁸. იქვე, მუხლი 10.

⁷⁵⁹. „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში „ნაწილობრივი დერეგულირება“ განმარტებულია, როგორც ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე წარმოების ლიცენზიატისათვის ზღვრული ტარიფის დადგენით საქმიანობის ან მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურისათვის (ელექტროსადგური, რომლის საპროექტო სიმძლავრე არ აღემატება 13 მეგავატს. ამასთანავე, ამ ტერმინით, კონტექსტიდან გამომდინარე, აღინიშნება პირი, რომელიც ფლობს და ექსპლუატაციას უწევს აღნიშნულ ელექტროსადგურს;) ლიცენზიის გარეშე და ზღვრული ტარიფის დადგენით საქმიანობის უფლების მინიჭება.

⁷⁶⁰. საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა შედგენილი გადამცემი სისტემის ოპერატორის - ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“

მიერ ელექტროენერჯიის გადაცემის ლიცენზიატებთან - ს/ს „გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა „საქრუსენერგოსთან“ და შპს. „ენერგოტრანსთან“ შეთანხმებით, 340.

⁷⁶¹. ენერგეტიკის მინისტრის 2014 წლის 10 აპრილის ბრძანება N 40 იმ ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ

ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ წინადადებების საქართველოს ენერგეტიკის

სამინისტროსათვის წარდგენისა და განხილვის წესის და პირობების დამტკიცების თაობაზე, რომლებიც არ არის შეტანილი საქართველოში

ასაშენებელი პოტენციური ელექტროსადგურების ნუსხაში. იბ.

<[http://www.energy.gov.ge/projects/pdf/pages/Order%](http://www.energy.gov.ge/projects/pdf/pages/Order%2040%2010042014%20on%20Approval%20of%20the%20terms%20and%20conditions%20648%20eng.pdf)

[2040%2010042014%20on%20Approval%20of%20the%20terms%20and%20conditions%20648%20eng.pdf](http://www.energy.gov.ge/projects/pdf/pages/Order%2040%2010042014%20on%20Approval%20of%20the%20terms%20and%20conditions%20648%20eng.pdf)> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 01.12.2018.

დ) სემეკის № 20 დადგენილება ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების“ დამტკიცების შესახებ, რომელიც არეგულირებს განახლებადი ენერჯის წყაროს - მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის გამანაწილებელ ქსელთან მიერთების წესს.⁷⁶²

ე) საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამა (ეგმპ) 2012-2016⁷⁶³ ხაზს უსვამს გარემოებას, რომ საქართველოს ეკონომიკური აღმავლობის გზას ადგას. ეკონომიკური განვითარება ქვეყნის კეთილდღეობის საფუძველია, თუმცა, ამავდროულად ეს პროცესი ზეგავლენას ახდენს ბუნებრივ რესურსებსა და გარემოზე. შესაბამისად, ეკონომიკის მდგრადი განვითარება მნიშვნელოვანია ქვეყნისათვის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური მოხმარების თვალსაზრისით.

ე) საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“ მოითხოვს იმ ტიპის სამართლებრივი წესრიგის უზრუნველყოფას, რომელიც ბუნებრივ რესურსებს მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით მართავს.⁷⁶⁴

ვ) განახლებადი ენერჯის განვითარებასა და გამოყენების სამართლებრივ ბუნებაზე ასევე გავლენას ახდენს სხვა მოქმედი კანონები,⁷⁶⁵ მაგრამ მათი დეტალური განხილვა არ არის წინამდებარე ნაშრომის მიზანი.

3.3.3. კრიტიკული ანალიზი

შესაბამისი ძირითადი და დამატებითი კანონმდებლობის მიმოხილვის შედეგად დავრწმუნდით, რომ საქართველოში განახლებადი ენერჯის საკანონმდებლო ჩარჩო არასრულყოფილია. სფეროში მოქმედი კანონებისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ზოგადი დათქმები არ არის ყოვლისმომცველი და ვერ უზრუნველყოფს განახლებადი ენერჯის სათანადო განვითარებას. არსებული მარეგულირებელი გარემო არ არეგულირებს განახლებადი ენერჯის განვითარებისთვის საჭირო ცალკეულ კომპონენტებს, არ აყალიბებს განახლებად ენერჯეტიკულ სამიზნე მაჩვენებლებს და არ

⁷⁶² მუხლი 25.

⁷⁶³ ხელმისაწვდომი <http://www.moe.gov.ge/res/docs/1790NEAP_geo_2012.pdf> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 02.05.2019.

⁷⁶⁴ საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“, მუხლი 2.

⁷⁶⁵ მაგალითად: საქართველოს ტყის კოდექსი (ბიომასა), საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის შესახებ“, საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“, საქართველოს კანონი „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“, საქართველოს კანონი „დაცული ტერიტორიების შესახებ“ და ა. შ.

განსაზღვრავს მისი შესრულების თანამდევ პროცესებს. საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სექტორში ვერტიკალურად ინტეგრირებული კომპანიების (სს „ენერგო-პრო ჯორჯია“, სს „თელასი“) არსებობა, რომლებიც ფლობენ, როგორც განაწილების ქსელს, ასევე გენერაციის ობიექტების და ამავდროულად მიმწოდებლებიც არიან, ართულებს დამოუკიდებელი განახლებადი ენერჯის გენერაციის ობიექტების განვითარებას.⁷⁶⁶ ქსელზე პრიორიტეტული დაშვება გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული პროცედურების შესაბამისად არ არის დარეგულირებული.⁷⁶⁷ ენერგოგანაწილების ქსელებთან მიერთების შედარებით გართული ადმინისტრაციული პროცედურები და საფასური ხელს უშლის მიკროსიმპლავრის განახლებადი გენერაციის ობიექტების განვითარებას.⁷⁶⁸ საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმის მიხედვით განახლებადების ინტეგრირების პროცესი შეზღუდულია.⁷⁶⁹ არსებული საკანონმდებლო მოწყობა⁷⁷⁰ არ იძლევა საკმარის საინვესტიციო სტიმულირებას განახლებადი ენერჯის განვითარებისათვის. არ არსებობს ზუსტი ინფორმაცია საქართველოში განახლებადი ენერჯების სრული პოტენციალის

⁷⁶⁶. მარგველაშვილი მ., მაღალაშვილი ა., კვარაცხელია თ., უშხვანი ლ., მუხიგულიშვილი გ. საქართველოს ენერგეტიკული სექტორი ევროკავშირთან ასოცირების კონტექსტში, მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის (WEG), თბ., 2015, 119.

⁷⁶⁷. იქვე.

⁷⁶⁸. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის № 20 დადგენილება „ელექტროენერჯის (სიმპლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების“ დამტკიცების შესახებ, მუხლი 25.

⁷⁶⁹. საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა შედგენილი გადამცემი სისტემის ოპერატორის - ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“

მიერ ელექტროენერჯის გადაცემის ლიცენზიატებთან - ს/ს „გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა „საქრუსენერგოსთან“ და შპს. „ენერგოტრანსთან“ შეთანხმებით, 28.

⁷⁷⁰. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 აგვისტოს № 214 დადგენილება „საქართველოში ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ ინტერესთა გამოხატვის წესის დამტკიცების შესახებ“ და ენერგეტიკის მინისტრის 2014 წლის 10 აპრილის № 40 ბრძანება ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ წინადადებების საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსათვის წარდგენისა და განხილვის წესის და პირობების დამტკიცების თაობაზე.

შესახებ, რაც პრობლემურს ხდის ქვეყნის მთლიან ენერგომომხმარებაში განახლებადი ენერჯიების წილის გაანგარიშებას.⁷⁷¹

აქვე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველომ ახლახანს კლიმატის ცვლილების სფეროში სათბურის გაზების ემისიების შემცირებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნისა და განახლებადი ენერჯიის წახალისების ვალდებულება იკისრა. ამისთვის 2015 წელს ქვეყანამ ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის (INDC) დოკუმენტი,⁷⁷² რომელიც 2015 წლის ბოლოს გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის მხარეთა კონფერენციას წარედგინა. მას შემდეგ რაც ქვეყანამ, პარიზის ხელშეკრულების რატიფიცირება მოახდინა, ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი⁷⁷³ საქართველოს კანონმდებლობის განუყოფელი ნაწილი გახდა.

არსებული კანონმდებლობა მეტნაკლები „მონდომებით“ არეგულირებს ჰიდრორესურსებს, თუმცა რეგულირების მიღმა რჩება სხვა ალტერნატიული წყაროების საკითხები. არ არსებობს ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმების სახელმწიფოებრივი ხედვაც.⁷⁷⁴ სახეზეა

⁷⁷¹. მარგველაშვილი მ., მაღალაშვილი ა., კვარაცხელია თ., უშხვანი ლ., მუხიგულიშვილი გ. საქართველოს ენერგეტიკული სექტორი ევროკავშირთან ასოცირების კონტექსტში, მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის (WEG), თბ., 2015, 106.

⁷⁷². შენიშვნის სახით უნდა ითქვას, რომ წინამდებარე დისერტაციის ავტორი 2014-2015 წლებში მუშაობდა წამყვან ექსპერტად გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებაში (GIZ), რომელიც იმპლემენტაციას ახდენდა გერმანიის გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროგრამისა „გლობალური INDC-ის პროექტი.“ სწორედ აღნიშნული პროექტის ფინანსური და ტექნიკური დახმარების ფარგლებში მომზადდა საქართველოს ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის (INDC) დოკუმენტი და წარედგინა გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის სამდივნოს. აღნიშნული დოკუმენტით საქართველო გეგმავს უპირობოდ, 15 %-ით შეამციროს ემისიები 2030 წლისთვის, ბიზნესის ტრადიციული გზით განვითარების სცენარით (BAU) გათვალისწინებულ მონაცემთან შედარებით. 15 %-იანი მიზანი შესაძლოა 25 %-მდეც გაიზარდოს, რაც გარკვეულ პირობებზე და მოკიდებული, კერძოდ გლობალურ შეთანხმებაზე, სადაც ხაზგასმული იქნება ტექნიკური თანამშრომლობის, იაფ ფინანსურ რესურსებთან ხელმისაწვდომობის და ტექნოლოგიების გადაცემის უზრუნველყოფა. BAU სცენართან შედარებით ემისიების 25 %-იანი შემცირება უზრუნველყოფს, რომ საქართველომ 2030 წლისთვის, 1990 წელთან შედარებით 40 %-იანი შემცირების მაჩვენებელი შეინარჩუნოს.

⁷⁷³. Nationally Determined Contribution (Georgia's INDC), იხ. <https://www4.unfccc.int/sites/ndcstaging/PublishedDocuments/Georgia%20First/INDC_of_Georgia.pdf> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 03.06.2019.

⁷⁷⁴. Energy Efficient Potential in Georgia and Policy Options for Its Utilization, USAID Winrock International Studies, 2008 <http://weg.ge/sites/default/files/energy_efficiency1.pdf> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 02.06.2019.

საკითხის მიმართ აშკარა სოციალური „მოუმზადებლობაც.“ საზოგადოებას ჯერ კიდევ სათანადოდ არ ესმის ალტერნატიული ენერგეტიკული რესურსების განვითარების რაციონალურობა, მისი ეკონომიკური და შრომითი სარგებლიანობა, გარემოსდაცვითი უპირატესობა.

გამომდინარე აქედან, შესაძლებელია შუალედური დასვნის გაკეთება, რომ არსებულ კანონმდებლობაში განახლებადი ენერჯის წარმოებისა და გამოყენების საკითხი სუსტად არის დარეგულირებული. საკანონმდებლო რეგულირების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი იქნებოდა განახლებადი წყაროებიდან ენერჯის გამომუშავებისა და ამ ენერჯის გამოყენების ხელშემწყობი პოლიტიკისა და მარეგულირებელი ჩარჩოს განვითარება. სადისერტაციო ნაშრომის დარჩენილი ნაწილი, შესაბამისად, სწორედ ამ პოლიტიკის განმაპირობებელი მთავარი სამართლებრივი დოკუმენტის - ევროკავშირის განახლებადი ენერჯის 2009/28/EC დირექტივას და მის ქართულ სამართლებრივ რეალობაზე მორგებას დაეთმობა.

4. ევროკავშირის განახლებადი ენერჯის პოლიტიკა

ევროპის მოქალაქეებს ეამაყებათ, როცა ისინი მიიჩნევიან ეკოლოგიურად სუფთა და ენერგოეფექტურ ხალხებად.⁷⁷⁵ ისინი მართლაც განსხვავდებიან სხვა ერებისგან მათი ლოიალური დამოკიდებულებით მდგრადი განვითარების პრინციპებისა და, ზოგადად, სუფთა ენერგეტიკის მიმართ. თუკი ევროკავშირის მავნე გაზების ემისიების ერთ-ერთი ყველაზე დიდი გეოგრაფიული რეგიონია,⁷⁷⁶ სამაგიეროდ, იგი გლობალური ლიდერიცაა კლიმატის ცვლილების ნეგატიური მოვლენების ბრძოლის საკითხშიც. ნაშრომის მეორე ნაწილში დეტალურად მიმოვიხილეთ ევროპის ენერგეტიკული პოლიტიკა, თუმცა განახლებადი ენერჯის ანალიზი, როგორც ამ პოლიტიკის ქვაკუთხედი, წინამდებარე თავისთვის „შემოვინახეთ.“

⁷⁷⁵ Talus K. Introduction to EU Energy Law, Oxford University Press, 2016, 137.

⁷⁷⁶ ევროსტატის მონაცემები ხელმისაწვდომი <https://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php/Greenhouse_gas_emission_statistics#Trends_in_greenhouse_gas_emissions> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 17.05.2018.

4.1. განახლებადი ენერჯის განვითარების ისტორიული წინაპირობები

ბებერგერის მიხედვით განახლებადი ენერჯის რესურსების პოპულარიზაცია ევროპის სტრატეგიული ენერჯოგანვითარების ერთადერთი სწორი მიმართულებაა, რომელიც შეამცირებს სათბურის გაზების გამოფრქვევას და ევროპის ენერჯოდამოკიდებულებას სხვა ქვეყნებზე.⁷⁷⁷ განახლებადი ენერჯის წარმოების ხელშეწყობა ევროპის კონტინენტზე 80-იანი წლების ბოლოსა 90-იანების დასაწყისიდან ჩნდება. აქამდე განახლებადების მასშტაბურ გამოყენებას ევროპაში ადგილი არ ჰქონია. ამ სიტუაციაზე ზეგავლენა ვერც 1973 წლის ნავთობის კრიზისმა მოახდინა, რაზეც ვრცლად ნაშრომის პირველ ნაწილში ვისაუბრეთ.

მაშასადამე, ევროკავშირის კანონმდებლობაში ალტერნატიული ენერჯის პირველი მითითება 1986 წელს ჩნდება, როდესაც ევროპის საბჭომ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ის საუბრობდა კონვენციური ენერჯეტიკული რესურსების განახლებადი ენერჯით ჩანაცვლების შესახებ.⁷⁷⁸ კიდევ უფრო კონკრეტული ნაბიჯები 90-იანებში გადაიდგა: 1996 წელს ევროკომისიამ მწვანე ფურცელი მიიღო სახელწოდებით: „მომავლის ენერჯია: ენერჯეტიკის განახლებადი წყაროები.“⁷⁷⁹ 1997 წელს მწვანე ფურცელს თეთრი ფურცელი დაემატა,⁷⁸⁰ რომელმაც ევროკავშირის განახლებადი ენერჯის პირველი სტრატეგია შეიმუშავა და ერთგვარი სამოქმედო გეგმაც მოამზადა.

დასახელებულ აქტივობებს მომდევნო თვეების განმავლობაში ევროპაში ფართო საჯარო დისკუსია მოჰყვა განახლებადი ენერჯის პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებების განსასაზღვრად. პროცესების ამგვარ განვითარებას, ცხადია, არ ჩაუვლია წევრი სახელმწიფოების აღმფოთების გარეშე. ახალი განახლებადი გამოწვევის მიმართ სამოცდაათამდე წერილობითი საჩივარი შევიდა ევროკომისიაში გაერთიანების წევრი სახელმწიფოებისგან, კერძოდ კი სამრეწველო ორგანიზაციებისგან,

⁷⁷⁷ Morata F., Solorio S. *European Energy Policy an Environmental Approach*, Edward Elgar Publishing, 2012, 4.

⁷⁷⁸ Council Resolution, *Concerning New Community Energy Policy Objectives For 1995 and Convergence of The Policies of the Member States*, OJ C 241 (25.9.1986), 1-3.

⁷⁷⁹ Communication from the Commission *Energy for the Future: Renewable Sources of Energy*, Brussels, 20.11.1996 COM(96) 576 final.

⁷⁸⁰ Communication from the Commission *Energy For The Future: Renewable Sources of Energy White Paper for a Community Strategy and Action Plan*, Brussels, 26.11.1997 COM(97) 599 final.

პროფესიული და რეგიონული ასოციაციებიდან, ინსტიტუტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისაგან.⁷⁸¹ რასაკვირველია, განსაკუთრებული ოპოზიციური განწყობებით წიაღისეული საწვავით მდიდარ ევროპული ქვეყნები და ე.წ. ინდუსტრიული საზოგადოება გამოირჩეოდა. ისინი მხარს უჭერდნენ კონვენციური ენერგეტიკულ რესურსებს - ქვანახშირი, ნავთობი და ბუნებრივი გაზის გამოყენებას⁷⁸² და ეწინააღმდეგებოდნენ ევროპის ახალი ენერგეტიკული ხედვის განვითარებას. 90-იანების მცდელობამ ძირეული გარდაქმნების გარეშე ჩაიარა. ევროპამ წარმოადგინა განახლებადი ენერჯის პირველადი ხედვები, თუმცა, არ შემოუღია სავალდებულო სამართლებრივი რეგულირების პირობები.⁷⁸³

ამ მხრივ განსაკუთრებული აქტივობა ახალი საუკუნიდან იწყება. 2001 წელს ევროკავშირმა მიიღო დირექტივა, რომელიც განახლებადი ენერჯის შედეგად გენერირებული ელექტროენერჯის პოპულარიზაციას ეხებოდა.⁷⁸⁴ დირექტივამ წვერი სახელმწიფოებისთვის პირველადი სამიზნე მაჩვენებლები დააწესა და მხარდაჭერის სქემები წარმოადგინა. 2003 წელს ევროპის კანონმდებლობა კიდევ ერთი განახლებადი ენერჯის დირექტივით გამდიდრდა, რომელიც ბიოსაწვავის (მთავარი განახლებადი საწვავი ტრანსპორტირებისათვის) და სხვა განახლებადი საწვავის გამოყენების თემები დაარეგულირა.⁷⁸⁵

4.2. განახლებადი ენერჯის დირექტივა 2009/28/EC

განახლებადი ენერჯის სფეროში ევროკავშირის პოლიტიკის პროგრესის კულმინაციად უნდა შეფასდეს ევროკავშირის 2009/28/EC დირექტივა განახლებადი ენერჯის წყაროებიდან ენერჯის გამოყენების ხელშეწყობის შესახებ (შემდგომში „განახლებადი ენერჯის დირექტივა“ ან „დირექტივა“), რომელიც ძალაში 2009 წლის ივლისში შევიდა და წვერი სახელმწიფოების მიერ მისი ეროვნულ

⁷⁸¹ Fräss-Ehrfeld C. Renewable Energy Sources, Climate Change Law, Policy and Practice Series, Kluwer Law International, 2006, 3.

⁷⁸² Talus, K. EU Energy Law and Policy: A Critical Account, Oxford University Press, 2013, 191.

⁷⁸³ იქვე, 192.

⁷⁸⁴ Council Directive 2001/77/EC of the European Parliament and of the Council on the promotion of electricity produced from renewable energy sources in the internal market, OJ L 283/33, 27.10.2001.

⁷⁸⁵ Council Directive 2003/30/EC of the European Parliament and of the Council of 8 May 2003 on the promotion of the use of biofuels or other renewable fuels for transport OJ L 123/42, 17.5.2003.

კანონმდებლობაში ინკორპორირება 2010⁷⁸⁶ წლის დეკემბრამდე მოითხოვა.⁷⁸⁷ დირექტივა, ენერგოეფექტურობის საკითხებთან ერთად, ევროკავშირის 2020 სტრატეგიის (იხ. ნაშრომის მეორე ნაწილში) მიღწევის მექანიზმია, რისთვისაც იგი წევრი სახელმწიფოებისთვის სავალდებულო სამიზნე მაჩვენებლებს აყალიბებს.

დირექტივა განახლებადი ენერჯის ახალი ეპოქის დასაწყისად მოიაზრება, რომელიც 2009 წელს ევროპის კლიმატისა და ენერჯეტიკის პაკეტის ფარგლებში მოგვევლინა.⁷⁸⁸ პაკეტი აღნიშნული დირექტივის გარდა, ასევე, მოიცავს სხვა მნიშვნელოვან საკანონმდებლო აქტებს, როგორებიცაა ევროკავშირის დირექტივა ემისიებით ვაჭრობის⁷⁸⁹ შესახებ (ETS),⁷⁹⁰ საწვავის სპეციფიკაციის დირექტივა⁷⁹¹ და სხვა.⁷⁹² დირექტივა განახლებადი ენერჯის სფეროში ევროკავშირში დღეს მოქმედი მთავარი სამართლებრივი დოკუმენტია.

განახლებადი ენერჯის დირექტივა ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე იქნა მიღებული. შესაბამისად, მის სამართლებრივ ბაზისად ვერ იქნება მიიჩნეული კონსტიტუციური ხასიათის ევროპის ერთადერთი ენერჯეტიკული ნორმა - 194-ე მუხლი,⁷⁹³ რომელიც დეტალურად ნაშრომის მეორე ნაწილში მიმოვიხილეთ. დირექტივა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ფარგლებში წარმოიშვა და სადამფუძნებლო

⁷⁸⁶. 2010 წელს განახლებადი ენერჯის წილმა ევროკავშირის ელექტროენერჯეტიკის წარმოებაში 18 % შეადგინა. იხ. Commission Communication on Renewable Energy (MEMO/11/54), Brussels, 31.01.2011.

⁷⁸⁷. რამდენიმე წევრმა სახელმწიფომ საწყის ეტაპზე ვერ შეასრულა ეს მოთხოვნა და ევროკომისიამ მათ მიმართ დარღვევის პროცედურები წამოიწყო.

⁷⁸⁸. ევროკომისია, 2020 კლიმატისა და ენერჯეტიკის ჩარჩო <https://ec.europa.eu/clima/policies/strategies/2020_en> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 01.05.2019.

⁷⁸⁹. საწარმოები, როლებიც სათბურის გაზების გაფრქვევის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ უწესდებათ ემისიების ზედა ზღვარი და ამ ზვარზე ნაკლების ან მეტის გაფრქვევის შემთხვევაში ბაზარზე იწყებენ ვაჭრობას.

⁷⁹⁰. Council Directive 2009/29/EC of the European Parliament and of the Council of 23 April 2009 amending Directive 2003/87/EC so as to improve and extend the greenhouse gas emission allowance trading scheme of the Community, OJ L 140/63, 05.06.2009.

⁷⁹¹. Council Directive 2009/30/EC of the European Parliament and of the Council of 23 April 2009 amending Directive 98/70/EC as regards the specification of petrol, diesel and gas-oil and introducing a mechanism to monitor and reduce greenhouse gas emissions and amending Council Directive 1999/32/EC as regards the specification of fuel used by inland waterway vessels and repealing Directive 93/12/EEC, OJ L 140/88, 05.06.2009.

⁷⁹². ევროკომისია, Carbon Capture and Storage, იხ. <https://ec.europa.eu/clima/news/carbon-capture-and-storage-commission-adopts-report-ccs-directive-implementation_en> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 01.03.2019.

⁷⁹³. TFEU, 194.

ხელშეკრულების 175-ე მუხლის (გარემოს დაცვა)⁷⁹⁴ საფუძველზე იქნა მიღებული. სწორედ ამიტომ, განახლებადი ენერჯის დირექტივა ხშირად გარემოსდაცვითი (იგულისხმება კლიმატის ცვლილებისა და ჰაერის დაბინძურების ასპექტი) კანონმდებლობის ენერგოსპეციფიკურ სამართლებრივ აქტად მოიხსენიება. ეს ლოგიკურიცაა, რადგან განახლებადი ენერჯია უარს ამბობს წიაღისეულ საწვავზე და მისი გამომუშავება არ იწვევს კლიმატის ცვლილებას და გარემოზე სხვაგვარ უარყოფით ზემოქმედებას. დირექტივა განახლებადი ენერჯის ფუძემდებლურ სამართლებრივ დეფინიციას აყალიბებს და თანაბრად ეხება განახლებადი ენერჯის ძირითად სამ ქვემომართულებას, რომელიც ენერჯის მთლიანი საბოლოო მოხმარებით⁷⁹⁵ გამოანგარიშდება: ელექტროენერგეტიკა, გათბობა-გაციება და ტრანსპორტი.⁷⁹⁶

სამართლებრივი ტექნიკის თვალსაზრისით დირექტივა ბევრი ისეთი დეტალით ხასიათდება, რომლებიც გამოარჩევს მას აქამდე არსებული სხვა ალტერნატიული ენერჯის ინსტრუმენტებისაგან.⁷⁹⁷ განახლებადი ენერჯის დირექტივა შესასრულებლად სავალდებულო სამიზნე მაჩვენებლებს აყალიბებს და ზემოხსენებული „პირველი თაობის“ აქტებს (2001/77/EC და 2003/30/EC) ანაცვლებს. იგი „ყოველმხრივი მიდგომის“ ლოგიკას ეფუძნება და ენერგეტიკის სამართლის თანამედროვე სახელმძღვანელო პრინციპებსაც სრულად იზიარებს.⁷⁹⁸ დირექტივა განახლებადი ენერჯის სფეროს მთავარი სამართლებრივი დოკუმენტია, რომლის იმპლემენტაცია საქართველოს განსაზღვრულ ვადაში ევალდებულია.⁷⁹⁹ ამაზე საუბრობს ასოცირების შეთანხმების

⁷⁹⁴ TFEU, 192 (ლისაბონის რედაქციით).

⁷⁹⁵ ენერჯის შემცველი საქონელი, რომელიც ენერგეტიკული მიზნებისათვის მიეწოდება მრეწველობას, ტრანსპორტს, საყოფაცხოვრებო სექტორს, მომსახურების სფეროს, მათ შორის, საჯარო მომსახურების სფეროს, სოფლის მეურნეობას, სატყეო და სათევზაო მეურნეობას, ასევე, ელექტროენერჯისა და სითბოს მოხმარება ელექტროენერჯისა და სითბოს მწარმოებელი ენერგეტიკული ობიექტების მიერ, აგრეთვე, ელექტროენერჯისა და სითბოს დანაკარგები განაწილებისა და გადაცემის დროს;

⁷⁹⁶ მუხლი 5. განახლებადი წყაროებიდან უმეტესად ისეთი ენერჯია გამომუშავდება, რომელსაც ელექტროენერგეტიკისთვის, გათბობა-გაციებისა და ტრანსპორტირებისთვის ვიყენებთ. იხ. Woerdman E., Roggenkamp M., Holwerda M. Essential EU Climate Law, Edward Elgar Publishing, 2015, 127.

⁷⁹⁷ მაგალითად, სიტყვა „შეიძლება“ (“may”) იცვლება სიტყვით „უნდა“ (“shall”).

⁷⁹⁸ იხ. ნაშრომის პირველი ნაწილი.

⁷⁹⁹ 2018 წლის 31 დეკემბერი, ვადად განსაზღვრულია ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებაზე შეერთების ოქმის მიხედვით.

XXV-ე დანართი, ენერგეტიკული გაერთიანების სადამფუძნებლო ხელშეკრულების მე-20 მუხლი⁸⁰⁰ და საქართველოს შეერთების ოქმი.⁸⁰¹

როგორც ნაშრომის მეორე ნაწილში აღინიშნა, წინამდებარე სადოქტორო კვლევაზე მუშაობა ევროკავშირში განახლებადი ენერჯის არსებული პოლიტიკის ხელახლა გადახედვის პროცესებს დაემთხვა. ევროკავშირის მიერ გაზრდილი მწვანე ენერგეტიკული ამბიცია⁸⁰² ახალი საკანონმდებლო ჩარჩოს მიღებასაც ითვალისწინებს, რასაც ვერ დავტოვებთ უყურადღებოდ.⁸⁰³ ე.წ. „ზამთრის პაკეტის“⁸⁰⁴ შედეგად, რომელიც ნაშრომის მეორე ნაწილში იქნა განხილული, მიღებულ იქნა განახლებადი ენერჯის ახალი დირექტივა (2018/2001).⁸⁰⁵ მან განახლებადების წილის 32% იანი ზრდის პოლიტიკური ნება სამართლებრივი ვალდებულების რანგში აიყვანა და, ფაქტობრივად, 2009 წლის საკვანძო დირექტივა ჩაანაცვლა.⁸⁰⁶

შესაბამისად, მანამ, სანამ ევროკავშირის განახლებადი ენერჯის კანონმდებლობის საქართველოში შემოღების საკითხებს განვიხილავთ, აუცილებელია იმის გარკვევა, შეეხება თუ არა საქართველოს ე.წ. „ზამთრის პაკეტის“ ცვლილებები. ისმის კითხვა: რომელი დირექტივის (2009/28/EC თუ 2018/2001) იმპლემენტაცია მოეთხოვება ქვეყანას?

4.3. განახლებადი ენერჯის სფეროს დინამიკური ჰარმონიზაცია

სადისერტაციო ნაშრომის მესამე ნაწილში, რომელიც სამართლის ჰარმონიზაციის დოგმატურ საფუძვლებს შევისწავლის, საკანონმდებლო დაახლოების რამდენიმე ტიპიც განვსაზღვრეთ. ჰარმონიზაციის სხვადასხვა ფორმებზე მსჯელობისას ე.წ. „დინამიკური ჰარმონიზაციაც“ ვახსენეთ, რომელიც სამართლის, განსაკუთრებით კი ევროკავშირის სამართლის, დინამიკურ ბუნებას ეხმიანება. სამართალი არ არის სტატიკური დროსა და სივრცეში. იგი

⁸⁰⁰ მუხლი 20.

⁸⁰¹ დაწვრ. იხ. ნაშრომის მესამე ნაწილის მეოთხე თავი.

⁸⁰² გადასვლა ევროკავშირის „სტრატეგია 2020“ „სტრატეგია 2030“-ზე. დაწვრ. იხ. ნაშრომის მეორე ნაწილის მეორე თავი.

⁸⁰³ Peeters M., Schomerus T. Renewable Energy Law in the EU: Legal Perspectives on Bottom-up Approaches, Edward Elgar Publishing, 2014, 16.

⁸⁰⁴ იხ. ნაშრომის მეორე ნაწილის მეოთხე თავი.

⁸⁰⁵ Council Directive (EU) 2018/2001 of The European Parliament and of the Council of 11 December 2018 on the Promotion of the Use of Energy from Renewable Sources, OJ L 328, 21.12.2018.

⁸⁰⁶ ახალი დირექტივის 37-ე მუხლი დირექტივას 2021 წლის 1 ივლისიდან გაუქმებულად აცხადებს განახლებადი ენერჯის მოქმედ 2009/28/EC დირექტივას.

დინამიკური მოვლენაა, რომელიც ამა თუ იმ სოციალურ-პოლიტიკური ვითარების ცვლილების ფონზე თავადაც მუდმივად იცვლება. ცვალებადი ბუნებისაა საზოგადოებრივი ურთიერთობების დამახასიათებელი ქცევის წესებიც, სტანდარტები და სისტემები.⁸⁰⁷ შესაბამისად, გარდაუვალია სამართლის ჰარმონიზაციის პროცესის ცვალებადობაც, რადგან იგი უნდა იყოს ადაპტირებადი არსებულ მოცემულობასთან.

ევროპის სამართლის ევოლუცია თანმიმდევრულად უნდა აირეკლოს ენერგეტიკული ჰარმონიზაციის საკითხებზეც.⁸⁰⁸ ასოცირების ხელშეკრულებაში არსებობს რამდენიმე ისეთი მითითება დირექტივაზე, რეგულაციაზე და გადაწყვეტილებაზე, რომლებიც გაუქმებულია და ევროკავშირის სამართლებრივ სივრცეში ჩანაცვლებულია ახალი აქტებით.⁸⁰⁹ ენერგეტიკულ გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულებისა და მასზე შეერთების ძალით⁸¹⁰ არც ენერგეტიკული გაერთიანების ჩარჩოს ფარგლებში გადმოსაღები ნორმებია ქვეყნის მუდმივი და სტატიკური ვალდებულება.

შეერთების ოქმის რატიფიკაციით საქართველო, პირველ ყოვლისა, კეთილსინდისიერი თანამშრომლობის ვალდებულებას იღებს.⁸¹¹ კეთილსინდისიერება ევროკავშირის სამართლის ფუნდამენტური პრინციპია, რაზეც ევროკავშირის სადამფუძნებლო ხელშეკრულება⁸¹² და ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო⁸¹³ მიუთითებს. ეს ევროკავშირის სამართლის დინამიკური ბუნების მიმართ პატივისცემასაც მოითხოვს. ანუ, საქართველომ, ქვეყანამ, რომელმაც გამოავლინა ევროკავშირთან ინტეგრირების მაღალი სამართლებრივი ნება, მხოლოდ იმ აქტების ჰარმონიზაცია არ ევალდებულება, რომელიც გაწერილია ასოცირების ხელშეკრულებისა და ენერგეტიკული გაერთიანების პროტოკოლის მიერ. საქართველო უნდა მიჰყვეს ევროკავშირის სამართლის განვითარების რიტმს და ცვლილებები თანმიმდევრულად ასახოს ჰარმონიზებულ

⁸⁰⁷ „სამართლებრივი დაახლოება - სახელმძღვანელო პრინციპები“, საჯარო მოხელის სამაგიდო ბროშურა, თბ., 2017, 18.

⁸⁰⁸ Petrov R. Energy Community, as a Promoter of the European Union's "Energy Acquis" to Its Neighbourhood, *Legal Issues of Economic Integration* 39 (3), 2012, 339.

⁸⁰⁹ იქვე.

⁸¹⁰ ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულება, მუხლი 6.

⁸¹¹ ეს ასევე გამოდინარეობს ვენის სახელშეკრულებო სამართლის შესახებ კონვენციის (VCLT) 26-ე მუხლიდან ("Pacta Sunt Servanda.")

⁸¹² TEU, 4 (3).

⁸¹³ Joint Cases C-36-37/97 *Hilmar Kellinghusen v. Amt für Land- und Wasserwirtschaft Kiel and Ernst-Detlef Ketelsen v. Amt für Land- und Wasserwirtschaft Husum* [1998] ECR I-6337. Case C-213/89, *R v. Secretary of State for Transport, ex parte Factortame* [1990] ECR I-2433.

კანონმდებლობაში. ეს ასევე გამომდინარეობს ვენის საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის კონვენციის 31-ე მუხლიდან, რომელიც საერთაშორისო ხელშეკრულების ინტერპრეტაციის ზოგად წესებს აყალიბებს.⁸¹⁴

ამ ტიპის დინამიკური ჰარმონიზაციის საგანია განახლებადი ენერჯის 2009/28/EC დირექტივა. როგორც ზემოთ აღინიშნა, იგი ახალი ევროპული განახლებადი ენერჯის კანონით იცვლება, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ქართული განახლებადი კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პროცესზე. ამ საკითხში გადამწყვეტია საქართველოს ენერგეტიკული გაერთიანების წევრობა და მისი ინსტიტუციების როლი. ენერგეტიკული გაერთიანების სადამფუძნებლო ხელშეკრულების 25-ე მუხლი მიუთითებს, რომ გაერთიანებამ უნდა უზრუნველყოს ევროკავშირის სამართლის განვითარების (იგულისხმება ე.წ. „ზამთრის პაკეტის“ მოთხოვნებიც) წევრი სახელმწიფოების ნორმების იმპლემენტაციაში ასახვა, რაც ხელშემკვრიელი სახელმწიფოების ეროვნული თავისებურებით უნდა განისაზღვროს.⁸¹⁵

შესაბამისად, ევროკავშირის მიერ მიღებული „ზამთრის პაკეტის“ ცვლილებები სავალდებულო გახდება საქართველოსთვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ამას თავად გაერთიანება მოითხოვს და ამისთვის შესასრულებლად სავალდებულო აქტს გამოსცემს.⁸¹⁶ დაახლოებით ანალოგიური შინაარსისაა ასოცირების ხელშეკრულების დათქმაც, რომლის 417-ე მუხლი პირდაპირ მიუთითებს, რომ „დინამიკური ჰარმონიზაცია“ ასოცირების საბჭოს მიერ უნდა იქნეს მოთხოვნილი.⁸¹⁷

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის ამ დროისთვის (აპრილი, 2019) განახლებადი ენერჯის კანონის მოთხოვნების გადახედვას ენერგეტიკული გაერთიანების მხრიდან არ მომხდარა. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოს ვალდებულებად რჩება არსებული 2009 წლის დირექტივის ეროვნულ კანონმდებლობაში ინკორპორირება და არა ახალი დირექტივის მოთხოვნების შესრულება. ეს უკანასკნელი საქართველოსთვის შესასრულებლად ავტომატურად სავალდებულო ვერ გახდება, სანამ საკითხი არ განიხილება და ენერგეტიკული გაერთიანება არ გამოსცემს შესაბამის მავალდებულებელ სამართლებრივ აქტს. ამრიგად, საქართველომ უნდა უზრუნველყოს განახლებადი ენერჯის რეფორმის გაგრძელება

⁸¹⁴ VCLT, მუხლი 31.

⁸¹⁵ ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულება, მუხლი 24.

⁸¹⁶ იქვე, მუხლები 89-93.

⁸¹⁷ ასოცირების ხელშეკრულება, მუხლი 417.

ევროკავშირის 2009 წლის დირექტივის ფარგლებში და შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის შემუშავებაც სწორედ ამ აქტის პირობებს უნდა დაეფუძნოს.

5. განახლებადი ენერჯის კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პროცესი საქართველოში

დავადგინეთ რა, რომ საქართველოს განახლებადი ენერჯის კანონმდებლობის ევროპეიზაციის მთავარი მექანიზმი ევროკავშირის 2009/28/EC დირექტივაა, „განახლებადების“ სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩოს გაუმჯობესებაც აღნიშნული დირექტივის მოთხოვნების შესაბამისად უნდა წარიმართოს. მოთხოვნები მრავალგვარია. სპეციფიკურია მათი ეროვნულ დონეზე იმპლემენტაციაც. დირექტივა ბევრ სხვადასხვა საკითხს ეხება, რომელთა შორის არის:

- ეროვნული სამიზნე მაჩვენებლების საერთო წილის განსაზღვრა ენერჯის განახლებული წყაროებიდან მთლიან საბოლოო მოხმარებაში (იგულისხმება ტრანსპორტის სექტორიც);⁸¹⁸
- განახლებადი ენერჯის ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავება;
- სხვა ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება;
- ადმინისტრაციული ბარიერების შემსუბუქება, სერტიფიცირების სისტემის დანერგვა;
- ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის განვითარება; ბიოსაწვავის გამოყენების მდგრადობის კრიტერიუმების დადგენა;⁸¹⁹
- დაინტერესებული მხარეების საინფორმაციო ღონისძიებების ორგანიზება.

⁸¹⁸. ქვეყანა ასევე ვალდებულია 2020 წლისთვის ტრანსპორტის სექტორის მთლიან ენერგომოხმარებაში უზრუნველყოს სულ ცოტა 10 % განახლებადი ენერჯების წილი. უნდა შეიქმნას ეროვნული სამოქმედო გეგმა, რომელშიც დაფიქსირებული იქნება განახლებადი ენერჯების სამიზნე რაოდენობა/წილი 2020 წლის მთლიან ენერგომოხმარებაში, მათ შორის ტრანსპორტის სექტორის ენერგომოხმარებაში, და ელექტროენერჯისა და სითბოს მთლიან წარმოებაში. ტრანსპორტის საკითხზე მსჯელობა სცდება ნაშრომის აღნიშნული ნაწილის მიზნებს.

⁸¹⁹. დირექტივა მდგრად ბიოსაწვავად ისეთ საწვავს განსაზღვრავს, რომლის გამოყენებითაც მავნე სათბურის გაზების გაფრქვევები მცირდება მინიმუმ 35 % -ით.

დირექტივა მიზნად ისახავს ისეთი განახლებადი ენერჯის გარემოს შექმანს, რომელშიც ბაზრის მონაწილე მხარეები დაცული იქნებიან მოულოდნელი რისკებისგან, შენარჩუნებული იქნება ინვესტორთა ნდობა და გაძლიერდება ტრანსსასაზღვრო ვაჭრობა.⁸²⁰ ამისთვის იგი ხელშემწყობი მექანიზმების დაწესებას მოითხოვს, თუმცა დაწვრილებით არ განსაზღვრავს სავალდებულო ფორმებს. ყველა ქვეყანა, მათ შორის საქართველო, თავისუფალია საკუთარ არჩევანში. მხარდაჭერის სქემების გარდა დირექტივა ასევე მოიცავს სხვა ღონისძიებებს (მაგ. საინვესტიციო გრანტები და საგადასახადო შეღავათები⁸²¹), რომლებიც, როგორც წესი, დამხმარე ფუნქციას ასრულებენ. აღნიშნულ საკითხის წინამდებარე ნაშრომი დეტალურად არ მიმოიხილავს.

5.1. სავალდებულო ეროვნული სამიზნე მაჩვენებლები

განახლებადი ენერჯის დირექტივა იმ სავალდებულო სამართლებრივ ჩარჩოს აყალიბებს, რომლის ფარგლებშიც 2020 წლისთვის განსაზღვრული განახლებადი ენერჯის 20 %-იანი ზრდა მიიღწევა. მთავარი პრინციპული ვალდებულება (განახლებადი ენერჯის დირექტივის ფუნდამენტი), რითაც ეს მიზანი სრულდება – სავალდებულო ეროვნული სამიზნე მაჩვენებლების დაწესებაა.⁸²² ქვეყნები თავად წყვეტენ, თუ როგორ, რა მეთოდებითა და ფორმებით მიაღწევენ ეროვნულ დონეზე დასახულ მაჩვენებლებს. ამისთვის მთავრობები წარმოადგენენ ე.წ. „ქვემიზნებს,“ რომელიც განსაზღვრულ ვადაში უნდა შესრულდეს.⁸²³

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების სამიზნე მაჩვენებლების წილი დირექტივის მე-5-11 მუხლებით განისაზღვრება და თითოეული სახელმწიფოს შემთხვევაში არ უნდა იყოს 10 %-ზე

⁸²⁰ მალრაძე ნ. დირექტივა განახლებადი ენერჯის წყაროებიდან ენერჯის გამოყენების

ხელშემწყობის შესახებ ძირითადი მოთხოვნები და გამოწვევები საქართველოსთვის, წიგნში: იხ. ევროპის ენერგეტიკული გაერთიანება და რეფორმები საქართველოს ენერგეტიკაში, მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის (WEG), თბ., 2017, 47.

⁸²¹ დაწვრილ იხ. Communication From the Commission to the European Parliament and the Council on Renewable Energy: Progressing Towards The 2020 Target, Brussels, 31.1.2011 COM(2011) 31 final.

⁸²² დირექტივა, მუხლი 3 (1).

⁸²³ Woerdman E., Roggenkamp M., Holwerda M. Essential EU Climate Law, Edward Elgar Publishing, 2015, 34.

ნაკლები.⁸²⁴ ეროვნულ დონეზე მიღწეული პროგრესი შეიკრიბება და ასე გამოითვლება ევროკავშირის სამიზნე მაჩვენებლის საერთო დონე 2020 წლისათვის.⁸²⁵ ცხადია, ვალდებულება ქვეყნების მიმართ მერყეობს და დამოკიდებულია ეროვნული კანონმდებლობის თავისებურებებზე და სფეროში აქამდე მიღწეული პროგრესზე.⁸²⁶ სამიზნე მაჩვენებლების განსაზღვრა ეფუძნება რეალიზმისა და მოქნილობის პრინციპს, რომელიც ევროკავშირის მიერ 1998 წელს დაწესდა.⁸²⁷ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს წევრი სახელმწიფოების მიერ მაჩვენებლების შეუსრულებლობისთვის დაწესებული რაიმე სანქცია. ცხადია, ევროკომისიას აქვს შესაძლებლობა სარჩელი შეიტანოს წევრი სახელმწიფოს წინააღმდეგ ევროპული კავშირის სამართლის დარღვევის შესახებ, თუმცა, ამ საკითხს თავად დირექტივა ღიად ტოვებს. მაჩვენებლების მთავარი მიზანია მაქსიმალურად დაიცვას განახლებადი ენერჯის სფერო გაუთვალისწინებელი რისკებისგან. ინვესტორი დარწმუნებული უნდა იყოს გრძელვადიანი სტაბილური და მდგრადი საინვესტიციო გარემოს არსებობაში.⁸²⁸

მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ საქართველოს არ მოეთხოვება ევროკავშირის მიმართ სავალდებულო სამიზნე მაჩვენებლის განსაზღვრა 2020 წლისთვის. ამის მიზეზი ისაა, რომ საქართველო მოგვიანებით შეურთდა ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებას⁸²⁹ და დროის სიმცირის გამო შეუძლებელი იქნებოდა 2020 წლის სამიზნე მაჩვენებლების სავალდებულო წილის შესრულება. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ქვეყანამ საერთოდ თავი უნდა აარიდოს ამ ტიპის ტრანექტორიის განსაზღვრას. მართალია, სავალდებულო მაჩვენებლის დასახვას არ მოითხოვს ევროკავშირთან ენერგეტიკული თანამშრომლობის ჩარჩო, თუმცა, საქართველოს მთავრობა ვალდებულებული იქნება განსაზღვროს განახლებადი ენერჯის წილი ენერჯის მთლიან საბოლოო მოხმარებაში 2030 წლისთვის. აუცილებელი იქნება საბაზისო წილის

⁸²⁴ ცალკეული სახელმწიფოს მიერ შესრულების გეგმა დირექტივის პირველ დამატებით ოქმშია წარმოდგენილი. სამიზნე მაჩვენებლებს შორის ყველაზე მაღალია შვედეთის, (46 %) ლატვიისა (40 %) და ფინეთის (38 %) მაჩვენებლები, ხოლო ყველაზე დაბალი კი - მალტისა (10 %) და ლუქსემბურგის (11 %).

⁸²⁵ Talus K. *EU Energy Law and Policy: A Critical Account*, Oxford University Press, 2013, 193.

⁸²⁶ Woerdman E., Roggenkamp M., Holwerda M. *Essential EU Climate Law*, Edward Elgar Publishing, 2015, 132.

⁸²⁷ Czeberkus M. A. *Renewable Energy Sources: EU policy and law in light of integration*, Master Thesis, Faculty of Law, University of Iceland, 78.

⁸²⁸ იქვე.

⁸²⁹ Energy Community Annual Implementation Report, July, 2018.

დადგენაც.⁸³⁰ ამას მოითხოვს ის საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც საფუძვლად დაედება განახლებადი ენერჯის კანონის მიღებას. ქვეყანამ ასევე უნდა შეიმუშავოს ის ეფექტური ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს დასახული სამიზნეების მიღწევას.

5.2. განახლებადი ენერჯის ეროვნული სამოქმედო გეგმა

სავალდებულო სამიზნე მაჩვენებლების შესასრულებლად და პროგრესის შესამოწმებლად დირექტივის მე-4 მუხლი ქვეყნების მიერ განახლებადი ენერჯის ეროვნული სამოქმედო გეგმის⁸³¹ შემუშავებას მოითხოვს.⁸³² ეროვნული სამოქმედო გეგმის მიზანი ეროვნული სამიზნე მაჩვენებლების მისაღწევად დაგეგმილი მექანიზმების ინიცირება და მათი ეტაპობრივი განხორციელებაა. გეგმა დაწვრილებით უნდა ეხებოდეს განახლებადი ენერჯის სამ ძირითად ქვემომართულებას: ელექტროენერჯეტიკას, გათბობა-გაციებისა და ტრანსპორტირების საკითხებს. იგი უნდა წარმოადგენდეს იმ წინადადებებს, რომლებიც მოშლის ადმინისტრაციულ, რეგულირებისა და ტექნიკურ (მაგ. ქსელური) წინაღობებს განახლებადი ენერჯის საწარმოებლად.⁸³³ სამოქმედო გეგმის მთავარი ფუნქცია მაინც არსებული განახლებადი ენერჯის მდგომარეობის გამოთვლა და ანგარიშგებაა. ქვეყნებს, რომლებიც ვერ უზრუნველყოფს დასახული სამიზნე მაჩვენებლების მიღწევას, მოეთხოვებათ გარკვეულ ვადაში ხელახალი გეგმის შემუშავება და ევროკომისიისთვის წარდგენა.⁸³⁴

ენერჯეტიკული გაერთიანების წლიური ანგარიშის მიხედვით საქართველოში ამჟამად მიმდინარეობს ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომლის მიღების ბოლო ვადად დადგენილი იყო 2018 წლის 31 დეკემბერი.⁸³⁵ მისი შესრულება

⁸³⁰. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით ოფიციალურად მომზადებული პირველი ენერჯეტიკული ბალანსი 2014 წლით თარიღდება, შესაბამისად, ეს წელი უნდა იქნას მიჩნეული საბაზისოდ სამიზნე მაჩვენებლების გასაანგარიშებლად.

⁸³¹. ამისთვის ევროკავშირმა ნიმუშიც კი წარმოადგინა. Commission Decision 2009/548/EC of 30 June 2009 establishing a template for National Renewable Energy Action Plans under Directive 2009/28/EC of the European Parliament and of the Council OJ, L 182/33, (15.7.2009).

⁸³² დირექტივა, მუხლი 4.

⁸³³. Czeberkus M. A. Renewable Energy Sources: EU policy and law in light of integration, Master Thesis, Faculty of Law, University of Iceland, 133.

⁸³⁴ დირექტივა, მუხლი 4 (4).

⁸³⁵. ენერჯეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებაზე შეერთების ოქმი.

სავალდებულო იქნება განახლებადი ენერჯის კანონის მოთხოვნების შესაბამისადაც. საქართველომ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინიცირებით ათწლიანი სამოქმედო გეგმა უნდა შეიმუშავოს, რომელსაც პერიოდულად განახლებს და მასში ევროკავშირის კანონმდებლობის დინამიკურ ჰარმონიზაციას ასახავს.⁸³⁶

გეგმამ უნდა წარმოადგინოს ეროვნული სამიზნე მაჩვენებლები, რომელიც გათვალისწინებული იქნება ელექტროენერჯეტიკის, გათბობა-გაგრილების, ტრანსპორტისა და ენერგოეფექტურობის სექტორში. მან ასევე უნდა განსაზღვროს ის ადეკვატური ზომები და ღონისძიებები, რომლებიც სამიზნე მაჩვენებლების მისაღწევად უნდა გატარდეს.⁸³⁷ ხედვა უნდა მოიცავდეს ერთობლივი ტრანსსაზღვრო პროექტების განხორციელებების შესაძლებლობებს და სფეროში ცენტრალური, რეგიონული, ადგილობრივ მთავრობებს შორის თანამშრომლობის სავარაუდო სტანდარტებს.

5.3. სამიზნე მაჩვენებლების მიღწევის ღონისძიებები

5.3.1. მხარდაჭერის სქემები⁸³⁸

დირექტივის მე-3 მუხლი პირდაპირ მიუთითებს იმ წამახალისებელი მეთოდების აუცილებლობაზე, რომლებიც წევრმა სახელმწიფოებმა სამიზნე მაჩვენებლების მისაღწევად უნდა წარმოადგინონ საკუთარი იურისდიქციის ფარგლებში. „მხარდაჭერის სქემა“ ინსტრუმენტია, რომელსაც სახელმწიფო ცალკე ან ენერჯეტიკული გაერთიანების ხელშემკვრელ სხვა სახელმწიფოსთან, მესამე პირთან/ჯგუფთან ერთად წარმოადგენს. იგი განახლებადი ენერჯის კანონმდებლობის ქვაკუთხედი,⁸³⁹ რადგან მისი საშუალებით ხელი შეეწყო კერძო პირებისთვის სასურველი გარემოს შექმნას ენერჯეტიკულ ბაზარზე განახლებადი ენერჯის საწარმოებლად. მე-16 მუხლი ყურადღებას ამახვილებს წევრი

⁸³⁶ ამ ეტაპზე, ეს არ შეეხება ევროკავშირის განახლებადი ენერჯის ახალ კანონს. იხ. მსჯელობა წინა თავში.

⁸³⁷ დირექტივა, მუხლი 4 (5).

⁸³⁸ მარგველაშვილი მ., მაღალაშვილი ა., კვარაცხელია თ., უმხვანი ლ., მუხიგულიშვილი გ. საქართველოს ენერჯეტიკული სექტორი ევროკავშირთან ასოცირების კონტექსტში, მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის (WEG), თბ., 2015, 119.

⁸³⁹ Krüger H. European Energy Law and Policy, Edward Elgar Publishing, 2016, 154.

სახელმწიფოებისგან შესაბამისი ადმინისტრაციული და საოპერაციო საქმიანობების შესრულებაზე,⁸⁴⁰ რათა შესაძლებელი იყოს განახლებადი წყაროებიდან გენერირებული ენერჯის საბოლოო მომხმარებელამდე დაუბრკოლებელი მიტანა. ამისთვის წევრმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს განახლებადი წყაროებიდან წარმოებული ენერჯის პრიორიტეტული, გარანტირებული წვდომა.⁸⁴¹

ასეთი მხარდაჭერის სქემა სხვადასხვაგვარია⁸⁴² და, ძირითადად, საინვესტიციო და საოპერაციო მხარდაჭერას მოიცავს.⁸⁴³ ეს შეიძლება განხორციელდეს განახლებადი ენერჯის წარმოებისთვის გადასახადებისაგან გათავისუფლებით, გადასახადების უკან დაბრუნებით, ღირებულების შემცირებით, გასაყიდი ფასის ზრდით, სპეციალური (მწვანე) ტარიფებით,⁸⁴⁴ მწვანე სერტიფიკატებით,⁸⁴⁵ კონკურენტული აუქციონები, საკრედიტო ინსენტივები და სხვა ალტერნატიულ ენერჯიასთან დაკავშირებული ვალდებულების სხვაგვარად შემსუბუქებას მეთოდებით.⁸⁴⁶

⁸⁴⁰ დირექტივა, მუხლი 16 (2).

⁸⁴¹ Talus K. EU Energy Law and Policy: A Critical Account, Oxford University Press, 2013, 123.

⁸⁴² Laubeer V. The European Experience with Renewable Energy Support Schemes and Their Adoption: Potential Lessons for Other Countries, 2011, 120.

⁸⁴³ იხ. Fouquet D., Jones C. EU Energy Law: Vollume III – Book Two, Renewable Energy in the Member States of the EU, Second Edition, Claeys & Casteels Publishing, 2015.

⁸⁴⁴ ძირითადი განსხვავება გარანტირებული ტარიფს/გარანტირებული პრემიუმს და კონკურენტულ აუქციონებს შორის არის ის, რომ პირველ შემთხვევაში ელექტროენერჯის მოცულობას განსაზღვრავენ ბაზრის მონაწილეები, ხოლო ფასი მთლიანად ან ნაწილობრივ დაწესებულია მარეგულირებელი ორგანოს მიერ. მეორე შემთხვევაში ელექტროენერჯის მოცულობა განისაზღვრება მარეგულირებლის მიერ, ფასი კი განისაზღვრება ბაზრის მონაწილეებს შორის კონკურენციის საფუძველზე. იხ. მაღრაძე მაღრაძე ნ. დირექტივა განახლებადი ენერჯის წყაროებიდან ენერჯის გამოყენების

ხელშეწყობის შესახებ ძირითადი მოთხოვნები და გამოწვევები საქართველოსთვის, წიგნში: იხ. ევროპის ენერგეტიკული გაერთიანება და რეფორმები საქართველოს ენერგეტიკაში, მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის (WEG), თბ., 2017.

⁸⁴⁵ მწვანე სერტიფიკატი - ტერმინი ძირითადად გამოიყენებოდა ევროპაში, მაგრამ უკვე უფრო ფართოდ გავრცელებულია გლობალურად - იგი არის სასაქონლო ნიშანი, რომელიც ადასტურებს, რომ გარკვეული ელექტროენერჯია გამომუშავდება განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენებით. აქტიურად გამოიყენება საფრანგეთში, ინგლისში, ლატვიაში. მეტი ინფორმაციისთვის იხ. მარგველაშვილი მ., მაღალაშვილი ა., კვარაცხელია თ., უმზვანი ლ., მუხიგულიშვილი გ. საქართველოს ენერგეტიკული სექტორი ევროკავშირთან ასოცირების კონტექსტში, მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის (WEG), თბ., 2015, 98.

⁸⁴⁶ დაწვრ. იხ. Kahles M., Muller T. Powerful National Support System Versus Europe-Wide Harmonisation – Assessment Of Competing And Convergin Support Instruments, წიგნში: Hinrichs-Rahlwes R., Sustainable Energy Policies For Europe, CRC Presss, 2013.

საილუსტრაციოდ, რამდენიმე ასეთი „ცნობილი“ მხარდაჭერის სქემაა ე.წ. გრძელვადიანი გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულება (*Feed-in-tariffs/FiT*)⁸⁴⁷ და ფიქსირებული პრემიუმების სისტემა (*Feed-in-Premium/FiP*) მოდელები, რომლებიც, ტრადიციულად, ელექტროენერგეტიკის სექტორში განახლებადი ენერჯის წვლილის გასაზრდელად გამოიყენება.⁸⁴⁸ FiT-ის ფარგლებში განახლებადი ენერჯის მწარმოებლები გრძელვადიან სასურველ ტარიფს იღებენ და გარანტირებული ქსელური წვდომით აღიჭურვებიან.⁸⁴⁹ FiP ნიშნავს, რომ მწარმოებელი იღებს საბაზრო ღირებულების დამატებით თანხას.⁸⁵⁰ მხარდამჭერი სქემების წახალისების საკითხში პოზიტიურია ევროკომისია. უკანასკნელ წლებში მან ბევრი საკამათო მხარდაჭერის სქემა ევროკავშირის კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაში მიიჩნია⁸⁵¹ და განაცხადა, რომ ისინი არ ეწინააღმდეგება ევროპის ოთხი თავისუფლებისა (*four freedoms*)⁸⁵² და სახელმწიფო დახმარების (*state aid*) წესებს.⁸⁵³

განახლებადების მხარდაჭერის არასაკმარისი მექანიზმები დღევანდელი ქართული განახლებადი ენერჯის კანონმდებლობის მთავარი გამოწვევაა. საქართველოს კანონი „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ,“ ისევე როგორც მისი თანამდევი მარეგულირებელი აქტები, არ ქმნიან განახლებადი ენერჯის წახალისების სათანადო სტანდარტებს. პრობლემურ საკითხად რჩება ჰიდრო დეველოპერების მიერ მთელი წლის განმავლობაში FiT-ის მოთხოვნა, სეზონური გენერაციის პირობებში. არსებული ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებების

⁸⁴⁷ განსაკუთრებით გამოიყენება გერმანიაში, დანიაში, ესპანეთსა და ფინეთში. იხ. მარგველაშვილი მ., მაღალაშვილი ა., კვარაცხელია თ., უშხვანი ლ., მუხიგულიშვილი გ. საქართველოს ენერგეტიკული სექტორი ევროკავშირთან ასოცირების კონტექსტში, მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის (WEG), თბ., 2015, 98.

⁸⁴⁸ აქვე, აუცილებელია აღინიშნოს, რომ ბოლო პერიოდში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ე.წ. განახლებადი ენერჯის აუქციონები, როგორც სფეროს წახალისების ერთ-ერთი ყველაზე ახალი და თანამედროვე მექანიზმები, რომლებმაც შესაძლოა გადაფაროს FiT-ის წარმატებული გამოცდილება.

⁸⁴⁹ Fowlie M. The Renewable Energy Auction Revolution, 2017 <<https://energypost.eu/the-renewable-energy-auction-revolution/>> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 07.06.2019.

⁸⁵⁰ Talus K. Introduction to EU Energy Law, Oxford University Press, 2016, 123.

⁸⁵¹ ერთ-ერთი კონკრეტული შემთხვევის გასაცნობად იხ. <http://ec.europa.eu/competition/index_en.html> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 07.06.2019.

⁸⁵² ამ საკითხზე იხ. Enchelmaier S. Four Freedoms, Ever More Principles? Oxford Journal of Legal Studies, Vol. 36 (1), 2016, 192–217.

⁸⁵³ Krüger H. European Energy Law and Policy, Edward Elgar Publishing, 2016, 158.

ჩარჩო სრულად არ შეესაბამება ევროკავშირის *acquis*-ის,⁸⁵⁴ ამახინჯებს ბაზარს და თანხვედრაში არ მოდის სახელმწიფო დახმარების წესებთან.⁸⁵⁵ შესაბამისად, აქტუალურია ქმედითი მხარდაჭერის გეგმების შემუშავება⁸⁵⁶ და შემდგომში მისი საკანონმდებლო უზრუნველყოფა. გასათვალისწინებელია სახელმწიფო უწყებების კოორდინირებული მუშაობის აუცილებლობა, რაც შეამსუბუქებდა ბარიერებს შესაბამისი პროექტების ეფექტურად განხორციელებისათვის.⁸⁵⁷

ყურადღების მიღმა არც ის უნდა დარჩეს, რომ ენერგეტიკული გაერთიანების წევრი სახელმწიფოები შესაძლოა მონაწილეობდნენ ერთობლივ მხარდაჭერის სქემებში.⁸⁵⁸ ეს კი იმას ნიშნავს, რომ შესაბამისი პირობების შემთხვევაში საქართველოს ექნება შესაძლებლობა ენერგეტიკული გაერთიანების რომელიმე ხელშემკვრელ მხარესთან ერთად განავითაროს ერთი ან რამდენიმე მხარდაჭერის სქემა. ენერგეტიკული გაერთიანების წლიური ანგარიშის მიხედვით, ამ თვალსაზრისით, საქართველოს ჯერ კიდევ ბევრი აქვს სამუშაო და არსებული მდგომარეობით იგი მხოლოდ 35 % ით შეესაბამება ევროპულ მოთხოვნებს.⁸⁵⁹

5.3.2. ერთობლივი პროექტები

დირექტივა ინდივიდუალური სამიზნე მაჩვენებლების მიღწევისათვის ქვეყნებს შორის თანამშრომლობის შესაძლებლობას ითვალისწინებს.⁸⁶⁰ მოცემულ კონტექსტში განსაკუთრებულად

⁸⁵⁴ განმარტებულია ნაშრომის მესამე ნაწილში.

⁸⁵⁵ მალრაძე ნ. დირექტივა განახლებადი ენერჯის წყაროებიდან ენერჯის გამოყენების ხელშეწყობის შესახებ ძირითადი მოთხოვნები და გამოწვევები საქართველოსთვის, წიგნში: იხ. ევროპის ენერგეტიკული გაერთიანება და რეფორმები საქართველოს ენერგეტიკაში, მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის (WEG), თბ., 2017, 48.

⁸⁵⁶ იგი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს უნდა დაევალოს.

⁸⁵⁷ მალრაძე ნ. დირექტივა განახლებადი ენერჯის წყაროებიდან ენერჯის გამოყენების

ხელშეწყობის შესახებ ძირითადი მოთხოვნები და გამოწვევები საქართველოსთვის, წიგნში: იხ. ევროპის ენერგეტიკული გაერთიანება და რეფორმები საქართველოს ენერგეტიკაში, მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის (WEG), თბ., 2017, 51.

⁸⁵⁸ პირველი ასეთი შემთხვევაა შვედეთისა და ნორვეგიის მხარდაჭერის სქემა. დაწვრ. იხ. <http://ec.europa.eu/competition/state_aid/modernisation/centenolopez_en.pdf>

უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 07.06.2019.

⁸⁵⁹ Energy Community Annual Implementation Report, July, 2018, 70.

⁸⁶⁰ ასე მაგალითად, ე.წ. „ხმელთაშუა ზღვის მზის გეგმა“ ევროპასა და ჩრდილო-აფრიკის (არაბეთის) ქვეყნებს შორის თანამშრომლობის პოტენციალის შესწავლას

საინტერესოა დირექტივის მე-9 მუხლი, რომელიც დასახული გეგმების შესასრულებლად ევროკავშირისა და ენერგეტიკული გაერთიანების წევრებს ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის უფლებით აღჭურავს.⁸⁶¹ ეს დათქმა, ბუნებრივია, ვრცელდება საქართველოზეც. ქვეყანას შეუძლია მონაწილეობა მიიღოს განახლებადი წყაროებიდან ელექტროენერჯის წარმოების ერთობლივ პროექტებში ენერგეტიკული გაერთიანების სხვა ხელშემკვრელ სახელმწიფოებთან, ასეთი სახელმწიფოების კერძო ოპერატორთან და/ან მესამე ქვეყნებთან (ენერგეტიკული გაერთიანების არა წევრი სახელმწიფოები). ეს შეიძლება მოიცავდეს, როგორც რამდენიმე მხარდაჭერის სქემის გაერთიანებასა და მათ ერთობლივ მართვა-კოორდინაციას, ისე ნებისმიერი სხვა სახის ინიციატივას. ასეთი თანამშრომლობა ქვეყნისთვის უაღრესად რელევანტურია, რამდენადაც იგი ემსახურება არა მხოლოდ დასახული სამიზნე მაჩვენებლების მიღწევას, არამედ სამომავლო რენტაბელური ერთობლივი პროექტებისა და ინიციატივების განხორციელებას.

6. ძირითადი რეკომენდაციები

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს განახლებადი ენერჯის სამართლის უმთავრესი გამოწვევა სპეციალური კანონის არ არსებობაა. გამომდინარე იქიდან, რომ ქვეყანას არ აქვს დარგის მომწესრიგებელი წესების სისტემური ერთობლიობა, ქაოტური და მიმოფანტულია განახლებადების სფეროში არსებული ნორმატიული ბაზა. სწორედ ამიტომ, საქართველოს განახლებადი ენერჯის კანონმდებლობის ევროპეიზაცია ფუნდამენტური, არსებითი სახის რეფორმას საჭიროებს.

პოტენციური რეფორმის ზემოთმოყვანილმა სამართლებრივმა ანალიზმა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი გამოკვეთა. დაკვირვების საფუძველზე შემუშავდა განახლებადი ენერჯის კანონმდებლობის ევროპეიზაციის ათი **ძირითადი რეკომენდაცია**.⁸⁶²

გულისხმობს, რის შედეგადაც ელექტროენერჯიამ ზღვის ქვეშ არსებული დამაკავშირებელი ქსელი უნდა გამოიყენოს გენერირებული ენერჯის (ენერჯის ფიზიკური ტრანსპორტირება უნდა მოხდეს) ევროპისთვის მიწოდებისთვის.

⁸⁶¹ დირექტივა, მუხლი 9 (8).

⁸⁶² რეკომენდაციებზე მუშაობისას მხედველობაში იქნა მიღებული ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს შეფასებები და ქვეყნის ეროვნული ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები.

1. განახლებადი ენერჯის სფეროს რეფორმირება უნდა წარმართოს ევროკავშირის სუფთა ენერჯის სტრატეგიისა და თანამედროვე ენერჯეტიკის სამართლის პრინციპების შესაბამისად

საკითხი დეტალურად ნაშრომის პირველ (თანამედროვე ენერჯეტიკის სამართალი) და მეორე (ევროკავშირის ენერჯეტიკული პოლიტიკა) ნაწილებში იქნა განხილული, სადაც გაანალიზდა ჯანსაღი, მომავალ თაობებზე ორიენტირებული ენერგორეგულირების ფუნდამენტი. პირველ ორ ნაწილში ასევე ხაზი გაესვა კლიმატის ცვლილების ჩარჩოს მნიშვნელობას, ენერჯეტიკული კავშირის (2015) ღირებულებებსა და „ზამთრის პაკეტის“ მოთხოვნებს. აქცენტი გაკეთდა განახლებადი ენერჯის სამართლის „ყოველმხრივი მიდგომის“ აუცილებლობაზეც.

2. საქართველოში უნდა მომზადდეს და მიღებულ იქნას სპეციალური კანონი განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების შესახებ

სფეროს რეფორმირების გასაღები მარეგულირებელი გარემოს სისტემურობა და მწყობრად ჩამოყალიბებული წესების ერთობლიობაა. გამომდინარე იქიდან, რომ ამ მომენტისთვის განახლებადი ენერჯის კანონმდებლობა ზედაპირულია და შორსაა დარგის სრულყოფილი რეგულირებისაგან, არსებულ კანონებში (მათ შორის სფეროს მარეგულირებელი მთავარი საკანონმდებლო აქტი) ცვლილებების შეტანა საკმირისი ვერ იქნება. ამრიგად, საჭიროა ახალი, სპეციალური კანონის შემუშავება. სადისერტაციო ნაშრომი შეგნებულად არიდებს თავს ნორმატიული აქტის სავარაუდო ფორმაზე დეტალურ მსჯელობას. რამდენადაც სფეროს ჯეროვანი დარეგულირებისთვის აუცილებელია სამართლებრივი უფლებამოსილების მაღალი დონე, უპირატესობა, სავარაუდოდ, საკანონმდებლო ნორმატიულ აქტს უნდა მიენიჭოს.⁸⁶³

⁸⁶³. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იხ. დემეტრაშვილი ა., კობახიძე ი. კონსტიტუციური სამართალი, საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“, თბ., 2011.

3. განახლებადი ენერჯის სპეციალური კანონი სრულ შესაბამისობაში უნდა იყოს ევროკავშირის 2009 წლის განახლებადი ენერჯის დირექტივასთან

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ასოცირების ხელშეკრულებისა და ენერგეტიკული გაერთიანების მოთხოვნების მიხედვით ვალდებულება ევროკავშირის დირექტივის იმპლემენტაცია, ეს პროცესი არ უნდა იქნეს დანახული, როგორც ქვეყნის ნეგატიური ვალდებულება. ზემოთმოყვანილი სამართლებრივმა ანალიზმა ცხადყო, რომ ევროკავშირის სამართლის მიდგომები სრულიად მისაღებია ქართული განახლებადი ენერჯის სფეროსთვის. რეფორმირების მთავარი ინსტრუმენტი კი სწორედ დასახელებული დირექტივაა. ამასთან, ზემოთ დადასტურდა, რომ აუცილებლობას არ წარმოადგენს დინამიკური ჰარმონიზაცია. ქვეყანა ვალდებულია გადმოიტანოს ევროკავშირის 2009/28/EC-ის დირექტივა და არა ე.წ. „ზამთრის პაკეტი“ გათვალისწინებული განახლებადი ენერჯის ახალი დირექტივა. (იხ. ნაშრომის მეოთხე ნაწილის მეოთხე თავი).

4. განსაზღვროს სამიზნე მაჩვენებლები და მომზადდეს განახლებადი ენერჯის ეროვნული სამოქმედო გეგმა

საქართველოს მთავრობამ უნდა განსაზღვროს განახლებადი ენერჯის წყაროების წილი მთლიან ენერგომომხმარებაში 2030 წლისთვის. იგი შესაძლოა არ ემთხვეოდეს ევროკავშირის 2009 წლის განახლებადი ენერჯის დირექტივის სამიზნე მაჩვენებლების სტანდარტს, რომელზეც ზემოთ უფრო დაწვრილებით ვიმსჯელებთ.

იმისათვის, რომ ეროვნული სამიზნე მაჩვენებლების მიღწევა იყოს რეალისტური, აუცილებელია შემუშავდეს განახლებადი ენერჯის ერთიანი სამოქმედო გეგმა. გეგმის მიხედვით უნდა დადგინდეს მოდელები, სტრატეგიები და სფეროს გრძელვადიანი ხედვები.⁸⁶⁴ გეგმამ ასევე უნდა განსაზღვროს მისაღწევი შუალედური და საბოლოო შედეგები,

⁸⁶⁴ მალრადე ნ. დირექტივა განახლებადი ენერჯის წყაროებიდან ენერჯის გამოყენების ხელშეწყობის შესახებ ძირითადი მოთხოვნები და გამოწვევები საქართველოსთვის, წიგნში: იხ. ევროპის ენერგეტიკული გაერთიანება და რეფორმები საქართველოს ენერგეტიკაში, მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის (WEG), თბ., 2017, 51.

ანგარიშვალდებულების შესაბამისი პირობები. გეგმაში გაწერილი უნდა იყოს ქვეყნის მიზნები, თუ როგორ განავითარებს იგი სიმძლავრეებს. მას თან უნდა ახლდეს ტექნიკურ-ეკონომიკური და ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზი.⁸⁶⁵ გეგმის შემუშავება საქართველოს მთავრობასა და ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოსთან მჭიდრო თანამშრომლობისა და კონსულტაციების ფორმატში უნდა წარიმართოს.

5. განვითარდეს მხარდაჭერის სქემები (ხელშეწყობის მექანიზმები)

განახლებადი ენერჯის წარმატება წამახალისებელ მეთოდებსა და სათანადო ეფექტურ ინსტრუმენტებზეა დამოკიდებული. ევროკავშირის ჩარჩო აწესებს ასეთი ეროვნული ინსტრუმენტების განვითარების ვალდებულებას, მაგრამ ტოვებს ფორმის შერჩევის თავისუფლებას. საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით საქართველოში სამუშაო ჯერ კიდევ ბევრია, რადგან მხარდაჭერის სქემების არსებული კანონმდებლობა საკმაოდ ბუნდოვანია. საკმარისი ვერ იქნება სფეროს სპეციალური კანონით დარეგულირებაც. მნიშვნელოვანია, დროულად შემუშავდეს საჭირო პროგრამები, რომლებიც წაახალისებს კერძო სექტორსა და სხვა დაინტერესებულ სუბიექტს განახლებადი ენერჯის სფეროში ინვესტირებისთვის. აუცილებელია, ქსელზე პრიორიტეტული ან გარანტირებული დაშვება გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული პროცედურების საფუძველზე წარიმართოს. წინასწარ ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული ქსელის განვითარების პრიორიტეტები და შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს ახალი ენერგოსადგურების მშენებლობასთან. ქსელზე დაშვებისა და მისი ოპერირების საკითხში გადაწყვეტი როლი უნდა მიენიჭოს სემეკს. კომისიამ აუცილებელი ნაბიჯები უნდა გადადგას გადამცემი და გამანაწილებელი ქსელის ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად (ე.წ. ჭკვიანი ქსელების განვითარება). ამით უზრუნველყოფილი იქნება ელექტროენერგეტიკული სისტემის უსაფრთხო ოპერირება.

⁸⁶⁵ იქვე.

ყურადღება უნდა დაეთმოს ლიცენზირებისა და ავტორიზაციის პროცედურების გამარტივებას, რაც უმნიშვნელოვანესია განახლებადი ენერჯის წახალისებისთვის. ევროკავშირის დირექტივის მოწოდება⁸⁶⁶ გამარტივებული პროცედურების შესახებ რეალურ შედეგებში უნდა აისახოს. ამის სამართლებრივი ლეგიტიმაცია განახლებადი ენერჯის ახალმა კანონმა უნდა მოახდინოს.

6. ხელი შეეწყოს ერთობლივი პროექტების განხორციელებას

ზემოთ ვიმსჯელებთ, რომ ევროკავშირის ენერგეტიკული პოლიტიკა და მისი სამართლებრივი რეგულირება წევრ სახელმწიფოებს შორის განახლებადი ენერჯის სფეროში თანამშრომლობის სხვადასხვა შესაძლებლობას ითვალისწინებს. ამდენად, არსებული სამართლებრივი რეგულირება საქართველოს აძლევს უფლებამოსილებას, რომ ითანამშრომლოს თანამეგობრობის ხელშემკვრელ სახელმწიფოებთან განახლებადი ენერჯის ერთობლივ პროექტებში. ეს უდიდესი შესაძლებლობაა საქართველოს ენერგეტიკის სექტორის რეფორმირებისათვის, რომელიც ქვეყანამ ეფექტურად უნდა გამოიყენოს. ერთობლივი პროექტების მარეგულირებელი ნორმები სპეციალურ კანონში დეტალურად უნდა გაიწეროს.

7. მჭიდრო თანამშრომლობა ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოსთან

ენერგეტიკული თანამეგობრობასთან თანამშრომლობა ქართული განახლებადი ენერჯის სამართლის ევროპეიზაციის აუცილებელი კომპონენტია. საქართველოს მთავრობამ უნდა უზრუნველყოს რეგულარული და სტაბილური თანამშრომლობა გაერთიანების სამდივნოსთან. იგი, ერთი მხრივ, წარმატებული გამოცდილების გაზიარებას მოემსახურება, ხოლო, მეორე მხრივ, მონიტორინგის პროცედურას გაამარტივებს. საქართველომ უნდა წარადგინოს ანგარიში განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯის ხელშეწყობისა და გამოყენების შესახებ, განახლებადი ენერჯის

⁸⁶⁶ დირექტივა, მუხლი 13.

სამოქმედო გეგმის სტატუსისა და კანონების მომზადების შესახებ. ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს მხრიდან რეკომენდაციების გაცემის შემთხვევაში, საქართველოს მთავრობამ უნდა გაითვალისწინოს ისინი. ამასთან, ეს პროცესი უნდა შეფასდეს არა როგორც ანგარიშგების მკაცრი მექანიზმი, არამედ როგორც შესაძლებლობა მომავალი, კიდევ უფრო ღრმა ენერგეტიკული თანამშრომლობისათვის.

8. მჭიდრო თანამშრომლობა ევროკომისიის ტექნიკური დახმარების ინსტრუმენტებთან

ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოსთან მჭიდრო თანამშრომლობა არ უნდა იყოს საქართველო-ევროკავშირის უწყებებთან დიალოგის ერთადერთი ფორმატი. აუცილებელია, საქართველოს მთავრობამ განახლებადი ენერჯის სფეროში მიმდინარე რეფორმების შესახებ აქტიური კომუნიკაცია იქონიოს ევროკომისიასთან და მისი ტექნიკური დახმარების ინსტრუმენტებთან. ასოცირების იმპლემენტაციის 2019 წლის ევროპულ ანგარიშში⁸⁶⁷ ნახსენებია საქართველოს პროგრესი ენერგეტიკული კანონმდებლობის ჰარმონიზაციის მიმართულებით. იგი ასევე ხაზს უსვამს განახლებადების კანონმდებლობის (განსაკუთრებით - ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა) გაჯანსაღებასა და განახლებადი ენერჯის წილის ზრდას მთლიან საბოლოო ენერგომომხმარებაში. საგულისხმოა, რომ ანგარიშში აღნიშნულია ენერგეტიკის ფინანსური მხარდაჭერის პროგრამა, EU4Energy, რომელზეც ნაშრომის წინა ნაწილში ვიმსჯელებთ.

საქართველოს მთავრობამ ენერგეტიკის მიმართულებით უნდა განაგრძოს აქტიური თანამშრომლობა ევროკომისიასთან, რათა სექტორი გამოიკვეთოს ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტულ ფინანსურ მიმართულებად⁸⁶⁸ ევროკავშირი-საქართველოს ტექნიკური დახმარების კონტექსტში. წინააღმდეგ შემთხვევაში რთული იქნება განახლებადი ენერჯის მაღალტექნოლოგიური გარდაქმნების ეროვნულ დონეზე უზრუნველყოფა.

⁸⁶⁷. European Commission, Joint Staff Working Document, Association Implementation Report on Georgia, Brussels, 30.1.2019.

⁸⁶⁸. იგი აქამდე, უდავოდ, ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენდა. იხ. European Commission, Joint Staff Working Document, Association Implementation Report on Georgia, Brussels, 30.1.2019 (მეოთხე ნაწილი).

ევროკომისიასთან თანამშრომლობის პროცესზე უარყოფითი ზეგავლენა არ უნდა იქონიოს მოსალოდნელმა ევროპულმა არჩევნებმა და ევროკომისიის ხელახალმა ფორმირებამ.⁸⁶⁹

9. დეტალური გზამკვლევის შემუშავება

განახლებადი ენერჯის კანონმდებლობის ევროპეიზაციისთვის უმნიშვნელოვანესია ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეების კოორდინირებული მუშაობა, რათა მაქსიმალურად იქნეს აცილებული უფლებამოსილებების ერთმანეთში აღრევა. მასში იგულისხმება, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების (საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო), ისე კერძო, არასამთავრობო და დონორთა სექტორის შეთანხმებული მოქმედება. აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია განახლებადი ენერჯის ევროპეიზაციის გზამკვლევის შემუშავება. იგი დეტალურად გაწერდა პროცესის მიმდინარეობას და ხელს შეუწყობდა დაინტერესებული სუბიექტების შეთანხმებულ ოპერირებას.

10. გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო სექტორის ჩართულობა და საზოგადოების ინფორმირებულობა

დაბოლოს, სამართლის რეფორმის სოციალური მხარე (იხ. ნაშრომის პირველი თავი), უდავოდ, განახლებადი ენერჯის კანონმდებლობის ევროპეიზაციის უმნიშვნელოვანესი ასპექტია. საქართველო არპუსის კონვენციის ხელშემკვრელი მხარეა (1998),⁸⁷⁰ რომლის მიხედვითაც გარანტირებულია „ყველა დაინტერესებული მხარისთვის გარემოსდაცვითი ინფორმაციის და მასთან დაკავშირებულ მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობა.“⁸⁷¹ მასში ასევე გათვალისწინებულია საზოგადოების გადაწყვეტილებების

⁸⁶⁹. ევროპარლამენტის არჩევნები 2019, <<http://www.europarl.europa.eu/at-your-service/en/be-heard/elections>> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 07.06.2019.

⁸⁷⁰. კონვენცია „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ.“

⁸⁷¹. იქვე, მუხლი 1.

მიღების პროცესში ჩართულობა.⁸⁷² ენერგეტიკა ერთ-ერთი ის დარგია, რომელშიც მაღალია გარემოზე ზემოქმედების რისკი (იხ. ნაშრომის პირველი და მეორე ნაწილი). შესაბამისად, ევროდირექტივის მოთხოვნების პარალელურად, ენერგოსექტორის რეფორმირების პროცესზე გავრცელდება არჰუსის კონვენციის საერთაშორისო ნორმებიც და მასში გარდაუვალი იქნება სამოქალაქო საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციების ინფორმირება და მათსი მალური ჩართულობა. აუცილებელია ჩატარდეს ისეთი საინფორმაციო ღონისძიებები, რომლებსაც არ ექნება ერთჯერადი ხასიათი. ენერგეტიკული ინფორმაციის და მონაცემების გამჭვირვალობა⁸⁷³ (მაგ. განახლებადი ენერჯის წახალისების მიზნით დადებული გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებები) უზრუნველყოფილი უნდა იყოს ყველა დაინტერესებული მხარისთვის, იქნება ის მომხმარებელი, მომწოდებელი, მშენებელ-არქიტექტორი თუ ინვესტორი.⁸⁷⁴ ცნობიერების ამაღლების მიზნით, ენერგეტიკული სექტორის სამართლებრივი რეფორმის შესახებ საჯარო ინფორმაცია უნდა განთავსდეს შესაბამის ინტერნეტ პორტალებზე ან ხელმისაწვდომი უნდა იყოს სხვა საჯარო ფორმით.

⁸⁷² იქვე, მუხლი 3.

⁸⁷³ დეტალური ანალიზისთვის იხ. მარგველაშვილი მ., წურწუშია თ., თოდრაძე გ. მუხიგულიშვილი გ., კვარაცხელია თ. „ინფორმაციის და მონაცემების გამჭვირვალობა ენერგეტიკაში“, წიგნში: ევროპის “ენერგეტიკული გაერთიანება” და რეფორმები საქართველოს ენერგეტიკაში, მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის (WEG), თბ., 2017, 1-40.

⁸⁷⁴ მალრაძე ნ. დირექტივა განახლებადი ენერჯის წყაროებიდან ენერჯის გამოყენების ხელშეწყობის შესახებ ძირითადი მოთხოვნები და გამოწვევები საქართველოსთვის, წიგნში: იხ. ევროპის ენერგეტიკული გაერთიანება და რეფორმები საქართველოს ენერგეტიკაში, მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის (WEG), თბ., 2017, 52.

VI. დასკვნა

წინამდებარე დისერტაცია ცხადყოფს, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის წევრობა და ამ ფონზე მმართველობის თანამედროვე პრინციპების დამკვიდრება, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემა, კანონის უზენაესობის განმტკიცება, კონსენსუსის კულტურის გათავისება და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა უდიდესი სარგებელია იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც არ გამოირჩევიან მდიდარი წიაღისეულით, ტერიტორიის სიდიდითა და განსაკუთრებული სტრატეგიული გეოგრაფიული მდებარეობით. გლობალიზაცია-ევროპეიზაციის საკითხებზე მიმდინარე სამეცნიერო დებატში აღიარებულია, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა ხელს უწყობს არა მხოლოდ საუკეთესო გამოცდილების გაზიარებას, არამედ ბევრი შიდასახელმწიფოებრივი წინააღმდეგობისა თუ პრობლემის დაძლევას. იზიარებს რა აღნიშნულ პოზიციას სადისერტაციო ნაშრომი, იგი ემხრობა „ნორმატიული რაციონალურობის“⁸⁷⁵ კონტექსტში ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობას. გლობალური სამართლებრივი წესრიგის აღმოცენება ააშკარავებს, რომ სამართლის შემდგომი განვითარება სულ უფროდაუფრო ეფუძნება კოჰაბიტაციას განსხვავებულ სამართლებრივ სისტემათა შორის.

კვლევის შედეგად ირკვევა, რომ დღეს ქართული ენერგეტიკის სამართლის ჰარმონიზაცია დარგის რეფორმირების ძირითადი მექანიზმია. ამასთან, თუ საქართველოს ენერგეტიკის სამართლის რეფორმა განხორციელდება ასოცირების ხელშეკრულებითა და ენერგეტიკული გაერთიანებით ნაკისრი სამართლებრივი ვალდებულებების ფარგლებში, მაშინ მიღწეულ იქნება ქართული განახლებადი ენერჯის კანონმდებლობის ევროპეიზაცია. ნაშრომის დასკვნითი დებულებები შესაძლებელია შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

1. ენერგეტიკის სამართალი ახალი და განვითარებადი სამართლებრივი დარგია, რამაც განსაკუთრებული მნიშვნელობა კლიმატის ცვლილებისა და მდგრადი განვითარების გლობალური პროცესების ფონზე შეიძინა. მისი სწრაფი ტემპით ევოლუცია სამართლებრივი დინამიზმისა და იურიდიული რეფორმის შედეგია, რომლის მიმართ გაზრდილი ინტერესი გასული საუკუნის 70-იანი წლების არაბულ ემბარგოსა და ნავთობპროდუქტებზე ფასების უცვარ

⁸⁷⁵. See Krawietz W., Summers R. Prescriptive Formality and Normative Rationality in Modern Legal Systems: Festschrift for Robert S. Summers, Duncker & Humblot, Berlin, 1994.

ზრდას უკავშირდება, რა დროსაც შეუქცევადი გახდა მსოფლიო ენერგოდამოკიდებულების პრობლემა და გააქტიურდა ენერგეტიკული რეგულირების საკითხები. საქართველოში თანამედროვე ენერგორეგულირება სათავეს 1997 წლიდან იღებს, როცა მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ და ჩამოყალიბდა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია.

2. „ენერგეტიკის სამართალი იმ უფლებებისა და ვალდებულებების ერთობლიობაა, რომლითაც ენერგორესურსების ექსპლუატაცია წესრიგდება ინდივიდებს, ინდივიდებსა და სახელმწიფოს, სახელმწიფოსა და სხვა სუბიექტებს შორის.“ ენერგეტიკის სამართლის აღნიშნული დეფინიციის შემუშავების პარალელურად, ხაზი უნდა გაესვას მის მრავალმხრივ, ინტერდისციპლინურ ბუნებას („ენერგეტიკული ტრილემა“),⁸⁷⁶ რაც ენერგეტიკის სამართლის მიმართ ყოვლისმომცველი მიდგომისკენ (*holistic approach*) მოგვიწოდებს.⁸⁷⁷ შესაბამისად, უმჯობესია ენერგეტიკის სამართალი გაიმიჯნოს „ენერგორესურსების სამართლისაგან“ და მოაზრებულ იქნეს ისეთ სამართლებრივ დარგად, რომელიც უნივერსალურად ყველა ენერგორესურსს გააერთიანებს და არ მოაქცევს ცალკეულ წყაროებს რეგულირების განსხვავებულ სამართლებრივ რეჟიმში. ამით ხელს შევუწყობთ ენერგეტიკის სამართლის ერთიანი ფილოსოფიური ფუნდამენტის ჩამოყალიბებას და თავიდან ავიცილებთ დარგის დანაწევრებულად, ფრაგმენტულად განვითარებას.

3. თანამედროვე ენერგეტიკის სამართლის თეორია ორიენტირებულია გაცდეს ძველ ენერგეტიკულ მოძღვრებას და

⁸⁷⁶ საერთაშორისო ენერგეტიკული წესები არ არის თავმოყრილი უნივერსალურ საერთაშორისო ინსტრუმენტში (იქნებოდა ეს სახელშეკრულებო თუ ჩვეულებითი სამართალი). არც ისეთი საერთაშორისო ორგანიზაცია არსებობს, რომელიც დააწესებდა მსოფლიო ენერგეტიკული მმართველობის საყოველთაო პრინციპებს. გარდა ამისა, ენერგეტიკის სამართლის ფრაგმენტულობის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ ენერგეტიკის სამართლის მკვლევარებს და სპეციალისტებს ერთმანეთთან ნაკლები კომუნიკაცია აქვთ, რაც საბოლოოდ ენერგეტიკის სამართლის ერთიანი ფილოსოფიის ნაკლებობაში გამოიხატება. ყოვლისმომცველი მიდგომა მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ იგი ხელს შეუწყობს კანონმდებელს, სამართლის შემფარდებელსა და სამეცნიერო წრეებს შორის მეტ თანამშრომლობას. ეს კი წინაპირობა იქნება ერთიანი პოზიციის შეჯერებისათვის.

⁸⁷⁷ Bradbrook A. J. Energy Law as an Academic Discipline, *Journal of Energy and Natural Resources Law*, Vol. 14 (2), 1996, 194. ამასთან, ავტორი აცნობიერებს, რომ წარმოდგენილი თეზისი არის ერთგვარი „სამუშაო დეფინიცია“ და იგი მოითხოვს შემდგომ კვლევას.

მოიცვას ახალი ენერგეტიკული ტენდენციები - მდგრადი განვითარება, მწვანე, სუფთა ენერგეტიკა, დაბალნახშირბადიანი ენერგეტიკული ეკონომიკა და ენერჯის ეკოლოგიური ასპექტები. სწორედ ამიტომ, რეკომენდებულია, რომ საქართველოში ენერგეტიკული სექტორის რეფორმირება და ახალი თაობის ენერგოკანონმდებლობა აღნიშნული კონცეფციით შეიქმნას. მან ასევე უნდა დააკმაყოფილოს თანამედროვე ენერგეტიკის სამართლის შვიდი ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპი (მაგ. სამართლიანი ენერგორეგულირების პრინციპი), რომლებიც ენერგეტიკის სამართლის ჩვენი დროის სხვა გამორჩეული მეცნიერების მიერ შემუშავდა.⁸⁷⁸

4. რეკომენდებულია, ენერგეტიკის სამართლის დამოუკიდებელ აკადემიურ დისციპლინად დაკვალიფიცირება. დარგის ამგვარი დამოუკიდებლობა ხელს შეუწყობს არა მხოლოდ მისი თეორიული და აკადემიური საფუძვლების შექმნას, არამედ ენერგეტიკის სამართლის შინაგან და გარეგან სისტემურობას. თუკი ენერგეტიკის სამართლით დაინტერესებული საზოგადოება განიცდის ცოდნის ნაკლებობას, დეფიციტის შევსების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალება სწორედ მეტი აკადემიური კონსენსუსის მიღწევასაა. იგი თავს მოუყრიდა სფეროში არსებულ მიმოხილულ ინფორმაციას და განავითარებდა სამართლებრივ დოქტრინას. საქართველოში ენერგეტიკის სამართლის აკადემიურ დისციპლინად აღიარება და მისი სასწავლო კომპონენტად შეთავაზება ასევე მოხმარდება პრობლემაზე დაფუძნებული განათლების სტიმულირებას და განავითარებს „პრაქტიკული პროფესიონალიზმის“ ტენდენციებს.⁸⁷⁹

5. ვინაიდან საქართველომ საკუთარი ენერგეტიკული კანონმდებლობის მოდერნიზების მექანიზმად ევროკავშირის ენერგეტიკული წესებისა და პრინციპების შემოღება აირჩია, აუცილებლად იქნა მიჩნეული თავად ამ წესების ნორმატიული ღირებულების შესწავლა. ევროკავშირის სტრატეგიული ენერგეტიკული დოკუმენტებისა და კანონმდებლობის მიმოხილვის შედეგად ვმსჯელობთ, რომ ევროკავშირის ენერგეტიკული პოლიტიკა სამი ფუძემდებლური მიზნის შესრულებას ემსახურება: კონკურენცია-ლიბერალიზაცია, მდგრადი განვითარება და

⁸⁷⁸. იხ. Heffron R. J., Ronne A., Bradbrook A., Tomain J. P., Talus K. A Treatise for Energy Law. *Journal of World Energy Law and Business*, Vol. 11, № 1, 2018, 34-48.

⁸⁷⁹. დაწვრ. იხ. სამხარაძე ი. ენერგეტიკის სამართალი, როგორც აკადემიური დისციპლინა, *ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“*, № 2 (58), 2018, 63.

მიწოდების უსაფრთხოება.⁸⁸⁰ მიზნები ურთიერთშემავსებელია და ევროკავშირის მიერ სფეროში გატარებული პოლიტიკა სამივე მათგანის შესრულებას ერთობლივად, თანმიმდევრულად ემსახურება. დაუშვებელია, რომელიმე ერთი მიზნის მეორის ან მესამის ხარჯზე მიღწევა. საგულისხმოა, რომ ეს მიზნები, ფაქტობრივად, სრულიად ემთხვევა საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის დეკლარირებულ ძირითად მიმართულებებს.⁸⁸¹

6. წესები, რომლის მეშვეობითაც აღსრულდება ევროპის ენერგეტიკული პოლიტიკა, ევროკავშირის პირველად და თანამდევ სამართლებრივ აქტებშია მიმოხილული და ერთიან სისტემას ქმნის. ამ სისტემის სათავეში დგას ევროკავშირის სადამფუძნებლო ხელშეკრულების 194-ე მუხლი, რომელიც ლისაბონის რედაქციის შედეგია და რომელსაც მოსდევს არასახელშეკრულებო, ანუ დამხმარე საკანონმდებლო ჩარჩო. შესაბამისად, საქართველომ უნდა გაიზიაროს ზემოთხსენებული ლისაბონის ხელშეკრულების 194-ე მუხლის პირობები და მის საფუძველზე მიღებული ევროკავშირის სამართლის მოქმედების დამატებითი ინსტრუმენტები (ე.ი. რეგულაცია და დირექტივა). სექტორული კანონმდებლობის შემუშავებისათვის. ქვეყანამ შიდაეროვნულ სივრცეში უნდა შემოიტანოს ევროკავშირის ენერგეტიკული ნორმები და მოახდინოს მისი სრული იმპლემენტაცია.

7. საქართველოს ენერგეტიკული კანონმდებლობის რეფორმის პროცესში აუცილებელია გათვალისწინებული იქნას ევროკავშირის ენერგეტიკის სამართლის რამდენიმე ძირითადი პრინციპი: ძლიერი და დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს მოწყობა,⁸⁸² მესამე პირების არადისკრიმინაციული დაშვება ქსელებზე,⁸⁸³ მომხმარებლებისა და საჯარო ვალდებულებების საკითხების უზრუნველყოფა, საქმიანობების განცალკევების რეჟიმების ანუ ენერგეტიკის გადაცემის სისტემის ოპერატორებისა და განაწილების

⁸⁸⁰. Talus K. EU Energy Law and Policy: A critical Account, Oxford University Press, 2013, 56.

⁸⁸¹. საქართველოს პარლამენტის 2015 წლის 24 ივნისის № 3758-II ს დადგენილებით „საქართველოს ენერგეტიკის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების თაობაზე.“

⁸⁸². საქართველო ამჟამად იმყოფება მონოპოლიური საქმიანობის განცალკევების რეჟიმში, რომლის სათავეშიც დგას ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია.

⁸⁸³. Kruiken D., Mas F. H. Integrating Demand Side Management into EU Electricity Distribution System Operation: A Dutch Example, Elsevier Energy Policy 129, 2019, 154.

ენერგეტიკული კომპანიების საქმიანობის განმხილვება და სხვ.⁸⁸⁴ ამასთან, საქართველოს ენერგეტიკის სექტორში ევროპული სტანდარტების დამკვიდრება უნდა წარიმართოს ევროკავშირის ენერგეტიკული კავშირის (Energy Union) მიერ გათვალისწინებული ხუთი კომპონენტის საფუძველზე.⁸⁸⁵

8. ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ საქართველო მზად არის ევროკავშირის სამართალთან ჰარმონიზაციისთვის, რაშიც, პირველ ყოვლისა, სამართლებრივ ფასეულობათა ჰარმონიზაცია იგულისხმება. პარტნიორ ქვეყნებში სტაბილური და ჯანსაღი იურიდიული გარემოს შექმნას თან უნდა ახლდეს ეროვნულ კანონმდებლობაში ღირებულებითი ინტეგრაცია. ევროკავშირი სხვადასხვა არა წევრი სახელმწიფოს რეალობის გათვალისწინებით ჰარმონიზაციის განსხვავებულ პოლიტიკურ და სამართლებრივ ინსტრუმენტებს გამოკვეთს. ჰარმონიზაციის მექანიზმები საქართველოშიც სხვადასხვაგვარია, თუმცა ერთიანია საბოლოო მიზანი - ქვეყნის მეტი ევროპულ ინტეგრაცია.

9. ენერგეტიკული კოოპერაციის სამართლებრივ ფორმებს შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების ხელშეკრულებასა (2014) და ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებაზე შეერთების ოქმს (2016). მათ „საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით უპირატესი იურიდიული ძალა აქვთ შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ კანონსა და კონსტიტუციურ შეთანხმებას.⁸⁸⁶ აღნიშნული ინსტრუმენტები იმპერატიული ხასიათისაა და საკანონმდებლო დაახლოების მკაცრ სტანდარტებს შეიცავს: ევროკავშირის სამართლებრივი აქტების ვრცელი ჩამონათვალი ელექტროენერჯის, ბუნებრივი გაზის, ნავთობის, განახლებადი ენერჯისა და ენერგოეფექტურობის სფეროში.

⁸⁸⁴. საქმიანობის განცალკევების პრინციპი ნიშნავს იმას, რომ მაგალითისთვის ნავთობკომპანია არ უნდა ფლობდეს ან მენეჯმენტს უწევდეს მილსადენს, რომლის მეშვეობითაც იგი ყიდის თავის პროდუქტს. იხ. Kruiken D., Mas F. H. Integrating Demand Side Management into EU Electricity Distribution System Operation: A Dutch Example, Elsevier Energy Policy 129, 2019, 153-160.

⁸⁸⁵. 1. ენერგოუსაფრთხოება, სოლიდარობა და ნდობა, 2. სრულად ინტეგრირებული ევროპული ენერგობაზარი, 3. ენერგოეფექტურობა, როგორც ენერგიაზე მოთხოვნის შემცირების მექანიზმი, 4. ეკონომიკის დეკარბონიზება, 5. კვლევა და ინოვაცია.

⁸⁸⁶. „საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი.

10. სამართლის ჰარმონიზაციის სხვადასხვა მექანიზმის არჩევის თავისუფლება, იქნება ეს ასოცირების ხელშეკრულება თუ ენერგეტიკული გაერთიანების ჩარჩო, ძირითადად, ჰარმონიზაციის განმახორციელებელი სახელმწიფოს ნებაზეა დამოკიდებული. თითოეულ ქვეყანას ყოველგვარი სამართლებრივი იძულების გარეშე, ნებაყოფლობით, შეუძლია ნებისმიერი სხვა მომიჯნავე სისტემიდან გადმოიღოს ესა თუ ის სამართლებრივი სტანდარტი თუ ნორმა, რომლისთვისაც სულაც არაა საჭირო „ნორმის გამცემი“ სახელმწიფოს თუ ორგანიზაციის წინასწარი თანხმობა. საქართველოს ენერგეტიკული კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პროცესი მხოლოდ და მხოლოდ ქართული სამართლის ლოგიკითაა ნაკარნახევი და ეროვნული კონსტიტუციური სამართლის მიერა აღსრულებული. შესაბამისად, ევროპეიზაციის გავლენები საფრთხეს ვერ შეუქმნის ქვეყნის სახელმწიფო სუვერენიტეტსა და მის კონსტიტუციურ იდენტობას. ევროკავშირის ენერგოკანონმდებლობის საქართველოში გადმოღება არ უნდა შეფასდეს, როგორც ქვეყნის ნაციონალური ინტერესების დაკნინება.

11. ასოცირების ხელშეკრულება და ენერგეტიკული გაერთიანება არ გულისხმობს ევროკავშირის წევრობას,⁸⁸⁷ თუმცა, შეთანხმება ევროკავშირთან და მის ენერგეტიკულ კანონმდებლობასთან დაახლოების იმდენად მაღალ დონეს განსაზღვრავს, რომ მისი ეფექტური განხორციელება, ფაქტობრივად, შეუქცევადს ხდის ქვეყნის ერთიან ევროპულ ენერგეტიკულ ბაზარში ინტეგრირებას.⁸⁸⁸ ამასთან, ენერგეტიკული გაერთიანება სექტორული საერთაშორისო ორგანიზაცია და მის დამფუძნებელ ოქმზე მიერთებით საქართველო უერთდება უფლება-მოვალეობების უფრო ვრცელ პაკეტს ენერგეტიკის სექტორში, ვიდრე ეს ასოცირების ხელშეკრულებითაა გაწერილი. შესაბამისად, ასოცირების შეთანხმებისგან განსახვავებით შეერთების ოქმი უფრო სპეციალური სამართლებრივი აქტია. იგი გულისხმობს გაცილებით ინტენსიურ ენერგეტიკულ თანამშრომლობას, რაც ასევე გაპირობებულია აღებული ვალდებულებების მონიტორინგის მაღალი ხარისხით.⁸⁸⁹

⁸⁸⁷. დაწვრ. იხ. სამხარაძე ი. საქართველოს ევროპეიზაცია: ევროკავშირში გაწევრიანების ძირითადი სამართლებრივი ასპექტები, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №5 (48), 2015, 39-54

⁸⁸⁸. ევროკავშირის წევრობის პერსპექტივებზე იხ. სამხარაძე ი. საქართველოს ევროპეიზაცია: ევროკავშირში გაწევრიანების ძირითადი სამართლებრივი ასპექტები, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, № 5, 2015, 39-55.

⁸⁸⁹. ამის კარგი მაგალითია დავების გადაწყვეტის მექანიზმი. ენერგეტიკულ გაერთიანებას არ აქვს მუდმივმოქმედი სასამართლო ორგანო, თუმცა დაინტერესებულ მხარეს, მარეგულირებელ გამგეობას და სამდივნოს შეუძლია

აღნიშნული ორი ინსტრუმენტის კოლიზიის შემთხვევაში უპირატესობა უნდა მიენიჭოს ენერგეტიკული გაერთიანების შეთანხმებას.⁸⁹⁰

12. ენერგეტიკული დირექტივებისა და რეგულაციების იმპლემენტაციისთვის აუცილებელია ქვეყანაში არსებობდეს ყველა საჭირო უფლებამოსილებით აღჭურვილი, ქმედითი, დამოუკიდებელი, გამჭვირვალე და ძლიერი ორგანოები, რათა არ დაირღვეს ენერგობაზრის მონაწილეების უფლებები და ინტერესები. თავად ჰარმონიზებული კანონმდებლობის საბოლოო პროდუქტი უნდა იყოს მოდერნიზებული ენერგეტიკული კანონმდებლობა. შესაბამისად, თანამედროვე ქართული ენერგორეგულირების ამოცანა ისეთი ჯანსაღი სისტემის ორგანიზაციული გამართულობა უნდა იყოს, რომელიც კონკურენციისა და გამჭვირვალობის მაღალ სტანდარტს ჰქმნის, ორმხრივად მომგებიანია და საერთაშორისო არადისკრიმინაციულ წესებს ეფუძნება.

13. ამ პროცესში უმნიშვნელოვანესია მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანოებისა და საკონსტიტუციო სასამართლოს როლი. ასოცირების შეთანხმებისა და ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების სასამართლო იმპლემენტაცია საქართველოში ჯერ კიდევ საწყის ეტაპზეა. მისასაღმებელი იქნებოდა ქართული სასამართლოების მიერ გამოტანილი მეტი გადაწყვეტილება, რომელიც ინტერპრეტირებულია ასოცირების შეთანხმებისა და ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების ტექსტის შესაბამისად. სასურველია, ქართულმა სასამართლოებმა მეტი სიხშირით მოიხმონ რატიფიცირებული საერთაშორისო და ევროპული ინსტრუმენტების ცალკეული დებულებები.⁸⁹¹

14. ყურადღების მიღმა არ უნდა დაგვრჩეს მხარეთა შორის ურთიერთთანამშრომლობის *“Pacta Sunt Servanda-ს“* პრინციპი და ვალდებულებების კეთილსინდისიერად შესრულება.⁸⁹² ამისთვის უპირველესად სამართლებრივი იძულების მექანიზმის ჩართვაა საჭირო. სახელმწიფო სამართლის ჰარმონიზაციის მიზნით

საჩივრით მიმართოს მინისტრთა საბჭოს ხელშემკვრელი სახელმწიფოს მხრიდან ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში

⁸⁹⁰. ასოცირების ხელშეკრულება, მუხლი 218.

⁸⁹¹. ამის შესაძლებლობას იძლევა „საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონი, რამდენადაც საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო აქტები ეროვნული კანონმდებლობის განუყოფელი ნაწილია. იხ. ნაშრომის მესამე ნაწილის მეექვსე თავი.

⁸⁹². VCLT, მუხლი 26. ასევე იხ. Hyland R. Pacta Sunt Servanda: A Meditation, Virginia Journal of International Law, Vol. 34 (2), 1994, 405-433.

შესაბამისი კანონმდებლობის მიღებაზე პასუხისმგებელი უპირველესი პოლიტიკური ინსტიტუტია, თუმცა აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების აქტიური ჩართვა. აღმასრულებელი ხელისუფლება ვალდებულია საზოგადოებამდე სწორად მიიტანოს ენერგეტიკული კანონმდებლობის ჰარმონიზაციის იდეა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ევროპულ სტანდარტებთან დაახლოება იქნება ხელოვნური და იგი ვერ უზრუნველყოფს რეალური შედეგის მიღწევას.

15. მიუხედავად ბოლო წლების პროგრესისა, ქართული ენერგოსექტორი ჯერ კიდევ განიცდის მძიმე საბჭოური მემკვიდრეობის შედეგებს. შესაბამისად, თანამედროვე ენერგორეგულირების სტანდარტების დამკვიდრებამდე და ენერგეტიკის სექტორის სრულ ტრანსფორმირებამდე გრძელი გზაა გასავლელი. კარგი იქნება, თუკი შემუშავდება გრძელვადიანი სტრატეგიული ხედვა და განვითარდება ნორმატიული ბაზა, როგორც ტრადიციული ენერგეტიკის, ისე მწვანე ენერგეტიკის დარგში.

16. საქართველოს განახლებადი ენერჯის კანონმდებლობის ევროპეიზაცია უნდა დაეფუძნოს ევროკავშირის განახლებადი ენერჯის 2009/28/EC დირექტივას,⁸⁹³ რომელიც, თავის მხრივ, ევროპის „სუფთა ენერჯის“ სტრატეგიისა და თანამედროვე ენერგეტიკის სამართლის პრინციპების პრაქტიკული რეალიზებაა. ამასთან, მოცემულ მომენტში საქართველოზე ვერ გავრცელდება ევროკავშირის ე.წ. „ზამთრის პაკეტის“ მოთხოვნები და განახლებადი ენერჯის ახალი ევროპული ჩარჩო.⁸⁹⁴ ევროკავშირის მიერ მიღებული „ზამთრის პაკეტის“ ცვლილებები საქართველოსთვის სავალდებულო გახდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ამას თავად ენერგეტიკული გაერთიანება მოითხოვს და ამისთვის შესასრულებლად სავალდებულო აქტს გამოსცემს.⁸⁹⁵ დაახლოებით ანალოგიური შინაარსისაა ასოცირების ხელშეკრულების დათქმაც, რომელიც პირდაპირ მიუთითებს, რომ „დინამიკური ჰარმონიზაცია“ ასოცირების საბჭოს მიერ უნდა იქნეს მოთხოვნილი.⁸⁹⁶

17. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში არ არსებობს დარგის მომწესრიგებელი ეროვნული წესების სისტემური ერთობლიობა და ქოტურია განახლებადი ენერჯის სფეროში

⁸⁹³. Council Directive 2009/28/EC of the European Parliament And Of The Council of 23 April 2009 on the promotion of the Use of Energy from Renewable Sources and Amending and Subsequently Repealing Directives 2001/77/EC and 2003/30/EC, OJ L 140.

⁸⁹⁴. იხ. ნაშრომის მეოთხე ნაწილის მეოთხე თავი.

⁸⁹⁵. ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულება, მუხლები 89-93.

⁸⁹⁶. ასოცირების ხელშეკრულება, მუხლი 417.

არსებული ნორმატიული ბაზაც, სფერო საკანონმდებლო სისტემის რეფორმას საჭიროებს. ამასთან, ევროპულ რეგულაციებთან შესაბამისობისთვის ეროვნული კანონმდებლობა სიღრმისეულ გადახალისებას საჭიროებს, რაც ჩვეულებრივი საკანონმდებლო პროცედურებით (მაგ. ცვლილებათა პაკეტის მომზადება საქართველოს კანონში „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“) შეუძლებელი იქნება. სწორედ ამიტომ რეკომენდებულია განახლებადი ენერჯის სფეროში ახალი, სპეციალური კანონის შემუშავება.

18. სპეციალური კანონის მიზანი უნდა იყოს განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯის ხელშეწყობის, წახალისებისა და გამოყენების სათანადო სამართლებრივი პირობების შექმნა. მან უნდა განსაზღვროს განახლებადი ენერჯის სავალდებულო ნაციონალური სამიზნე მაჩვენებლები და მოითხოვოს განახლებადი ენერჯის ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავება.⁸⁹⁷ კანონმა ასევე უნდა უზრუნველყოს: ა) ენერჯის განახლებადი წყაროების (ჰიდრო, მზე, ქარი, გეოთერმული ენერჯია...) მიმართ არადისკრიმინაციული მიდგომა და თანაბრად უნდა დაარეგულიროს განახლებადი ენერჯორესურსებიდან გენერირებული ენერჯის გამოყენება; ბ) ბაზარზე ორიენტირებული განახლებადი ენერჯის მხარდაჭერის სქემების ინიცირებას, რომელიც სრულ შესაბამისობაში იქნება ენერგეტიკული გაერთიანების მიერ დადგენილ სახელმწიფო დახმარების წესებთან; გ) გადამცემი და გამანაწილებელი ქსელის ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა; დ) საერთაშორისო ვაჭრობის გაძლიერება; ე) განახლებადი ენერჯის ელექტროსადგურების ავტორიზაციის გამარტივებული პროცედურები, მიერთების მოთხოვნებისა და ტარიფების საჯაროობა; ვ) ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობისა და ერთობლივი პროექტების განხორციელების ხელშეწყობი მეთოდები (მცირე ჩამონათვალი).⁸⁹⁸

დაბოლოს, ვითვალისწინებ რა განახლებადი ენერჯის წყაროების პოპულარიზაციის მსოფლიო ტენდენციებს, მივიჩნევ, რომ იგი უდიდესი სოციალური და ეკონომიკური მნიშვნელობისაა საქართველოს მდგრადი ენერგეტიკული განვითარებისთვის. ეს, ცხადია, დიდძალ საინვესტიციო მხარდაჭერასა და ეფექტურ სახელმწიფო პოლიტიკას მოითხოვს. პროცესის ხელშეწყობის მიზნით დისერტაციის მეოთხე ნაწილი წარმოადგენს განახლებადი ენერჯის ევროპეიზაციის ათ ძირითად რეკომენდაციას, რომელთაგან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია შემდეგი შეთავაზებები: ა)

⁸⁹⁷. იხ. ნაშრომის მეოთხე ნაწილის მეხუთე თავი.

⁸⁹⁸. იხ. ნაშრომის მეოთხე ნაწილის მეექვსე თავი.

განახლებადი ენერჯის სფეროს მომწესრიგებელი სპეციალური კანონმდებლობის შექმნა; ბ) ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოსთან და ევროკომისიის ფინანსურ ინსტრუმენტებთან მჭიდრო თანამშრომლობა; გ) საქართველოში განახლებადი ენერჯის ევროპეიზაციის დეტალური გზამკვლევის შემუშავება. ღრმად მწამს, რომ გამოკვეთილი საკითხები დაეხმარება განახლებადი ენერჯის სფეროში ახალი ცნებებისა და მიდგომების დამკვიდრებას. იგი, ასევე, თავის წვლილს შეიტანს ეროვნული სამეცნიერო პროგრესის სტიმულირებაში.

VII. დაწართი: მოკლე მიმოხილვა ინგლისურად

In the wake of global legal order, it is no wonder anymore that contemporary legal thinking calls for a change in domestic normative systems. Due to increased transnationalisation the activities subject to a regulation to date do not only transcend the national borders, but the legal harmonisation and approximation became the central element of international cooperation.⁸⁹⁹ Europeanisation of energy law, which can be provisionally called as an ‘export’ of the European Union (EU) energy rules and principles beyond the bounds of the Member States sets a good example of such global legal order.

By the same token, the last couple of years have seen a growing interest in energy law and policy among legal subjects. ‘Energy’ from being a word used by a small section of society has now become a hot topic, thanks to the global policies on the environment and climate change.⁹⁰⁰ Energy law, still considered as a new area of law, is emerging at an accelerated pace receiving more attention in academic literature.⁹⁰¹ The evolution of energy law scholarship at the European level is guided by a variety of developments, one of which is the EU’s heavy reliance on external energy resources. Rethinking its energy policy, the EU has endeavoured to give its energy law wider extraterritorial effect and to strengthen its energy relations with key stakeholders in the neighbouring regions.⁹⁰²

Georgia is one such ‘stakeholder’ as a non-EU developing country influenced by the Union’s ‘transformative engagement through law’ (Magen,

⁸⁹⁹ Romanova T. Towards a Comprehensive Theory of Legal Harmonization between the EU and Third Partner: The Case of the EU-Russian Energy Dialogue, in: Delvaux, B., Hunt, M., Talus, K. (Eds.), *EU Energy Law and Policy Issue 3*, 2012, Intersentia, 279. See also: Sieber U. Legal Order in a Global World – The Development of a Fragmented System of National, International, and Private Norms in: Bogdandy A., Wolfrum R. (eds.), *Max Planck Yearbook of United Nations Law*, Vol. 14, 2010, 1-49.

⁹⁰⁰ Bruggeman V., Delvaux B. EU Energy Policy and Legislation under Pressure since the UNFCCC and the Kyoto Protocol? In: Peeters M., Deketelaere K. (eds.), *EU Climate Change Policy – The Challenge of New Regulatory Initiatives*, Edward Elgar Publishing, 2006, 223-239.

⁹⁰¹ See Heffron R. J., Talus K. The Development of Energy Law in the 21st Century: a Paradigm Shift? *J. World Energy Law and Bus.* 9 (3), 2016, 189-202 and Heffron R. J., Ronne A., Bradbrook A., Tomain J. P. and Talus K., *A Treatise for Energy Law. J. World Energy Law Bus.* 11 (1), 2018, 34-48.

⁹⁰² Communication from the Commission of 10 November 2010 to the Council, the European Parliament, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions, ‘Energy 2020 A Strategy for Competitive, Sustainable and Secure energy, COM(2010)639,10/11/2010, 2.

2015).⁹⁰³ It participates in the European Neighbourhood Policy (ENP)⁹⁰⁴ and in a specific eastern dimension of ENP - the Eastern Partnership Initiative (EaP),⁹⁰⁵ both political formats for expanding Europeanisation. The conclusion of the EU-Georgia Association Agreement ('AA')⁹⁰⁶ and accession to the Energy Community Treaty ('EnC')⁹⁰⁷ alluded to the process of Europeanisation in a much more cautious tone requiring a higher degree of approximation (i.e. convergence of laws and policy goals) along with political association, including in the field of energy law. Nevertheless, there is a lack of research concerning the application of EU energy law and policy⁹⁰⁸ in third countries and the theory of legal harmonisation in energy between the EU and Georgia also remains underdeveloped.

The present doctoral dissertation marking a pioneering contribution in energy law in Georgia addresses this deficit and aims to analyse the impact of EU energy law on Georgian national law, particularly renewable energy (green energy) legislation. It further contributes to the creation of a theory of energy law as well as the ongoing debate on energy law as an autonomous domain of law (Bradbrook, 1996; Heffron et al., 2018).⁹⁰⁹

What brings a novelty of the research topic and why is it so essential? Georgia's energy sector is of high economic and strategic importance as the country's energy security is affected by the region's geopolitical considerations.⁹¹⁰ Being an attractive alternative for the EU in transporting oil and gas from Central

⁹⁰³ Magen A. Transformative Engagement through Law: The *Acquis Communautaire* as an Instrument of EU External Influence. *European J. Law Reform* 9 (3), 2015, 361-392.

⁹⁰⁴ Communication from the Commission to the Council and the European Parliament, 'Wider Europe — Neighbourhood: A New Framework for Relations with our Eastern and Southern Neighbours,' COM(2003), 11.03.2003.

⁹⁰⁵ Communication from the Commission to the European Parliament and the Council, 'Eastern Partnership,' COM(2008), 03.12.2008.

⁹⁰⁶ The Association Agreement (AA) between the European Union and the European Atomic Energy Community and their Member States, of the one part, and Georgia, of the other part, entering in force on 1 July, 2016.

⁹⁰⁷ International organization established between the EU and a number of third countries to extend the EU internal energy market to Southeast Europe and beyond. Georgia acceded to the Treaty on 1 July 2017.

⁹⁰⁸ On the relationship between energy law and energy policy see: Heffron, R. J. *Energy Law: an Introduction*. Springer, 2015.

⁹⁰⁹ Bradbrook A. J. *Energy Law as an Academic Discipline* 14 (2), *J. Energy and Nat. Resour. Law*, 1994, 193-217 and Heffron R. J., Ronne A., Bradbrook A., Tomain J. P. and Talus K. A *Treatise for Energy Law*. *J. World Energy Law Bus.* 11 (1), 2018, 34-48.

⁹¹⁰ Emerson M., Kovziridze T. (eds). *Deepening EU-Georgian Relations What Why and how?* Second Edition, Centre for European Policy Studies, 2018, 141.

Asia to European markets,⁹¹¹ Georgia is characterized as an ‘EU-willing’ state endeavouring to create a stable, competitive and market-oriented regulatory framework for energy. At the same time, Georgia is a rich country with natural resources and the potential of renewable energy (particularly hydro).⁹¹² Full exploitation of the renewable energy sources would reduce the import dependence as well as the energy security risks and address to the global climate change processes.⁹¹³ Transposing EU energy legislation onto national legal system is a great opportunity for the country to systemize its ill-regulated energy sector inherited by the soviet legacy and to develop the standards ensuring the vast promotion and use of alternative energy sources. This process must be channelled through the ‘modern energy law’ (Zillman, 2012)⁹¹⁴ standards and a set of guiding principles advancing a new path for the study and practice of energy law.⁹¹⁵

Notwithstanding the positive tendencies in Europeanisation of the Georgian renewable energy sector, the transportation of EU energy *acquis communautaire* (‘*acquis*’) presents considerable challenges. This dissertation aims to uncover some of these challenges and evaluates the status of harmonising Georgia’s municipal law under the footprint of EU renewable energy legislation. In so doing, the thesis tries to unfold the phenomenon of ‘Europeanisation of energy law and policy’ when the application of the EU’s energy norms encapsulates in the domestic energy regulatory regimes of Georgia. Afterwards it places its particular emphasis on paradigm shift⁹¹⁶ in energy as well as the low-carbon development accelerated by adverse impact of climate change and sustainable development agenda.⁹¹⁷

In order to engage in the deeper analysis of the problem, the Ph.D. thesis is structurally divided into introduction, four main sections, twenty-five chapters, seventy-four subchapters and conclusion. Each section is accompanied by a concise abstract, key hypothesis and subsequent research questions.

⁹¹¹ Margvelashvili M., Maghalashvili A., Kvaratskhelia T., Ushkhvani L., Mukhigulashvili G. Georgian Energy Sector in the Context of EU Association Agreement, 2015, Tbilisi, 14.

⁹¹² See Energy Strategy of Georgia 2016-2025.

⁹¹³ See USAID White Paper Energy Strategy of Georgia (2015-2030), July, 2014, 17.

